



1168  
2011

**ტომი №48**  
**ეგნატა ნინოშვილი**  
შეგიძლიათ შეიძინოთ  
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!  
წიგნი და „გზა“ ერთად  
4 ლარი ღირს  
შედეგი ტომი  
**ელგუჯა მაღრაძე**

# თემა

**კომპიუტერული მანიის**

**სიყვარული და  
ასაკობრივი ბარიერი**


**ღანგრეული იჯახები და  
ვირბულურ სხოველები  
მასველივი ვიდეოები**

„10 წლით უფროსმა  
მანდილოსანმა მომხიბლა“...

„მთავარი ბრძენობა და  
არა დაგზავნის თარიღი“...

„ფარემა“ დაბრუნება,  
ქმარი რომ მყავდა“...

**„გზა“ – ყველაზე მაღალბირაჟიანი ჟურნალი საქართველოში!**



**აქა-ფეხელებს  
დობილი და მათრახად  
მხეული ლეხები**



**უყუჩაი!**

[www.palitrav.ge](http://www.palitrav.ge)

**PALITRA**  
TV-RADIO

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



**ბურღულებს  
ურვეულ  
სხოვრების  
სტილი**

„ბუჯას ბერად  
აღკვეთის  
სურვილი აქვს“...




www.britishcentre.ge

# BRITISH CENTRE

## ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭიროყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები.“



## ნიკო კვეერაშვილი:

“ბრიტანულ ცენტრში” მეგობრების რჩევით მოვედი და მან ჩემს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო ატმოსფერომ და ჯგუფურმა გაკვეთილებმა გამიადვილა ენის შესწავლა და ახლა დაბრკოლებების გარეშე შემიძლია ინგლისურად საუბარი. პროგრამის ბოლო საფეხურზე გულიც კი მწყდება, დარგან დასასრულს მივუახლოვდი. ჩემი მიზანია TOEFL-ის ან Cambridge-ის სერტიფიკატივილო და ახლა უკვე მზად ვარ გავიდე ტესტირებაზე.



ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000  
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222  
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915  
აქაიძის 9; ტელ: 332 557; 514 143  
ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 (ყოფილი ბლაგოვიჩის ქ.)  
ტელ: 7 31 22

www.britishcentre.ge

## პირველი კლასის საერთო სასტუმრო

# „ვერა პალასი“

### გთავაზობთ

ყველა პირობას უზრუნველყოფთ თუ უაფხულის სეზონის სასიამოვნოდ და აკრძალვად გატარებისთვის.

#### სასტუმროშია:

- 43 კომფორტული და კეთილმოწყობილი ნომერი,
- მათ შორის 7 ნახევრად ლუქსი;
- ორი რესტორანი, სადაც დააგეგმვინებთ ქართულ და ევროპულ კეძებს. ;
- მწვანე ბარი და ღამის კლუბი;
- ბილიარდი
- საცურაო აუზი;
- საუნა და მასაჟი;
- ფიტნეს დარბაზი;
- საკონფერენციო დარბაზი;
- თბილამურების ქირაობა



www.verepalacebak.g  
E-mail verepalacehotelbakuriani@gmail.com



ჩვენი თქვენი მიზანდასახვა  
სასტუმრო „ვერა პალასი“  
საქართველო



თითოეულ ნომერშია ინდივიდუალური ბათუბა, ფართი ტელევიზორი საკაბელო არხებით, ტელეფონი ოთახში და სააბაზანოში მინი ბარი, ფენი და უსაფრთხოების სისტემა. გიზფხს სენატრში თქვენ ისარგებლებთ ფაქსით ქსარკოუსით, კომპიუტერით და ინტერნეტით

თბილისი, კოსტავას ქ. №47	ბათუმი, ნაქაძის ქ. №12
ტელ: (995 32) 98 35 65	ტელ: (995 26) 74 00 49
ფაქსი: (995 32) 99 68 67	ფაქსი: (995 26) 74 00 50
მობ: (995 95) 15 84 48	მობ: (995 99) 11 60 45 (995 95) 30 06 40





# როცა 35 წლის გავაკასი 20-ისას ჰგავს...

„16 წლის თაყვანისმცემლებიც მყავს, რომლებთანაც საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მიმჩნია, რომ ისინი ბავშვები არიან“.

7



# „ქალს გავაკასის უკრძლავა ყოველთვის სიაშოვნებს...“


„მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე პირველად ვითამაშე. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, თეატრში ოფიციალურად მივედი, რამდენიმე თვეში კი ვახტანგი შემეძინა. ფეხმძიმობის პერვე თვემდე სცენაზე ვიდექი“.

18



# ცხოვრება

## „სხვანაირი“ რომ ვყოფილიყავი, აბასაც ვაღიარებდი“



„ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე, მაგრამ რადგანაც განსხვავებული იმიჯი მაქვს, ყველას ჰგონია, რომ „სხვანაირი“ ვარ და მწარედაც ცდებიან“.

26



- **მინიატიურები** 5
- **ჭრალი მსოფლიო** 6
- **პოლიტიკა** 7
- **განათლება** 10
- **ერთი კითხვა** 12
- **რეპორტი** 14
- „ოპოზიციური თვალსაჩინოებები“  
   და „ხელისუფლების ფანდები“
- **ამჟღად** 18
- „ბუნვის ხიდზე“ მოსიარულე მარინა კახიანი  
   და მისი შვილის ტოლი თაყვანისმცემლები
- **ვეიბრანტი** 21
- კვლავ გაუთხოვარი ცუცა კაპანაძის პლატონური  
   სიყვარული ანუ გამოღმით მე ვარ, გაღმით — შენ
- **საგანძურები** 22
- „ისეთ სიმღერას გიმღერებ,  
   თვალს ცრემლი მოედინოს“
- **გადასალვებ მოაღწე** 24
- ფრანგების მიერ წინასწარ ნაყიდი ფილმი  
   და გაოცებული პროდიუსერი
- **პრობლემა** 26
- ვეტერანი „მიმინოების“ ცხოვრება საარსებო  
   მინიმუმის ზღვარზე ანუ „ია ხოჩუ ლეტატ!“
- **თემა** 29
- „ფერმომანია“ ანუ კომპიუტერული თამაშების  
   გამო დასანგრევად განწირული ოჯახები
- **განსაჩირი** 32
- პატარა ბიჭუნას ტრაგედია
- **შემოქმედი** 33
- კაცი, რომელიც სიყვარულმა გადაარჩინა
- **პარსკვლავები** 36

# მეგნილები

## „ერთდროულად ორივეს შეუვარება არ გამოვა“




„ჯერ ვგ მითხარი, რა გოგოს და ბიჭის ძმაკაცობაზე ლაპარაკობ? ოჰ, როგორ გინდათ, რომ ასეთი ზღაპრების გჯეროდეთ და იჯერებთ კიდევ, მერე კი წუნუნებთ, ისე და ასეო... ჩემო კარგო, დისტანცია ყველაფერში საჭიროა!“

76

■ <b>თვალსაზრისი</b>	<b>38</b>
■ <b>ფინსვები</b>	<b>41</b>
„კალმად საკუთარი ენა ჰქონდა და ქალღმერთად — ნათელი გონება“	
■ <b>ბაქარი</b>	<b>44</b>
იგავი უგუნურ მდიდარზე	
■ <b>ავტო</b>	<b>45</b>
■ <b>ეს სამყაროა</b>	<b>46</b>
■ <b>საქითხავი ქალაქისათვის</b>	<b>48</b>
■ <b>ჯანმრთელობა</b>	<b>50</b>
■ <b>ანა უყვართ საქართველოში</b>	<b>54</b>
გრძნობის გამო გაღებული მსხვერპლი და ბერად აღკვეცილის სურვილი	
■ <b>კრიზისი</b>	<b>57</b>
ახალგაზრდა კაცი ლოტკინზე მოტყუებით აიყვანეს და მოკლეს	
■ <b>თინიჯარული პონტები</b>	<b>59</b>
შეუფერებელი წყვილები ანუ რის გამო შეიძლება, დაინუნო სარძლო ან სასიძო	
■ <b>ნათი პოეზია</b>	<b>62</b>
■ <b>სახსოვარი</b>	<b>63</b>
■ <b>პროექტი</b>	<b>64</b>
მთხრობელი — ერნესტ ჰემინგუეი	
■ <b>რეალური</b>	<b>65</b>
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ <b>ქართული დებულებები</b>	<b>68</b>
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ <b>რომანი</b>	<b>72</b>
სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ <b>გზავნილები</b>	<b>76</b>
ჩათრევას ჩაყოლა სჯობია	
■ <b>ყველა ერთისათვის</b>	<b>80</b>
„ერთდროულად ორივეს შეყვარება არ გამოვა“	
■ <b>მოგილი-ზაზია</b>	<b>82</b>
■ <b>მოზაიკა</b>	<b>88</b>
■ <b>ერუნიტი</b>	<b>92</b>
■ <b>განსართობი</b>	<b>94</b>
■ <b>ასტროლოგია</b>	<b>96</b>
■ <b>სქანოვანი</b>	<b>97</b>
■ <b>საფირმო კოსმოვანი</b>	<b>98</b>

## სამყარო



**„კალმად საკუთარი ენა ჰქონდა და ქალღმერთად — ნათელი გონება“**

ქალიკელი 1860 წელს დაიბადა. ცმანვილქალობაში ლამაზი და ლალი ყოფილა, ძმინი, თმინი და მთხოვნელმრავალი, რაც ფშავლის ქალს აამაყებს.

**36**

## ადამიანი



**ბურდულები უჩვეულო სხოვრების სტილი**

„როცა თეამ მითხრა, — გაიცანი, გუჯი ბურდულიო, მერე ისიც გამახსენდა, რომ ეს ის ბიჭი იყო, რომელიც ინსტიტუტში ვნახე და მომენონა.“

**54**

## ბიბლუსი



— ადრე ხომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს?  
— როგორ არა, ინგლისის დედოფალთან გამართულ მიღებაზე.  
— არა, მართლა... ნამდვილად სადღაც მინახავხართ, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ.

**62**

## ბაიბ-აუბი



**„ბავრი ნასნობი და ახლობელი მყავს, მგობარი — კალიან სობა“**

„არასდროს არაფერი მომიპარავს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, მაღაზიაში ზედმეტი ხურდა მოუბრუნებიათ, მივმხვდარვარ და არ მითქვამს. ნიგნის ქურდი ყველაზე დიდი ქურდია!“

**88**

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“  
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით  
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება  
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.  
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე  
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია  
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე  
მენეჯერი: მათე კვიციანი  
დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი,  
რეზო თხილიშვილი  
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49  
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge  
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

# ყარანცი



**შსავლის ნაცვლად** მე რომ პატრონი მყავდეს, ან მოადგილე, ან თუნდაც კოლეგა-შემცვლელი, ახლა ის უნდა წერდეს ამ „პროვოკაციას“... ბოლოს და ბოლოს, ამ ჩვენს ჟურნალში რომ კატორღული წესრიგი არ სუფევდეს, ახლა ეს გვერდი ცარიელი უნდა იყოს და შუაში დიდი ასოებით „კარანტინი“ ეწეროს! დიას, ავად ვარ, ბატონო, და სანამ ღორის გრძი დამიდასტურდება და ღრუტუნს დავიწყებ, ერთხელ კიდევ ვისაუბროთ. ჰმ, არადა, მუდმივად რომ ვწუნუნებ — ყოველი დღე ერთმანეთს ჰგავს, საინტერესო არაფერი ხდება-მეთქი, მაინცდამაინც დღეს არ „დაბზავდა“ საინტერესო ამბები?!

ისე, სულაც კენჭივით ჯანმრთელი რომ ვიყო, მთავარ ამბავზე მაინც ვერ ვისაუბრებდით — მე 6 საათამდე უნდა გადავგზავნო მასალა რედაქციაში, ხოლო პრეზიდენტისა და ხალხის ტელედიპლომა სწორედ 6 საათზე იწყება...

სამაგიეროდ, კითხვები ვიცი, რომლებიც ოპოზიციურმა პარტიებმა წინასწარ გაუგზავნეს სააკაშვილს ელექტრონული ფოსტით (ეს „იმეილიც“ სახათბალო გამიხდა — ეტყობა, ინტერნეტი პრეზიდენტისადმი გაგზავნილი კითხვებით გადაიტვირთა და „გაჭყდა“) — არ ვიცი, უპასუხებს თუ არა „მაღალი და სიმპათიური“ მათ შეკითხვებს, რომლებიც თავისთავად, ერთობ საინტერესოდ ჟღერს:

— თქვენი პრეზიდენტობის ორი ვადის გასვლის შემდეგ რამდენი იქნება საქართველოს საგარეო ვალი? (მამუკა კაციტაძე)


— რაში იხარჯება სარეზერვო ფონდები და როდის მიაღწევს პენსია საარსებო მინიმუმს? (ბურჯანაძის მოადგილე)

— როდის გადადგები? (შალვა ნათელაშვილი).

ცხადია, შალიკო, როგორც ყოველთვის, პირდაპირი და უშუალოდ იყო, მაგრამ ეს კითხვები რომ კითხვებადვე დარჩება, ხომ დარწმუნებული ხართ?!

მართლა, ეს ტელევიზორი რა კარგი რამე ყოფილა!.. როგორც გითხარით, ინტერნეტი გამეთიშა და ტელევიზორის ამარა დავრჩი ეს გრიპიანი კაცი — ძაააალიან ვისიამოვნე! არა, სულაც არ მესიამოვნა, გიგი უგულავა რომ ყავარჯნებით დავინახე, მაგრამ სამაგიეროდ კვალიფიკაცია აუმაღლებია — ადრე თუ „ზაპრავიკი“ და „მეურნე“ იყო, ახლა თბილისელებს ადვოკატის როლში მოველინა და უსასყიდლოდ „დაურიგა“ კონსულტაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოუგონ თბილისის მერიას სადავო საქმეები.

პრეზიდენტი კი ორშაბათს აჭარის მთიანეთში იყო და იქ ახალი სამთო-სათხილამურო კურორტი გახსნა. ეგ არაფერი — კურორტებს კვირაში სამჯერ ხსნის, მაგრამ მერე რაც თქვა, შესაძლოა, პირდაპირ კავშირში იყოს უგულავას ყავარჯნებთან: აქო, მთიან აჭარაშიო, იმდენი ხეტყე და იმდენი ხის დამუშავების ოსტატია, იქნებ ქართული სპორტული თხილამურების წარმოება დაგვეწყოს! ჰოდა, ეგ ვიფიქრე — შეიძლება, უგულავამ იმ დურგლების ნაოსტა-



ტარი თხილამურებით ისრიალა სადმე?!

გაუცნობიერებელმა იქნებ იკითხოს — რა არის მანდ საქილიკო და რა დაშავდება თხილამურების წარმოებითო? რა და, ჩემო გაუცნობიერებელო მკითხველო, შენგან არ მიკვირს, მაგრამ პრეზიდენტი ხომ ამ სფეროშიც „ტანკისტი იყო ომამდე“? „ადიდასი“, „პუმა“, „ნაიკი“ — ეს ცნობილი ფირმები თხილამურებს ვერ აწარმოებენ, რადგან ამას უმაღლესი ტექნოლოგია სჭირდება, ხულოში კი — ქართულ თხილამურებს აკენისა და ყველის ჩასანყოფი კათხების (აჭარაში „კოთხოს“ ეძახიან) ოსტატები გააკეთებენ!..

საერთოდ, ჩვენ, ქართველებს ყველაფერი ადვილად გამოგვდის — აგერ, საინფორმაციოში (ტელევიზორში — კარგია-მეთქი, ტელევიზორი) სატრანსპორტო რაღაცის უფროსი გამოვიდა და ავტობუსების კონტროლიორების კონკურსი გამოაცხადა — კანდიდატები ორ მოთხოვნას უნდა პასუხობდნენო: ვერბალური ურთიერთობა უნდა შეეძლოთ მგზავრებთან და უნდა ჰქონდეთ საჯარიმო ქვეთრის სწორად შეესების უნარ-ჩვევები. „ადამიანური“ ენით ეს ნიშნავს: ლაპარაკი და წერა-კითხვა უნდა იცოდეს! ა, ბატონო — თუკი წერა-კითხვა საკმარისია ამ საქმისთვის, თხილამურების და თვითმფრინავების კეთებას რაღა უნდა?..

ეკონომიკაც მომძლავრდება, ქვეყანაც აშენდება...

ეკონომიკასა და მომძლავრებაზე გამახსენდა: სტამბოლში კონფერენცია გაიმართა თემაზე: „ქალის როლი ეკონომიკის ზრდის სფეროში“. მე არ ვიცი, რისი ზრდის წარმმართველი ძალაა ჩვენი ეკონომიკის მდგრადი მინისტრი, მაგრამ აჭარული თხილამურებითა და სვანური კომპიუტერებით რომ შორს ვერ წავალთ, ამაში დარწმუნებული ვარ.

**P.S.** მაინც ვერ მოვითმინე, „ფეხი ავითრიე“ და პრეზიდენტისა და ხალხის სატელევიზო „გულახდილი“ დიალოგის დასაწყისს დაველოდე — ისე ყველაფერი კარგი აგინდეთ, როგორც მე 10-იანში გავარტყი, არც ერთ კითხვას არ უპასუხებს-მეთქი: პირველივე კითხვაზე, რომელიც მთიანი რაჭის მცხოვრებმა ქალბატონმა დასვა, — ფასები როდის დაეცემა პროდუქტებზეო? — პრეზიდენტმა „უპასუხა“: ჩინელები ჩვენზე უარეს დღეში იყვნენ, შიმშილით იხოცებოდნენ და ველოსიპედებით დადიოდნენ, ახლა კი ჭამა და მანქანების ყიდვა დაიწყესო. მეორე კითხვაზეც „ადეკვატური“ პასუხი გასცა: მისაქციელიდან ჰკითხეს, — საბავშვო ბაღს როდის გაგვიხსნიო? — და ამან უპასუხა: ბორჯომი დღესაც სავსეა აზერბაიჯანელი დამსვენებლებით, მაღე თქვენც მოგხედავო (?).

მოკლედ, ან მე ვერ გავიგე რაღაცა, სციხანი ტვინით, ან მთელ ქვეყანაში კარანტინა გამოცხადებული.

**პროვოკატორი**



# ყველაზე სისხლიანი ტერაქტი

„აფეთქება დომოდედოვოში აეროპორტების ისტორიაში ყველაზე სისხლიანი იყო“, — ამბობენ რუსი პოლიტიკური ექსპერტები. აფეთქების შედეგად, 35 ადამიანი დაიღუპა, 168 დაიჭრა. დაღუპულთა შორის, 6 უცხოელია. როგორც გაირკვა, ტერორისტმა თვითმკვლელმა თავი აიფეთქა ჩამოფრენის დარბაზში, სადაც რუსეთის მოქალაქეები ეგვიპტიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან და ბრიტანეთიდან მომავალ ახლობლებს ელოდებოდნენ. საგამოძიებო ჯგუფის წარმომადგენელთა თქმით, ასაფეთქებელ მონყობილობაში დაახლოებით 7 კგ ტროტილის ეკვივალენტის ნივთიერება იყო. ერთ-ერთი თვითმხილველის მტკიცებით, აფეთქებამდე, უცნობი მამაკაცი ყვიროდა — „მე თქვენ ყველას მოგკლავთ!“ არსებობს ვერსია, რომ რუს სამართალდამცველებს მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ, ოღონდ ამ ცნობის თანახმად, თვითმკვლელი ქალი უნდა ყოფილიყო... გამოძიების წინასწარი ინფორმაციით, აფეთქების ორგანიზატორები ჩრდილოკავკასიელი ბოუეიკები იყვნენ. აფეთქების შესახებ პირველი ცნობა სოციალურ ქსელ „ტვიტერზე“ გავრცელდა. ბლოგერების ინფორმაციით, გარდაცვლილთა რაოდენობა 70 კაცს აჭარბებს.

# ქალი 23-ე სართულიდან გადავარდა

ბუენოს-აირესის ერთ-ერთი სასტუმროს 23-ე სართულიდან ახალგაზრდა არგენტინელი ქალი გადავარდა, მაგრამ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მის ვინაობას არ ასახელებენ, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ქალი 30 წლისაა. თვითმხილველთა თქმით, ქალი დაახლოებით 100 მეტრის სიმაღლიდან გადასცა. ის გაჩერებულ ავტომობილს დაეცა, რის შემდეგაც მრავალი ტრაგით, რეანიმაციაში მოათავსეს. როგორც არგენტინის „სასწრაფო დახმარების“ დირექტორმა, ალბერტო კრესჩენტიმ თქვა, პაციენტს შინაგანი სისხლდენა და მრავალი მოტეხილობა აღენიშნებოდა. ავტომობილს, რომელსაც არგენტინელი დაეცა, სახურავი ჩანგრდა და საქარე მინა ამოუვარდა. მძღოლმა ავტომობილი ინციდენტამდე რამდენიმე წუთით ადრე გააჩერა. მისი ყურადღება პოლიციელმა მიიპყრო, რომელიც მალე იყურებოდა.



# რომის პაპმა სოციალური ქსელებით ურთიერთობა აკურთხა

რომის პაპმა ბენედიქტ XVI-მ ვირტუალური ურთიერთობისადმი საკუთარი დამოკიდებულება მსოფლიო ურთიერთობის დღესთან დაკავშირებით გამოხატა. პაპმა აღნიშნა, რომ სოციალური ქსელების მეშვეობით ურთიერთობა ახალი ნაცნობების შექმნის, ცოდნის ურთიერთგაზიარებისა და კულტურათა შორის დიალოგის საშუალებას იძლევა. მან ისიც აღნიშნა, რომ თავიდან უნდა ავიცილოთ „პარალელურ რეალობაში ჩაფლობის“ საფრთხე და ყველას მოუწოდა, სოციალურ ქსელებში ისეთი პროფილები არ შექმნან, რომელიც ადამიანის რეალურ დახასიათებას არ შეიცავს. პაპმა ყველა კათოლიკე მღვდელსა და მორწმუნეს მიმართა მოწოდებით, ინტერნეტი ეკლესიის პოპულარიზაციისთვის გამოიყენონ. შარშან, მსოფლიო ურთიერთობის დღესთან დაკავშირებით, ბენედიქტე XVI-მ კათოლიკე მოძღვრებს მოუწოდა, სახარება ყველა შესაძლო ტექნიკური საშუალებით, მათ შორის ბლოგების მეშვეობით ექადაგათ.

# ამერიკელები დედასა და მამების წინააღმდეგ

2011 წლის თებერვლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ოფიციალური დოკუმენტებიდან ამოიღებს სიტყვებს — „დედა“ და „მამა“; მათ ნაცვლად, ანკეტებში სიტყვა „მშობელი-1“ და „მშობელი-2“ ჩაინერება. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი განმარტავს, რომ გენდერული იდენტიფიკაცია — „დედა“ და „მამა“ — თანამედროვე ამერიკის რეალობას აღარ ასახავს: აშშ-ში ერთსქესიანთა ოჯახების რაოდენობა მომრავლდა. აქედან გამომდინარე მიიჩნევენ, რომ ამერიკელთა მთელმა თაობამ, იმის გამო, რომ მას „ორი მამა“ ჰყავს, თავი დაზარალებულად არ უნდა იგრძნოს. 2005 წლის მონაცემებით, ერთსქესიან ამერიკელთა ოჯახებში დაახლოებით 300 ათასი ბავშვი იზრდება, რომლებიც თავს უბედურად მიიჩნევენ. წარსულში ამერიკაში არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია კრიმინალურ დანაშაულად მიიჩნეოდა, მოგვიანებით კი — ფსიქოლოგიურ გადახრად, რომელიც იძულებით მკურნალობას ითვალისწინებდა. ბოლო 41 წლის განმავლობაში, არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანებმა საზოგადოების ყველა ფენაში შეაღწიეს. ახლახან ზესახელმწიფოში აღიარეს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების შეზღუდვა „ამერიკული თავისუფლების“ შეზღუდვაა.



**რადიო თავისუფლება**  
 რადიო თავისუფლება  
 — რადიო პალიტრის ეთერში!  
 ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.


**რადიო თავისუფლება**  
 radiotavisupleba.ge

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

# პრეზიდენტობაზე უარი ჰკავებოდა ათქვევინას

ჰაკერებმა Facebook-ზე საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის გვერდი „გატყეს“ და მისი სახელით განაცხადეს, რომ 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ის კენჭისყრას არ აპირებს. „ჰაკერებს“ თანამემამულენო, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელთა შესახებაც მთელმა ქვეყანამ იცის, 2012 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აღარ მივიღებ“, — ნათქვამია ინტერნეტმმართველი. განცხადებასთან ერთად, ჰაკერებმა სარკოზის სახელით, ახლახან შექმნილ ჯგუფში განეგრების შესახებ მოწოდებაც განათავსეს. ჯგუფის მონაწილეებს იწვევენ „ფურმეტზე“, რომელიც სარკოზის გადადგომასთან დაკავშირებით გაიმართება. ეს 2012 წლის 6 მაისს მოხდება.

გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



# ქვეყანა

## მოსალოდნელი ბუნები, „მზარდაფსოხილი“ ხალხი და კითხვები პრეზიდენტისთვის

ბოლო კვირის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში მომხდარი ფაქტებიდან და საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ამბებიდან საზოგადოების ყურადღება ტელეკომპანია „პირველი კავკასიურის“ პროექტმა და ამერიკელი ექსპერტების მიერ გამოქვეყნებულმა კვლევის შედეგებმა მიიქცია.

### სათუნა ბახტურიძე

„პირველი კავკასიურის“ პროექტით, ხალხს შესაძლებლობა მიეცა, საგანგებო სატელეფონო ხაზისა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კითხვები დაესვა პრეზიდენტ სააკაშვილისთვის. ჩემ მიერ გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობამ პრეზიდენტის სოციალური შინაარსის კითხვები გაუგზავნა; ერთ ნაწილს განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ რა ზომებს მიიღებს ხელისუფლება საქართველოში სამოქალაქო ბუნების დაწყების შემთხვევაში. ჩვენს ქვეყანაში სამოქალაქო აფეთქების საფრთხე ამერიკელმა ექსპერტებმა რეალურად მიიჩნიეს. აშშ-ის კანზასის შტატისა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორებმა შეიმუშავეს ახალი მოდელი, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში სამოქალაქო ამბოხისა და ეთნიკურ ნიადაგზე შეტაკებების პროგნოზირების საშუალებას იძლევა. კანზასის უნივერსიტეტის პროფესორის, სემ ბელის თქმით, მათ უკვე იწინასწარმეტყველეს ტუნისში მომხდარი გადატრიალება და ირლანდიის სამოქალაქო ბუნტი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრედიტის გამო მოხდა... ამერიკელებმა გამოაქვეყნეს იმ 37 ქვეყნის სია, რომელშიც 2011-2014 წლებში ამბოხება და შეტაკებები მოსალოდნელი. საქართველომ ამ რეიტინგში მე-4 ადგილი დაიკავა. ჩვენს ქვეყანას ირანი, შრი-ლანკა და რუსეთი უსწრებენ.

ამერიკელებისგან განსხვავებით, საქართველოში მასობრივი არეულობის დაწყებას გამორიცხავს ქართველი პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე.

მისი აზრით, ქვეყანაში სიტუაციის დაძაბვა გამორიცხულია, რადგანაც უკმაყოფილო ადამიანთა რაოდენობა საკმაოდ მცირეა. ამ კითხვაზე პასუხის მიღება, მოქალაქეების მიერ პრეზიდენტისთვის დასმული კითხვების გაცნობის შედეგადაცაა შესაძლებელი...

**ბია მოსიაშვილი, მხატვარ-დიზაინერი:**

— მაინტერესებს, ნამდვილად იცის თუ არა პრეზიდენტმა, როგორია საქართველოს რიგითი მოქალაქის ყოველდღიური ყოფა. ასევე მაინტერესებს — იცის თუ არა ხელისუფლებამ, როგორ მოქმედებს მშვიდი ხალხის ნერვებზე ის ფაქტი, რომ გასართობი კონცერტების მოწყობისთვის მილიონები იხარჯება?

**ნათია ბოზსაძე, იურისტი:**

— მაინტერესებს — თუ ხალხმა ვეღარ გაუძლო ამდენ გაჭირვებას, ლუკმაპურის შოვნის იმედი საბოლოოდ დაკარგა და ქუჩაში გამოვიდა, ხელისუფლება პროტესტს ძალისმიერი მეთოდით ჩაახშობს?

**ნატა ნასყიდაშვილი, ექიმი:**

— მიიღებს თუ არა პრეზიდენტი რაიმე ზომებს იმ მინისტრებისა და

გუბერნატორების წინააღმდეგ, რომლებიც საკუთარ თავს მრავალათასიან პრემიებს უწენენ, ყოველგვარი დამსახურების გარეშე?

**მზია ნატროშვილი, პედაგოგი:**

— ოდესმე გველირება ნორმალური ხელფასი და ადამიანური ცხოვრება?

**მამუკა ლუსაბანაშვილი, ჯარისკაცი (სახელი და გვარი შეცვლილია):**

— რით არის განპირობებული ის ფაქტი, რომ პოლიცია არმიასთან შედარებით, ბევრად პრივილეგირებულია? რატომ ცდილობენ ჯარისკაცების დათრგუნვას და „დაგრუზვას“?

**თიონა ბაისურაძე, სტუდენტი:**

— მაინტერესებს, რატომ იხარჯება მილიონები უსარგებლო კონცერტების მოწყობაში და არაფერი კეთდება დევნილების, ომის ვეტერანების, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მზრუნველობამოკლებული ადამიანების ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად?

**მკა ნარიშანაშვილი, სტუდენტი:**

— რატომ არ აპატიმრებენ ზურაბ ნოლაიდელს, ნინო ბურჯანაძეს, კობა დავითაშვილსა და კახა კუკავას სამშობლოს ღალატის გამო? ასევე ძალიან მაინტერესებს, რატომ არ ასამართლებენ ეღუარდ შევარდნაძეს ქვეყნის

**მოლასტარინის საზოგადოებრივი** **გლუკომეტრები**

**69 ლარი** **35 ლარიდან**

შპს „კონტრასტი“

**მის: გორჯოშის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55**

**ჩააბარე ძველი, დააბარე 27 ლარი და მიიღე ახალი გლუკომეტრი**



ნინაშე ჩადენილი დანაშაულებების გამო?

**მანანა არჯივაშიძე:**

— აქვს თუ არა ამ ხელისუფლებას რაიმე მექანიზმი იმისთვის, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდა შეაჩეროს?

**როზარტ მაღაზონია, მუშა:**

— რატომ არ იღებს მმართველი ძალა კანონს, რომლის საშუალებითაც ქვეყანაში გენმოდიფიცირებული საკვები პროდუქტების შემოტანა აიკრძალება? ვის ინტერესებში შედის ქართველი ხალხის მონადეველა?

**ქსო ნადარაია, მუსიკოსი:**

— მაინტერესებს, პრეზიდენტის აზრით, არის თუ არა ქვეყნისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არაპროფესიონალების დანიშვნა?

**გაბა მაღალაძე, ბუღალტერი:**

— პროდუქტზე ფასების მატების პარალელურად, გაიზრდება თუ არა რიგითი მოქალაქეების ხელფასები?

**გოგია თხაილია, უმუშევარი:**

— მსოფლიოში ცნობილი და მაღალანაზღაურებადი მომღერლების საქართველოში მოწვევა ჩვენს ქვეყანას რეკლამისთვის სჭირდება თუ რაიმე სხვა მიზეზიც აქვს?

**პირა ზნაპაძე, დიასახლისი:**

— თუ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ხალხი ქუჩაში საარსებო მინიმუმის მოთხოვნით გამოვა, როგორ მოიქცევა ბატონი პრეზიდენტი?

**ფიქრია სორაბაძე, ისტორიკოსი:**

— როდის დაიწყება ჩვენს ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა?

ფაქტია, რომ საქართველოს მოსახლეობა მწვავედ განიცდის იმ სოციალურ პრობლემებს, რომლის წინაშეც დღეს დგას. შესაძლებელია თუ არა, რომ პრობლემების არსებობა მართლაც გახდეს სამოქალაქო ბუნტის საფუძველი და როგორი შეიძლება იყოს ამ საქმეში ოპოზიციის ფუნქცია — ამ კითხვებზე პასუხის მიღებას პოლიტოლოგ **სოსო ცისკარიშვილთან** საუბრისას შევეცადეთ.

— **ბატონო სოსო, თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია, რომ ამერიკელი ექსპერტების ვარაუდი გამართლდეს?**

— ამერიკელი ექსპერტებისთვის



უნდობლობის გამოცხადების რეალური მიზეზი არ არსებობს, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მათი კვლევა გახლავთ მეცნიერული პროგნოზი და არა რაიმე არსებული ფაქტის კონსტატირება. თანაც, ისინი ერთი და იმავე საზომით საზღვრავენ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ ვითარებას. აღსანიშნავია ისიც, რომ ამერიკელების მიერ ჩამოთვლილ ქვეყნებს შორის (რომლებშიც ბუნტი და შეტაკებებია მოსალოდნელი), არ არის მოხვედრილი ალჟირი — არადა, ამ ქვეყნის მოსახლეობამ მეზობელი ტუნისისგან უკვე აიღო მაგალითი და მრავალრიცხოვანი საპროტესტო აქციების მოწყობა დაიწყო. სხვათა შორის, ალჟირში ადგილობრივი ხელისუფლება ოპოზიციური ძალების მიმართ გაცილებით მკაცრია, ვიდრე საქართველოში. მე არც იმაში ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის ხელისუფლება სახალხო ბუნტს ადგილზევე არ ჩაახშობს. ალბათ მკითხველის დიდმა ნაწილმა არ იცის, თუ რა გახდა ტუნისის რევოლუციის მიზეზი. ზოგიერთი ექსპერტი ამ აჯანყებას „ფეისბუქის რევოლუციას“ უწოდებს, რადგან სწორედ ამ სოციალური ქსელით გაცხადდა ის ფაქტი, რამაც საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია: ახალგაზრდა კაცმა თავი დაინვა იმის გამო, რომ ქალაქის დასახლებულ პუნქტში გასაყიდად გამოტანილი ხილი წაართვეს და ქუჩაში ვაჭრობის უფლებების დამადასტურებელი მონწილეა დაუხიეს. ამ ამბის გავრცელებიდან ორ დღეში ქვეყანაში მრავალრიცხოვანი აქცია მოეწყო, რომელზეც უმუშევრობის არსებობა გააპროტესტეს. ტუნისელმა ხალხმა (რომლის 90%, სხვათა შორის, განათლებულია) მსოფლიოს სრულიად უნიკალური გაკვეთილი შესთავაზა — მათ ყოველგვარი ოპოზიციური პარტიის აქტიურობის გარეშე მოახ-

ერხეს დიქტატორი პრეზიდენტის შეცვლა და მისი ქვეყნიდან გაძევება. ტუნისში ნამდვილი სახალხო რევოლუცია მოხდა, ყოველგვარი ოპოზიციონერი ლიდერისა და უცხოური ფულის გარეშე. ასე რომ, თუ მსგავსი რამ საქართველოშიც გამეორდა, რუსული ფული არაფერ შუაში იქნება.

— **ფიქრობთ, რომ ქართველები ტუნისელებით სოლიდარულები ვართ?.. საქართველოშიც დაინვა თავი უსახლკაროდ დარჩენილმა დევნილმა, მაგრამ ეს ჩვენს საზოგადოებაში საპროტესტო აქციის საბაზი არ გამხდარა.**

— მსოფლივ საქართველო კი არა, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში კომუნისტური რეჟიმის „წყალობით“, ხალხს დიდი მოთმინებისა და გამძლეობის უნარი ჩამოუყალიბდა. რუსეთში თვით რუსი ხალხიც კი ისეა შეგუებული ჩაგვრასა და უსამართლობას, რომ ძნელად წარმოსადგენია, იქ სახალხო ბუნტი დაიწყოს. კომუნისტურმა რეჟიმმა ქართველებზეც იმოქმედა, მაგრამ ჩვენ მაინც სხვა გენეტიკის მატარებლები ვართ და, ადრე თუ გვიან, ჩვენი მოთმინების ფიალა აივსება. ჩვენი ხელისუფლება ხალხის მოთმინების ფიალას გამმაგებით ავსებს. აუცილებლად დადგება დრო, როდესაც სააკაშვილს ეტყვიან, — „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

— **თქვენი აზრით, შესაძლებელია, რომ რაიმე სახის ამბოხება ჩვენში ლიდერის გარეშე მოხდეს?**

— სწორედ ლიდერის არარსებობა ამუხრუჭებს ხალხს საპროტესტო აქციების ჩატარებისგან. ჩვენ გამუდმებით „პატრონის“ ძიებაში ვართ — გვინდა, რომ ჩვენი საქმე სხვამ გააკეთოს. ეს ენება როგორც ჩვენს ხელისუფალს, ისე თითოეულ მოქალაქეს. ვერც წარმოგვიდგენია, რომ ლიდერის გარეშე შეიძლება საქმის გაკეთება. თუმცა სააკაშვილის ხელისუფლება ისეთ „ტრენინგს“ უტარებს ხალხს, რომ ეს პრობლემაც მალე მოისხნება.

— **„ტრენინგს“ ჩატარებაში რას გულისხმობთ?**

— იმას, რომ ქართველი ხალხის უმრავლესობა სიღატაკეში ცხოვრობს, უფრო სწორად — სულდგმულობს, ხელისუფალნი კი ლხინსა და თამაშში ატარებენ დროს. ალბათ გახსოვთ,





პრეზიდენტმა საჯაროდ რომ განაცხადა, — ქაშაშვილი უნდა შემოვიჭიროთო. „ქაშაშვილის შემოჭერის პოლიტიკის“ ფარგლებში გარკვეული ოდენობის თანხის დაზოგვა მართლა მოხდა, მაგრამ ეს სწორედ ის თანხებია, რომლებიც ქვეყანაში ბოლო პერიოდში გამართულ კონცერტებზე დაიხარჯა. თუკი რაიმე დაიზოგა ამ პოლიტიკით, ის კონცერტებში არ უნდა გავისროლოთ, რადგან კონცერტი და სიმღერა უნდა იმას, ვინც ელემენტარული კვების პროდუქტებითაა უზრუნველყოფილი; ჩვენ ასეთი ფუფუნების უფლება არ გვაქვს. საქართველოში, სადაც ნახევარზე მეტი მოსახლეობა სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, ნამღერი და ნაცეკვი თავის მიზანს ვერ აღწევს. ეს არის ცოდვა და არა კულტურული განვითარება. ამდენი მშვიერი და უსახლკარო ადამიანის ფონზე, არც თბილისი უნდა იყოს მსოფლიოში ყველაზე განათებული ქალაქი. როგორც უნდა გვსიაზოვნებდეს განათებული თბილისის ყურება, აუცილებელია, ვაცნობიერებდეთ, რომ სწორედ ჩვენი თანამემამულეების შიმშილის ფასად ნათდება საქართველოს დედაქალაქი და სწორედ ჩვენი თანამემამ-

ულეების შიმშილის ფასად მღერის და ცეკვავს ბათუმი. ეს ყველაფერი, ადრე თუ გვიან, ხალხს ყელში ამოუვა.

— ეი. თუ სამოქალაქო არეულობა მართლაც დაიწყო, ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება?

— პოლიტიკური პროცესების შედეგი რამდენად მწვავეც უნდა იყოს, ბოლო პროცესი მაინც, არჩევნებია. არჩევნები კი პოლიტიკოსების „მინდორია“. ნუ დაგვავიწყდება, რომ პოლიტიკაში მოდიან ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც სხვებზე უფრო აქტიურები არიან. ამიტომ პოლიტიკურ პროცესებზე საუბრისას მათი იგნორირება — სერიოზული შეცდომაა. ძალიან კარგად მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც ოპოზიციური სპექტრიდან ვილაც-ვილაცები არ მოსწონთ, მაგრამ საერთო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ერთად დგომა. თუ საზოგადოება ერთმანეთის კონკურენტ პარტიებს საერთო მიზნისთვის გაერთიანებისკენ მოუწოდებს, თავდაც უნდა გადადგას ამ მიმართულებით რაიმე ნაბიჯი.

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე, იქნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოება

ოპოზიციური პარტიების გაერთიანებას დღის წესრიგში აღარ აყენებს. უფრო მეტიც — ოპოზიციას ემიჯნებიან ის ადამიანებიც, რომლებიც ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას საჯაროდ გამოხატავენ.

— ჩემი აზრით, ოპოზიციური ძალების კრიტიკის პიკმა უკვე გაიარა და საზოგადოებაში მყარდება ნარმოდგენები იმის თაობაზე, რომ პოლიტიკოსები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და შეცდომებსაც უშვებენ. ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორების ურთიერთბრალდებები ქვეყანას დააზარალებს. პოლიტიკოსების უგულებელყოფა ხეირს არ დაგვაყრის. საზოგადოებას, რომელსაც ვერ გაუცნობიერებია, თუ სად უნდა იყოს და რას უნდა აკეთებდეს მაშინ, როდესაც ათასობით მის თანამემამულეს უკვე მესამედ აგდებენ საცხოვრებელი ადგილიდან, მას ნამდვილად სჭირდება პოლიტიკოსი საქმის ვითარებაში გასარკვევად. თუ ვინ მოქმედებთ პრინციპით — „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ — მერწმუნეთ, ეს ჩხირი ყველას რიგრიგობით „დაგვიფსებს“ მზერას.



ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსულთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

28 იანვრიდან 4 თებერვლამდე

წიგნის ფასი: 2.50 (ქრნალთან ერთად 3.50)

წიგნების სერია ბავშვებისთვის

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიები

შემდეგ

კოლეგანგ ამაღეუს მოცახტი

ბაილეო ბაილეი

აღუქსანდრე მაკედონელი  
 ალბერტ აინშტაინი  
 მარკო პოლო  
 კოლუმბანგ ამაღეუს მოვარტი  
 გალილეო გალილეი  
 მიგელ დე სერვანტესი  
 მაჰათმა განდი  
 უოლტ დისნეი  
 ნიკოლაი კოპერნიკი

ფრედერიკ შოპენი  
 ტეონარდო და ვინა  
 ლეი პასკენი  
 ნაპოლეონ ბონაპარტე  
 ისააკ ნიუტონი  
 პლატონი  
 კომას ალვა ედისონი  
 ქრისტეფორო კოლუმბი

კოლეგანგ ამაღეუს მოცახტი 4

ბაილეო ბაილეი 5

სერია ბავშვებისთვის

სერია ბავშვებისთვის

სერია ბავშვებისთვის



# „ახალი ტალღა“ თუ მორიგი სასწრაფო ღონისძიება?

„გვინდა, ბოლო მოვუღოთ გაუთავებელ სვლილებებს“...

განათლების სისტემაში ბოლო ხანს უამრავმა პრობლემამ იჩინა თავი. რაც მთავარია, არა და არ დაადგა საშველი ზოგადი თუ პროფესიული განათლების გონიერ რეფორმირებასა და, რაც მთავარია, სწავლების გაუმჯობესებას. თუმცა ამჯერად მკითხველის ყურადღებას გაგამახვილებთ არა ჩავარდნილი პროექტების მიზეზებზე, არამედ საგანმანათლებლო სისტემაში დაგეგმილ სიახლეზე, რომლის შესახებაც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასებების ცენტრის დირექტორი ნათია ჯუშაბაძე მოგითხრობს.

### ირმა მაღრაძე

— ქალბატონო ნათია, ცნობილია, რომ ცენტრმა ახალი პერსპექტიული — 2011-16 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა მოამზადა. რა უდევს მას საფუძვლად და რა მიზანს ისახავს?

— ჩვენ გამოდგებით ვატარებთ ფართომასშტაბიან კვლევებს, რომლის მიზანი — განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის გაანალიზება და შეფასებაა. სწორედ ამ კვლევების საფუძველზე, ქართული მეცნიერების, განათლების ექსპერტების, პედაგოგებისა და ფსიქოლოგების თანამონაწილეობით შეიქმნა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც განათლების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებასა და ამაღლებას უზრუნველყოფს. ვფიქრობთ, მომავალში ის სათანადოდ უპასუხებს ჩვენს საზოგადოებაში არსებულ ნებისმიერ გამოწვევას.

— ბოლო დროს განსაკუთრებით წამოიწია წინა პლანზე საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების საკითხმა. როგორ აპირებთ ამ სფეროში დაგროვილი პრობლემების გადაჭრას?

— მომდევნო სასწავლო წლიდან ეს დისციპლინები სავალდებულო გახდება და გაძლიერდება. დანაწილებით საფეხურზე შეისწავლება „ბუნებისმეტყველება“; VII

კლასში — „საბუნებისმეტყველო საგნების საფუძვლები“; VIII კლასიდან ის დიფერენცირდება და ცალკე საგნებად შემოვა; XII კლასში კი თითოეული, ე.წ. „აბიტურების“ სახით გაგრძელდება. გარდა ამისა, სტანდარტს სამეცნიერო კვლევის მიმართულებაც დაემატა. საჭირო უნარ-ჩვევების გამოსაშუაველად, მასწავლებლებს, მოსწავლეებთან ერთად, ინტენსიური ლაბორატორიული კვლევების ჩატარება ევალება. ამ მიზნით, უკვე დაწყებულია პროგრამა „აინშტაინი“, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სკოლების თანამედროვე ლაბორატორიებით აღჭურვა. კვლევების ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე ვირტუალური ლაბორატორიების მეშვეობითაც, რომლის გამოყენებაც ყველა სკოლას შეუძლია — ვგულისხმობ კომპიუტერებს. ცხადია, ეს არ ნიშნავს, რომ მომავალი აინშტაინების აღზრდის ილუზია გვაქვს; ჩვენი მიზანი — ამ გზით მათი სწავლის მოტივაციის ამაღლება და კვლევისათვის საჭირო უნარ-ჩვევების (დაკვირვების, ინფორმაციის შეგროვებისა და დახარისხების, ანალიზის) გამოუმუშავება, რაც წარმატებების მისაღწევად, ყოფით ცხოვრებაშიც გამოადგება.

— ინგლისური ენის შესწავლა სავალდებულო ხდება, თანაც — პირველივე კლასიდან, რაც აზრთა

დიდ სხვადასხვაობას იწვევს. რატომ მიიღეთ ასეთი გადაწყვეტილება?

— პირველ რიგში იმიტომ, რომ ინგლისური — საერთაშორისო საკომუნიკაციო და სამეცნიერო ენაა და მისი კარგად ფლობა თანამედროვე ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მეორეც — მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ რაც უფრო მულტილინგუურია (მრავალენოვანია) განათლება, მით უფრო წარმატებულია ბავშვი მშობლიურ ენაში, რადგან გონებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, მას მშობლიური და უცხო ენების შედარების შესაძლებლობა ეძლევა. მულტილინგუური თეორია, რომელიც წარმატებით მუშაობს ევროპის ბევრ ქვეყანაში, საქართველოშიც გვინდა დავწეროთ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი უცხო ენის სწორად სწავლებას. სულაც არ ვაპირებთ, პირველ კლასში ანბანისა და წერა-კითხვის დონეზე ინგლისური ენის სწავლებას. მეთოდოლოგიურად, ეს გაუმართლებელი იქნებოდა. ჩვენ ვთავაზობთ ცალკეული სიტყვების, ფრაზებისა და სპეციალური კომპიუტერული თამაშების მეშვეობით ენის შესწავლას, რაც მხოლოდ ხელს შეუწყობს მათ გონებრივ განვითარებას.

— ახლა გასაგებია, რატომაც შემოიღეთ ახალი საგანი — ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. რას მოიცავს იგი?

— მას ექნება 2 მიმართულება: ერთი — კომპიუტერული ტექნოლოგიების სხვადასხვა ფორმით გამოყენება სხვადასხვა საგანში, ვთქვათ — ვირტუალური ლაბორატორიების, პრეზენტაციებისა და კვლევების ჩატარების უნარის გამოუმუშავება; მეორე იქნება ცალკე საგანი, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს, მაქსიმალურად გაერკვეს თანამედროვე ტექნოლოგიების ყველაწარმო შესაძლებლობაში. მისი სწავლება დონეებად დაყავით: I კლასში იქნება ე.წ. ნულოვანი დონე, შესაბამისი მარტივი ოპერაციებით. სპეციალურად ამ საფეხურისთვის, განათლების სამინისტროსთან ერთად შევქმენით სახალისო შემეცნებითი პროგრამები მათემატიკაში, ქართულ და ინგლისურ ენებში. მას „მოლაპარაკე ანბანი“ ჰქვია და საშუალებას იძლევა, მოსწავლეებმა წიგნიდან მიღებული ცოდნა ამ გზით გაიმყარონ. მომდევნო — I და II დონე V-

**თალიზი**  
თვის გაღანარკვის კლინიკა

03233666 & 27 6000 25 37 38  
www.talizi.ge



VI კლასებში მოიცავს იმ კომპეტენციებს, რაც დამწყებ მომხმარებელს სჭირდება; ესენია — ტექსტურ რედაქტორთან და ელექტრონულ ცხრილებთან მუშაობა, ინტერნეტის არსის გაცნობა, კომპიუტერული ეტიკა და ა.შ. ამ დონეების დასრულების შემდეგ, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ მომხმარებელთან, რომელსაც შეუძლია პრეზენტაციების მონაცემების ჩატარება, საკუთარი ვებგვერდის შექმნა და განთავსება, დოკუმენტების შედგენა და შენახვა, ელექტრონული ფოსტით სარგებლობა და ა.შ. ზედა, საშუალო დონეზე — X-XII კლასებში ვთავაზობთ 2 არჩევით მიმართულებას: პროგრამირებას და დიზაინს. ასე რომ, სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდა შრომით ბაზარზე მოთხოვნადი, გარკვეული პროფესიის მფლობელი იქნება.

— **კიდევ ერთ ახალ საგანზე — სამოქალაქო თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე შევიჩრდეთ. რომელი კლასიდან იწყება და რას გულისხმობს მისი სწავლება?**

— ეს საგანი 3 მოდულად დაგვავიით და ის IV, VIII და XII კლასებში ისწავლება. ამის მიზანია — მოსწავლეს გავაცნოთ უსაფრთხოების ელემენტარული წესები და გამოვუმუშაოთ ის საჭირო უნარ-ჩვევები, რომლის ცოდნაც მნიშვნელოვანია ყველა მოქალაქისთვის, — საგზაო უსაფრთხოების წესებით დაწყებული, ბუნებრივი კატასტროფებისა და ომის დროს პირადი თუ სხვისი უსაფრთხოების წესების დაცვის ცოდნით დამთავრებული. XII კლასში ასევე ისწავლება ქართული ჯარის შექმნის ისტორია, რაც მოზარდის პატრიოტულად აღზრდას ემსახურება.

— **რა მიზანს ემსახურება ცეკვის სწავლება?**

— ბავშვის განვითარება ორ საფუძველზე დგას: ერთია მისი ინტელექტუალური და ემოციური, მეორე კი — ფიზიკური განვითარება. თუ ბავშვი ფიზიკურად არ ვითარდება, ინტელექტუალურადაც ჩამორჩება. ამ მიზნით შემოვიღეთ სპორტის გაკვეთილები და ცეკვა. გარდა ესთეტიკური აღზრდისა, ცეკვა ხელს უწყობს მოზარდის განვითარებასა და მისი მოტორიკის ჩამოყალიბებას. ის სავალდებულო საგნებს შორისაა და IV კლასიდან იწყება.

— **როგორია არჩევითი საგნების ჩამონათვალი?**

— პირველ რიგში, ეს საგნები X, XI და XII-კლასელთა ძალიან ფართო ინტერესებისა და მიდრეკილებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული. სტანდარტით უკვე დამტკიცებული 40 საგნის გრძელი სიიდან, მხოლოდ რამდენიმეს ჩამოვთვლი: ქართული ზეპირსიტყვიერება და მითოლოგია; XIX-XX საუკუნეების ევროპული ლიტერატურა; კინოხელოვნება; თეატრალური ხელოვნება; პრაქტიკული სამართალი; მსოფლიო კულტურა; ასტრონომია; შუა საუკუნეების ქართული სასულიერო მწერლობა და ბიზანტიური კულტურა; ქართული დიპლომატიის ისტორია; სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა; კონფლიქტების მოგვარება; ამერიკანისტიკა; სლავისტიკა; კავკასიოლოგია; რამდენიმე ევროპული და აღმოსავლური ენა და ა.შ.

— **მართლაც, საინტერესო სახელებია, მაგრამ მათ განსახორციელებლად საჭირო პედაგოგიური რესურსი თუ არსებობს?**

— ნათქვამია — ნებისმიერ კარგი დედას, ცუდი შესრულება აფუჭებსო... იმისათვის, რომ ახალი სასწავლო გეგმა ყოველ კონკრეტულ საკლასო ოთახში განხორციელდეს, პედაგოგების მასშტაბურ გადამზადებასა და საჭირო მეთოდური ლიტერატურით მათ უზრუნველყოფას ვგეგმავთ.

— **მეჩვენება, რომ განათლების სამინისტრო აჩქარდა, როცა გადამწყვიტა, ახალი გეგმა მომავალი წლიდანვე აეიმპლემენტინა. ხომ არ აჯობებდა, ჯერ სახელმძღვანელოები შექმნილიყო, მასწავლებლებს გაეცლოთ „პილოტრება“, მომხდარიყო მათი საფუძვლიანად მომზადება და ამის შემდეგ დაენერგილიყო?**

— გარკვეულწილად გეთანხმებით. ურიგო არ იქნებოდა, მაგრამ დროში ძალიან შეზღუდულები ვართ. 2011 წლიდან ახალი სასწავლო გეგმის შემოტანით გვინდა, ბოლო მოვუღოთ გაუთავებელ ცვლილებებს. ამასთანავე, არ გვინდა დაგვეკარგოს შემდგომი თაობები; ამიტომაც — უნდა „ვიჩქაროთ ნელა“.

ძლიერ მოსწონებენ ჩემს წიგნებს!

ჩემი წიგნები უნდა იყოს!

შურნალ „რეპინგთან“ ერთად

31 იანვარს - გოში №2

მთხრობალი - შტაფან მხაიბი

ფასი ... 2 ლარი!!!

7 თბილისში

ტოში №3 - პროსპერ მირიბი



# სიყვარული და ასაკობრივი ბარიერი

ანუ როცა 35 წლის მამაკაცი 20-ისას ჰგავს...

ბოლო დროს ხშირია შემთხვევა, როცა შეყვარებულ ქალსა და მამაკაცს შორის საკმაოდ დიდი ასაკობრივი სხვაობაა. მიუხედავად იმისა, რომ „ჩვენ ევროპელები ვართ“ და თითქოს აღარაფერი უნდა გვაკვირვებდეს, ასეთი ფაქტის შემდეგ ხალხი ორივე მხარეს რატომღაც, ძალზე მკაცრად განიკითხავს. მაგალითად, ბოლო პერიოდში მსახიობების — ნინო ქორიძისა და თორნიკე გოგრიჭიანის დაქორწინება იყო ყველაზე „რეზონანსული“. რატომღაც ის ფაქტი, რომ თორნიკემ ასაკით მასზე უფროსი ქალბატონი შეირთო ცოლად, ხალხს არ მოეწონა. თუმცა არიან ისეთებიც, ვინც ამ ფაქტს სულაც არ აღუშფოთებია. თუ რას ფიქრობენ ცნობილი ადამიანები ამ პრობლემაზე — ამის გასარკვევად, რამდენიმე მათგანს დაუფუკავშირდით...

## ნათია ჟივიძა

### ნუკი კოგალიშვილი:

— ასაკობრივ ბარიერზე რა აზრის ვარ?.. ეს ალბათ პიროვნებაზე დამოკიდებული. თუ ქალსა და მამაკაცს ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, ეს გრძნობა ასაკსაც აბალანსებს და ყველა სხვა პრობლემასაც წყვეტს. შესაძლოა, მამაკაცი შენზე გაცილებით დიდი ან პატარა იყოს, მაგრამ მაინც ერთნაირი ინტერესები გქონდეთ. შემხვედრია 35 წლის მამაკაცი, რომელიც შინაგანად 20 წლისას უფრო ჰგავს, და პირიქით — 20 წლის, რომელსაც 35 წლის კაცის შეხედულებები აქვს. პირადად მე, ყოველთვის ჩემზე გაცილებით უფროსი მამაკაცები მომწონდა.

— ასაკით უმცროსი თაყვანისცემლები თუ გყავს?

— როგორ არა?! 16 წლის თაყვანისცემლებიც მყავს, რომლებთანაც საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მიმაჩნია, რომ ისინი ბავშვები არიან. მათზე კი არა, 20-24 წლის ბიჭებზეც რატომღაც ასეთი წარმოდ-



გენა მაქვს.

— ამ საკითხთან დაკავშირებით, ბავშვობიდან რაიმე კუროზული ეპიზოდი ხომ არ გასსენდება?

— დიახ. თურმე 2-დან 5 წლამდე ასაკში, დედაჩემის დაქალების ქმრებსა და მამაჩემის მეგობრებს პამპერსით ვებრანჭებოდი. ეს ყველაფერი, ბუნებრივია, არ მახსოვს, მაგრამ ჩემი მშობლები ხშირად მიყვებიან.

— ეს გაპრანჭვა რაში გამოიხატებოდა?

— რა ვიცი, თუ ვტიროდი და რომელიმე, ჩემი სიმპათიის ობიექტი ხელში ამიყვანდა, მაშინვე ვწუმდებოდი; როგორც კი ის ადამიანი ჩვენგან წავიდოდა, კვლავ ტირილს ვიწყებდი...

### აჩიკო სოლოლაშვილი:

— ასაკობრივ ბარიერზე აბსოლუტურად პოზიტიური შეხედულების ვარ. ჩემი აზრით, სადაც სიყვარულია, იქ ასაკზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლისანი არიან?!

— თავად თუ გყვარებია შენზე გაცილებით უფროსი ან უმცროსი ქალბატონი?

— არა, მსგავსი შემთხვევა არც ბავშვობაში მქონია და არც მოზრდილობის ასაკში...

### ლალი შოროშიანი:

— როცა წვეილს ერთმანეთი უყვარს, იქ ასაკზე ლაპარაკი უადგილოა. ორივე შემთხვევა მქონია. ჩემზე გაცილებით დიდი ადამიანიც მომწონებია და პატარაც, მაგრამ ეს დიდი ხნის წინ მოხდა და მაშინ ამაზე საუბარაც ზედმეტი იყო: ხომ იცი, ხალხის აზრს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ მათმა ასაკმა შემაფერხა და საშუალება არ მომცა, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელებულიყო. ახლა ეს პრობლემა აღარ მიმაჩნია. როცა წვეილს შორის 10-15 წელია სხვაობა, ეს აბსოლუტურად ნორმალურია. უბრალოდ, ჩემზე 15 წლით უმცროს მამაკაცს „სხვა“ თვლით ვერ შევხედავ, რადგან მეტისმეტად ადრე — 16 წლის ასაკში გავხდი დედა; ჩემი შვილი ახლა უკვე 24 წლისაა და მის ტოლ მამაკაცებს „სხვა“ თვლით ნამდვილად ვერ შევხედავ — ეს ჩემი მხრიდან, ამორალური საქციელი იქნება. თუ სხვას ამ ხნის შვილი არ ჰყავს, მისთვის აბსოლუტურად დასაშვებად მიმაჩნია 15 წლით უმცროს მამაკაცთან ურთიერთობა. 15 წელი რა აუცილებელია? — 10 წლით იყოს პატარა და მაშინ ბარიერი აღარ შემექმნება. 30 წლის მამაკაცი რომ მყავდეს გვერდით, ეს ჩემთვის აბსოლუტურად მისაღებია. ასეთივე მოსაზრება მაქვს ჩემზე გაცილებით უფროს მამაკაცებზეც, თუმცა მეტისმეტად „გადახარწუებული“ კაციც აღარ მინდა.

— ამნუთას თუ გყავს შენზე უფროსი ან უმცროსი თაყვანისცემლები?





**ცემელი?**

— როგორ არა?! 10-15 წლით პატარა მამაკაცებსაც მოვწონვარ და — დიდებსაც. მერე რა, ეს ჩემთვის პრობლემას სულაც არ წარმოადგენს.

**ამიკო ჩონარაძე:**

— სადაც სიყვარულია, იქ არანაირი ბარიერი არ უნდა არსებობდეს, მით უმეტეს — ასაკობრივი. ადრე მეც მომწონდა ერთი გოგონა, რომელიც ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა. თუმცა 1 და 2 წელი, პრობლემა მგონი, არც არავისთვის არის.

**ბავშვობაშიც არ მოგწონდა ქალბატონები?**

— არა, მსგავსი შემთხვევა ნამდვილად არასოდეს მქონია. ახლა მყავს ჩემზე გაცილებით პატარა და გაცილებით დიდი თაყვანისმცემლები, მაგრამ ამ საკითხს აბსოლუტურად შეგნებულად ვუყურებ...

**თაფანა ნიკოლაძე:**

— თუ ასაკობრივი სხვაობა 20-25 წელია, მგონი, ეს საკმაოდ ბევრია, მაგრამ 5-10 წლით დიდი ან პატარა ადამიანის შეყვარება ნორმალურ ამბად მიმაჩნია. მთავარია, უყვარდეთ და უგებდნენ ერთმანეთს, თორემ რამდენი წლისანი არიან, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! თანაც, როგორც ვიცი, მართლმადიდებელი ეკლესია შენზე დიდ ან პატარა ადამიანზე ჯვრისწერას არ კრძალავს. მთავარია, რომ მოსიყვარულე და კარგი ოჯახი შეიქმნას. მე მყავს მეგობრები, რომლებსაც თავისზე პატარა მეორე ნახევრები ჰყავთ, მაგრამ ეს მათ არანაირ პრობლემას არ უქმნის, პირიქით — ბევრ მათგანს უკვე შვილიც ჰყავს და საკმაოდ ბედნიერად გრძნობს თავს.

**შენ თუ გქონია მსგავსი შემთხვევა?**

— მოდი, პირადად არანაირ კომენტარს არ გავაკეთებ...

**ნოდარ ტაბიჯიანი:**

— კარგი, რა, რა ასაკობრივი ბარიერი?! მთავარი სიყვარულია და არა — დაბადების თარიღი. მყავს მე-



გობარი, რომელსაც თავისზე გაცილებით უფროსი ცოლი ჰყავს, მაგრამ როგორც ვხედავ, თავს არაჩვეულებრივად გრძნობენ. მთავარია, წყვილი ერთმანეთთან კომფორტულად იყოს — ვის აინტერესებს ასაკი?!

**თავად, შენზე უფროსი ქალბატონი თუ მოგწონებია?**

— კი, ნამდვილად მქონდა ასეთი შემთხვევა. თავისი ქალსურობითა და სინაზით ერთმა მანდილოსანმა მომხიბლა, მაგრამ მაშინ მისი ასაკით საერთოდ არ დაინტერესებულვარ. მხოლოდ მერე შევიტყვე, რომ ჩემზე გაცილებით უფროსი იყო.

**მაინც, რამდენი წლით იყო უფროსი?**



<p><b>მუხის მაგილა-სკამები</b></p> 	<p><b>საძინებელი</b></p> <p><del>1690</del> <b>1360</b> ლარი</p> 
<p>ავეჯის საღიწი "კლასიკა" ინტელიჯენტი ავეჯის და ბატონოს ზომის ავეჯები</p>	
<p><del>1790</del> <b>1488</b> ლარი</p>  <p><b>კუთხის დივანი</b></p>	<p><del>2990</del> <b>2500</b> ლარი</p>  <p><b>ტყავის საწიფელი</b></p>
<p>აღ. მარაგოვის გამ. 14<sup>ბ</sup> ☎ 38 88 11 საუბარო ცენტრი "მარვესლა", 1 სართული <a href="http://www.classica.com.ge">www.classica.com.ge</a></p>	



# „ოპოზიციური თვალსაჩინოებები“ და „ხელისუფლების ფანდები“

**„ბურბა უნდა გვასწავლოს ბელტის ამოტრიალება?!“**

„ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს, ღირსების სასამართლოები იმართებოდა, რომელსაც შემდეგ დიდი ხმაური და შესაბამისად, შედეგიც მოჰყვებოდა სოლმე“, — იგონებს ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროინდელი უზენაესი საბჭოს განათლების კომიტეტის თავმჯდომარე **თამაზ ქორიძე** და დღევანდელ ოპოზიციასაც ურჩევს, მსგავსი ორგანო ჩამოაყალიბოს... მისი თქმით, ოპოზიცია და ხელისუფლება ერთმანეთს იმაში ეჯიბრებიან, თუ ვინ უფრო ოსტატურად მოატყუებს საზოგადოებას, და იმედოვნებს, რომ ხალხი ამ „ვირტუალურ სამყაროში“ დიდხანს არ იცხოვრებს.

## ლალი პაპასკირი

— არსებობს ასეთი გამოთქმა, — ადამიანს გაკვირვება ამშვენებსო. მე ამქვეყნად იმდენი უბედურება მინახავს, მეგონა, აღარაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ არასდროს უნდა თქვა „არასდროს“... ვიცი, რომ შარშან საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ახალ სახელებთან და ახალ სახელებთან დაკავშირებით იმედები ჰქონდა, მაგრამ პოლიტიკოსებმა მსახიობებისა და შოუმენების ადგილი დაიკავეს. მთელი წლის განმავლობაში მათი მუშაობა სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობით შემოიფარგლა... ეს ცუდიც იყო და კარგიც. ცუდი იყო იმ თვალსაზრისით, რომ თავდაპირველად, მათ საზოგადოების გარკვეულ ფენებზე დემოკრატიული ზემოქმედება მოახდინეს, მაგრამ რაც მეტი ილაპარაკეს და იმოქმედეს, უფრო მეტი სიბინძურე



არ მეგონა, თუ ეს ხელისუფლება კიდევ რაიმე გამოაცხება, მაგრამ მაინც მოახერხა

„დაატრიალეს“. ახლა კი ყველაზე გულუბრყვილო მოქალაქეებს კი კარგად დაინახა და მიხვდა, თუ რა უსუსური და უნიათო ოპოზიცია გვყავს და რომ მისი ნდობა არ შეიძლება. სწორედ ამ თვალსაჩინოებისთვის იყო კარგი მათი აქტიურობა...

**— თუმცა ამ ყველაფრის გამო, საზოგადოებაში პესიმიზმმაც კი დაისადგურა...**

— დიას, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ხალხს ხანგრძლივ აპათიაში ყოფნა არ შეუძლია და ფეხზე წამოდგო-

**არც ერთ ოპოზიციურ წარმომადგენელს ამდენხანის „თუთუხის“ პროცესში აზრადაც არ მოსვლია, რაიმე კონკრეტულ თემაზე ან პრობლემაზე ემუშავა**

მის ძალას საკუთარ თავში ყოველთვის იპოვის. ამის არაერთი მაგალითი გვაქვს... ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციისთვის ეს იყო ფუჭი იმედების მსხვერვის წელი... რაც შეეხება ხელისუფლებას, მისი წარმომადგენლები ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან: უზარმაზარ ხელფასებთან ერთად, იმდენივე პრემიის გამოწერასაც არ თავილოებენ და ასეთი ცხოვრება იმდენად აქეთ ძვალრბილში გამჯდარი, რომ უხერხული შეკითხვების დროს, მხოლოდ იმშუშნებიან; მერე რა? სიტყვას ხომ „კაცი არ მოუკლავს“ — ერთობიან და დროს ატარებენ. არც ერთ ოპოზიციურ პარტიას არა აქვს იმის საშუალება, რომ ოფიციალური ვიზიტის დროს, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში 80 მეძავთან ერთად გაერთოს... ამიტომაც ოპოზიციას ისლა დარჩენია, ხელისუფლების ქმედებები აკრიტიკოს. ისინი თან დაბოლმელ გულს იოხებენ, თან ქულებს იწვენენ, ასე ჰგონიათ, ვინც მეტს ილაპარაკებს, ხელისუფლების მიმართ უფრო მკაცრი და დაუნდობელი წარმოჩნდება. მონინალმდგის კრიტიკას იმდენად შეეჩვივნენ, რომ მათი მთავარი ფუნქციაც უკვე ეს ჰგონიათ... დარწმუნებული ვარ, თუ მათ ადგილებს შევუცვლიდით, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ შეიცვლებოდა.

**— ოპოზიციას ხშირად საყვედურობენ, — მათ ქმედებებს კონკრეტიკა აკლიაო; თქვენი აზრით, მხოლოდ ეს არის მათი პრობლემა?**

— არა, ასე არ არის... ერთი ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწე წერდა, — ლმერთმა ნუ ქნას, ხელისუფლებაში გარენრები არ იყვნენ, თორემ აურნალისტები მშვივრები დარჩებოდნენო... ჩვენს შემთხვევაში, ეს საქმე ოპოზიციას აქვს შეთავსებული: ისინი მხოლოდ ხელისუფლების ავკაცობაზე მოთქვამენ და ეს ღირსეულ საქმედ მიაჩნიათ... 20-იან წლებში, ქართული ფენომენისადმი ნიჰილისტურად განწყობილმა საზოგადო მოღვაწემ თქვა, — ქართველი კაცის ცხოვრება იმ ჭიაცელას რეაქციას ჰგავს, რომელსაც ფეხს აბიჯებენ, და-





მოუკიდებელი ინიციატივა მას არასდროს გამოუჩენიაო... მაშინდელზე რა მოგახსენოთ, მაგრამ არც ერთ ოპოზიციურ წარმომადგენელს ამდენხინი „თუხთუხის“ პროცესში აზრადაც არ მოსვლია, რაიმე კონკრეტულ თემაზე ან პრობლემაზე ემუშავა. მათი პოლიტიკური მოღვაწეობა დედის დაფიცებით ან დაგინებით განისაზღვრება... ჩვენც ხან ერთს ვუკრავთ ტაშს, ხან — მეორეს, გულწრფელიაო... შეიძლება, ამ ხალხს სამშობლო უყვარს, მაგრამ პატრიოტიზმი გულზე მჯილის ცემა არ არის. თუ ადამიანი პროგრესულად ვერ აზროვნებს, მუდმივად გამოსავლის ძიებაში არ არის და რეალობას მოწყვეტილია, რაც უნდა თავდაუზოგავი იყოს, მისი სიყვარული ფუჭია... პატრიოტიზმს ამპლუაში ხშირად გვევლინება ქართული პოლიტიკის ტრაგიკომიკური ფიგურა გუბაზ სანიკიძე, მაგრამ მისი „გენიალური“ ფრაზებიდან ჩანს, რომ პოლიტიკაში მისი „მოღვაწეობა“ საკუთარი თავისა და სხვების გართობას ემსახურება... ამ კაცს საერთოდ რომ არ იცნობდნენ, მისი შეფასება ამ ფრაზითაც შეიძლება: მე უკვე შესული ვარ საქართველოს ისტორია-

ში — დამოუკიდებლობის აქტზე ხელი მაქვს მოწერილი და ერთი კაცის საქმე გავაკეთეო... ილია ჭავჭავაძეს, რომლის მთელი ცხოვრება წინამურისკენ სწრაფვა იყო, მერაბ კოსტავას, რომელიც სამშობლოსთვის ბრძოლისას „დაიღვანა“, ზვიად გამსახურდიას, რომელსაც წამებით აღმოხდა სული, ერთხელაც არ დაუყვედრებიათ თავიანთი სიცოცხლე საქართველოსთვის... გუბაზ სანიკიძის სიტყვები კი, რბილად რომ ვთქვათ, ზღვარგადასული პატივმოყვარეობაა (არ მინდა, შეურაცხმყოფელი შეფასებები გავაკეთო)... დიხ, სამწუხაროდ ასეა, მას ხელი მართლა აქვს მოწერილი, მაგრამ მისი ხელმოწერის გარდა, სხვა ღვაწლი გუბაზ სანიკიძეს ქვეყნის წინაშე არა აქვს და ვერც ექნება.

— ქართველ პოლიტიკოსებს, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის წარმომადგენლებს, „გენიალური“ გამოსვლები სჩვევიათ. ეს პოლიტიკური უმნიშვნელობის ბრალა?

— არა, ასეც არ არის. მათ საუბარსა და ქმედებებს თანამიმდევრულობა და ლოგიკაც აკლია: მაგალითად, ქართული პოლიტიკის იშვიათი მოვლენა — შალვა ნათელაშვილი სო-

ციალურ თემებზე აკეთებს აქცენტს, რაც ბაზრის ფსიქოლოგიაა... არსად ისე არ იგინებია, როგორც ბაზარში... ხელისუფლების გმობის ხარისხიც ბაზარში ყველაზე მაღალია. იქ აზრის გამოხატვისას ხალხი თავისუფალი და გულწრფელია, ბილნსიტყვაობს კიდეც. დაახლოებით ასეთია ნათელაშვილის ოპოზიციონერობის სპეციფიკა და ამიტომაც ჰყავს მუდმივი ელექტორატი. უბრალოდ, საქმის არის, რომ ამ კაცს ლოგიკაში „პატარა გარღვევები“ აქვს. ლეიბორისტები პარლამენტში კიდეც არიან და არც არიან. შალვა დეპუტატის დელფასზე უარს არ ამბობს და არგუმენტად მოჰყავს, — არ მინდა, ჩემი ფული ეკა ხერხეულიძეს დაუტოვო... უკაცრავად, მაგრამ ამ კაცს ან ყველანი გიჟები ვგონივართ, ან სხვა რაღაცაშია საქმე. დავიჯერო, მართლა ფიქრობს, რომ როგორც კი მისი პარტიის წევრები პარლამენტიდან გამოვლენ, მათ ხელფასს ხერხეულიძე დასტაცებს ხელს და ჯიბეში ჩაიდებს?! ხელისუფლებაზე დაბოლმელ ხალხს კი ეს სიმართლე ჰგონია და „ასეთ პრინციპულობას“ უწონებს კიდეც... ისე, ცნობისათვის

მხოლოდ 24-დან 30 ნანგრამად „ბიზნუსის“ წიგნის მაღაზიებში სავსიალურ ფასად იჩქარეთ რაოდენობა შეზღუდულია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესის და უნეტარესის + ივლიან II ლოცვა-ურთხევით

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური ბიზნუსის წიგნების კრებული

თუ ვერ მოასწავთ სპეციალურ ფასში CD-ის „წიგნის მაღაზიებში“ შეძენა, დარეკეთ 30 75 04 0033 348

სავსიალური ფასი 24-დან 30 ნანგრამად

105 ლარი

ამოტვირთი კუპონი, მიიტანეთ „ბიზნუსის“ ნებისმიერ მაღაზიაში და მიიღეთ სპეციალურ ფასად.



— ხელისუფლებასა და პარლამენტში სწორედ იმისთვის არიან ის ადამიანები, რომ ხელფასები მიიღონ და თუკი ნათელაშვილიც იმავეს აკეთებს, მაშ, რაღაზე ლანძღავს ამ „ნაციონალებს“ დილიდან სალამომდე?! ზვიად ძიძიგურს, რომელსაც მრავალრიცხოვანი ოჯახი აქვს, რატომ დაახვეწებს მანდატი, — უღირსი საქციელიაო?! გუბაზ სანიკიძე სწორად სიამაყით ამბობს, — სამჯერ ვიყავი დეპუტატიო, — არადა, სამართლიანი არჩევნების შედეგად ის მხოლოდ ერთხელ — 90-იან წლებში შევიდა პარლამენტში. მაგრამ ბატონ გუბაზს ის ორი გაყალბებული არჩევნები არასდროს დაუგმია და როცა გაყალბებული არჩევნებით პარლამენტში გაა თორთლაძე შევიდა, აღშფოთდა. ეტყობა, ანგელოზის ფრთები ეტკინა... მათი „წერილფეხობა“ და ორმაგი სტანდარტი ყველას თვალში რომ გამოაშკარავდა, ახალი „იდეა“ მოიფიქრეს: ბოლო დროს ოპოზიცია ჯგუფ-ჯგუფად და ცალცალკე, ხან ამერიკაში დადიოდა, ხანაც — ევროპაში; ჯერ თავს იქაჩლებდნენ, საქვეყნო საქმეებს ვაკეთებთო, შემდეგ კი ყველამ ერთხმად „აღმოაჩინა“, — ის ხალხი ჩვენ პრობლემას ვერ მოგვიგვარებსო. უკაცრავად, მაგრამ რომელიმე მათგანს ნაუკითხავს 1878 წელს დანერგილი ლექსი „ობოლი“, სადაც ვახტანგ VI ამბობს, — ქართველ ერს გეოპოლიტიკური ადგილის მოსაპოვებლად, რომელიმე სახელმწიფოს მოლავნის კი არა, თვით ქრისტე ღმერთის იმედიც კი არ უნდა გვექონდესო?.. წერა-კითხვის მცოდნე ხალხი, ამ საკითხში ოპოზიციის დაუხმარებლად



საპროტესტო მიგინგმე გამოსვლისას (80-იანი წლების დამლევს)

გავერკვევით, პოლიტიკოსის ფუნქცია კი სხვა რამეა, ბატონებო, და ან ამაზე იფიქრეთ, ან — თავი დაგვანებეთ...

— **ბატონო თემურ, ოპოზიციას სწორად ურჩევენ გაერთიანებას, მაგრამ არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერა და ვერ მოხერხდა...**

— 10 პატარა კაცის ერთობით ერთ დიდ კაცს, ერთ დიდ პოლიტიკოსს ვერ მივიღებთ, ათივე პატარა კაცად დარჩება... ახლა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში სამარისებური სიჩუმე, სარკოვადისებური მდუმარებაა გამეფებული და მე ვისურვებდი, რომ ეს მდუმარება საუკუნო ყოფილიყოს და არასდროს შევეწუხებინეთ...

— **ხელისუფლების ინიციატივებზეც გკითხავთ აზრს: წლეულს საქართველოში ბურების ჩამოსახლება იგეგმება, რათა სოფლის მეურნეობა ავალორძინოთ...**

— ბურებს ჩვენთან ურთიერთობა კარგად აქვთ დაცდილი — ეს ისე, ხუმრობით... სერიოზულად კი გეტყვით — ჰოლანდიური ტომები არიან და როცა ევროპელები კოლონიებს აარსებდნენ, ბურებსა და ბრიტანელებს შორის დაუნდობელი ბრძოლები იყო გაჩაღებული. მაშინ ბურების მხარეს, ბაგრატიონთა შთამომავალი — ნიკო ბაგრატიონი (ბური) იბრძოდა, რომელსაც ისინი „პრინცად“ მოიხსენიებდნენ. ერთ საინტერესო დეტალს გავიხსენებ: მაშინ ინგლისელთა არმიის მი, როგორც ჟურნალისტი, ახალგაზრდა უინსტონ ჩერჩილი მსახურობდა, რომელიც დაატყვევეს კიდეც... ეს ისე, ლირიკული გადახვევისთვის. რაც შეეხება ქართული სოფლის მეურნეობის ასალორძინებლად ბურების ჩამოყვანას, ეს არის ქართველი კაცისა და ბოგადად, ჩვენი ისტორიის აბუჩად აგდება... დასავლეთის ქვეყნებში ჩვენ

„გეორგიანელებად“ — მიწათმოქმედებად მოვიხსენიებთ; ახლა ძველი დიდებისგან მხოლოდ სახელი შეგვრჩენია და ამასაც გვართმევენ!.. ქართველი კაცი მდიდარი არასდროს ყოფილა, რადგან მიწათმოქმედება გამდიდრების საშუალებას არ იძლეოდა. ჩვენს წინაპარს ცალ ხელში სახნისი ეჭირა, მეორეში კი — ხმალი. უცხოელი მკვლევრები წერდნენ, — ქართველი კაცი მკვას ვერ ასწრებს, რადგან ამ დროს იწყება მტრის შემოსევა... საუკუნეების განმავლობაში, ასეთ ვითარებაში — ომის ქარცეცხლში გამოიწვრთნა ქართველი კაცის ურთიერთობა მიწასთან და ახლა ბურმა უნდა გვასწავლოს ბელტის ამოტრიალება?! ქართული მიწა ცარიელი კი არ არის, გლეხს იქ დარჩენის საშუალება არა აქვს და იმიტომაც გამოიწვრთნის იქიდან. თუ ამ პრობლემის მოგვარება უნდათ, გლეხის სოფელში დაბრუნებას უნდა შეუწყონ ხელი, იქ დარჩენის სტიმული მისცენ და აღარც ბურის ჩამოსახლება გახდება საჭირო და არც — ჩინელის... ბოლო დროს კიდეც ერთი, ახალი „ინიციატივა“ მოვისმინე, — დევნილები უნდა ჩავსახლოთ რაიონებშიო. პირადად მე, ამ გადანაცვლებას დაუნდობელს ვუწოდებდი. „კავკასიის“ ეთერში მათი კომპაქტური ჩასახლებიდან გამოყრის კადრებს ვუყურებდი და უნდა ვთქვა: მაპატიეთ, მაგრამ ამაზე მეტი კაცთმოძულეობა არც გამიგონია და ვერც ნარმომიდგენია... დევნილებს სწორად აყვედრიან, — ამ ხელისუფლებას ყველაზე აქტიურად უჭერდით მხარსო; მოდი, ამ უფლებანართმეულ, დამონებული, დამცირებულ ადამიანებს გმირობას ნუ მოვთხოვთ.

— **მათ თითქმის ერთნაირი პრობლემები ანუხებთ, მაგრამ მხარდამხარ დგომა უჭირთ...**

— მე ფილოლოგი ვარ და მიყვარს ლირიკული გადახვევები. „ვეფხისტყაოსნის“ გმირი, იდეალურს მიახლოებული ტარიელიც კი განსაცდელის დროს რეალობის კონტროლის უნარს კარგავს... თქვენ გგონიათ, გაჭირვება მხოლოდ მატერიალური ნაკლებობაა?.. ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“ გავიხსენოთ, სადაც მშვიერი მამა მძინარე შვილებს უკანასკნელ მჭადს შეუჭამს — არადა, ქართული მენტალიტეტით, მშობლის ფუნქცია განუზომლად დიდია... დევნილებმა თავიანთი ნაშრომი და ნაწვლები ერთ დღეში დაკარგეს, მა-

**„ინ ვისხო“**  
 შანახოვანთ ავანსახანისა და სავანის  
 დროსიხონის, ანავი სავანის დროსის  
 მსახივანთა ხანისახანის  
 (ანახლავანის)  
 დანტეხუხუხილი ჰიხილი ინფორმაციისათვის  
 დაგვიკავშირეთ  
 მისამართი: ცახინანა 1. 2/6  
 ტელეფონი: 868 40 50 50  
 მისამართ-ავანსახანი (10:00-23:00-23:00)





გრამ რის ვაი-ვაგლახით შეძლეს თავის გადარჩენა. შევარდნაძის ხელისუფლების პირობებში შიმშილით დახოცვას გადაურჩნენ, ცხოვრების თავიდან დაწყებამ მოუწიათ და ახლა იგივე გზა მესამედ უნდა გაიარონ, — რა ვქნათ, თქვენი ადგილი თბილისში არ არისო?!. იქნებ ვინმემ უთხრას, სად არის მათი ადგილი?.. ხელისუფლება მათ პირდაპირ ეუბნება, არ გვჭირდება, და ამ ხალხისგან ვითხოვთ პატრიოტიზმსა და გმირობას?!

— ბატონო თემურ, საქართველოს ტურიზმის პოტენციალზე საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი: ერთი ნაწილის აზრით, ეს ქვეყნის ეკონომიკისთვის მომგებიანია, სხვები კი ამას პრეზიდენტის „ბავშვურ ოცნებას“ უწოდებენ...

— არ მეგონა, თუ ეს ხელისუფლება კიდევ რამით გამოცემა, მაგრამ მაინც მოახერხა, — ახალგაზრდა კადრების წინ წამოწევი ქვეყანა უკეთესობისკენ წავაო, — და ყველგან ის ლამაზთვალეა ქალბატონი ვერა ქობალია დაჰყავს... კი, ბატონო, ახალგაზრდობას რა სჯობია, მაგრამ ახ-

ალგაზრდა კარგია ლოგინში; როცა საქმე ქვეყნის ეკონომიკურ გაძლიერებას ეხება, ჭალარა და დაბრძენებული ადამიანები უნდა ამუშაონ... როცა მიხეილ სააკაშვილი საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე ლაპარაკობს, მუდმივად ვგრძნობ, რომ ქართველი კაცის ბუნებაში მოვლენათა თეატრალიზების, მსახიობობის ნიჭი დევს. ყოველთვის გვინდა, უცხო ადამიანს რაღაცით მოვანოხოთ თავი, რაც თავისუფლებისმოყვარე ერის ფსიქოლოგია არ არის... სააკაშვილის ყოველი გამოსვლა — სხვისი მონყაყალე თვალის შემყურე კაცის ლაპარაკია: უცხოელი ინვესტორები ჩამოვლენ, დაგვასაქმებენ, ამისთვის კი საჭიროა, მიმზიდველი სახელმწიფო ციყოთო... დიას, შეიძლე-

**10 პაგარა კაცის ერთობით ერთ დიდ კაცს, ერთ დიდ პოლიტიკოსს ვერ მივიღებთ, ათივე პაგარა კაცად დარჩება...**



**თქვენთვის და თქვენი შვილებისთვის!**  
 ყოველ ზუღისაბათს, ჟღერალ „გზასაბათ“ ორად შეიძინეთ ცნობილი ქრთველი შწერლებს თითო ტომი

**ტომი №48**  
**აგნატი წინოგვილი**

აგნატი წინოგვილი  
 ზანატი გურიანი

48

აგნატი წინოგვილი

**წიგნის ფასი 3 ლარი!**  
**27 იანვრიდან - 3 თებერვლამდე!**

გამოიწერეთ **გზა** საგანტურის ყველა ტომს ადგილზე მოგართმევთ „**პლესატი**“ ტელ: 38 26 73; 38 26 74

<p>OLBUNA მალრაბი (ქართული I)</p> <p>ქრთველი შწერლებს</p>	<p>OLBUNA მალრაბი (ქართული I)</p> <p>ქრთველი შწერლებს</p>	<p>კაბატიანი გავაგვილი</p> <p>ქრთველი შწერლებს</p>
---	---	--

**უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მალაზიებში**

<p>N1 ზარაბი წიგნაგვილი</p> <p>N2 მინდილ ზანატიწიგნი</p> <p>N3 წიგნატი აგნატი</p> <p>N4 ოლია ტაბატიანი</p> <p>N5 ზარაბი ორთაწიგნი</p> <p>N6 ზანატი-წიგნატი</p> <p>N7 ოლია ტაბატიანი</p> <p>N8 აგნატი წიგნატი</p> <p>N9 ზარაბი ზანატი</p> <p>N10 ოლია ტაბატიანი</p> <p>N11 ოლია ტაბატიანი (წიგნი-1)</p> <p>N12 ოლია ტაბატიანი (წიგნი-2)</p> <p>N13 ოლია ტაბატიანი</p> <p>N14 ოლია ტაბატიანი</p> <p>N15 ოლია ტაბატიანი</p> <p>N16 ოლია ტაბატიანი</p> <p>N17 ოლია ტაბატიანი</p> <p>N18 ოლია ტაბატიანი</p> <p>N19 ოლია ტაბატიანი</p> <p>N20 ოლია ტაბატიანი</p> <p>N21 ოლია ტაბატიანი</p> <p>N22 ოლია ტაბატიანი</p> <p>N23 ოლია ტაბატიანი</p> <p>N24 ოლია ტაბატიანი</p>	<p>N25 ოლია ტაბატიანი</p> <p>N26 ოლია ტაბატიანი</p> <p>N27 ოლია ტაბატიანი</p> <p>N28 ოლია ტაბატიანი</p> <p>N29 ოლია ტაბატიანი</p> <p>N30 ოლია ტაბატიანი</p> <p>N31 ოლია ტაბატიანი</p> <p>N32 ოლია ტაბატიანი</p> <p>N33 ოლია ტაბატიანი</p> <p>N34 ოლია ტაბატიანი</p> <p>N35 ოლია ტაბატიანი</p> <p>N36 ოლია ტაბატიანი</p> <p>N37 ოლია ტაბატიანი</p> <p>N38 ოლია ტაბატიანი</p> <p>N39 ოლია ტაბატიანი</p> <p>N40 ოლია ტაბატიანი</p> <p>N41 ოლია ტაბატიანი</p> <p>N42 ოლია ტაბატიანი</p> <p>N43 ოლია ტაბატიანი</p> <p>N44 ოლია ტაბატიანი</p> <p>N45 ოლია ტაბატიანი</p> <p>N46 ოლია ტაბატიანი</p>
--	---



# სახე

## „ბენვის ხიდზე“ მოსიარულე მარინა კახიანი და მისი შვილის ტოლი თაყვანისმცემლები

„ქალს მამაკაცის ყურადღება ყოველთვის სიამოვნებს...“

ქალბატონი მარინა კახიანი შვილთან — ვათა (ვახტანგ) მატარაძესთან, დედასთან და ოჯახის დამხმარე ქალბატონთან ერთად ცხოვრობს. მართალია, ამჟამად სერიალისგან — „გოგონა გარეუბნიდან“ — ისვენებს, მაგრამ სპექტაკლებით საკმაოდ დაკავებულია... მალე სერიალის გადაღება განახლდება. პარალელურად, კიდევ ერთი სატელევიზიო პროექტი იგეგმება... დაძაბული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, შვილიშვილზე უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი მარინა პატარა გიორგისთან თამაშს მაინც ასწავლებს. მშვენიერი ბებიის დანახვისას, პატარასაც ყველა და ყველაფერი ავიწყდება...

### თოი ყორღანაშვილი

— მეოთხე კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე პირველად ვითამაშე. როცა ინსტიტუტი დავამთავრე, თეატრში ოფიციალურად მივედი, რამდენიმე თვეში კი ვახტანგი შემეძინა. ფეხმძიმობის მერვე თვემდე სცენაზე ვიდექი. სპექტაკლში — „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე“ დიდ მსახიობებს — ედიშერ მალალაშვილს, ჟანრი ლოლაშვილსა და გოგი ხარაბაძეს ვუწვევდი პარტნიორობას. ხომ წარმოგიდგენიათ, პატარა გოგონა როგორი ალფრთოვანებული გახლდით, როცა ჩემს სათაყვანებელ სცენაზე ჩემი სათაყვანებელი ადამიანების გვერდით აღმოვჩნდი? სპექტაკლში ერთ-ერთი მოქმედება ასეთი გახლდათ: ვყვიროდი, გავრბოდი და მუხლებზე ვეცემოდი!.. როცა ეს სცენა ახლოვდებოდა, სამივე მსახიობი ჩემკენ გამოვრბოდა: როგორც



ალვინიშენი, იმ დროს ფეხმძიმედ გახლდით... თავად, როლის შესრულებისას ყველაფერი მავინწყდებოდა. სამაგიეროდ, ჩემი მდგომარეობა მათ ახსოვდათ და სამივე ერთად მაშველებდა ხელს, რაიმე მარცხი რომ არ დამმართოდა... პარალელურად, „ხანუმას“ აღდგენითი რეპეტიციები მიმდინარეობდა, სადაც „ჯეირანს“, „კინტაურს“ ვცეკვავდი. რეპეტიციები თეატრის სხვენში გვექონდა. იქ მრგვალი კიბეა. ერთხელ ამ კიბეზე დავგორდი; ერთხელაც, რეპეტიციის დროს, მუცლით დავეცი. რა თქმა უნდა, ძალიან შემეშინდა — რამდენიმე წუთის განმავლობაში ვერ ვდგებოდი. საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ამასთან დაკავშირებით, ვახტანგი ხუმრობს ხოლმე, — ძალიან ეცადა, ამ ქვეყანას არ მოვევლნოდი, მაგრამ მაინც მოვევლინეო. როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდა ვიყავი და იმ უდიდეს პასუხისმგებლობას სათანა-

დოდ ვერ აღვიქვამდი, რასაც დედობა ჰქვია. დაახლოებით, 4-5 თვე, პატარა ვახტანგთან ვიყავი, თუმცა იმ პერიოდში გადაღებები მქონდა და ვათაც თან მყავდა ხოლმე. სექტემბრიდან თეატრში მუშაობა განვახლეთ. წარმოუდგენელია, რომ ვათაზე დამოუკიდებლად მებრუნა — მის აღზრდაში დედაჩემი მესმარებოდა. ჩემი თავისუფალი დრო მთლიანად შვილს ეკუთვნოდა: ერთად ვსეირნობდით, სამყაროს ერთად ვეცნობოდით... საოცარი პროცესია, როცა პატარა არსება მშვენიერი სამყაროს აღქმას იწყებს... ვათას გვერდით მართლაც ბევრი მზრუნველი ადამიანი იყო. მამაჩემი მთელი ცხოვრება ძალიან დაკავებული გახლდათ, მაგრამ ვახტანგთან დროის გატარებას მაინც ასწავლებდა. თან, გარკვეულ ასაკში მამაკაცებს პატარა ბავშვების მიმართ ალბათ განსაკუთრებულად თბილი გრძნობა უჩნდებათ. მიუხედავად იმისა, რომ მამაჩემს 3 შვილი და შვილიშვილები ჰყავდა, თავდაც აღნიშნავდა ხოლმე, რომ ვათასავით არავინ ჰყავრებია. ალბათ, ბაბუასა და შვილიშვილს შორის საოცარი „პიროვნული ძაფებიც“ გაიბა. გარდა ამისა, ჩემს შვილს მამა — გია მატარაძე ჰყავდა, რომელიც კარგი რეჟისორი, მსახიობი, მეგობარი და ამასთანავე, კარგი მამა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან დაკავებული იყო, ვახტანგის აღზრდაში აქტიურად ჩაება... ვერ ვიტყვი, რომ ბავშვობაში ვათა იშვიათად მხედავდა — მაშინ კოლეგები ვიყავით: „კავკასიურ ცარცის წრეში“ მიშვიკო აბაშვილის როლს თამაშობდა. მერე სხვა სპექტაკლებიც იყო... ბატონმა რობერტ სტურუამ გია ყანჩელის მუსიკაზე საინტერესო სპექტაკლი გააკეთა, რომელშიც პატარა ვახტანგი ერთ-ერთ მთავარ



როლს ასრულებდა — საქართველოს სიმბოლო გახლდათ... მე და ვათას ერთად თამაში 3 სპექტაკლში მოგვიხდა. ზრდასრულ ასაკში, როცა ჩემმა შვილმა თავისი ცხოვრების გზა აირჩია, გაგვიკვირდა, რომ მსახიობობა არ ისურვა. მას კინორეჟისორობა უნდოდა. მოგესხენებათ, დაახლოებით 10 წლის წინ საქართველოში კინო არ არსებობდა, არც კინემატოგრაფის აღდგენის „კონტურები“ ჩანდა. ამიტომ შვილს ვურჩიე, ჯერ სხვა პროფესიას დაუფლებოდა, რადგან კინორეჟისორობა გვიანი არასდროს არის. დამეთანხმა და იურიდიულ ფაკულტეტზე ჩააბარა, მაგრამ როცა სწავლა დაასრულა, თეატრის გარეშე ცხოვრება აღარ მოუნდა. ახლა რუსთაველის თეატრში მთავარი ადმინისტრატორია...

— ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობა იძაბება ხოლმე. თქვენს შემთხვევაში როგორ იყო?

— ვათას გარდატეხის ასაკში ჩვენ შორის განსაკუთრებული გაუგებრობები არ ყოფილა — ბუნებით დამყოლია. ცოტათი ჯიუტი ყოველთვის იყო, მაგრამ ვფიქრობ, ახლა უფრო ჯიუტია (იცინის).

— მისი სოჯიუტე რაში გამოიხატება?

— შვილის (მით უმეტეს — ბიჭის) აღზრდა ძალიან რთულია: ზედმეტად მკაცრი არ უნდა იყო, მაგრამ არც — ძალზე ლმობიერი. ამ დროს ბენვის ხიდზე გადიხარ, ცდილობ, ბავშვის პიროვნება და მისი ცხოვრება არ დამახინჯდეს. ხანდახან ვკამათობდით, თუნდაც სადმე სახლიდან მისი გვიან წასვლის გამო. ძირითადად, მიჯერებდა. თავიდან ბევრს კითხულობდა, მერე კი თავი დაანება, რასაც ძალიან განვიცდიდი. როცა მას მსოფლიოს შედეგების — „მარგალიტების“ გაცნობა არ სურდა, ვლიზიანდებოდი.

— სწორად აღნიშნავთ, ისე ძლიერ არავინ მყვარებია, როგორც — გააო, ოჯახი მეორედ რომ არ შექმნით, ამის მიზეზი თქვენი ვაჟიც ხომ არ არის? თქვენს თაყვანისმცემლებთან ვათას როგორი დამოკიდებულება აქვს?

— რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ მოზარდის (ბიჭის) დედა ვიყავი. სახლიდან ვერსად წავიდოდი და ვერც სახლში მოვიყვანდი ვინმეს. მიზეზი მხოლოდ ეს არ იყო: დიდი ხნის განმავლობაში, ჩემ გვერდით ვერავინ წარმომდგინა. გიას დაკარგვა ძალიან მძიმედ გადავიტანე. ჩემს თაყვანისმცემლებს ყოველთვის იუმორით უყურებდა, განსაკუთრებით —



ახლა, როცა ჩემზე ბევრად უმცროსი თაყვანისმცემლები მყავს (იცინის). ვათა ამაზე ძალიან ბევრს ხალისობს ხოლმე. პატარაობისას რამდენად ღიზიანდებოდა, არ ვიცი, მაგრამ ახლა უკვე იუმორით უყურებს — ჩემი ტოლი ბიჭების დანახვისას, სხვა როგორი რეაქცია უნდა მქონდესო?! ხან სადარბაზოსთან ყვავილებით მხვდებიან, ხან

2011 წლის წინასწარი განკუთრებული ხიზი

ზურაბ ქარუმიძის ახალი რომანი

ნამდვილი ჰოეზია

მნიშვნელოვანი თარგმანები

№1 ლიტერატურული

პროზა

- ზესა ხუციანიძე
- მაია ლიონინა
- ბაბა ხახლანი
- ნიკოლა ანაძე
- ვილა ჩქავაძე

პოეზია

- ლია ზეგუა
- შილა აბაშიანი
- ნინო ინგილაძე

თარგმანი

- ანაბა სოიყე
- დამიო ჯამუბა
- ელიაბ ნაშიანი
- ლევანა და ჰელმუტელა ჯეჯია

დრამატურგია

- ჯეკუა ვაის
- ლიტერატურული პროფილი
- ანაბა იაქიაძე

პორტრეტები

- ზურაბ ქარუმიძე
- ნინო აბაშიანი
- მარკო ლეონი



— სპექტაკლის შემდეგ... ქალს მამაკაცის ყურადღება ყოველთვის სიამოვნებს; ასაკში რომ შედის — უფრო მეტად. ამ ყველაფერს ფილოსოფიურად და იუმორით ვუყურებ.

**— თქვენს ვაჟთან გულახდილი ურთიერთობა გაქვთ?**

— ყოველთვის ვცდილობდი, მისთვის ტყუილი არ მეთქვა. პატარა ტყუილის თქმა ცხოვრებაში ყველას გვინდა, მაგრამ ძირითადად, არ ვატყუებდი. როცა შენი ცხოვრების წესს მოზარდი თვალყურს ადევნებს, მასთან ურთიერთობა უფრო იოლია. ვათა მამაკაცია და თავისი პატარ-პატარა საიდუმლოებები ალბათ ექნება, თუმცა ჩვენ კარგი მეგობრები ვართ; თანაც საერთო სამეგობრო წრე გვაქვს. მეგობრებთან ერთად ხშირად ვატარებთ დროს.

**— როცა ოჯახის შექმნა გადაწყვიტა, თავიდანვე საქმის კურსში ჩაგაყენათ?**

— მათი გაცნობის პირველივე დღიდან — არა, მაგრამ საქმის კურსში მალე ჩამაყენეს. გოგონამ ჩემზე თავიდანვე ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მერე გაიპარნენ, რაზეც ბევრს ვიცინოდით — ვის გაეპარნენ-მეთქი?! მათი ურთიერთობის შესახებ ყველამ ვიცოდით და ერთმანეთთან კარგი ურთიერთობაც გვქონდა. როგორც ჩანს, პატარა რომანტიკული თავგადასავალი მოუხდათ.

**— ბუბის ამბულაში თავს როგორ გრძნობთ?**

— ჩემი შვილიშვილის დაბადებას ვესწრებოდი. ეს განცდა არასოდეს დამავიწყდება. შვილიშვილი პირველად რომ დავინახე, საოცარი შეგრძნება დამეუფლა — პატარა გიორგი იმნუთასვე შემეყვარდა და დღემდე შეყვარებული ვარ! არ ვიცი, მომავალში როგორი შვილიშვილი იქნება, მაგრამ დღეს ყველა ატყობს, რომ ჩემი დანახვა განსაკუთრებულად უხარია: როცა მხედავს, გარშემო ყველა ავიწყდება; მხოლოდ ჩემთან ერთად თამაში უნდა, მკოცნის... მიუხედავად იმისა, რომ პატარაა, მისგან ძალიან დიდ სიყვარულს ვგრძნობ.

— **ახერხებთ, რომ შვილიშვილს საკმარისი დრო დაუთმოთ?**

**— ვეზა. ყოველდღე მის ნახვას ვერ ვახერხებ.**

**— ვათამ მამის როლი როგორ მოიხრავ?**

— პირველი დღიდანვე ეამაყებოდა, რომ მამა გახდა. საკმაოდ კარგი მამაა.

**— პატარა გიორგი ვის ჰგავს?**

— როგორც ამბობენ — მამას. ვათა მამამისს „არანორმალურად“ ჰგავს. ასე რომ, ჩემი შვილიშვილი ბაბუასაც ჰგავს.

**— როგორი ბავშვია? რა აინტერესებს ყველაზე მეტად?**

— ყველაზე დიდ ინტერესს კომპიუტერის მიმართ იჩენს. მცირე ასაკში უკვე ისეთი რაღაცები იცის, რასაც მე ახლა ვსწავლობ... მუსიკა უყვარს. ჩემი მძახალი ხუმრობს, — ალბათ, დირიჟორი გამოვაო (მამაჩემი კომპოზიტორი და დირიჟორი გახლდათ). მუსიკას რომ უსმენს, პატარა გიორგიც თავისებურად „დირიჟორობს“. ვნახოთ, რას იზამს... მთავარია, ჯანმრთელი, ბედნიერი და კარგი პიროვნება გაიზარდოს, პროფესიის არჩევას კი მას მივანდობთ — საკუთარი ცხოვრება თავად უნდა წარმართოს.

**— პატარა გიორგის დედასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— როგორც აღვნიშნე, ჩემი რძალი თავიდანვე მომეწონა. დღესაც მეგობრები ვართ. სხვადასხვა ღონისძიებაზე, პრეზენტაციაზე ერთად დავდივართ. ერთმანეთს ვურჩევთ, როგორი ტანსაცმელი ჩავიცვათ. ხშირად ვსაუბრობთ, როგორც ორი მეგობარი ქალი...

**— ამბობენ, კარგი კულინარი ხართ. სახალწლო დღესასწაულებზე ოჯახის წევრები თქვენ მიერ მომზადებული კერძებით გააანებიერეთ?**

— წარმოიდგინეთ, ბავშვობაში არაფრის გაკეთება არ ვიცოდი. მოსწავლეობის პერიოდიდანვე ძალიან დაკავებული ვიყავი: სასკოლო საგნები, ქორეოგრაფიული, მუსიკალური სასწავლებლები... კერძების მომზადება რომ მესწავლა, ამის საჭიროება არ იყო — ყველაფერს ბებიაჩემი აკეთებდა; ხანდახან დედაჩემიც ეხმარებოდა. გათხოვებამდე სადილის მომზადება ერთხელ მომიხდა, რადგან დედაჩემი ავად გახდა — ფილტვების ანთება დაე-

მართა... როცა გავთხოვდი, მინდოდა, ახალი წლის სადღესასწაულო სუფრისთვის ყველაფერი მე გამეკეთებინა. ჩემთან სტუმრად უნდა მოსულიყვნენ ჩემი მშობლები, ძმა, დედამთილ-მამამთილი, მუღი... კერძების მომზადებაში მხოლოდ მუღისშვილი მეხმარებოდა. მაშინ საცივი (ნიგნში წაკითხული რეცეპტის მიხედვით) პირველად გავაკეთე. ყველა აღფრთოვანებული დარჩა. ამბობენ ხოლმე, — კერძის გემო დიასახლისის ხელზეა დამოკიდებული. მართლაც ასეა — მინახავს, ბევრი დიასახლისი ყველაფერს ზუსტად ისე აკეთებს, როგორც სხვა, მაგრამ ერთს უგემრიელესი კერძი გამოსდის, მეორეს — უგემური... სადილების კეთება ძალიან მსიამოვნებდა, მაგრამ დღეს მართლა ძალიან დაკავებული ვარ. როცა თავისუფალი დრო მაქვს, კერძებს სიამოვნებით ვაკეთებ. ახალ წელს საცივის გაკეთებას ვერავის ვანდობ. რომ არ მოგატყუოთ, წელს ბევრი კერძი არ მომიმზადებია.

**— ახალი წლის დღესასწაული როგორ გაატარებთ?**

— როგორც ყოველთვის, შინ შევხვდი. შემდეგ მეგობრები მესტუმრნენ. გასულ წლებში უფრო მეტი ხალხი მოვიდა, წელს კი დღესასწაულს წყნარ გარემოში შევხვდი. ალბათ ამიტომაც, უფრო მეტად ვიმიზარულეთ. თან, ტელევიზორს ვუყურებდით და ზოგი ჩვენი ვარსკვლავის გარკვეულ სასცენო ნომრებზე ვლადობდით... შობის დღესასწაულს რაც შეეხება, ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ — ტრისტან სარალიძემ დამირეკა და მითხრა, — ჩემთან ვიკრიბებითო. ძალიან დაღლილი ვიყავი, მაგრამ სპექტაკლი რომ დასრულდა, ისევ დამირეკეს. ტრისტანთან მაინც წავედი (აბანოთუბანში ცხოვრობს). ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან შობას საოცარ სილამაზეში შევხვდით — აბანოთუბანში ხომ ბევრი ეკლესიაა! თან, თბილ ოჯახში, ძალიან კარგი ადამიანების გარემოცვაში გახლდით... ამდენმა პურმარილმა, ჭამა-სმამ, ცოტათი დამლალა. ამ მხრივ, მინდა, შევისვენო.

**— სადღესასწაული სუფრებმა წონასთან დაკავებულნი მცირე პრობლემები სომ არ შეგიქმნათ?**

— ჯერჯერობით, წონასთან დაკავშირებული პრობლემები არ მაქვს. ეს უფლისა და ჩემი წინაპრების დამსახურებაა. 1-2 კილოგრამში „ვქანაობ“ (იცინის)... გურმანი ვარ და მიმაჩნია, რომ გემრიელად ჭამა ძალიან სასიამოვნო პროცესია. როცა ძალიან დაკავებული ვარ, რამდენიც უნდა მივირთვა, წონაში არ ვიმატებ. ჩემთვის სხეულის გამაჯანსაღებელი პროცედურები — რეპეტიციებია. ■





# კვლავ გაუთხოვარი სუსა კახანაძის კლატონური სიყვარული ანუ გამოღმით მე ვარ, გაღმით — შენ

ახალ წლამდე, მხოლოდ 5 დღით, ამერიკიდან მსახიობი, ცუცა კაპანაძე ჩამოვიდა. საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილ-ის“ ხელმძღვანელმა მანანა გეგიძემ ის „წლის ბრენდის“ დაჯილდოების ცერემონიაზე საგანგებოდ მოიწვია და ნომინაციაში — „საზღვარგარეთ ქართული ხელოვნების პოპულარიზაციისათვის“ დააჯილდოვა... „სანამ ამერიკაში წავიდოდი, 4 წლის განმავლობაში მე მიმყავდა „ქართული ბრენდის“ დაჯილდოების ცერემონიალი... ვერ წარმოიდგენთ, როგორი ამაყი და ბედნიერი ვიყავი, როდესაც სცენაზე ავედი და ასეთი საპატიო ჯილდო გადმომიცეს — ეი. ჩემს ხალხს ვახსოვარ და საქმე, რომელსაც უცხო ქვეყანაში ვემსახურები, საქართველოშიც დაფასდა“, — აღნიშნა ცუცამ, რომელიც ამერიკაში ახალი წლის დადგომამდე გაემგზავრა.



— იმ 3 თვის განმავლობაში, სანამ „მწვანე ბარათს“ მიიღებდით, რას საქმიანობდით?

— ამერიკაში რომ ჩადიხარ, თუ არ იმუშავე, ვერ იცხოვრებ. თავიდან მანჰეტენზე, ჩემს მეგობართან ვიყავი და მათ ბავშვებთან ვმუშაობდი — ქართულს ვასწავლიდი... ამასთან, იქ იყო ქართული კულტურის ცენტრი — „გეზი“, რომელსაც მაია ბარამიძე ედგა სათავეში, სადაც პატარ-პატარა, საბავშვო სპექტაკლებს დგამდნენ. იმ ცენტრში ქალბატონი ხათუნა მიიწვიეს და შესთავაზეს, რომ სპექტაკლები დაედგა. მან „ნაც-არქექიაზე“ დაიწყო მუშაობა და მითხრა, ამ სპექტაკლში იქნებ ვახუშტის როლი ითამაშოო (ზღაპარს ეს პერსონაჟი მან დაამატა). დავთანხმდი და მგონი, ცუდი ვახუშტი არ ვყოფილვარ (იციინის). შემდეგი წარმოდგენა ნოდარ დუმბაძის ნანარმოების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი — „ჰელადოსი“ იყო, რაც მწერლის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა (წარმოდგენებში ძირითადად ბავშვები იყვნენ დაკავებული. უფროსი მსახიობი მხოლოდ მე ვიყავი). შემდეგ ეს ჯგუფი დაიშალა და ამასობაში, ამერიკელმა, ქართული კულტურის უდიდესმა დამფასებელმა და ქომამამა, ბატონმა ვიქტორ სირელსონმა ქართული თეატრის დაარსების სურვილი გამოთქვა. 2008 წლის 14 სექტემბერს, მანჰეტენზე ქართული თეატრი გაიხსნა და ხმამაღლა ვთქვით: — ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

— უფრო ახლოს გაგვაცანი ბატონ ვიქტორ სირელსონს.

— ის ამერიკელი გახლავთ, ჰყავს ქართველი მეუღლე, ლია ბახტურიძე. ბატონი ვიქტორი 15 წელია, ქართული ხელოვნებისა და კულტურის პოპულარიზაციას ემსახურება. დააარსა ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი — „მოცეკვავე წერო“, ვაჟთა შვიდკაცა — „მგზავრული“, ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი — „ფესვები“, ბავშვთა საყმაწვილო თეატრი და ჩვენი, ქართული თეატრი. საქართველოს წარმომადგენლობიდან თეატრის გახსნაზე ირაკლი ალასანიაც ბრძანდებოდა. ის მაშინ გაეროში საქართველოს ელჩი გახლდათ. ძალიან გაუხარდა, როდესაც პრემიერაზე მოსვლა ვთხოვეთ.

— რა იყო საპრემიერო სპექტაკლი?

— თეატრი გაიხსნა ოტია იოსე-

## ლალი ფასია

— ნიუ-იორკში ვცხოვრობ... მძიმე ემიგრანტის ხვედრი... ამ ქალაქმა რომ არ ჩაგყლაპოს, უნდა იბრძოლო, მის რიტმს აჰყვე. თუ ჩამორჩი, ეს იმას ნიშნავს, რომ ველარაფერს გააკეთებ და ერთ ადგილზე გაიყინები. მოკლედ, ნიუ-იორკი ჩარლი ჩაპლინის კინოს აქტორული კადრებივით ცხოვრობს...

— ნოსტალგია ალბათ ხშირად გეძალდება, არა?

— რა თქმა უნდა. ქართველ ემიგრანტს ნოსტალგია მუდმივად აწუხებს და ამას მისი ქართული მენტალიტეტი განაპირობებს... წარმოიდგინე, ზემო იმერელმა ცუცა კაპანაძემ, სოფელ მერჯევიდან პირდაპირ ნიუ-იორკში ამოყვავი თავი! მაგრამ როცა შენი საქმე გიყვარს და შენს გასაკეთებელს უცხო ქვეყანაშიც აკეთებ, ხვდები, რომ არ დაკარგულხარ...

— ისე პოპულარობა, წარმატება და საყვარელი საქმის კეთება არც აქ გაკლდა რატომ გადაწყვიტე ამერიკაში გამგზავრება?

— ჩემი უახლოესი მეგობრები ნიუ-იორკში ცხოვრობენ, რომლებიც მუდმივად მიჩიჩინებდნენ, მათთან ჩავსულიყავი... მეც ავდექი და წავედი...

— ამერიკის მოქალაქეობას როდის მიიღებ?

— ერთ წელიწადში. მაგრამ როგორც

ქართველი ემიგრანტები ამბობენ, თურმე უცხო ქვეყნის მოქალაქეობის მიღებისას ადამიანებს საშინელი განცდა ეუფლებათ. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ფიცს დებენ და წარმოთქვამენ სიტყვებს, რომ უარს ამბობენ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობაზე. ვინც იქაური მოქალაქეობა მიიღო, ყველა იმას აღნიშნავს, რომ თავს იკავებდა, რომ არ ეტირა... მეგობრებს ვუთხარი, როდესაც ფიცის დასადებად გავალ, ცალ ხელში ჯვარს დავიკავებ ან თითებს გადავაჯვარედინებ-მეთქი (იციინის)... მე და ჩემს მეგობრებს იუმორისტული შოუს — „პა-სენასის“ ალდგენა გვინდოდა; ამასთან, იუმორისტული სერიალის გაკეთების სურვილიც გვქონდა, მაგრამ როდესაც ტელეკომპანიებში მივედი, ყველაფერზე უარი გვითხრეს... მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, აქ აღარ მომეცა მუშაობის საშუალება და ამიტომ წავედი, რაზეც გული ძალიან მწყდება, მაგრამ არა უშვავს, მალე დავბრუნდები...

— როგორც ვიცო, ამერიკაში მარტო არ წასულხარ...

— დიას, მე და ქალბატონი ხათუნა იოსელიანი ერთად გავემგზავრეთ და იქ 3 თვეში „მწვანე ბარათი“ მივიღეთ, როგორც „ამერიკისთვის საჭირო“ ადამიანებმა. სასაცილო არ არის? ამერიკისთვის „საჭირო ადამიანი“ აღმოვიჩინდი და ჩემი ქვეყნისთვის — არა!



ლიანის პიესით — „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“. სპექტაკლის შემდეგ 15-წუთიანი პოეზიის საღამოც გაემართეთ, რომელიც საქართველოს მიუძღვნებოდა... იქ ქართველების მიერ ჩატარებული ყველა კონცერტი ქართული სიმღერით, ცეკვითა და ლექსით იწყება... გასული წლის 28 ნოემბერს მეორე სპექტაკლის — „სარკე“ — პრემიერაც ანშლაგით გაემართეთ. ნიუ-იორკის მერამ როგორც ქართული დისკოპორის თეატრი, ისე გვალარა და ალბათ გრანტსაც მოგვცემენ, რითაც თეატრის მცირედი დაფინანსება მაინც გახდება შესაძლებელი; ბატონი ვიქტორი მსახიობებს გზის ფულს უხდის და პატარა ჰონორარსაც აძლევს; ამას საქართველოს სიყვარულით აკეთებს.

**— ვაშინგტონში მდებარე ის თეატრიც ქართული ხომ არის, სადაც ირავლი კასაძე მუშაობს?**

— იმ თეატრში ქართველი მსახიობები კი მუშაობენ, მაგრამ იქ პანტომიმისა და მეტყველების სინთეზია და ყველაფერი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. მათ ნიუ-იორკში ხშირად აქვთ გასტროლები. ძალიან წარმატებული დასია.

**— ცუცა, ამ უცხო ქვეყანაში ყველაზე დიდი სიძნელე რა აღმოჩნდა?**

— ისევ და ისევ ნოსტალგიის დაძლევა... სიზმარშიც კი საქართველოში ვარ... ნებისმიერი, უცხოეთში ემიგრაციაში წასული ქართველი ამბობს, რომ დაბრუნდება, მაგრამ წლები გადის და ჩამოსვლას მაინც ვერ ახერხებს. მუდმივად ქართული ფილმი — „ფესვები“ მახსენდება... სანამ საკუთარ თავზე არ გამოვცადე ემიგრანტობა, ვერ მივხვდი

**მეორე სპექტაკლის — „სარკე“ — პრემიერაც ანშლაგით გაემართეთ**



იმ ფრაზის მნიშვნელობას — საქართველოდან ერთი მუჭა მიწა წამომიღე, რომ ფესსაცმელში ჩავიყაროო. დიას, უმრავლესობას ტერფის ქვეშ მართლაც უყრია მშობლიური ქვეყნიდან წაღებული მიწა და ისეთი შეგრძნება აქვს, რომ თითქოს ფეხზე უფრო მყარად დგას... ნიუ-იორკში 10 ათასი ქართველი ცხოვრობს... ყველაზე მეტად გული იმაზე მწყდება, რომ ამერიკაში დაბადებული პატარა ქართველები საქართველოსთვის დაკარგული თაობა... ისინი აქ არ დაბრუნდებიან, მხოლოდ ტურისტებად ჩამოვლენ. მე და ქალბატონი ხათუნა ხომ საბავშვო თეატრში ვმუშაობთ, პატარებს ლექსს, პროზას, იგავ-არაკს, ქართულ მწერლობას ვასწავლით და ჩვენთან ინგლისურად ლაპარაკს ვუშლით, მაგრამ შესვენებაზე მაინც ინგლისურად საუბრობენ.

**— თქვენი თეატრი გასტროლებს ხომ არ გეგმაქვს?**

— კი, ცოტა ხანში კანადაში გვიწევს გასტროლები. იქ ბევრი ქართველი ცხოვრობს. ახლა ხელშეკრულებას ვაფორმებთ, გასტროლებს გერმანიაში, სანდგორნის თეატრში ვაპირებთ. უმთავრესია, რომ გასტროლებით საქართველოში, თბილისში, თეატრალურ ფესტივალზე ჩამოვიდეთ.

**— ისე, აქ ამბობდნენ, ცუცა ამერიკაში გათხოვდაო...**

— არა, არ გათხოვილვარ (იცინის). სხვათა შორის, ბევრი მილოცავდა... ვაპირებდი; იყო პიროვნება, რომელსაც დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ცოლად გავყოლოდი, მაგრამ ის — ოკეანის ერთ მხარეს, მე კი ოკეანის მეორე მხარეს აღმოვჩნდი. ასე რომ, ოკეანე დაგვაშორა და ერთმანეთის მიმართ მხოლოდ პლატონური სიყვარული შეგვრჩა. ამიტომ, ისევ მოლოდინში ვარ (იცინის)... ვისაც დაოჯახების სურვილი ექნება, გამოიმეხმაროს, მაგრამ თუ იმას იფიქრებს, რომ მე უნდა ვარჩინო, მაშინ თავს ტყუილად შეინუხებს...

**— სანამ საუბარს დაგწყებდით, მითხარო, რომ ამერიკაში სწავლობ კდეც...**

— კოლეჯში ვსწავლობ, რომ ინგლისურ ენას კარგად დავუფულო. ცოტა ხანს თავისუფალ მსმენელად ნიუ-იორკის კინოაკადემიაშიც ვიყავი. მინდა, სატელევიზიო და თეატრალური სასწავლებლები დავამთავრო და მერე — ვნახოთ.

**— დიდი მადლობა ინტერვიუსთვის და წარმატებებს გისურვებ.**

**ირმა სარშილაძე**

„ღმერთმა თქვენი მოსაწონი სიმღერები შემაქმნევინოსო“... — არადა, მის სიმღერებზე აუგის მთქმელი ჯერ არავინ შემწვედრია, ამღერებული კი — უამრავი. თანაც — როგორ... კიდეც შეგაყვარებს და სიყვარულსაც აგასწევინებს; აგაცრემლავს და ყელში ბურთსაც გაგჩრის; აგაგაღლებს და აგაკისკისებს; აგაცეკვებს და ჩაგახუტებს... მისი მუსიკა სიცოცხლეს გვიხალისებსო, — უთქვამს უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს. საოპერო მომღერალ ზურაბ ანჯაფარიძეს კი წლების წინ დაუწერია: მგონია, ის ბევრ ფურცელს არ ხარჯავს, პირდაპირ წერს, რაც უნდაო. წერს თუ... ჯადოსნურ ჯოხს დაიქნევს და ყველაფერს გაკეთებინებს თავისი ასევე ჯადოსნური მელოდიებით... „ჩვენი ხმების საგანძური“ ჟურნალ „ბომონდის“ იანვრის ნომერთან ერთად ქართველების უსაყვარლესი კომპოზიტორის, რუსუდან (მაცაცო) სებისკვერაძის დისკოს გთავაზობთ. ქალბატონი მაცაცო აღარ მოვაცდინეთ ინტერვიუსთვის და საუბარი მის უმცროს კოლეგას, მომღერალსა და ბევრი ლამაზი სიმღერის ავტორს, დავით ბრწყინვალეს ვთხოვეთ.

— მაცაცო დეიდის (ასე მივმართავ ხოლმე) შემოქმედებაზე გავიზარდე. მიმაჩნია, რომ ამ ადამიანმა ტრადიციული ქართული სიმღერის მართლაც მთელი ეპოქა შექმნა. არ არსებობს სცენა, წვეულება, თავშეყრის ადგილი, სადაც მაცაცოს სიმღერა არ იმღერება. ასე მგონია, მისი მელოდიები მთელ ერშია გაბნეული, სულსა და გულში აქვს ყველა ქართველს, რადგან გამორჩეული ხიბლი ახასიათებს ამ ქალბატონს, გამორჩეული სიტობა და სიკეთე მოდის მისი სიმღერებიდან, თითქოს შინაურივითაა თითოეული ქართველისთვის. ბავშვობიდან ვინერდი სიმღერებს კასტებზე და შეიძლება ითქვას, უნიკალური ფონდი მაქვს. ზეპირად გეტყვით ყველა ავტორსა და სხვადასხვა დროის შემსრულებელს. განსაკუთრებულად კი მაცაცო სებისკვერაძის სიმღერები შევიყვარე.

**— გახსოვს, პირველად რომელი მოისმინე?**

— საქმე ის არის, რომ ჩემს ოჯახში ყველა მღერის და ბავშვობიდან ვისმენდი საოჯახო რეპერტუარში „ცისფერი ტრიოს“, „ქართული ხმებისა“ და კიდევ ბევრი ქართველი შემ-



# „ისეთ სიმღერას გიმღერებ, თვალს ცრემლი მოედინოს“

სრულებლის სიმღერებს, რომელთაგან ბევრი მაცაცო დეიდას ეკუთვნოდა, თუმცა მეექვსეა, მაშინ იმ ლამაზი მელოდების ავტორის ვინაობა მცოდნოდა. არადა, აკომპანემენტის გარეშეც სულ ვლილინები: „ისეთ სიმღერას გიმღერებ, თვალს ცრემლი მოედინოს...“ (ლილინებს). ცოტა რომ წამოვიზარდე, თუნდაც გარდატეხის ასაკში, როცა ჩემს თანატოლებს მუსიკის სხვა მიმდინარეობები უფრო

ინტერვიუებს, ვუყურებდი კონცერტებს, რომელსაც მაია დათუნაშვილი უძღვებოდა. არ მაინყვდება ოქროსფერი ფარდა, რომლის წინაც იჯდა მაია და მის გვერდით მაცაცო დეიდა. განსაკუთრებით ერთი სიმღერის მომენა მიყვარდა. ამ სიმღერას სამიტრიო — „პალიტრა“, „ჰარმონია“ და ნუკრი კაპანაძის ტრიო ასრულებდა... მასსოვს კიდეც, ბავშვობაში, მაცაცო დეიდის ერთ საბუნეფისო კონცერტზე, ფილარმონიის დარბაზში აივანზე ვიდექი. ბოლოს თავის ვაჟთან, დათუნა გერსამიასთან ერთად ჩემი უსაყვარლესი სიმღერა — „გაზაფხულს იწყებს უფალი“ შეასრულა. ანსამბლი და კვარტეტი „უნივერსიტეტი“ რომ შევქმენით, ეს სიმღერაც გავავეთ, მაგრამ სამწუხაროდ, ჩანაწერი არ მოგვეპოვება. ოთხ ხმაში პირველადაც სწორედ მაცაცო სებისკვერადის „მშვენიერია დედა თბილისი“ გავეშაღეთ. ოთხი დათოს კვარტეტი პირველად საზოგადოების



წარმოადგინა. ოთხ ხმაში პირველადაც სწორედ მაცაცო სებისკვერადის „მშვენიერია დედა თბილისი“ გავეშაღეთ. ოთხი დათოს კვარტეტი პირველად საზოგადოების წინაშე კომპოზიტორ ეკა თევზაძის სალამოზე წარვდექით, სიმღერით — „ბალახი“. ამ სალამოს ყველა კომპოზიტორი, მათ შორის — მაცაცო სებისკვერადიც ესწრებოდა. იმხანად ბიჭებთან კიდეც ერთი ძალიან მაგარი სიმღერა — გოგი დოლიძისა და ეკა მამა-

იტაცებდათ, კვლავ ტრადიციული ქართული სიმღერის მოტრფიალედ ვრჩებოდი და უდიდესი სიამოვნებით ვუსმენდი გოგი დოლიძისა და ეკა მამაალაძის დუეტს, უფროსი თაობის „ქართული ხმების“ კვარტეტს... მხოლოდ სიმღერამ კი არა, მაცაცო სებისკვერადემ პიროვნულადაც მომხიბლა — მუდამ ვკითხულობდი მის

წინაშე კომპოზიტორ ეკა თევზაძის სალამოზე წარვდექით, სიმღერით — „ბალახი“. ამ სალამოს ყველა კომპოზიტორი, მათ შორის — მაცაცო სებისკვერადიც ესწრებოდა. იმხანად ბიჭებთან კიდეც ერთი ძალიან მაგარი სიმღერა — გოგი დოლიძისა და ეკა მამა-

**მგონია, მისი მელოდები მთელ ერშია გაბნეული, სულსა და გულში აქვს ყველა ქართველს, რადგან გამორჩეული ნიბლი ახასიათებს ამ ქალბატონს, გამორჩეული სიტობა და სიკეთე მოდის მისი სიმღერებიდან**

**უყუჩაით!**

**www.palitra.ge**

**PALITRA**

**TV-RADIO**

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



ტი. დანვრელებით იმიტომ გიყვე-  
ბით, რომ მთავარი გითხრათ: ძა-  
ლიან მეამაყება, რომ ოთხხმიანი  
ვარიანტების გაკეთება ქალბატონი  
მაცაცოს სიმღერებით დავინწყე... რა  
არის, არა, ცხოვრება? რას ვიფიქრებ-  
დი, რომ მაცაცო სებისკვერაძის უმ-  
ცროსი მეგობარი გახდებოდი (ილი-  
მის)! მეგობრობა მასთან და კიდევ  
რამდენიმე კომპოზიტორთან, რომელ-  
თა მუსიკაზეც გავიზარდე, ჩემთვის  
უდიდესი ბედნიერებაა. მათგან ვის-  
ნავლე ყველაფერი, რაც შემოქმედებ-  
ითად მზადაა და რისი დანერაც  
გაუბედ — ჩემს ერთ-ორ მოკრძალებ-  
ულ სიმღერას ვგულსხმობ.

— დათო, როგორც ახალგაზრ-  
და კოლეგას, კომპოზიტორს, ქალ-  
ბატონი მაცაცო რჩევებს ან შენიშ-  
ვნებს არ გაძლევს სოლმე?

— არ მავინწყდება 2003 წელს  
პირველ „პატრიოტზე“ გამარჯვება.  
ძალიან სერიოზული კონკურენტები  
მყავდა — ძალიან ცნობილი და ჩემი  
უსაყვარლესი კომპოზიტორები... და  
შვიდი კონკურსანტიდან მე ამირჩიეს.  
მივხვდი, რომ ამით ახალგაზრდა კაცს  
დიდი სტიმული მომცეს. უიურის ერთ-  
ერთი ნევრი კი მაცაცო სებისკვერ-  
აძე იყო და მახსოვს, რა თბილი სი-  
ტყვებით მომმართა. მაცაცო დეიდა  
დღემდე სტიმულია ჩემთვის. მისგან  
ყოველთვის ვსწავლობ, კონსულტაცია  
ბევრჯერ მიმიღია. მეტსაც გეტყვი  
და ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ: მისი  
თითოეული სიმღერის, ძველისა თუ  
ახლის, ყველა ხმა მართლა ზეპირად  
ვიცი და ისე „გავიჟღინთე“ მაცაცო  
სებისკვერაძით, „ალილოსთან“ ერთად  
ნამღერე ჩემი სიმღერა — „ნიავი  
მეჩურჩულება“ ვგრძნობ, რომ ზუს-  
ტად მაცაცოსებურად მაქვს ამოთქმუ-  
ლი. სოლოშიც ვიმღერე მისი სიმღ-  
ერა — „შენი ხილვა“, რომელიც  
მანამდე რამდენიმე ცნობილ მომღ-  
ერალს შეუსრულებია. ბიჭებმა მოას-  
მენინეს თურმე სტუდიაში და ჩემეუ-  
ლი ინტერპრეტაცია ძალიან მოს-  
წონებია. ძალიან გამიხარდა. ხომ ვიცი,  
როგორი დაკავებულია, ახლაც სულ  
მთავაზობს, მასთან ვიარო და სიმღ-  
ერების პროფესიულად, ნოტებით  
ჩანერა ვისწავლო. იქნებ დრო  
გამოწახსო და თუ გინდა, ყოველდღე  
ერთი-ორი საათით მოდი, შვილო, და  
გამეცადინებო, — წარმოგიდგენიათ,  
მისი სიტყვები ჩემთვის რამხელა ბედ-  
ნიერებაა? სამწუხაროდ, ჯერჯერო-  
ბით უდროობის გამო ვერ შევძელი  
მისვლა, მაგრამ როგორღაც უნდა  
მოვახერხო და აუცილებლად დავინ-  
ყო მეცადინეობა. მერე კი მართლა  
ვიტრაბახებ, ეს ყველაფერი მაცაცო  
დეიდამ მასწავლა-მეთქი! ■

# ფრანგების მიერ წინასწარ ნაყიდი ფილმი და გაოსახული პროდიუსერი



ქელინ ფარაგას ფოტო

„აპრილის სუსხის“ ნარ-  
მატების შემდეგ, ახალგაზრდა  
რეჟისორი — თორნიკე  
ბზიავა ახალ მოკლემეტრა-  
ჟიან ფილმზე — „ბუდე“  
მუშაობს. მართალია, გადა-  
ლებები ჯერ არ დასრულე-  
ბულა, მაგრამ ერთ-ერთმა  
ფრანგულმა ტელეარხმა —  
France Troi სურათი უკვე შეი-  
სყიდა. ფრანგი პროდიუსე-  
რი — სებასტიან ობერი  
ქართულ შემოქმედებით  
ჯგუფთან მუშაობით კმა-  
ყოფილია, თუმცა საქართვე-  
ლოს მთავრობის კინოსადმი  
დამოკიდებულება სამარცხ-  
ვინოდ მიაჩნია...

## ეთო ყორღანაშვილი

### თორნიკე ბზიავა:

— სებასტიანი ჩემი ფილმის ქარ-  
თველმა პროდიუსერმა — თინა ყა-  
ჯრიშვილმა გამაცნო. ერთმანეთს მალე  
დავუშეგობრდით. სებასტიანი ჩემი  
ფილმის — „აპრილის სუსხი“ დის-  
ტრიბუტორი იყო. მას მიზანსწრაფუ-  
ლი, დამწყები კომპანია აქვს, რომელ-  
იც მოკლემეტრაჟიან ფილმებზე მუ-  
შაობს და ნელ-ნელა „დიდ კინოში“  
გადასვლას აპირებს. ამასთანავე, სე-  
ბასტიანი იურისტიც გახლავთ... მოხ-  
არული ვარ, რომ ფრანგებთან ვთან-  
ამშრომლობ — ფრანგების მსგავსად,  
ევროპაში კინოს კეთება ცოტას შეუ-  
ძლია. ვნახოთ, რა გამოგვივინა...

### — თორნიკე, ფილმი რაზეა?

— 2 მოხუცი ადამიანის „ცხოვრე-  
ბის დაისია“ ასახული: შეიძლება,  
მნიშვნელოვან რაღაცებზე, რაც ცხ-  
ოვრებას ლამაზს ხდის, ადამიანი  
არ ფიქრობდეს და ამას მხოლოდ  
ცხოვრების ბოლოს მიხვდეს. ფილმ-  
ში, თავისი არეული ცხოვრების გამო,  
შვილი მამისთვის ვერ იცლის. ბო-  
ლოს გადაწყვეტს, მამას ასიამოვნოს  
და ისინი ფინალში განთიადს ერ-  
თად ხვდებიან...

### — გვირებს რეალური პროტოტი- პები თუ ჰყავთ?

— მთავარ როლს მამაჩემი ასრუ-  
ლებს. ამ ფილმის გადაღების იდეა  
ჩვენი ურთიერთობის შემხედვარეს  
გამიჩნდა — ყველაფერი პირადული-  
დან მოდის. მინდოდა, ჩემი ნამუშე-  
ვარი მამისთვის მიმეძღვნა. ყველა

მამა-შვილის ურთიერთობა ისეთივე  
ღირებულია, როგორც — ჩემი ფილ-  
მის გმირების. როცა მშობელი ასაკ-  
ში შედის, თითქოს როლები იცვლე-  
ბა: შვილი ხდება მისი პატრონი,  
მშობელს შვილის თანადგომა სჭირდ-  
ება... მსურდა, აქცენტი იმ ნამდვილ  
გრძნობაზე გამეკეთებინა, რაც ცხოვ-  
რებაში ყველაზე მნიშვნელოვანია.

### — მამა ფილმში მონაწილეობის იდეას როგორ შეხვდა?

— ამის შესახებ დიდი ხნის წინ  
ვუთხარი და დამთანხმდა. მართალია,  
დამლელი სამუშაოა, მაგრამ თავს  
ართმევს — ჩემს მითითებებს მედგრად  
ასრულებს.

### — შვილის როლის შემსრულე- ბლის შერჩევა გაგიჭირდა?

— ამ როლში ჯერ, ჩემი ბიძაშ-  
ვილი — გეგა ფალავანდიშვილი მინ-  
დოდა გადამელო, მაგრამ გეგა დაკავე-  
ბული გახლდათ. მერე თორნიკე გო-  
გრიჭიანი შევარჩიე.

### — შენ, გეგა და თორნიკე ერთ- მანეთს ჰგავხართ?

— გეგა ჩემთვის ძმასავითაა და  
ჩვენ შორის რაღაც მსგავსება ალბათ  
არსებობს. თორნიკე კი მსახიობების  
იმ მცირე რაოდენობას მიეკუთვნება,  
ვისაც როლის შესრულება გადამეტე-  
ბული თამაშის გარეშე, დამაჯერე-  
ბლად შეუძლია.

### — ფილმში სულ 3 პერსონაჟია. მესამე მსახიობი ვინ არის?

— მარია დოვგანი. სცენარი მე და  
დათო ჩუბინიშვილმა ერთად დავწე-  
რეთ. დათოსთან ოჯახში მოსამსახ-





ურედ, მზ წლის ქალი მუშაობდა. გაგვიჩნდა იდეა, რომ ფილმში მომე-  
ლელი ქალის როლი სწორედ მას  
შეესრულებინა: „რეალური“ პერსონა-  
ჟები ძალიან მიყვარს.

**— ფილმში შენი და მამის ცხოვ-  
რების რა მნიშვნელოვანი ეპიზოდუ-  
ბია ასახული?**

— ზოგადად, ფილმში მოთხრო-  
ბილი ამბავი ჩვენს ურთიერთობას  
ჰგავს, მაგრამ კონკრეტულ სცენებზე  
ამას ვერ ვიტყვი. მთავარი ის არის,  
რომ მშობლისა და შვილის ურთიერ-  
ობა შეიძლება, ლამაზად დაინცოს  
და ლამაზად დასრულდეს.

**— ამჟამად ფილმის გადაღება  
რა ეტაპზეა?**

— შუა ეტაპზე: 5 დღის განმავლო-  
ბაში სახლში ვიღებდით, შემდეგ —  
მანქანაში, მერე კი — ჯვრის მონას-  
ტრის მიმდებარე ტერიტორიაზე გა-  
დავიღებთ, სადაც ულამაზესი ადგი-  
ლებია...

**თორნიკე გობრიძანი:**

— ფილმში ჩემი პერსონაჟი ჩემთან  
„ახლოს“ არ არის: 35-40 წლის კაცის  
როლს ვასრულებ.

**— როლის მორგება გაგიჭირდა?**

— არა, უბრალოდ, ფილმში ბევ-  
რი ადამიანური პრობლემა, ურთიერ-  
ობაა ასახული, ურთიერთობა კი  
ცხოვრებაში ყველაზე რთულია. ჩემი  
პერსონაჟი მამისთვის ვერ იცლის,  
მაგრამ როცა ხვდება, რომ მშობლის  
ცხოვრების „დაისი“ დგება, ყვე-  
ლანაირად ცდილობს, მას ეს არ  
აგრძნობინოს.

**— ასაკობრივი სხვაობის გარდა,  
შენი პერსონაჟისგან რით განს-  
ხვადები? მისთვის დამახასიათებ-  
ლი პრობლემები შენთვის უცხოა?**

— ყველა მამაკაცის ცხოვრებაში  
აღბათ დგება ის პერიოდი, როცა

ცოლი მოჰყავს, შვილი უჩნდება და  
მშობელთან ურთიერთობისთვის ნა-  
კლებად იცლის, მაგრამ მსგავსი  
პრობლემის წინაშე მე ჯერ არ  
დავმდგარვარ: დროს ისე ვანანილებ,  
რომ ყველასთან (ვისთანაც მსურს)  
ურთიერთობას ვახერხებ... იმედია,  
ფილმი წარმატებული იქნება. პი-  
რადად მე, ამისათვის ყველაფერს  
გავაკეთებ, რაც შემიძლია — ძალ-  
ლონეს არ დავიშურებ!..

**სიზასტიანე იუზარი, პროდიუსერ-  
რი:**

— ჩვენი კომპანია „ადასტრა ფილმ-  
სი“ კანშია დაფუძნებული. თინათინ  
ყაჯრიშვილს იტალიაში, კინოფესტი-  
ვალზე შევხვდი. საქართველოსა და  
ქართული კინოს შესახებ მისგან შევ-  
იტყვე. თინათინმა ქართული მოკლე-  
მეტრაჟიანი ფილმები გამომიგზავნა,  
მათ შორის — თორნიკე ბზიავას  
„აპრილის სუსხი“, რომელიც ძალიან  
მომეწონა და გადავწყვიტე, მისთვის  
საფესტივალო დისტრიბუცია გამეწია.

„აპრილის სუსხი“ ფესტივალებზე სავ-  
მოდ წარმატებული აღმოჩნდა. კლერ-  
მონფერანის ფესტივალზე ჟიურის სპე-  
ციალური პრიზი მიენიჭა, რაც ფილმ-  
ისთვის დიდი წარმატებაა. შექმელი,  
რომ „აპრილის სუსხი“ ფრანგულ ტე-  
ლევარხს — ენ. „მესამე არხს“ ეყიდა.  
თორნიკე ბზიავას ნამუშევარმა სა-  
ფრანგეთსა და მთელ მსოფლიოში  
ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია —  
ფაქტობრივად, 6000 მოკლემეტრაჟიანი  
ფილმიდან 5 საუკეთესოს შორისაა.

**— ბზიავას ახალ ფილმზე —  
„ბუდეზე“ რას გვეტყვი?**

— ვიცოდი, რომ თორნიკე ახალ  
სცენარზე მუშაობდა. ფილმის ყიდვა  
„მესამე არხს“ შევთავაზე. ტელევიზი-  
ის მიერ ფილმის წინასწარ ყიდვა  
საფრანგეთში მიღებულია. ასე მოვი-

პოვე თანხა, რომლითაც საქართველო-  
ში ჩამოვედი და გადაღება დავიწყეთ.

**— სცენარმა რთი მოგხიზლა?**

— სცენარი რომ არ ნამეკითხა,  
თორნიკეს ფილმს პროდიუსერობას  
მინც გავუწვედი. მამისა და შვილის  
ურთიერთობაზე აღბათ ბევრი ფილმ-  
ია გადაღებული, მაგრამ „ბუდეში“  
ამბავი განსაკუთრებული სითბოთია  
გადმოცემული. სახლი, სადაც ფილმს  
ვიღებთ, თქვენთვის ჩვეულებრივია, მა-  
გრამ ჩვენ ისე მოვიხიზლეთ, რომ ერთ-  
გვარი აღმოჩენასავით იყო! მოკლედ,  
აქაურმა ატმოსფერომ ძალიან მომხი-  
ზლა და 100%-იანი გადანყვეტილება  
მივიღე, რომ ფილმის პროდიუსერი  
ვეოფილიყავი. „ბუდეში“ მოხუცი ად-  
ამიანის მოქმედებებს „მიყვებიო“, მა-  
გრამ ეს მოსანყენი არ არის: პერსონა-  
ჟის შინაგან სამყაროში „შევიდვართ“. სცენარში დაძაბული მომენტებია. მა-  
გალითად — ერთ-ერთ ეპიზოდში  
მომვლელი ქალი დანით ხელში ჩნდე-  
ბა... შეიძლება იკითხოთ, დანა რა  
შუაშიაო? მაყურებელი არ უნდა  
მოდუნდეს, ფილმის დასრულებამდე  
დაძაბული უნდა იყოს!.. თორნიკე ბზი-  
ავას ორივე ფილმი ძალიან პოეტურია.  
სამწუხაროდ, საფრანგეთში პოეტური  
კინო დაიკარგა.

**— სხვა უცხოელ რეჟისორებთან  
თუ თანამშრომლობთ?**

— კი, თითქმის სულ უცხოელ რე-  
ჟისორებთან ვმუშაობ. საქართველო-  
ში გამომგზავრებამდე, ერთ-ერთ  
ფილმზე ნიუ-იორკში ვიმუშავე. ფილმი  
სანდენსის და კლერმონფერანის ფეს-  
ტივალებზე იქნება ნაჩვენები. „ვაკეთებ“  
ასევე რუსულ, პაკისტანურ, მექსიკურ  
ფილმებს...

**— სუბასტიანე, ფილმის გადაღებ-  
ის პროცესზე რას გვეტყვი?  
ქართველები რამდენად ორგანიზე-  
ბულად მუშაობენ?**

— ფრანგებისგან განსხვავებით,  
ქართველები არ ნუნუნებენ. საფრან-  
გეთში, მ-საათიანი მუშაობის შემდეგ,  
ხალხი უკვე ნუნუნს იწყებს, აქ კი  
პირიქით: მუშაობას ადრე რომ ვასრუ-  
ლებთ, უკვირთ — რა ხდება, სახლში  
ასე ადრე რატომ გვიშვებთო?! ქართუ-  
ლი შემოქმედებითი ჯგუფის კინოსადმი  
დამოკიდებულება ძალიან მომწონს:  
მუშაობის პროცესში ყველა ჩართუ-  
ლია, ყველაფერს მთელი გულით აკეთე-  
ბენ... ერთადერთი, რაც ძალიან მაკ-  
ვირებს და მიმაჩნია, რომ სამარცხ-  
ვინოა, საქართველოში კინოსადმი  
სახელმწიფოს დამოკიდებულებაა.  
ქართველი რეჟისორის ქართულენო-  
ვანი ფილმისთვის საჭირო ფინანსებ-  
ის 100% ფაქტობრივად, საფრანგეთ-  
ში მოვიპოვე, აქ კი ერთი ლარითაც  
არავინ დაგვხმარებია...



ფილმი სანდენსის და კლერმონფერანის  
ფესტივალებზე იქნება ნაჩვენები

ქელონ ფარაგუას ფოტო



# ცხოვრება

## რატომ „გამოიქცა“ მარკუს მებრეველი საბერძნეთიდან

მარკუს მებრეველი არც ისე დიდი ხანაა, რაც ქართულ შოუბიზნესში გამოჩნდა, მაგრამ მსმენელების გული უკვე მოინადირა. როგორც მომღერალი ამბობს, მას უამრავი გეგმა აქვს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, ქართულ შოუბიზნესს აუცილებლად გამოაცოცხლებს.

**„სხვანაირი“ რომ ვყოფილიყავი, ანასაც ვალიარებდი**

*ელენე ბასილიძე*

### მარკო მებრეველი:

— თბილისში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ 90-იან წლებში, როცა ქვეყანაში სიტუაცია აირია, ჩემმა მშობლებმა ყველაფრის მიტოვება და

მა განავითარა. საზოგადოებასთან ურთიერთობა და ისიც, თუ როგორი უნდა იყოს ჩამოყალიბებული მომღერალი, აკადემიაში ვისწავლე. ხშირად მეკითხებიან, — თუ საბერძნეთში ასე დაიხვეწე, საქართველოში რაღა გინდოდაო? მერწმუნეთ, მას მერე, რაც აკადემია დავამთავრე, წამყვანი ბერძენი პროდიუსერებისგან ბევრი კარგი შემოთავაზება მივიღე და ცხადია, კარიერის აწყობის საწინააღმდეგო არაფერი მქონდა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ ისინი მხოლოდ ჩემი მუსიკალური ნიჭით არ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ჩემ მიმართ სხვა, პირადი დაინტერესებაც ჰქონდათ, ყველაფერზე უარი ვთქვი. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელიც საკუთარ ღირსებას ფულსა და პოპულარობაზე გაყიდის. მირჩევნია, ჩემი შემოქმედება პატარა საქართველოში გავაცნო ხალხს, ვიდრე გრანდიოზულ შოუბიზნესში ვილაცის მონა ვიყო... ტრადიციულ ოჯახში გაიზარდე, მაგრამ რადგანაც განსხვავებული იმიჯი მაქვს, ყველას ჰგონია, რომ „სხვანაირი“ ვარ და მწარედაც ცდებიან. თავისუფალი, დემოკრატი ადამიანი გახლავართ და მართლა „სხვანაირი“ რომ ვიყო, არც ამის



ალიარება გამიჭირდებოდა!  
— როგორც ვიცი, 2 წლის წინ საბერძნეთში, კონკურს „იქს-ფაქტორში“ მონაწილეობდი...

— დიას და სწორედ ამ კონკურსის შესარჩევ ტურზე გავიცანი ჩემი დუეტ-პარტნიორი — ნინი შერმადინი. როცა გავიგე, რომ ქართველი იყო, მასთან მივედი, ანკეტა შევავსებინე და უწინანსწარმეტყველე, — კონკურსში აუცილებლად მოხვდები-მეთქი. ასეც მოხდა. მე კი პროექტში შესვლისას კვარტეტში სიმღერა შემომთავაზეს, სოლისტი უნდა ვყოფილიყავი. ამ წინადადებას დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ თავიდანვე ვიცოდი, ჯგუფი მალევე დაიშლებოდა... უკვე 16 კონკურსანტს შორის ვიყავი, როცა სამშობლოში ჩამოსვლა გადავწყვიტე და პროდიუსერს ვუთხარი, რომ უკეთესი იქნებოდა, პროექტი პირველ „ლაივამდე“ დამეტოვებინა, რადგან შუა კონკურსის დროს ჩემი წამოსვლა არც იმ გუნდს ნაადგებოდა.

— საქართველოში ჩამოსულმა ყველაფერი ნულიდან დაიწყო?

— არა, ასე არ ყოფილა! საქართველოში პირველად ჯერ კიდევ 15 წლის წინ ვიმღერე; ჩემი კლიპი, რომელიც სიმღერაზე — „თავისუფლე-



როცა გავიგე, რომ ქართველი იყო, მასთან მივედი, ანკეტა შევავსებინე

საბერძნეთში წასვლა გადაწყვიტეს. 7-8 წლის ვიქნებოდი, როცა თბილისში ტანკი დავინახე და მასსოვს, ბავშვები მას ქილებს, ქვებს, ბოთლებს ვესროდით... სკოლა საბერძნეთში დავამთავრე, მერე კი საქართველოში დავბრუნდი და სამხედრო აკადემიაში ჩავაბარე. მეოთხე კურსზე გახლდით, როცა ისევ საბერძნეთში გამგზავრება და მომღერლის კარიერის აწყობა გადავწყვიტე. საბერძნეთში „ფეშენ“ და მუსიკალური აკადემია დავამთავრე, რომლის ხელმძღვანელი ჯული მასინო გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნული შოუბიზნესი ამ ქალბატონ-



რადგანაც განსხვავებული იმიჯი მაქვს, ყველას ჰგონია, რომ „სხვანაირი“ ვარ



# ვებარანი „მიმინოების“ ცხოვრება საარსებო მიწიშუბის ზღვარზე ანუ „ია სორიუ ლეტატ!“

გაგიკვირდებათ, მაგრამ სწორ შემთხვევაში, მათი სამუშაო სტაჟი მათსავე ასაკს ბევრად აღემატება. ვინაიდან მფრინავის პროფესია დიდ რისკთან და ემოციასთანაა დაკავშირებული, ამიტომ თვითმფრინავის შტურვალთან გატარებული ყოველი წელი მფრინავს ორი წლის სტაჟში ეთვლება; შესაბამისად, ის სხვებზე ადრე ტოვებს პროფესიულ საქმიანობას და პენსიაზე გადის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მფრინავების უმეტესობა კარიერას ენ. პროფესიული დაავადებით, სმენის დაქვეითებით ასრულებს, ზოგს კი ავიაკატასტროფის შედეგად მიყენებული ტრავმები ახსენებს ჰაერში გატარებულ წლებს.

## კმა ტუნიკაშილი

**აბაჰი ბითაჰი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული პილოტი:**

— ამბობენ, რომ ბოლო დროს საქართველოში კვალ-იფიცირი მფრინავების დეფიციტია და ამ მოსაზრებას აბსოლუტურად ვეთანხმები, მაგრამ ეს იცით, რისი ბრალია? — იმის, რომ ქართველი მფრინავების ანაზღაურება სულ უფრო მცირდება. აი, წლებ-ის წინ კი ყველაფერი სხვაგვარად იყო — მფრინავის პროფესია პრესტიჟული გახლდათ და შესაბამისად, საფრენოსნო სასწავლებელში ჩაბარება საკმაოდ რთული იყო... პირადად მე, სკოლის დამთავრების შემდეგ კომის-არიატში მივედი და ვუთხარი, რომ მინდოდა, მფრინავი გაევხდარიყავი. სასწავლებლად რუსეთში, სარატოვის ოლქში გამგზავნეს. ქალაქ ბალაშოვ-ში სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებელი ჯერ კიდევ ომამდე არსებობდა და იქ ბევრი ცნობილი მფრინავი გამოზარდეს. ჩემთან ერთად სწავლობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები, რომელთაგან ბევრმა რუსულიც არ იცოდა და მათ ლექციებს მე ვუთარგმნიდი. ერთი მესტიელი მეგობარი მყავდა, ცხოვნებული ჭიჭიკო გამყრელიძე, რომლის ოჯახს მატერიალურად ძალიან უჭირდა და ამიტომაც გადაწყვიტა, მფრინავის პროფესიას დაუფლებოდა. სასწავლებელში რომ მიეღოთ, ჯერ შესაბამისი კომისია უნდა გაეწყო, მაგრამ რუსულად ერთი სიტყვაც არ იცოდა და მთხოვა, რამდენიმე სიტყვა მაინც მასწავლო. მეც, ფურცელზე ქართული ასოებით დავუწერე: „ია ხაჩუ ლეტატ!“. ჭიჭიკომაც ეს სამი სიტყვა დაიბუპირა და კომისიის წევრების



რა დაავაშავთ ქართველმა მფრინავებმა, მთავრობა ასე რომ გვექცევა?..

მიერ დასმულ ყველა კითხვას ასე პასუხობდა, — ფრენა მინდაო (იცინის).. თავდაპირველად პატარა თვითმფრინავების მართვას გვასწავლიდნენ, შემდეგ კი რეაქტიულსაც გვანდობდნენ. მახსოვს, 1956 წელს დაფრინავდი თვითმფრინავით, რომელსაც „მფრინავი ციხესიმაგრე“ ერქვა და ფაქტობრივად, ამერიკული თვითმფრინავი იყო: სტალინის ბრძანებით, საბჭოთა კონსტრუქტორებმა მისი აგებულება შეისწავლეს და ანალოგი შექმნეს... 1970 წელს შეიარაღებული ძალების შემცირება მოხდა და სამხედრო ავიაციიდან სამოქალაქო ავიაციაში გადამიყვანეს...

ერთ ამბავს მოგიყვებით: 1970 წლის 4 აპრილს თბილისიდან რუსეთის მიმართულებით „ილ 14“ აფრინდა. ბორტინჟინერი ჩემი მეგობარი, გივი ლობჟანიძე იყო. ზაპოროჟიეში ცუდი ამინდი გახლდათ, ნისლი ჩამონოლილიყო. პილოტმა განათებული ზოლი ვერ დაინახა, მინაზე ნაადრევად დაემ-ვა და ავიაკატასტროფა განიცადა, შედეგად კი კაპიტანი და 11 მგზავრი დაიღუპნენ. რაც შეეხება გივის, ის სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩა — ყველა ძვალი დამტვრეული ჰქონდა და შეიძლება ითქვას, რომ ექიმებმა თავიდან ააწყვეს. მიღებუ-

ბა“ გადავიღე, გადაცემა „კომუნიკატორმა“ და „მელომანიამ“ დაატრიბულა. ჩემმა სიმღერებმა ეთერში მხოლოდ 1 თვის განმავლობაში იტრიბულა, მერე კი აქედან ისევ საბერძნეთში წავიდი... მოკლედ, საქართველოში ბევრი ახლო მეგობარი მყავდა, ბევრ მომღერალსაც ვიცნობდი და შესაბამისად, მუშაობა ნულიდან ნამდვილად არ დამიწყია.

— დღეს როგორ შეაფასებ ქართულ შოუბიზნესს?


— ქართულ შოუბიზნესს განვითარება ესაჭიროება. ძალიან ბევრი ნიჭიერი მომღერალი გყავს, მაგრამ მათ უმეტესობას კომპლექსი აქვს, სცენაზე ცეკვა არ შეუძლია; არაჩვეულებრივი ვოკალური მონაცემების მქონე ბიჭები ცდილობენ, სცენაზე არასექსუალურები იყვნენ. ეს იცით, რისი ბრალია? თუ ქართველი მამაკაცი სცენაზე სექსუალურად იცეკვებს, ის შეიძლება, ორიენტაციარეულად მიიჩნიონ... სცენაზე გამოსვლისას მხოლოდ პირის გაღება არ კმარა. მსოფლიო დონის მომღერლებს რომ დავუმსგავსოთ, ამისთვის დიდი მუშაობაა საჭირო. რამდენიმე ქართველი მომღერალი ცდილობს, იყოს დახვეწილი და სიმართლე გითხრათ, ეს კარგადაც გამოდის.

— სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?

— მალე ჩემი და ნინა წკრიალაშვილის კლიპის პრეზენტაცია შედგება და საზოგადოება ჩვენი ნამუშევრის შეფასებას შეძლებს. ბევრი სხვა გეგმაც მაქვს, რომლის განსახორციელებლად ძალას არ დავიშურებ.

— წარმატებებს გისურვებ!

— დიდი მადლობა. იმედია, მიზანს მალე მივაღწევ და ქართველ მსმენელს გავახარებ.



თუ ქართველი მამაკაცი სცენაზე სექსუალურად იცეკვებს, ის შეიძლება, ორიენტაციარეულად მიიჩნიონ...



ლი ტრავმების გამო, 33 წლის ასაკში იძულებული გახდა, პენსიაზე გასულიყო, დღეს კი მისნაირი ადამიანები აღარავის ახსოვს...

1981 წლის ნოემბერში მსგავსი რამ მეც შემემთხვა: ფრენისას მწყობრიდან გამოვიდა სტატიკა და დინამიკა,

მფრინავად მუშაობის 62-წლიანი სტაჟი მაქვს



სალონს ჟანგბადი აღარ მიენოდებოდა. მოკლედ, იძულებული გახდით, თვითმფრინავი სათადარიგო მართვაზე გადაგვეყვანა, ასეთ დროს კი დარტყმის ძალა ისეთი ძლიერია, რომ ეკიპაჟის წევრები ძირს დავენარცხეთ. კატასტროფა თავიდან კი ავიცილეთ, მაგრამ იმ რეისიდან ყველა შერყეული ჯანმრთელობით დავბრუნდით... გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, საბჭოთა კავშირის ქვეყნების გარდა, ავიარეისებს საზღვარგარეთაც — გერმანიაში, მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში — ვასრულებდით. მასხოვს, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მუშა მდგომარეობაში მყოფი თვითმფრინავები ჩამოწერეს, დაჭრეს და ჯართად გაყიდეს — ამდენი სიმდიდრე გაფლანგეს, მაგრამ ამის გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ. ქართველ მფრინავებს პენსია — 8 ლარი დაგვინიშნეს, შემდეგ 14 ლარამდე გაგვიზარდეს. მოგვიანებით, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, ხელისუფლებამ ყოველთვიური სარჩო დაგვინიშნა, რომელიც მხოლოდ მკურნალობის ხარჯებს ფარავდა, მაგრამ მერე ეს ფულადი დახმარებაც გაგვიუქმეს. ახლა 108-ლარიანი პენსიის ანაბარად ვართ დარჩენილები. ეს კი, მოგეხსენებათ, საარსებო მინიმუმზე ნაკლებია და ასეთ პირობებში ექიმთან მისვლასაც ვერ ვახერხებთ. ჰოდა, მატერიალური პრობლემების გამო, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 15 ინვალიდი ავია-

ტორი დაგვეღუპა! ჩვენი უკრაინელი მეგობრები და კოლეგები სახელმწიფოსგან 800-1.000 დოლარამდე შემწივობას იღებენ, აზერბაიჯანში კი ყოფილი პილოტების პენსია 1.200 დოლარის ეკვივალენტია. ჰოდა, რა დავაშავეთ ქართველმა მფრინავებმა, მთავრობა ასე რომ გვექცევა?..

**გიორგი ხარღია,**

*ვეტერანი მფრინავი:*

— სამწუხაროა, მაგრამ ჩვენი მფრინავები აფრიკაში დაფრინავენ, ხოლო ქართულ ხომალდებს უცხოური ეკიპაჟები მართავენ... 3000 საათი მხოლოდ ღამე მიფრენია. ყოველი ფრენა თუ დაჯდომა დიდ ენერჯიას, ნერვებს მოითხოვს, ამას კი დანახვა, პატივისცემა უნდა. ჩემს ბევრ კოლეგას ამოუცნობი მფრინავი ობიექტიც არაერთხელ უნახავს. მაგალითად, „ტუ 134“-ის (რომელიც ტალინში მიფრინავდა და

ხომალდის მეთაური — ვოვა გოცირიძე მართავდა) ეკიპაჟმა ამოუცნობი მფრინავი ობიექტი შენიშნა. ამ შემთხვევიდან სულ მალე, ვოვა უცნობი დაავადებით გარდაიცვალა. აი, ასეთი რისკიანი ცხოვრება გვექონდა, მაგრამ სიბერეში სახელმწიფოსგან ელემენტარულ პატივისცემასაც ვერ ვეღირსეთ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ეკონომიკის სამინისტრომ სუთი მინისტრი გამოიცვალა და ჩვენი გასაჭირის შესახებ ხუთივეს მივმართეთ, მაგრამ პასუხი არც ერთმა არ გვადირსა...

**ალფრედ მებრეველი,** *ვეტერანი მფრინავი:*

— მფრინავად მუშაობის 62-წლიანი სტაჟი მაქვს, ჰაერში 15 ათასი საათი გავატარე, ხოლო მას შემდეგ, რაც პენსიაზე გავდი, ავიაციაში კიდევ 25 წელი ვიმსახურე. გამოდის, რომ საერთო ჯამში, 87-წლიანი სამუშაო სტაჟი დამიგროვდა. ექსტრემალური სიტუაციის მეტი რა მინახავს? ერთხელ, დაჯდომამდე ორი ნუთით ადრე, თვითმფრინავის ძრავას ცეცხლი გაუჩნდა, ერთი ძრავა გაითიშა და კიევის აეროპორტში ჩვენს მიღებაზე უარი განაცხადეს; გვითხრეს: სიმალლე

აილეთ, ოდესაში გაფრინდითო. მადლობა ღმერთს, იმ დღეს ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა და ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი დაესვით, მაგრამ ხომ შეიძლება, ყველაფერი სხვაგვარად დამთავრებულიყო?.. ერთხელ კიდევ, მოსკოვიდან თბილისში მოფრინავდით, კომპოზიტორები ყრილობიდან მოგვეყავდა და თვითმფრინავის შასი განყდა. ასეთ პირობებში თბილისამდე ფრენა ვერ გავრისკეთ და ლენინგრადისკენ ავიღეთ გეზი. აეროპორტში გველოდნენ, მაგრამ დიდი იყო შანსი იმისა, რომ დაჯდომისას თვითმფრინავს ცეცხლი გასჩენოდა და აფეთქებულიყო. კარგად მახსოვს, 1968 წლის 22 დეკემბერი იდგა. გადავრჩებოდით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავის დახრილ მდგომარეობაში დასმას შევძლებდით. ღვთის წყალობით, მინაზე უსაფრთხოდ დავეშვიტით... სტატისტიკის თანახმად, მფრინავის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 49 წელია, მე და ჩემმა მეგობრებმა კი 70-ს გადავაბიჯეთ და ახლა რა ვქნათ, ამის გამო უნდა დავისაჯოთ?.. რაც შეეხება მფრინავთა დეფიციტს, ვითარება მომავალში



უფრო გართულდება; თუ ხელისუფლება სამოქალაქო ავიაციის მიმართ დამოკიდებულებას ძირეულად არ შეცვლის, მალე აღარც მფრინავი გვეყოლება და აღარც ავიაცია გვექნება. არადა, ჩვენი სამოქალაქო ავიაციის პილოტები და ტექნიკური პერსონალი ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის პირველი კატეგორიის რეზერვს — „ოქროს ფონდს“ წარმოადგენდნენ... დამერწმუნეთ, ვინც ქართველი ვეტერანი პილოტების ყოფას იხილავს, მას დიდ ავიაციაში წასვლა ნამდვილად არ მოუხდება!



# „ფერმა“ ანუ კომპიუტერული თავაშის გამო დასანებრეპად განწირული ოჯახები

დიდი ხანია, რაც სხვადასხვა ინტერნეტ-გვერდზე თამაში — „ფერმა“ გამოჩნდა და უკვე მისი უამრავი ვერსიაც არსებობს. თამაშის წესი ასეთია: თუ ადამიანი მცენარეებს და ცხოველებს მოუფლის, გარკვეულ თანხას დააგროვებს; შედეგად კი ახალი ცხოველების, მცენარეების ყიდვას შეძლებს — ანუ შესაძლოა, „ფერმის“ წყალობით მილიონერიც კი გახდეს. მთავარია, დრო და სურვილი გქონდეს, თორემ ვირტუალური ცხოველებისა და მცენარეების მოვლა მთელი დღის მანძილზე შეგიძლია. ეს თამაში დაუსრულებელია. უნდა ვაღიარო, ამგვარი გასართობებით მეც ხშირად ვიქცევ თავს, მაგრამ თუ ამის გამო ოჯახის წევრების განაწყენება ან სულაც, მეუღლესთან დაშორება იქნებოდა შესაძლებელი, ვერ წარმომედგინა...



გასაკვირია, რომ მისმა პასუხებმა არაერთხელ გამომიყვანა წონასწორობიდან და ოჯახის წევრებს ბევრჯერ დასჭირდათ „სასწრაფო დახმარების“ გამოძახებაც, მაგრამ რად გინდა, ლიკა მხოლოდ რამდენიმე საათით მოდის აზრზე, მერე კი ისევ „ფერმაზე“ იწყებს ფიქრს. ჩემი შვილი ლამის 3-4 საათამდე კომპიუტერს უზის და ოჯახის წევრებს ძილის საშუალებასაც არ გვაძლევს — მყუდროებას ვირტუალური ცხოველების ღმუილი გვიფრთხობს, მაგრამ ხმის ამოღების უფლებაც არ გვაქვს — როგორც კი ამას გავაპროტესტებთ, მაშინვე ჩხუბს იწყებს; სამაგიეროდ, თუ თავად სძინავს და ბავშვი ატირდება, ნერვები ეშლება და ამ თითისტოლა ბიჭს ეჩხუბება, სცემს, — რატომ არ იძინებო?! პედაგოგი ვარ და როცა სამსახურში მივდივარ, მოსწავლეებისთვის

გაკვეთილის ასხნის დროსაც კი უმცროსი შვილიშვილზე ვფიქრობ. უფროსი საბავშვო ბაღში დადის და გული მშვიდად მაქვს, რადგან ვიცი, იქ მანც აჭმევენ რამეს, უმცროსი კი დედასთან ერთად, შინ მარტო რჩება და ამიტომაც, ლიკას დღის განმავლობაში უამრავჯერ ვურეკავ, იმის გასარკვევად, ბავშვს საჭმელი აჭამა თუ არა... კიდევ კარგი, ჩემთან არიან, თორემ ლიკა ქმრის ოჯახში რომ ცხოვრობდეს, წარმომიდგენია, რძლის უზნეობის გამო დედამთილი რა დღეშიც ჩავარდებოდა. ოჯახში ლიკასნაირი რძალი რომ შემომივიდეს, აუცილებლად გავგაგებ, მაგრამ საკუთარ შვილს საამისოდ ვერ ვიმეტებ. ალბათ, ერთ დღეს ავიღებ ამ კომპიუტერს და ფანჯრიდან გადავაგდებ, მეტის ატანა აღარ შემიძლია!..  
სამწუხაროდ, ქალბატონი ნანა ვერაფრით ვანუგეშე, მეტიც — მათი სახლიდან გაოგნებული წამოვედი, მერე კი „ფერმომანიით“ შეპყრობილი ხალხის ძებნა დავინეყე. სხვათა შორის, ასეთი ადამიანები დიდხანს ნამდვილად არ მიძებნია, რადგან აღმოჩნდა, რომ ეს პრობლემა ჩემს სამეზობლოშიც ბევრ ოჯახს აწუხებს...

### ნათია ჟიჟია

ამას წინათ მეზობელთან, საქმეზე შევედი. ლიკა კომპიუტერს უჯდა და „ფერმას“ თამაშობდა, ჩემთვის ყურადღებაც არ მოუქცევია. მანც გამოველაპარაკე — მე რაღაცას ვუყვებოდი, ის კი მხოლოდ თავს მიქნევდა. ბოლოს მივხვდი, რომ ჩემი ნათქვამიდან სიტყვაც არ გაუგონია და შინ წასვლა გადავწყვიტე. ამასობაში დედამისმა დამიძახა და თავისი პრობლემის შესახებ შემომჩივლა.

**ნანა, 64 წლის:**  
— ამ „ფერმა“ დამლუბა, შვილო. ლიკა 24 საათის განმავლობაში კომპიუტერთან ზის და სხვა არაფერი აინტერესებს. ხომ იცი, ორი ჯაყი ჰყავს — 5 და 1 წლის, მაგრამ არც ერთ შვილს იმდენ ყურადღებას არ უთმობს, რამდენსაც იმ „ფერმის“ ცხოველებსა თუ მცენარეებს. უფროსს თუ მოშვიდება, იტყვის, დედას შეანუხებს, მაგრამ თუ ის ყურადღებას მანც არ მიაქცევს, პურს მოიტეხავს და შეჭამს, მაგრამ უმცროსმა რა ქნას, არც ლაპარაკი რომ არ შეუძლია და არც დამოუკიდებლად ჭამა?! როცა ლიკას რაიმეს გაკეთებას ვთხოვ, მეუბნება, — რა დროს ეგ არის,

ძალდი ან ძროხა მყავს მშვიერი და კომპიუტერისკენ გარბის. დავიჯერო, ის ძალდი და ძროხა უფრო საყვარელია, ვიდრე მისი შვილები? ნახე, რამდენი ოთახის ყვავილი მაქვს და ლიკა მათ ნახევარ ჭიქა წყალსაც არ დაუხსამს, მაგრამ თუ „ფერმაში“ რომელიმე მცენარე გაუხმება, სევდიანი სახით მამცნობს, — ესა და ეს ყვავილი გამიხმაო. ამ არარეალური ცხოველებისა და მცენარეების მოვლას, რეალურს მოუაროს, არ სჯობია? ამას რომ ვუბნები, მპასუხობს: — იქ მათ მოვლაში ფულს მიხდიანო! კი, მაგრამ საკუთარი შვილების მოვლაში ვინმემ ფული უნდა გადაუხადოს ან რასაც იქ აძლევენ, რეალურია? ჰოდა, რა

**ლალი, 58 წლის:**  
— მეგონა, ამ დასაწავი „ფერმის“ პრობლემა მხოლოდ მე მანუხებდა. მშვენიერი რძალი მყავდა, მაგრამ მას მერე, რაც ინტერნეტში ეს თამაში გამოჩნდა, ძალიან შეიცვალა... ჩემს ვაჟსა და რძალს ორი შვილი — ქალ-ვაჟი ჰყავთ. ჩვენ ყოველთვის ერთად ვცხოვრობდით და ერთმანეთს უსიტყვოდ ვუგებდით; როცა ცოლ-ქმარი სამსახურში მიდიოდა, ბავშვებს მე



ვუვლიდი, მაგრამ შინ დაბრუნებული რძალი საოჯახო საქმეების კეთებაში მესმარებოდა.

კომპიუტერი წლების წინ შევიძინეთ. აქამდე ამ აპარატურის გამო ოჯახში



არავის უჩხუბია, მაგრამ მას მერე, რაც რძალმა „ფერმის“ თამაში დაიწყო, ჩემს 17 წლის ქალიშვილსა და მას შორის პირველი კონფლიქტი მოხდა: რძალს თურმე მცენარეები უხმებოდა, ქალიშვილს კი ჩეთაობა სურდა და ამის გამო იკამათეს. მაშინ რძლის მხარე დავიჭირე, შვილს კი გაუზრუნავი, — უამრავი სამეცადინო გაქვს და რა დროს კომპიუტერიამეთქი?! მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ცუდად მოვიქეცი — რძალი „ფერმამ“ ისე ჩაითრია, რომ ქმარიც დაავინწყდა და შვილებიც; როგორც კი სამსახურიდან ბრუნდებდა, მაშინვე კომპიუტერთან ჯდებდა და თამაშს იწყებდა, მეტიც — ხშირად ქურთუკის გახდაც კი ავინწყებდა; კერძის მომზადებას ვინ ჩივის, აღარც ჭამს. როცა სამსახურიდან შინ დაბრუნებული მეუღლე სთხოვს: რამე მაჭამეო, პასუხობს, — დედაშენი მოგხედავსო და თამაშს აგრძელებს. მერწმუნეთ, ის ასეთი უყურადღებო არასოდეს ყოფილა, პირიქით — ყოველთვის ვამაყობდი იმით, რომ თბილი და მოსიყვარულე რძალი შემხვდა, ახლა კი ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ ამ გატაცების გამო ქმართანაც უსიამოვნება აქვს. ვუბნები, — ეგ შენი „ფერმა“ სამსახურში ითამაშე, შინ დაბრუნებულმა კი ოჯახს მიხედე, თორემ ყველაფერი ცუდად დასრულდება-მეთქი. იცით, რას მპასუხობს? — სამსახურში ასეთი საიტები დაბლოკილია. თანაც, სად გინახავს, „ფერმის“ გამო ოჯახი დანგრეულიყოსო?!


ერთხელ ჩემი ვაჟი ისე გამწარდა, რომ კომპიუტერის მონიტორი კედელს მიანარცხა, მაგრამ რძალმა მეორე დღესვე, შინ ახალი მონიტორი მოათრია. ჩემი შვილი იმუ-

ქრება: ამჯერად არა მარტო მონიტორს, არამედ ყველაფერს გადავყრი და თუ ახალ კომპიუტერს მოიტან, შენს მშობლებთან მიგაბრძანებო! ისე, ცოდვა გამხელილი ჯობს და მეც ძალიან მიინდა, ოჯახში კომპიუტერი აღარ გვქონდეს — ჯერ ერთი, რძლის გამო და მეორეც, ჩემი აბიტურიენტი ქალიშვილი, იმის ნაცვლად, რომ გამოცდებისთვის ემზადებოდეს, მთელი დღე ჩეთაობს. იმედია, შვილიცა და რძალიც მალე აზრზე მოვლენ და ნორმალურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან...

**მარინა, 46 წლის:**

— ამ კომპიუტერმა დამლუპა, არადა, როგორც კი ქართველებმა კომპიუტერის არსებობის შესახებ შევეიტყვეთ, მის შექმნაზე ვოცნებობდი და მეუღლეს გამუდმებით ჩავჩიჩინებდი, — შვილებს კომპიუტერს თუ ვუყიდით, უფრო ნაკითხები და განათლებული იქნებიან, მისი მეშვეობით ბევრ საინტერესო ინფორმაციას გაიგებენ-მეთქი. მართალია, ქმარი მეუბნებოდა, — თუ გინდა, განათლებული შვილები გყავდეს, მათ წიგნის კითხვა აიძულეო, მაგრამ კომპიუტერის შესაძენად ფულს ჩემთან ერთად, „კაპიკ-კაპიკ“ აგროვებდა. არ იფიქროთ, თითქოს შვილებს წიგნის კითხვას არ ვთხოვდი; თავიანთი მეგობრე-

ბისგან განსხვავებით, ისინი ახლაც ბევრს კითხულობენ, მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულები არიან, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპიუტერი შევიძინეთ, ცხადია, ისეთი რალაცებიც ისწავლეს, რასაც წიგნებში ვერ ამოიკითხავდნენ... მას შემდეგ, რაც ბავშვებმა კომპიუტერი აითვისეს, გაცნობის უამრავი საიტიც აღმოაჩინეს, რითიც მე და ჩემი მეუღლეც დავინტერესდით, რადგან ვირტუალურ სამყაროში უამრავი ძველი ნაცნობ-მეგობარი ვიპოვეთ და მათთან ურთიერთობა განვაახლეთ; მერე ათასგვარი თამაში აღმოვაჩინეთ, „ფერმითაც“ დიდად დავინტერესდით და ბავშვებს ვთხოვეთ, საჭირო საიტებზე შესვლა ჩვენთვისაც ესწავლებინათ — როცა ისინი სკოლაში იყვნენ, ცხოველებს მოვლა-პატრონობა ხომ უნდოდათ?.. ახლა ვნანობ, რომ ეს „აპარატი“ ვიყიდეთ. გოგონა უკვე აბიტურიენტიცა, ბიჭი კი მეთექვსმეტე კლასში სწავლობს ანუ ფაქტობრივად, ისიც უნივერსიტეტში ჩასაბარებლად უნდა ემზადებოდეს, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ წიგნები იკითხონ და იმეცადინონ, სულ კომპიუტერთან სხედან და „ფერმას“ თამაშობენ; ერთმანეთს ისეთ რალაცებს ეუბნებიან, გაოგნებული ვუსმენ ხოლმე. მაგალითად, გოგო ეუბნება, — ერთი „მტუკატურკა“ და ერთი „დოსკილა“ მაკლია და მიშველუო; ბიჭი კი პასუხობს: შენ „ტრუბები“ და „სტეკლოები“ გამომიშვი და მეც გამოვიგვიშვიო. როგორც გავარკვიე, რალაცებს „აშენებენ“ და ერთმანეთს საჩუქრებად სამშენებლო მასალებს უგზავნიან, მერე კი ჩხუბობენ, — რამდენი ხანია, აქ ზიხარ, მე კი ამასობაში ყველაფერი გადამიხმაო. შემდეგ ბიჭი გოგოს ან გოგო ბიჭს თმას მოქაჩავს, მერე ის ჩაარტყამს და სანამ საქმეში მოშობლები არ ჩავერევი, ჩხუბობენ, ერთმანეთს ხოცავენ. ჰოდა, ერთხელ მამა ისე გააბრაზეს, რომ კაცმა, რომელსაც მანამდე შვილებისთვის თითიც არ ჰქონდა დაკარებული, ამხელა ბავშვებს სცემა, თან — გააფრთხილა: კომპიუტერს არც ერთი არ მიეკაროთ, თორემ გადაგიგდებთო! ამ მუქარამ ვითომ გაჭრა, მაგრამ ერთ ღამეს ხმაურმა გამაღვიძა და როცა ბავშვების ოთახში გავედი, დავინახე, რომ ერთმანეთს თმას აგლეჯდნენ. თურმე, როგორც კი დავიძინებდით, მაშინვე დგებოდნენ და „ფერმას“ თამაშობდნენ, მაგრამ იმ ღამეს რალაცაზე ვერ მოილაპარაკეს და იჩხუბეს. ეს ბოლო წვეთი იყო — მას შემდეგ ინტერნეტის ფულს აღარ ვიხდი... თბილისთან ახლოს, უჯარმაში პატარა ნაკვეთი გვაქვს და მას შემდეგ მეუღლეს ბავშ-





ვები ყოველ შაბათ-კვირას, იქ მიჰყავს; მათ აიძულებს მიწა დაბარონ, მოთონონ, მცენარეები დათესონ და მოუარონ. პატარა ძაღლიც ვიყიდე, რომელიც ჩვენს არყოფნაში ეზომი არავის უშვებს. აი, ასე ვუქცევთ შვილებს ვირტუალური ფერმა რეალურად. მართალია, ფიზიკურად შრომა დიდად არ ეხალისებათ, ხვნაც და თესვაც თითის დანკაპუნებით ურჩევნიათ, მაგრამ მათ ამის საშუალებას ნამდვილად აღარ მივცემთ...

**წინა, 20 წლის:**

— საკმაოდ პატარა, 16 წლის გავთხოვდი და რა გასაკვირია, რომ არანაირი საოჯახო საქმის კეთება არ ვიცოდი, ყველაფერი ჩემი დედამთილის კისერზე იყო. ვიდრე ჩემი ქმარი სამსახურში იყო, მე ინტერნეტში შევდიოდი, მეგობრებსა და უცნობებს ვწაიბარებოდი; მათი უმეტესობა ხშირად მეუბნებოდა, — ველარ დაგეღაპარაკები, რადგან ძალი მშიერი მყავს, მცენარეებიც უნდა მოვრწყაო. ამ თამაშით მეც დავეინტერესდი და „საკუთარი ფერმა“ გავხსენი, რომელმაც ისიც კი დამავეინა, რომ ქმარი მყავდა და ვირტუალური ცხოველების მოვლის ნაცვლად, საოჯახო საქმის კეთება უნდა მესწავლა. ამის გამო, ჯერ დედამთილთან შემექმნა პრობლემა, რომელმაც ცოტა ხანს მითმინა, მერე კი ჩემს მშობლებს შესჩვილა, — „ფერმაში“ ცხოველებს კარგად უვლის, მაგრამ საკუთარი ქმრის მოვლის სურვილი არა აქვსო. მშობლები გამიბრაზდნენ, მაგრამ მე მაინც ჩემსას ვაგრძელებდი. მერე ეს „ფერმა“ ქმარსაც ყელში ამოუვიდა და მითხრა, — ან თამაშს მიატოვებ, ან დაგშორდებიო. ვუთხარი: შენ ეტყობა, ჩემთან დაშორება გინდა და საბაბს ეძებმეთქი. მერე კი, ვითომ გაბრაზებული, მისი სახლიდან წამოვედი. მეგონა, რამდენიმე დღეში მოვენატრებოდი და მომავითხავდა, მაგრამ მწარედ შევცდი. აი, ასე უაზროდ დამენგრა ოჯახი, რის გამოც მშობლები დღემდე მსაყვედურობენ. მართალია, ძალიან გვიან, მაგრამ რაც მთავარია, მივხვდი, რომ ეს ყველაფერი სისულელეა და ახლა კომპიუტერს ძალიან იშვიათად, ისიც, რაღაც ინფორმაციების მოსაძიებლად თუ ვიყენებ...

იმის გასარკვევად, თუ რა ინვესტირებული თამაშებით ასეთ დაინტერესებას, ფსიქოლოგ **მარინა რახვიაშვილს** დაუკავშირდი:

— ეს უბრალოდ მავნე ჩვევა, აზარტია, რომელთან ბრძოლაც ნებისმიერ ადამიანს, ყოველგვარი მკურნალობისა და ფსიქოლოგის ჩარევის გარეშე შეუძლია, მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ ამ მავნე ჩვევისგან გათა-


ვისუფლება არ სურთ, რადგან მსგავსი გასართობებით თავის შექცევისას ყველანაირი საქმე და პრობლემა ავინწყდებათ; „ფერმის“ და თუნდაც, სხვა კომპიუტერული თამაშების წყალობით აბსოლუტურად სხვა სამყაროში გადადიან, რეალობისგან ისვენებენ, მერე კი ამ თამაშზე ისეთივე დამოკიდებული ხდებიან, როგორც ვთქვით, ყავაზე ან სიგარეტზე. აი, მაგალითად, თქვენ ხომ შეგიძლიათ, დღის განმავლობაში ყავა არ დალიოთ?

**— არა მგონია, რადგან უყავო ბა თავის ტკივილს ინვესტ...**

— ეს თქვენ გგონიათ, რომ თუ ყავას არ დალევთ, თავი ატკივდებათ, მაგრამ სინამდვილეში, ამაზე თუ არ იფიქრებთ და ყავას გამაჯანსაღებელი ვარჯიშით ჩაანაცვლებთ, თავის

ტკივილს ვერ იგრძნობთ... თუ კომპიუტერულ გასართობებზე დამოკიდებული ადამიანები შეიძენენ პატარა ლეკვს ან კნუტს, ოთახის მცენარეებს და მათ მოუვლიან, ხოლო ინტერნეტის ნაცვლად ინფორმაციის წყაროდ გამოიყენებენ წიგნებს, მერწმუნეთ, მათი კომპიუტერზე დამოკიდებულება გაქრება...

*P.S. იმედი მაქვს, რომ „ფერმომანიით“ შეპყრობილი „გზის“ მკითხველები ჩემი რესპონდენტების თავგადასავლებსაც გაითვალისწინებენ, ფსიქოლოგის რჩევასაც და „ფერმის“ თამაშის ნაცვლად, სხვა, რაიმე უფრო სასარგებლო საქმიანობას მოჰკიდებენ ხელს...*





# პატარა ბიჭუნას ტრაგედია

„მას ტერფები შებრუნებული აქვს...“

გიგა მცხრიკაძე ჯერ მხოლოდ წლისა და 4 თვისაა, მაგრამ უკვე დიდი პრობლემის წინაშე დგას — მას ფეხის ორივე ტერფი შებრუნებული აქვს და ამ დეფექტის გამოსასწორებლად სასწრაფოდ, ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ მის ოჯახს, რომელიც სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება, ამის საშუალება არა აქვს.

### ნათია ჟივიკა

**ელა გაბიაშვილი, გიგას დედა:**

— გიგა ჩემი ერთადერთი შვილია. მისი დაავადება ექიმების არასწორი დიაგნოზისა და მკურნალობის ბრალია. ახალი გათხოვილი ვიყავი, როცა ეჭვი გამიჩნდა და ვთქვი, — ორსულად ვარ-მეთქი, მერე კი ექიმთან წავედი. საავადმყოფოში ექოსკოპია გადამიღეს და მითხრეს, — ორსულად კი არ ხარ, საკვერცხეების ანთება გაქვსო და უამრავი წამალი დამინიშნეს. ორი თვე ვიმკურნალე, მაგრამ მერე ისევ შემეპარა ეჭვი, რომ ორსულად ვიყავი და ექიმთან მივედი. ისევ ექოსკოპია გადამიღეს და, — 3 თვის ორსული ხარო...

უკვე 9 თვის ფეხმძიმე გახლდით, როცა მშობლებთან, ახმეტაში წავედი და იქვე ვიმშობიარე. ჯერ ისევ სამშობიარო ბლოკში ვიყავი, როცა კრუნჩხვა დაემართა. ვინაიდან ექიმებ-



მა გონს ვერ მომიყვანეს, რეანიმობილი გამოიძახეს და ლუდუშაურის სახელობის კლინიკაში გადამიყვანეს... სამწუხაროდ, გიგა შებრუნებული ტერფებით დაიბადა, მაგრამ მუცლად ყოფნის პერიოდში მისი ეს დეფექტი არავის შეუნიშნავს. ბავშვს ორივე ტერფზე თაბაშირი ექვსჯერ დაადეს, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. მკურნალმა ექიმმა, ომარ ობგაიძემ გვითხრა, — საბოლოო გამოსავალი ოპერაციის გაკეთებაა, რომელიც აუცილებლად, წლინახევრის ასაკში უნდა ჩატარდეს, რადგან ამ პერიოდში ბავშვს ძვლები შედარებით რბილი აქვს და მისი დამორჩილება უფრო ადვილიაო. თან, ოპერაცია ჯერ ერთ ფეხზე უნდა გაკეთდეს, მერე — მეორეზე. გარდა ამისა, ოპერაციის შემდეგ ხანგრძლივი მკურნალობა დასჭირდება, გარკვეული პერიოდი ისევ თაბაშირის გაკეთება მოგვინებს, მერე კი იმედია, სიარულსაც ისწავლის. ოპერაციის გაკეთება რაც უფრო დიდხანს გადაიდება, სიტუაცია მით მეტად გართულდება და სიარულის სწავლაც გაუჭირდება.

— **ოპერაციისა და რეაბილიტაციის კურსის გასავლელად, საერთო ჯამში, რა თანხა საჭირო?**

— 2.300 ლარი მხოლოდ ოპერაციას საჭიროდება, თაბაშირი კი 85 ლარი ჯდება; გარდა ამისა, 3 წლამდე მასაჟი უნდა იკეთოს და როგორც მოგეხსენებათ, თითო მასაჟი 20-25 ლარი ღირს...

— **გასაგებია, მაგრამ მგონი, 2.300 ლარი არც ისე დიდი თანხაა, რომ ამის გამო ბავშვს ოპერაცია ვერ გაუკეთოთ.**

— ჩვენი ოჯახისთვის ესეც სოლიდური თანხაა. როგორ ფიქრობთ, ამ თანხის მოძიების რაიმე შანსი მაინც რომ მქონდეს, ბავშვს ოპერაციას არ გავუკეთებდით? სულ ხელით დამყავს ან იატაკზე დახობავს. როგორც უკვე გითხარით, ორსულობის ბოლო თვიდან ახმეტაში, მშობლებთან ვცხოვრობ, ოჯახში კი სამწუხაროდ, არავინ მუშაობს, ყველანი პაპას პენსიის იმედად ვართ. ჩვენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფებად მივიჩნევით და სახელმწიფოსგან დახმარებასაც ვიღებდით, მაგრამ მას მერე, რაც გავთხოვედი, ესეც შეგვიწყვიტეს.

— **მეუღლის ოჯახი არ გეხმარებათ?**

— იქაც იგივენაირი მდგომარეობაა, ოჯახის არც ერთი წევრი არ მუშაობს.

— **არც შენი მეუღლე მუშაობს?**

— ცდილობს, რაიმე გააკეთოს, არაფერს თაკილობს, მაგრამ თვიდან თვემდე თავი ძლივს გაგვაქვს. ის კი არა, ახმეტიდან თბილისში ჩამოსვლაც გვიჭირდა და ერთხანს, ექიმთან სიარულიც კი შევწყვიტეთ, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ ასე გარტყელება აღარ შეიძლებოდა და ახლა თბილისში ერთი ოთახი ვქირავებთ. იმედია, მეუღლე აქ მაინც იშოვის თუნდაც, დროებით სამუშაოს, რათა ბინის ქირა და ექიმის ფული გადავიხადოთ... ბავშვს ფეხზე რომ დავაყენებ, რამდენიმე წუთი ჩერდება, მერე კი ტირილს იწყებს, რადგან მისი ტერფები დატვირთვას ვერ უძლებს, სტიკავა. ისეთი ცელქი და მოუსვენარია, ოპერაციას როგორ გადაიტანს ან თაბაშირს როგორ გაიჩერებს, არ ვიცი...

— **ბავშვის ოპერაციას ჯანმრთელობის სამინისტრო ვერ დააფინანსებს?**

— აბა, რა გითხრათ? სამწუხაროდ, საახლობლოში ისეთი არავინ მეგულება, ვინც რაიმეს გარკვევაში მაინც დამეხმარება. იქნებ, ეს ინტერვიუ მაინც ნაიკითხოს ვინმე ღვთისნიერმა და დახმარების ხელი გამოგვინოდოს...

*P.S. თუ პატარა გიგას დახმარების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიკავშირდით ტელეფონის ნომერზე: 8(77) 72.88.88 ან შეგიძლიათ, თანხა გადარიცხვით კორ-სტანდარტ ბანკში, ელა გამიაშვილის სახელზე გახსნილ ანგარიშზე: GE19 KS 00 00000001 1926 05. წინასწარ გიხდით მადლობას!*



მისი დაავადება ექიმების არასწორი დიაგნოზისა და მკურნალობის ბრალია





# კასი, როგორც სიყვარულმა გადაარჩინა

„კაპა ტერეზას“ საინტერესო ცხოვრება

ის გორის კოლორტი და ამიტომაცაა, რომ ყოველ ნაბიჯზე აჩერებენ — სიყვარულს უხსნიან, კოცნიან, ეხვევიან... ისე ახალგაზრდულად გამოიყურება, ვერაფრით წარმოიდგენთ, რომ 73 წლისაა. საოცრად ენერგიულია, სულ საქმიანობს, სულ მოძრაობაშია... სიარულის მანერაც განსაკუთრებული აქვს და ამიტომაც თქვა მასზე ქალბატონმა ლილი იოსელიანმა: „მეტყორით უსწრაფესი და მიზანსწრაფული სიარული აქვს, რომელიც ფრენას უფრო ჰგავს, ვიდრე მიწაზე მოსიარულე კაცის ნაბიჯებს... ის ყოველ ჭაბუკზე, ყმანვილზე, ყრმაზე უყრმესია“. ამ ადამიანმა ქველმოქმედებითა და კეთილი საქმეებით გაითქვა სახელი და გორელებმა ამიტომაც შეარქვეს „პაპა ტერეზა“; ხშირად, „სანტა-კლაუსსაც“ ეძახიან, რადგან ჩანთით ტკბილეული დააქვს, რათა ყველას, ვინც კი ქუჩაში შეხვდება, გაუმასხინდლდეს.

## ელენე ხირსიალი

რეჟისორი, მსახიობი, ქორეოგრაფი, მოცეკვავე, მომღერალი, პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატი, ღირსების ორდენოსანი **ანზორ გვახაია** გიორგი ერისთავის სახელობის გორის დრამატული თეატრის რეჟისორი და დასის გამგეა. მუშაობდა ფოთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრში, იყო ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელიც... განასახიერა უამრავი როლი, დადგმული აქვს სპექტაკლები გორის, ზუგდიდის, ახალციხის, სოხუმისა და სხვა თეატრების სცენაზე. ჰყავს მულღე, 2 შვილი, 4 შვილიშვილი და 2 შვილთაშვილი.

3 წლის წინ ბატონ ანზორს ექიმებმა უკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვეს. ხალხმა სიკეთე არ დაუფინყა — ვისაც როგორ შეეძლო, ისე ამოუდგა მხარში. მისი გადარჩენის იმედი აღარავის ჰქონდა, მხოლოდ თვითონ სჯეროდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა...


### ნათქვამია, ყველანი ბავშვობიდან მოვიდვართო...

— ჩემი ბავშვობა ჯადოსნური სამყაროა, რომელიც ცრემლებამდე მენატრება; ის პატარა მეოცნებე ბიჭი, რომელიც მრავალი ათეული წლის წინ ცხოვრობდა, არსად წასულა. მგონია, მხოლოდ გარეგნულად შევიცვალე, თორემ ახლაც მესიზმრება ფერადი სიზმრები... დედა ჩემთვის ყველაზე უახლოესი, უერთგულესი მეგობარი იყო. მისი სურათი სასთუმალთან მიკიდია და ხშირად ვესაუბრები: ვუზიარებ ჩემს ტკივილს, სიხარულს და რჩევასაც ვეკითხები ხოლმე. ჩვენ შორის დღემდე, რაღაც უხილავი, ძლიერი კავშირი არსებობს... მამა ავიაციის ინჟინერი იყო და ვაზიანში მუშაობდა. 4 წლის გახლდით, როცა ომი დაიწყო და ის შინ

გამოსამშვიდობებლად მოვიდა. მამას სახე არა, მაგრამ ჩემს მესსიერებას შემორჩა პილოტის უცნაური ქუდი და ძლიერი ნაბიჯების ხმა, რომელიც თანდათან, წყვიდად მი გაუჩინარდა... 1942 წელს მისი დალუპვის შესახებ მივიღეთ ცნობა. იმ დღეს დედას გრძელი თეთრი პერანგი ეცვა და მახსოვს, როგორ გაუფარდა ხელიდან რაღაც ქალაღი, უცებ როგორ ჩაიფერფლა; ისიც მახსოვს, რომ გულწაყვანებულ მუხობის ქალმა ნეკზე უკბინა, მე კი იმ ქალს მუშტები დავუშინე... დედამ — ნინო (ნუცა) ბუჩუკურმა და ბებია — ეფემია ჩუტკერაშვილმა გამზარდეს. ბებოს სამინაო საქმეები ევალებოდა, დედა კი მამასავით თავს გვადგა, მკაცრი და მომთხოვნი იყო. მას პარტიული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და თბილისის 26 კომისრის რაიონის დეპუტატი გახლდათ.

### ბებია კარგად გახსოვთ?

— მის თავს რა დამავიწყებს?! უსაყვარლესი ქალბატონი იყო, ოჯახური ტრადიციების მკაცრი დამცველი და პატივისმცემელი. მისი წყალობით ყოველი საუბრე, საღილი თუ ვახშამი მინისპეტაკულს ჰგავდა. თითოეულ საოჯახო ნივთზე პაპის — გაბრიელ ბუჩუკურის ინიციალები იყო ამოტივტივებული. ომის დროს, როცა ქვეყანაში შიმშილი მძვინვარებდა, ბებო ერთი თავი ხახვისგან წყალწყალა წვნიანს გვიმზადებდა და ჭამის დროს კულტურასაც გვაზიარებდა. მაგალითად, შავი პურის ნაჭრებს თეფშებზე დაგვიწყობდა და დანა-ჩანგლით ჭამას გვასწავლიდა... ბებო, თავისი და-ძმისგან განსხვავებით, რომლებიც ევროპულ სტილს ამჯობინებდნენ, მთელი ცხოვრება ჩისტოკოპს ატარებდა. მახსოვს, როგორ ვესმარებოდი მის გაკეთებაში და როგორ ვსივრებოდი თბილისის ქუჩებში. ცნობილია, რომ სტალინის დედა — კეკე ჩისტოკოპს ატარებდა. სხვათა შორის, თურმე, თავის დროზე კეკე ბე-



ბოს ოჯახში (ის გათხოვებამდე გორში ცხოვრობდა) სარეცხ რეცხავდა და პურს აცხობდა. ბებო მეუბნებოდა, — სოსო ჩემი თანატოლი იყო და ტაშფანდურის დროს მაინცდამაინც მე ჩამიკრავდა ხოლმე თვალსო...

### დედამიწვილებზეც გვიამბო რამე.

— უმცროსი დები მყავდა. ისინი ომის დროს, უჭმელობისა და სიცივისგან დაავადდნენ; სამწუხაროდ, უფროსის — ლამრიკოს გადარჩენა ვერ მოხერხდა... მახსოვს, როგორ მალევიძებდა მშვიერი კუჭი, ღამით ვდგებოდი და სამზარეულოში პურის ნამცეცხვს ვეძებდი; 8 წლის ასაკში ღამეებს პურის რიგში მდგარი ვათენებდი — სულზე 250 გრამ შავ პურს იძლეოდნენ. ჰოდა, ჩამოვსხდებოდი ხოლმე ბავშვები კიბის საფეხურზე და სიფრიფანა პურის ნატყხს კი არ ვჭამდით, ვწუწნიდით, რათა ეს სიამოვნება დიდხანს გაგრძელებულიყო... ქალაქში თათრების ბანაკი ურმებით მოდიოდა და მოჰქონდათ კარაქი, მანონი, ყველი, მშვიერი ხალხი კი ძვირად ღირებულ ნივთებს თითო თავ ყველში ცვლიდა. სხვების მსგავსად, ბებომაც მთელი მზითვი, საგარეულო რელიკვია — ქარვის მძივები, ალმასიანი ქინძისთავები, მარგალიტი, ოქრო და ბრილიანტი — ამ ვაჭრებს ჩაუთვალა...

### როგორც ვიცი, შესანიშნავი ხმა გქონდათ და კონსერვატორიაში, ვოკალზე ჩაბარება გასურდათ.

— მაგრამ გეგმა ერთი კურიოზის გამო ჩამეშალა: 13 წლის ვიყავი, როცა მამიდას ბათუმში ვესტუმრეთ. ღამის 3 საათზე, როცა მე, ბებოსა და ჩემს დას



გვეძინა, მამიდა კი თანაკურსელ გოგონებთან ერთად მეცადინეობდა (გამოცდისთვის ემზადებოდნენ), მათ ბიჭები გაეარმიყენ და ფანჯარას კენჭი ესროლეს. ჰოდა, სამმა მეგრელმა გოგონამ ისეთი ხმით იკვილა, რომ თავზარდაცემულს გამოგვეღვიძა და შიშისგან ხმა წამერთვა, მეტყველების უნარი დაკარგე... მას შემდეგ, რალაც პერიოდის განმავლობაში, ეს ფრიადოსანი მოსწავლე გაკვეთილებს ვეღარ ვყვებოდი, წერილობით ვაბარებდი. დაახლოებით 6 თვის მერე რუსულის მასწავლებელმა, მედეა ქუთათელაძემ, რომელიც განსაკუთრებულად მიყვარდა, მითხრა: მხატვრული კითხვის ოლიმპიადაზე უნდა გაგიყვანო! წაიკითხე მაიაკოვსკის „Стихи о советском паспорте“, შენ სცენა აგამეტყველებსო და დავიწყებ მეცადინეობა. ცოტა ხანში მართლაც, საოცრება მოხდა — ლექსის კითხვისას ბგერებს თავისუფლად, გამართულად გამოვთქვამდი, ჩვეულებრივი ლაპარაკის დროს კი ენას პირში ძლივს ვაბრუნებდი. გამოსვლის დღეს ძალიან ვერვიულობდი და მასწავლებელმა გამამხნევა, — ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო! მართლაც, ჯერ რაიონის, შემდეგ — ქალაქის, ბოლოს კი რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე გავიმარჯვე... მეტყველების ხარვეზი თანდათანობით გაქრა, 17 წლის ასაკში კი სრულიად გამოვეჯანმრთელდი.

— ერთხანს ცეკვამ გაგიტაცათ და ქორეოგრაფიულ სასწავლებელშიც სწავლობდით...

— მე და დედა ყოველ შაბათ-კვირას, ოპერაში მივდიოდით. 15 აპრილს, ჩემს დაბადების დღეზე ბიზეს „კარმენის“ სანახავად წავედით, მაგრამ თურმე შეგვეშალა — იმ დღეს კილაძის ბალეტი „სინათლე“ გადიოდა, სადაც ვახტანგ ჭაბუკიანი ცეკვადა, ქაჯეთის მეფე დავრიშს კი ზურაბ კიკელიშვილი განსახიერებდა. მახსოვს, მისმა ცეკვამ აღმართოვანა, ჭკუიდან შემშალა და იმ დღეს სერიოზული გადანყვებილება მივიღე... დედამ ანტრაქტზე ბუფეტში შემიყვანა, შამპანური მოითხოვა, ფუჟერი მომიჭახუნა და მითხრა: ახლა უკვე 16 წლის ხარ და იცოდე, დღეიდან მეგობრები ვართო. როცა სპექტაკლი დამთავრდა, დედას ვთხოვე, შინ ფეხით წავსულიყავი. მახსოვს, ბარათაშვილის ხიდიდან მტკვარს გადავყურებდით, როცა ვუთხარი: „Но мама! несмотря на все, я хочу танцевать!“ დედას გაელიმა, ლოყაზე მიჩქმიტა და თქვა: „Пончик!“ ტანსრული ბავშვი ვიყავი და ჩემგან მოცეკვავე თუ დადგებოდა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა... იმ წელს 8 კლასს ვამთავრებდი და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ისე ჩავაბარე, ეს არავისთვის მითქვამს; მერე ათასნაი-

რი დიეტის დაცვა დავიწყე, შედეგად კი კუჭი დავიავადე და ცეკვისთვის თავის დანებება მომიხდა... მერწმუნეთ, სცენას ჯადოსნური ძალა აქვს: ერთი პერიოდი კუჭი საოცრად მანუხებდა, მაგრამ როგორც კი სცენაზე ავიდოდი და თამაშს ვინწყებდი, ტკივილი უკვალოდ ქრებოდა, სცენიდან ჩამოსვლის შემდეგ ტკივილი უწინდებურად შემომიტევდა ხოლმე.

— მრავალწლიანი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ალბათ, არაერთ დიდ ხელოვანს შეხვედრიხართ. ყველაზე მეტად, რომელი შეხვედრა დაგამახსოვრდათ?

— პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი, როცა ვერიკო ანჯაფარიძის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ჯგუფში საღამოზე წასაკითხი ლექსები განაწილდა. მე ლექსი არ შემხვდა და გული დამწყდა; ძალიან მინდოდა, ვერიკო ახლოდან მენახა, ხელით შევებოდი, მიმელოცა... იმ დღეს მოვინდომე, მსახიობს ლექსი დავუწერე და საღამოზე მაინც გამოვედი. იუბილარს ესიაშოვნა, საკუთარი ლექსი რომ წავუკითხე, თბილად გამიღიმა და შუბლზე მაკოცა... წლების შემდეგ, ფაშიზმზე გამარჯვების იუბილესთან დაკავშირებით თეატრების „დათვლიერება“ მოეწყო; გამარჯვებულებს შორის ჩვენი სპექტაკლიც (ვლადიმერ ეფოვის „ბულბულის ღამე“) დაასახელეს და გადაღებაზე ტელევიზიაში დაგვიბარეს. იმ დღეს ქალბატონ ვერიკოს ისევ შევხვდი. მას შავი კაბა ეცვა და მუქი სათვალე ეკეთა, მხარს კი გოგი გეგეჭკორი უშვებდა. დაიწყო გადაღება. დაუკრეს ვალსი — „ბოსტონი“ და კავალრებმა ქალბატონები გამოიწვიეს. მე ქალბატონ ვერიკოსთან მივედი და მის კავალერს, გოგი გეგეჭკორს ვუთხარი: უფლება გაქვთ, დუღღში გამოიმწვიოთ-მეთქი. — რატომ? — გაუკვირდა ბატონ გოგის. ვერიკომ არ დააყოვნა: ჩემი თავი უნდა წაგართვას, ვალსი მაცეკვოსო... დავიწყებ ცეკვა. ვერიკომ მედეა ანჯაფარიძესა და სალომე ყანჩელს გადახედა, რომლებიც პეკლებივით დაფარფატებდნენ და მიბრძანა: „გამაქანე!“ მეც — „გავაქანე“. — უფრო მაგრადო, — მითხრა. უფრო მაგრად რომ „გავაქანე“, ძალიან გახალისდა, თვალები გაუბრწყინდა... ბოლოს მითხრა: „გამაჩნე, თორემ მოვკვდები სიცლით!“ ვერიკო სიცოცხლის ბოლომდე ახალგაზრდული და კეკლუცი იყო...

— კიდევ ვის გაიხსენებთ?

— ქალბატონ ლილი იოსელიანთან ხანგრძლივი შემოქმედებითი და მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს. ჩემთვის ყველაზე დიდი ჯილდო მისი შეფასებაა: „ნიჭიერი თანამემოქმედი“ მინოდა... გორის თეატრის სცენაზე

არაერთხელ მითამაშია მედეა ანჯაფარიძესთან ერთად. ის არაჩვეულებრივი პარტიორი და ადამიანი იყო... დიდ პატივს ვცემდი სესილია თაყაიშვილს, არა მხოლოდ როგორც დიდ ხელოვანს, არამედ როგორც „მსოფლიო ბეზიას“. მას ერთ-ერთ გადაღებაზე შევხვდი და ძალიან შემიყვარა. მითხრა: მინდა ვიყო შენი ბებია ცხოვრებაშიც და სცენაზეცო!.. ლია ელიავასთანაც ვმეგობრობდი. ერთხელ ის და ოთარ კობერიძე ლილი იოსელიანის სპექტაკლზე, გორში ჩამოვიდნენ. ქალბატონ ლიას, როგორც ყოველთვის, ხელზე ამბორით მივესალმე. მან თქვა: მსოფლიო მაქვს შემოვლილი და ანზორმა რომ ხელზე კოცნა იცის, ტყუილიაო. „ოჰო!“ — იყო ოთარის რეაქცია.

— თქვენ გიცნობენ არა მხოლოდ როგორც შემოქმედს, არამედ როგორც ქველმოქმედსაც...

— დედა და ბებია გვასწავლიდნენ: ადამიანის უპირველესი მოვალეობა, სიკეთის კეთებააო და მეც ვცდილობდი, ყოველთვის ამ პრინციპით მეცხოვრა. 1989 წლის მინურულს გამიჩნდა იდეა, 16 წლამდე ასაკის უდედამამო ბავშვებისთვის 30 მანეთის ოდენობის „პენსია“ დამეწმინა. 1990 წელს, ახალწლის ღამეს საოცარი სიზმარი ვნახე: თითქოს ცა გაიხსნა და გარდაცვლილი დედა ჯვრით ხელში, წმინდა ნინოს სამოსელში გამომეცხადა. მან სამჯერ გამიმეორა: „ასე, შეილო! ასე, შეილო! ასე, შეილო!“ — მერე კი გაუჩინარდა... დილით ადრინად გამეღვიძა. 2 იანვარი იყო, ბედობის დღე. თვალი არ მქონდა გახელილი, როცა ტანსაცმელს ვწვდი და მიუღლეს ვუთხარი, — ნურაფერს მკითხავ, მალე დაებრუნდები-მეთქი. კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. საბედნიეროდ, ბანკი დღესასწაულზეც მუშაობდა. ბანკის თანამშრომელს ვუთხარი, — სასწრაფოდ, 5 ბავშვისთვის (მათ შესახებ ინფორმაცია წინასწარ მოვიძიე) ანგარიშის გახსნა მინდა-მეთქი! — სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, რადგან ამ წლის წიგნი ჯერ არ გაგვისხნია, შარშანდელი კი დამთავრდა, ადგილი აღარ არისო. — რამე მიშველით-მეთქი, — ლამის დაუფრქოვე. მან ხელახლა გადაფურცლა წიგნიც და თავდაც გაუკვირდა: გაგიმართლათ, ადგილი აღმოვაჩინე, სადაც შეიძლება, ჩანანერი გავაკეთო. თავისუფალი ადგილი კონკრეტული დღის, 27 დეკემბრის გასწვრივ იყო — ეს დედაჩემის დაბადების დღეა!

— თქვენ საქველმოქმედო თეატრშიც შექმენით.

— 1990 წელს საქველმოქმედო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია „რწმენა“ შექმენი. დასის წევრები 17-დან 25 წლამდე ახალგაზრდები იყვნენ,



რომლებიც დარსა თუ ავდარში, უანგაროდ ემსახურებოდნენ კეთილ საქმეს. ჩვენ ლამის, მთელი საქართველო შემოვიარეთ. დავდიოდით ძველისძველი, დანჯღრეული ავტობუსით, რომელსაც „ლურჯა“ შევარქვე. მოგვიანებით, ჯაბა იოსელიანმა „რაფი“ გამოგვიგზავნა და გავიხარეთ!.. ჩვენ წინასწარ ვიძიებდით ინფორმაციას რეგიონებში მცხოვრებ ობოლ ბავშვებზე, მათ სპექტაკლზე ვეპატიუებოდით, წარმოდგენის შემდეგ კი გაყიდული ბილეთებიდან დარბაზში საჩუქრებსაც ვარიგებდით, რასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა ხოლმე. ბავშვები, რომლებსაც თანხას ვურიცხავდით, ჩვენი შვილობილები ხდებოდნენ ანუ მათ ამის მერეც არ ვაკლებდით ყურადღებას... ვეხმარებოდით მრავალშვილიან ოჯახებსაც. რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის რექტორთან მოლაპარაკების შედეგად, მივალნიე იმას, რომ ჩემი შვილობილები სწავლის საფასურს არ იხდიდნენ... ჩემ შესახებ ამბობდნენ ხოლმე: ვიღაც გიჟი ჩამოსულა, ობლებს დაეძებსო. იმ დროს ჩვენი საზოგადოებისთვის ქველმოქმედება უცხო ხილი იყო და მე, როგორც საოცრებას, ისე მიყურებდნენ. ერთხელ გადავწყვიტე, საქველმოქმედო სპექტაკლი ხონის ციხეში ჩაგვეტარებინა. ვიფიქრე, მათ სიგარეტსა და საჩუქრებს მივუტანთ-მეთქი. ციხის უფროსმა სპექტაკლის ჩატარების უფლება მოგვცა, მერე კი დასძინა, — პატიმრებს არავფერი მიუტანოთ, იუკადრისებნო... ციხეში რაფაელ მამულაშვილის „ეს ამ ორშაბათს მოხდა“ წარმოდგინეთ. სცენაზე ყოფნისას ცოტათი ვნერვიულობდით, რადგან თან გოგონებიც გვახლდნენ. თამაშის დროს მსახიობ გოგონას კაბა ჩაეხსნა და ფეხი მთლიანად გამოუჩნდა, რის გამოც, დარბაზში ვიღაცის ბურტყუნი გაისმა. უცებ, ერთ-ერთი პატიმარი წამოდგა (ალბათ, ქურდი იყო) და იმ ყმაწვილს, რომელმაც ხმის ამოღება გაბედა, მკაცრად გადახედა; დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა და ჩვენც, თამაში განვაგრძეთ. როცა წარმოდგენა დამთავრდა, პატიმრებმა „დერეფანი“ გააკეთეს, რათა თავისუფლად გაგვევლო, მერე კი ისეთი საუცხოო სუფრა გავვიშალეს, ჩიტის რძეც არ აკლდა. სუფრას რამდენიმე იქაური „ავტორიტეტი“ უჯდა. ისინი საოცრად კულტურულად, ზრდილობიანად იქცეოდნენ, გოგონებიც ძალიან დელიკატურად ადლებრძელეს. ერთი სიტყვით, დიდი პა-

ტივი გვცეს. ბოლოს, ერთ-ერთმა მათგანმა გვერდზე გამიყვანა და კონვერტში ჩადებული, საკმაოდ სოლიდური თანხა გადმომცა: რაც შეეძელით, ეს არის და უარს ნუ გვეტყვითო. ციხის უფროსმა წინასწარ გაგვაფრთხილა, — იცოდეთ, უარი არაფერზე უთხრათ, თორემ ძალიან ეწყინებათო. ასე რომ, ყველაფერი პირიქით გამოვიდა: მათი დახმარება გვინდოდა და აქეთ დაგვეხმარნენ... 1991 წლის 16 ნოემბერს სპექტაკლის ჩატარება გეგუთის ციხეშიც გვინდოდა, მაგრამ არ შეგვიშვეს, რადგან წინა ღამით 7 პატიმარი გაქცეულა. იქ მისულეს გვითხრეს, — ერთ კვირაში მოდითო, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ სახელმწიფო გადატრიალება მოხდა, სამოქალაქო ომი დაიწყო და ცხადია, გასტროლებზე სიარული შეუწყვეტეთ.

— და როგორც ვიცი, ახლა უნარშეზღუდულ ბავშვებთან, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მუშაობთ.


— 3 წლის წინ პირის ღრუში ტკივილები დამეწყო. თბილისში ჩამოსულს ექიმებმა სიმსივნე დამიდგინეს და ონკოლოგიურში გამგზავნეს, ქიმიოთერაპია დამიწიშნეს. ჩემი გადარჩენის იმედი არავის ჰქონდა. სწორედ იმ პერიოდში გორის „ინვალიდთა კლუბიდან“ დამირეკეს და უნარშეზღუდულ ბავშვებთან სამუშაოდ მიმიწვიეს. კლუბში მეორე დღეს მივედი. ვხედავ, ულამაზესი გოგონ-ბიჭები ეტლებით დადიან, მათ შორის ბევრი ყრუ-მუნჯი და უსინათლოც იყო. მთხოვეს, სიტყვით გამოვსულიყავი. ბავშვებს ასე მივმართე: „მერე რა, რომ არ დადიხართ — სამაგიეროდ, ოცნებებში დაფრინავთ; მერე რა, რომ ვერ ხედავთ — სამაგიეროდ, იმას ხედავთ, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ... ახლა ქიმიოთერაპიის კურსს ვიტარებ და მითხრეს, რომ შეიძლება, მალე თქვენ შორის აღარ ვიყო, მაგრამ მე მაინც მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება; და თუკი მე მაქვს იმედი, თქვენ მით უმეტეს —

ობტიმისტები უნდა იყოთ; მოდი, ვიშვებოთ, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელე-ბი და ერთად გავიმეოროთ: ყველაფერი კარგად იქნება!“ დიდი თუ პატარა გაცივებული მისმენდა, რადგან მანამდე ჩემი ავადმყოფობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა... იმ აზრმა, რომ ბავშვებს ვუყვარვარ, ვჭირდები და მუდამ მოუთმენლად მელიან, ძალა მომცა, დღეები შემმატა! მოკლედ, სიკვდილს გადავურჩი და ეს სასწაული ბავშვებმა მოახდინეს. ამას წინათ ერთმა გონებაშეზღუდულმა ბავშვმა მკითხა, — რამდენი წლის ხარო? ვუპასუხე — 73-ის-მეთქი. მან ციფრი შეაბრუნა და თქვა: — 37-ის ყოფილაო! მას მერე მეც ვამბობ: 37 წლის ვარ-მეთქი და მართლაც, ამ მოკლე ხანში საოცრად გავახალგაზრდავდი. ერთხელ ბავშვებს დავავალე, ერთსტროფიანი ლექსი დაენერათ. გიორგიმ, რომელსაც აზროვნება განსაკუთრებით უჭირს, დავალება არ შეასრულა. ვკითხე: რატომ არ შეასრულე-მეთქი? მიპასუხა, — არ შევასრულე კი არა, ვერ შევასრულეო. ის, რომ ბავშვმა „არ“ და „ვერ“ განასხვავა, საკმაოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო... ცერებრალური დამბლით დაავადებულმა 5 წლის შოტიკომ, მისალმების წინადაც ხელის აწევა ისწავლა... ბოლო პერიოდში დავდგიტ სპექტაკლები — „ფიფქია და შვიდი ჯუჯა“ და „ივანანამ რა ჰქმნა“. ბავშვებმა შეუძლებელი შეძლეს და უცხოელი სტუმრები, რომლებიც სპექტაკლს დაესწრნენ, გაიოცეს; ისინი მერე მე მეკითხებოდნენ, — ეს როგორ შეძელით?! როცა ასეთი ბავშვები თავს კარგად გრძნობენ, როცა საკუთარი თავის რწმენა აქვთ, ნიჭიერები ხდებიან. სხვათა შორის, არ გაგიკვირდეთ და, 15 წლის ყრუ-მუნჯი გოგონა „ავალაპარაკე“. მართალია, მხოლოდ გაურკვეველ ბგერებს გამოსცემს, მაგრამ ბევრი მუშაობის შედეგად, საღამოზე ანა კალანდაძის ლექსი წაიკითხა. მასსოვს, ყველანი ვტიროდით...

და კიდევ, ერთ ამბავს გავიხსენებ: როცა ჩემი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა, ბავშვებს გამოვემშვიდობე, — საავადმყოფოში უნდა დავწვემეთქი და იცით, რა მოხდა? ცერებრალური დამბლით დაავადებულმა 5 წლის გიორგიმ, რომელიც ვერ ლაპარაკობს, წარმოთქვა: „არ წა-ხვი-დე, ან-ზო-რი პა-პა“... მე დავრჩი და მას შემდეგ არ ვიცი, სად და როგორ გაქრა ჩემი ავადმყოფობა...



სცენა სპექტაკლიდან „ანა ფრანკის დღიური“



# სამყარო

## ერთადერთი... ისტორიაში



შერმა ამერიკული ჰიტალუმბის ისტორიაში უჩვეულო რეკორდი დაამყარა. 64 წლის მუსიკოსი პირველი მომღერალია, რომლის სიმღერებსაც 6 ათეული წლის განმავლობაში ჩარტების მწვერვალები ჰქონდა დაპყრობილი. ამგვარი წარმატებისთვის დღემდე არავის მიუღწევია. შერის სიმღერა — I Got You Babe, რომელსაც მომღერალი სონია ბონოს მეუღლესთან ერთად ასრულებდა, ამერიკული ჩარტის სათავეში პირველად 1965 წლის აგვისტოში მოექცა. 70-იან წლებში შერი ჰიტალუმბის თავში ოთხჯერ მოექცა, ხოლო 80-იან წლებში მსგავს წარმატებას სამჯერ მიაღწია. 90-იან

წლებში შერის სიმღერებმა — Believe, Strong Enough, All or Nothing ამერიკულ ჩარტებში პირველი ადგილი დაიკავა, მე-2 ათასწლეულში საუკეთესოდ, სინგლები — A Different Kind of Love Song და When the Money's Gone იქნა დასახელებული.

ორიოდე კვირის წინ შერის ახალმა სიმღერამ — You Haven't Seen the Last of Me (მიუზიკლი „ბურლესკი“) Billboard-ის ჰიტალუმბე პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ამ სიმღერამ „ოქროს გლობუსის“ წლებადნელ დაჯილდოებაზე ნომინაციაში — „ფილმში შესრულებული საუკეთესო ორიგინალური სიმღერა“ გაიმარჯვა.



## ჯენიფერ ენისტონი ბარბის როლში

ჯენიფერ ენისტონი მაყურებლის წინაშე ძალზე საინტერესო სახით წარდგა — სტილისტებმა მისგან ნამდვილი ბარბი „გამოქნეს“. ჟურნალისთვის — Allure ჯენიფერი მისთვის უჩვეულო აპლუაში პოზირებდა: მსახიობს ვარდისფერი პიჟამა ემოსა და ხელში ფუმფულა დათუნია ეჭირა. ფოტოგრაფების, სტილისტებისა და ვიზაჟისტების წყალობით, ენისტონი ფოტოსურათებზე გაცილებით ახალგაზრდა ჩანს, ვიდრე სერიალში „მეგობრები“ გადაღებების დროს იყო.

მსახიობმა მისთვის უჩვეულო იერით გამოწვეული ემოციები ჟურნალისტებს სიამოვნებით გაუზიარა და განაცხადა, რომ ჩერჩეტი, ლამაზი გოგონას როლში თავს მეტად კომფორტულად გრძნობდა. „მიყვარს მსუბუქი როლების, სასაცილო გოგონების განსახიერება, რადგან თავადაც მსუბუქი ადამიანი ვარ“, — ამბობს მსახიობი. ინტერვიუს დროს ჯენიფერმა იმის შესახებაც ილაპარაკა, რომ ძალიან უყვარს ვარცხნილობა, რომელსაც უკვე მრავალი წელია, არ ღალატობს.



**უყუჩაი!**  
  
**www.palitrav.ge**  
**PALITRA**  
**TV-RADIO**  
 ლაპარაკობს და ურევენს პალიტრა!



### კეტი პერის ბებია 90 წლის იუბილე კაზინოში აღნიშნა

კინოვარსკვლავს ნათესავეებთან ძალზე ახლო ურთიერთობა აქვს, ამიტომ ოჯახურ ზემოქმედებას არასდროს აკლდება, საყვარელი ბებიის დაბადების დღეს კი — მით უმეტეს!.. ამ ცოტა ხნის წინ კეტის ბებიას, ენი ჰადსონს 90 წელი შეუსრულდა და შვილიშვილიც მეუღლესთან, რასელ ბრენდთან ერთად, ბებიას დაბადების დღის აღსანიშნავ წვეულებაზე ესტუმრა. ამ ამბავში უცნაური მხოლოდ ის არის, რომ საზეიმო ვახშამი ლას-ვეგასის უდიდესი სათამაშო კომპლექსის — Planet Hollywood-ის რესტორანში გაიმართა! უნდა ითქვას, რომ ბებია მისი ასაკის კვალობაზე საუცხოოდ გამოიყურება, ხოლო ის ფაქტი, რომ იუბილეს აღნიშვნა სწორედ კაზინოში მოისურვა, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ მას ჯერ კიდევ უღვევი ენერჯია და სიცოცხლისადმი უშრეტო სიყვარული ამოძრავებს. ამის შემდეგ, ცხადი გახდა, თუ ვის დაემსგავსა მხიარული და ცეცხლოვანი კეტი — გენები თავისას შვრება!



### ანჯელინა ჯოლის ინტიმური საიდუმლო

პოპულარულმა მსახიობმა ჟურნალისტებს თავისი ოჯახის შესახებ მოუთხრო. ვარსკვლავმა ინტერვიუს დროს ჟურნალისტს გაუმხილა, რომ პირადი ცხოვრებისთვის დრო არ ჰყოფნის, რადგან მეუღლის გარდა, შვილებთან სარეცლის გაყოფაც უნევს: ანჯელინა ჯოლისა და ბრედ პიტის 6 შვილს მშობლების სანოლში ძილი უყვართ, ამიტომ ცოლ-ქმარს ერთად ყოფნის შესაძლებლობა იშვიათად ეძლევა. მიუხედავად ამისა, ჯოლიმ საზგასმით აღნიშნა, რომ ძალზე ბედნიერია, რადგან მისთვის დედობა — უდიდესი ბედნიერებაა! ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა: ბრედმა საყვარელი მეუღლე დაარწმუნა, რომ საჭიროა, დახმარებისთვის ფსიქიატრს მიმართოს, რათა გათავისუფლდეს უცარი მრისხანების შეტევებისგან, რომლებიც ანჯელინას საკმაოდ ხშირად ეძალევა. თავად მსახიობმა ამ ინფორმაციის შესახებ კომენტარის გაკეთება არ ისურვა.

### ჯენიფერ ლოპესი დაორსულებას ცდილობს



ჯეი ლომ ტელეშოუში გამოსვლისას გულახდილად ილაპარაკა და თქვა, რომ დედობის სიხარულის განცდა კიდევ ერთხელ სურს, ამიტომ დაორსულებას ცდილობს. „ბედნიერი ვიქნები, თუ კიდევ ერთხელ დავორსულდები“, — აღნიშნა ვარსკვლავმა, რომელიც ტყუპ შვილს — მაქსსა და ემას, მარკ ენტონისთან ერთად ზრდის. მსახიობს კარგად ესმის, რომ მის ასაკში ორსულობა შესაძლოა, ჯანმრთელობისთვის სახიფათო იყოს, მაგრამ შვილის გაჩენის იმედს არ კარგავს, მით უმეტეს, რომ სუროგატი დედის დახმარებით, მიზანს იოლად მიაღწევს. ბოლო ხანებში ვარსკვლავები „დაქირავებული დედების“ მეშვეობით შვილებს უფრო და უფრო ხშირად აჩენენ. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ნიკოლ კიდმანის ოჯახს სწორედ ამ გზით შეემატა შვილი: სუროგატმა დედამ ნიკოლსა და კიტ ურბანს ქალიშვილი გაუჩინა.

### სანდრა ბალოკის ყოფილი მეუღლე ქორწინდება

ჰოლივუდის ვარსკვლავის, სანდრა ბალოკის ყოფილმა ქმარმა, ჯესი ჯეიმსმა დაოჯახება გადაწყვიტა. მისი რჩეული — ტატიუ-მოდელი მიშელ მაკჯია, რომელთანაც ქორწინების პერიოდში ჯეიმსი ყოფილ მეუღლეს ლალატობდა. ჯესიმ სატრფოს ხელი და გული სთხოვა. ამის შემდეგ მოდელმა ჟურნალს People ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა და გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად დაადასტურა, თუმცა ქორწილის თარიღის შესახებ ჯერჯერობით არაფერი უთქვამს. „2010 წელი ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო იყო, რადგან ჩემი საუკეთესო

სო მეგობარი შემეყვარდა. იგი შესანიშნავი ქალია, მხარში მაშინ ამომიდგა, როდესაც მთელმა სამყარომ ზურგი შემაქცია. მასზე უფრო საყვარელი და მოსიყვარულე ადამიანი არასდროს შემხვედრია. მისდამი ჩემს გრძნობას სიტყვებით ვერ აღვწერ. საოცრებაა, რომ ჩემს წინადადებას თანხმობით უპასუხა“, — თქვა ჯესი ჯეიმსმა, რომელიც სანდრა ბალოკს 2010 წლის ივნისში გაეყარა. სასამართლოს სანდრამ მიმართა განქორწინების განცხადებით, როცა შეიტყო, რომ მის მეუღლეს 11 თვის განმავლობაში მიშელ მაკჯისთან რომანი ჰქონდა გაჩაღებული.





# Динамо! — „დინამო!“ — DINAMO!

სახელი, რომელმაც მთელი სისტემის დახმობას გაუძლო...

უნდა ვაღიაროთ: რუსმა ბოლშევიკებმა უდიდესი გამარჯვება მოიპოვეს სპორტულ ასპარეზზე, თანაც ისე, რომ არც გოლების გატანა დასჭირდათ და არც ტურნორების მოგება. საქმე ენება დაპყრობილი ხალხების წინააღმდეგ წარმოებულ იდეოლოგიურ ომში მიღწეულ წარმატებას. დღესაც, საბჭოთა კავშირის დაქვევის შემდეგაც, ლამის გენეტიკაში გამჯდარი, წამყვანი სპორტული (განსაკუთრებით საფეხბურთო) გუნდების სახელები, ბერისთვის ისეთივე მარადიულია, როგორც საკუთარი ნათესავ-ახლოების გვარსახელები. ეჭვგარეშეა — მრავალი გაუფიქრებელი გულშემატკივრის გამოთავყვანების პროცესი გრძელდება!

## ალექსანდრე ჯღანტი

ჩვენ კი 1990 წლის 30 მარტი გავისხენოთ: ეროვნული საფეხბურთო პირველობის რომელი გუნდები დალოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ? ან რომელი კლუბების ჩემპიონატი გახსნა მამინ მამავალმა პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ სიტყვებით: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს! გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“? ამ გუნდების სახელებია: „იბერია“, „კოლხეთი-1913“, „შევარდენი-1906“ (რომ არ მოესპოთ, 2006 წელს კავკასიის უძველეს კლუბს 100 წელი შეუსრულდებოდა), „ქუთაისი“, „ბათუმი“, „ცხუმი“, „გორდა“, „ოდიში“, „ამირანი“, „გურია“... ეს — უმაღლესი ლიგა. პირველი ლიგის



მონაწილეთა ჩამონათვალი კი ასეთია: „სიხარული-90“, „გაგრა“, „სულორი“, „სამეგრელო“, „მარგვეტი“, „სიონი“, „არმაზი“, „ბახტრიონი“, „კახეთი“, „ქართლი“, „იმერეთი“...

რა მოხდა პუტჩის შემდეგ, აი, რა: სასწრაფოდ „აღადგინეს“ სოცსახელები — „ტორპედო“, „ლოკომოტივი“, „სპარტაკი“... დიდხანს წვალობდნენ რუსთავეში. შედეგად, გაქრა „გორდა“. იმიტომ ხომ არა, რომ მის გერბს იაკობ ნიკოლაძის მიერ შექმნილი და წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის დამტკიცებული, სამფეროვანი სახელმწიფო დროშა ამშვენებდა? სხვათა შორის, დროშის ტარად სწორედ საქვეყნოდ განთქმული — ხმალი გორდა იყო გამოსახული!



ახლა კი ზომბირების უპირველესი შედეგია — „დინამო“ ვახსენოთ. მოგვსენებათ, საქართველოს ჩემპიონატებში სამი „დინამო“ — თბილისის, ბათუმისა და სოხუმის — მონაწილეობდა.

ილეობდა. კვლავ ისტორიას მივუბრუნდეთ და გავისხენოთ, რა ფესვებზეა აღმოცენებული ეს „დინამოები“.

თქვენ წინაშეა „ყოველთა“ „დინამოელთა“ წინაპარი — პეტრო-გრაფის JUGE-ს სახელოვანი კოლექტივი. იდგა 1922 წლის 27 ივლისი. მართალია, „Динамо“-ს ოფიციალურ შექმნამდე (1923 წლის აპრილი) კიდევ საკმაოდ იყო დარჩენილი, მაგრამ ისინი ნამდვილად „პირველი მერცხლები“ იყვნენ — თერთმეტი ფორმირებული და სამი უფორმო ვაჟაკი (სპორტული ფორმა იგულისხმება, თორემ გალიფეცა და ტყავის ლაბადაც, ნაგან-მაუზერის თანხლებით, ფორმა იყო და მერე როგორი!).

ბოლშევიკურ მთავრობას ჯალათთა შეკრული კოლექტივისათვის ჰუმანიტარულ-სპორტული დახმარებაც გამოუყვია — მძიმე ამერიკული ფეხსაცმელები, რომელსაც ეტყობა, მრავალგვარი დატვირთვა ჰქონდა. ალბათ ამიტომაც და, სავარაუდოა, გალიფე-ლაბადიანი სამეულის გამოც, პირველივე ტურნირში გამარჯვება „ჩეკისტებს“ დარჩათ. 5 მონინაღმდეგიდან სამმა(!) მათთან თამაშს... თავი აარიდა და წაგება ჩაეთვალა.

ასე გახდნენ პირველად ჩემპიონები დღევანდელი „დინამოელების“ წინაპრები. მათი დამალული მეტოქეები კი ცოცხლები გადარჩნენ (დროებით, რასაკვირველია...).

ახალშექმნილ სპორტსაზოგადოებას სპონსორიც სათანადო ჰყავდა — რევოლუციამდე მკვლელობისთვის ნასამართლავი, პირველი საპატიო თავმჯდომარე ფრუმკინი, უფრო — „რკინის“ ფელიქს ძერუნიცკად ცნობილი, რომელსაც „ანთებული გული,



ვეროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი — თბილისის „დინამო“



ცივი გონება და სუფთა ხელები“ ჰქონდა. სამწუხაროდ, ლუბიანკელ მემატინეებს მისი ფეხების აღწერა არ დაუტოვებიათ შთამომავლობისათვის, მაგრამ ალბათ მგლის მუხლი ჰქონდა ფელიქსას, თორემ ამდენ „კონტრას“ რას მოერეოდა!

იდეოლოგიც დიდებული დაუნიშნეს, „ჩეკა-ოგუეულებს“ საზოგადოებას — მაქსიმ გორკი. მიუხედავად დაძაბული პროლეტარული მოღვაწეობისა (ლიტმუშაობა, საზმუშაობა, რძალთან ინტენსიური თანამელოგინეობა), ამხანაგმა პეშკოვმა დრო გამონახა და გენიალური დევიზი შექმნა: „**ДИНАМО — СТО СИЛА В ДВИЖЕНИИ**“, რომელიც მყისვე ქართველი შინსახკომელების სახელმძღვანელო ლოზუნგად იქცა; ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებურმა ოსტატებმა, დიდი მწერლის მონოდება შემოქმედებითად განავითარეს — „სილას“ ნიხლიც მიაყოლეს. ეს ფრიად კარგ შედეგს იძლეოდა. რადგან სათანადო დაწესებულების თანამშრომელ-„დინამოელებში“ ფეხბურთელებიც ერივნენ და ბუცებს ისევე მარჯვედ იყენებდნენ, როგორც მათი წინაპრები — ამერიკულ ფეხსაცმელს...

მაგალითად, თბილისის „დინამოს“ ცნობილ ნახევარმცველს ვარჯიშებიდან თავისუფალ დროს, მეტად საპასუხისმგებლო საქმეს ანდობდნენ შინსახკომში — მიხეილ ჯავახიშვილის წამებას...

„დინამოელთა“ საზოგადოების სპეცდანიშნულების რაზმებს ქართველები უშუალოდ 1924 წელს გაეცნენ — ეროვნული აჯანყების ჩახშობისას. ბევრი ოკუპანტი თავიანთ პირველ თავმჯდომარესთან გაისტუმრეს, მაგრამ „ძალა მოძრაობაში“ აღმართს ხნავს და იმავე 1924-ში (და არა 1925-ში, როგორც ეს არის აფიშირებული), ფეხბურთელთა და არა მარტო მათი, „დინამიზაცია“ წარმატებით განხორციელდა. აი, სწორედ ეს (ან თითქმის ეს) თარიღი ამშვენებს დღეს საქართველოს არაერთგზის ჩემპიონის მაისურებს. ამ ემბლემით ზრდიან ისინი „იუდელებს“ („იუნი დინამოელებს“), ამ ემბლემით აცნობენ თავს მსოფლიოს საფეხბურთო მინდვრებზე და მინდვრის გარეთაც (სხვადასხვა ინტერთალითობა იგულისხმება). დღესდღეობით ასეა, სპორტული მიღწევები კი, როგორც ჩანს, მომავლისთვისაა გადადებული...

„დინამოს“ გერბთან დაკავშირებით, ფრიად საინტერესოა სიმბოლიკის ევოლუცია. ბუნებრივია, რომ პირვე-

ლი გერბი კირილიციის გახლავთ. ეს ვეება ასო-ბგერა სპეცუნყების ყველა სპორტსმენს ეკერა გულზე, განურჩევლად ეროვნებისა და რესპუბლიკისა. ასე იყო საბჭოთა კავშირის დანგრევამდე. ბუნებრივია, **Д**-ები და მისთანები საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ისტორიას ჩაჰბარდა. პუტჩის შემდგომმა დიზინერებმა კი ახალი გერბები შექმნეს — მედროვეობის მოთხოვნის გათვალისწინებით, რასაკვირველია. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს „განახლებული“ „დინამოს“ სიმბოლიკის უნიკალურობა. დავაკვირდეთ: რუსული **Д**, ქართულ დ-დ გადააკეთეს და მას თავზე ჯვარი(!) დაადგეს. ჩეკისტურ-შინსახკომურ ატრიბუტიკაზე მართლმადიდებლური სიმბოლიკის მისადაგება ალბათ ბორია ძნელაძესა და კამო პეტროსიანსაც კი არ მოუვიდოდათ თავიანთ „ბოლშევიკურ თავებში“.

სხვათა შორის, გარკვეული ხნის შემდეგ ალბათ, ვიღაც ჭკუათამყოფელმა (ასეთებიც გამოჩნდებიან ზოგჯერ ადმინისტრაციაში), „სიმბოლოთ ოსტატებს“ შეუსაბამობაზე მიუთითა: გერბი „გააგლობალეს“ — მხედრულ დ-ს ლათინური **D** მიუხატეს, ჯვარი მოაშორეს, საკუთარი აღმზრდელების სიმბოლო — სანაგვეში მოისროლეს და ლენინის ორდენოსანი საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს საუნყებო გუნდის სამართალმემკვიდრე, დღევანდელი „დინამო“ (თბ) სრულად მიუსადაგეს იქაურ სტანდარტებს. როგორც ჩანს, სოცრეალიზმის უკვდავი ფორმულით ისარგებლეს იდეოლოგიური ფრონტის მაესტროებმა, ხომ გახსოვთ: „ფორმით ეროვნული — შინაარსით — სოციალისტური“. „სოციალისტურის“ მაგივრად, „ლობალისტურს“

(გნებავთ ზოგადსაკაცობრიოს) თუ ჩავსვამთ, ყველაფერი წესრიგში იქნება.

სიმბოლოთმკეთებლების ოსტატობა არა მარტო „დინამოს“ შეეხო. არც საბჭოთა ავტოქარხნულ-„ტორპედოულ“ სიმბოლიკას მოაკლეს ყურადღება „ძველმა ახლებმა“. ქართველი „ავტოზავოდცების“ კლუბის სიმბოლოდ ქცეულ, გაერთიანებულ-გადაბმულ ქ-სა და ტ-ს თავზე სამეფო(!) გვირგვინი დაადგეს. თუმცა ეჭვი მეპარება, დაკვირვებულ და ისტორიაში ჩახედულ გულშემატიკვრებს (თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთები ჯერ კიდევ არსებობენ) ეს სიმბოლო უფრო ჭუჭუნეიშვილის „თავის სარქველის“ ასოციაციას გაუჩინს, ვიდრე ბაგრატიონთანა მონარქებისა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარის ზოგიერთ დღევანდელ წარმომადგენელს ავტოსპორტი ძალიან იტაცებს.

სხვათა შორის, ქუთაისის პირველ გუნდში ასეთი პარადოქსები ტრადიციულია. სოცსაქართველოს დროს, „განთიადის“ საზოგადოების, ქარხნის სპორტკლუბ „კოლხეთის“ კოლექტივს „ტორპედო“ ერქვა! ეს იგივეა, კაცს პასპორტში „შალვა“ ეწეროს, მეგობრები „ვანოს“ ეძახდნენ, თვითონ კი „დაზმირა“ ვარო, ამბობდეს. როგორც იტყვიან, — თუ დაბადებიდან „ლეტნად“ ხარ, ეს დიდხანს გაგრძელდება... ისე კი აშკარაა, სოცფეხბურთი სპეციფიკური სახელებით გამოირჩეოდა (და გამოირჩევა დღესაც) და არა მარტო გუნდურ დონეზე. მახსოვს, 80-იან წლებში ახალქალაქის კლუბის ერთ-ერთი მეს-



პეტროგრადის (ლენინგრადის) „დინამო“

ვეური გახლდათ ფრიად სიმბათიური ამხანაგი, რომლის სახელი და მამის სახელი იყო — მოსკვა ლენინგრადოვიჩი!

ახლა ისევ „დინამოს“ მივუბრუნდეთ, ამჯერად — ბათუმს! აქ შედარებით მშვიდად მიმდინარეობს სიმბოლიზაციის პროცესი (როგორც ქრონიკულ პროცესს შეეფერება). გერბზე არწივს (ალბათ, „სპეცდანიშნულების ინჟუბატორში“ გამოყვანილს) ბრჭყალებით უპყრია ბურთი. მაგრამ ერთი საყურადღებო რამ მაინც მოხვდება კაცს თვალში — ინგლისურად „დინამო“ ბრჭყალებშია ჩასმული, აი ქართულენოვან წარწერაში კი ორთოგრაფიის ეს ნიშანი გამოუტოვებიათ. სიტყვა „დინამო“ იმდენად სისხლხორცუელია და მხატვარ-შემხედვარისთვის, რომ ბრჭყალები მხოლოდ უცხოელთათვის „დაუთმია“. ეს არც არის გასაკვირი — „ჰომო სევეტიკუსის“ აზროვნებიდან გამომდინარე — ათწლეულების მანძილზე ხომ „დინამოელი“ ბევრისთვის, ლამის ქართველის სინონიმს წარმოადგენდა. მეტსაც გეტყვი — საუკუნეების მიჯნაზე შექმნილი საქართველოს ეროვნული ნაკრების ვიმპელი ლურჯ-თეთრი ფერის იყო...

მავანი დღესაც ხშირად ამართლებენ თბილისის „დინამოს“ არსებობას, — აქაოდა, მთელი დუნია იცნობს ევროპის თასების თასის მომგებ ქართველებსო. არა, ბატონებო! 1981 წელს ეს თასი საბჭოთა, ე.ი. — რუსეთის გუნდმა მოიგო, თანაც, არა — ეროვნული, ოკუპანტების მიერ დარქმეული სახელით. უნიჭიერესი ქართველებით დაკომპლექტებული ეს გუნდი, სამწუხაროდ, ისევე წარმოადგენდა ქართულ სახელმწიფოს, როგორც მონღოლთა მიერ დაპყრობილი საქართველოდან წინკერძად წარგზავნილი ლაშქარი, რომელმაც დამასკო აიღო. დაიხ, გამარჯვება მონღოლებმა მოიპოვეს და არა — ქართველებმა. ქართველებმა დიდგორი მოიგეს, თუმც ჩვენი ლაშქარი მნიშვნელოვანწილად არაქართველებისგან შედგებოდა! რატომ ვატარებ მილიტარისტულ ანალოგიას? მე დასავლელ დემოკრატებს ამერიკული ფეხბურთის ერთი ვეტერანის გამონათქვამი მინდა შევთავაზო (გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ გამოქვეყნებული ინტერვიუდან: „სპორტი ერთმანეთის მიმართ სიძულვილის გამოსატვის ერთ-ერთი ფორმაა, ეს

არის უკანასკნელი საშუალება, რომელსაც ჩვენი ცივილიზაცია აძლევს ადამიანებს ფიზიკური აგრესიისთვის ომის გარეშე... სპორტი ადამიანის



ქუთაისის „ბაში-აჩუკი“, 1919 წ.

მოღვაწეობის სფეროებიდან ყველაზე ახლოს დგას ომთან“). ამ სიტყვების წარმომთქმელი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანია — ამერიკული ფეხბურთის ვეტერანი.

აი, ახლა კი სოხუმის გუნდზე მოგახსენებთ. მის შექმნაში განსაკუთრებული სპორტულ-პოლიტიკური აზრი იყო ჩადებული. ეროვნულ ჩემპიონატში „ცხუმის“ მაგივრად აღადგინეს „დინამო“. პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თავს უფლებას მივცემ ვთქვა — ეს აქცია „ბაგრაძიანის ბატალიონის“ ჩამოყალიბების ტოლფასია! ამიტომაც, სამართლიანია, რომ ეს „დინამოც“ ისევე გაქრა, როგორც ხსენებული სადისტთა სამხედრო შენაერთი.

ეს ჩვენებურ დასავლეთში ხდება. ჩვენებურ აღმოსავლეთში კი ასევე გამოგნებულ ფაქტთან გვაქვს საქმე: 1993 წლიდან „გაერთიანებული ოსეთის ჩემპიონატში“, რუსეთის ფეხ-

ბურთის ფედერაციის არეალში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ნებართვის გარეშე, ცხინვალის გუნდი მონაწილეობდა. ნუთუ არავის მოსვლია აზრად, მითითებინა ფიფა-უეფას ფუნქციონერებისთვის, საინსპექციო-საბანკეტო მოგზაურობების დროს ერთხელ მაინც გადაეკითხათ საკუთარი (და კიდევ — გაეროს) წესდება? ასეთი — „გაერთიანებული“ ჩემპიონატის ჩამტარებული ქვეყნის ფედერაცია ხომ კინნისკვრით უნდა იქნეს გაგდებული ფიფადან. თუმცა დღეს არაფერია გასაკვირი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სოჭში ოლიმპიადა არგუნა რუსეთს, ფიფამ კი — მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებას!..

ცხინვალის დეწილ გუნდს კი დღეს უკვდავი ლენინის ორდენოსანი საკავშირო საზოგადოების პროლეტარული სახელი — „სპარტაკი“ ეწოდება. ამასთან დაკავშირებით ერთი არასაფეხბურთო ამბავი მინდა გავიხსენო. შუმანს უთხრეს, ძალიან ნიჭიერი კომპოზიტორი შეემატა ჩვენს რიგებს — რიჰარდ შტრაუსიო. ამის გამგონე მაცეტრომ მხრები აიჩეჩა: „რაც მაუწყეთ, ჩემთვის ფრიად გასაკვირია, ბატონებო, რადგანაც თუ რიჰარდია, ვაგნერი უნდა იყოს და თუ შტრაუსია — იოჰანი!“ ჩვენც ერთგვარი პერიფრაზი გავაკეთეთ: თუ „სპარტაკია“, ქალაქს ცხალინირი უნდა ერქვას, და თუ ცხინვალაია, მის გუნდს — „ლიახვი“...

წერილის ბოლოს კი ერთ სურათს შემოგთავაზებთ. თითქმის იმ დროსაა გადაღებული, როდესაც — პეტროგრადელი ხუთქიმიანელები.

P.S. სურათზე ქუთაისის „ბაში-აჩუკია“. 1919 წელია.

თერთმეტი მაისურიანი და ერთი ჩოხოსანი. ისინი შორს, დღევანდლობის მიღმა, მომავალში იცქირებიან...

შეადარეთ ფოტოებზე აღბეჭდილთა სახეები... კომენტარები მკითხველისთვის მომინდვია.

გაუმარჯოს ქართულ ფეხბურთს!

www.palitra.ge  
PALITRA  
TV-RADIO  
ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!





# „კალგად საკუთარი ენა ჰქონდა და ქალგად — ნათელი გონება“

თბილისში გავიზარდე და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დავამთავრე, თუმცა ბოლო ხანს საუბრისას ისეთ „ფშაურებს“ ჩავფურთავ ხოლმე, აშკარაა — არქაული, ფშაური დიალექტის დიდი ნოსტალგია მომეძალა; ახლანდელ თაობას კი (ახალგაზრდა ფშაელებს ვგულისხმობ), ბებო ქალიკელის ლექსები რომ წააკითხო, ალბათ ნახევარს ვერ გაიგებენ, სულ გადაპრანჭულად და „ფარგონით“ მეტყველებენო, — წუხს 77 წლის ქალბატონი ლბატაშრა თაითრაშლი, რომელიც ჯერაც საკმაოდ მხნედ გამოიყურება და სიამაყით იხსენებს ვაჟა-ფშაველას მამის ნათლულსა და თავად ვაჟას დობილ, ფშაველ მოლექსე ბებოსა და თავის საამაყო წინაპრებს.



## ვაჟა-ფშაველას დობილი მოლქსა და თაითრაშლის ოჯახის რაღიპია

### ირმა ხარშილაძე

— ბებოჩემი — ქალიკელ გორზამაული — ჩარგლელი ქალი იყო, თიანეთის რაიონის სოფელ არტანში გამოთხოვილი, გიორგი თეთრაულის დიაცი (იგულისხმება მეულლე. — ავტ.) ქალიკელი 1860 წელს დაიბადა. ყმანვილქალობაში ლამაზი და ლალი ყოფილა, ძმიანი, თმიანი და მთხოვნელმრავალი, რაც ფშაველის ქალს აამაყებს. ცამეტმთხოვარი მყვანდაო ქალობაში, — სიამაყით ამბობდა, უკვე მოხუცებული, — თავ მამწონდაო. ან კი რად არ მამწონებოდა? — რვა ნაჭაპნთ (ნაწნავები. — ავტ.) ვატარებდი, თმის ძირებ დანყულულებულია მქონდის, ჩემთ თმათ ზიდავა მიჭირდის, ბოლონი ჭვივთა მცემდიანო. ბავშვობაში სუსტი ყოფილა ბებო. ვაჟა-ფშაველას მამა, პავლე მღვდელი თურმე იღბლიან კაცად მიიჩნეოდა, თან ახლო მეზობლობა და ნათელ-მირონიც აკავშირებდათ და „თავისად დაუახლებია“ (მოუნათლავს. — ავტ.) ქალიკელი. ვაჟასთან ძალიან მეგობრობდა. თავისი ღვიძლი ძმის სულთან ერთად იფიცებდა ვაჟის თავს. შემდეგშიც, როცა გათხოვდა, ვაჟა მისი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო თურმე. ჰოდა, როცა ქალიკელს ხუთი ქალიშვილის შემდეგ ნანატრი ვაჟი — მამაჩემი შესძენია, ვაჟა დაურქმევია. მამისთვის ნათლობისას კი ივანე უწოდებიათ, მაგრამ ყველა მაინც ვაჟას ეძახდა. ამაზე დიდი სიამაყე რა უნდა ყოფილიყო ჩვენი ოჯახისთვის, შვილო! მამაჩემი საუკუნის წინ, 1910 წელს დაბადებულა და ბებოსგან ვიცი, — ახალშობილთან „პირის სანახავად“ მის-

ულ ვაჟა-ფშაველას საჩუქრად, ლეკვბთან საგანგებოდ მისთვის დამზადებული, პატარა და ძალიან ლამაზი, სპილოს ძვლითა და ზარნიშით მოსევადებული ქართული ხანჯალი მიუტანია! აკვანში თავვეშე ამოუდგია ახალშობილისთვის — ასეთი წესი იყო ფშავეში. ეს ხანჯალი ამჟამად, როგორც უძვირფასესი რელიკვია, ჩემს ოჯახში ინახება, რადგან უფროსი ქალიშვილი ვარ. მე კი, ოჯახის ტრადიციისამებრ, ხანჯალი და ქალიკელის დაქსელილი ქსოვილით შეკერილი, მამას ფშაური ჩოხაც გადავეცი ჩემი უფროსი ვაჟის უფროს შვილს, სანდრო ყოლბაიას,



ბებოსგან ვიცი, — ახალშობილთან „პირის სანახავად“ მისულ ვაჟა-ფშაველას საჩუქრად, ქართული ხანჯალი მიუტანია!

რომელიც ახლან 18 წლისა გახდა. მერე სანდრო თავის უფროს შვილს გადაულოცავს და ასე გაგრძელდება მომავალში.

### ერთ-ერთ შვილიშვილს მაინც რატომ არ დაარქვით ვაჟა?

— გეტყვით: ოჯახში დაანესეს, რომ ქალიკელის შთამომავალი ვაჟისთვის აუცილებლად ვაჟა უნდა დაერქმიათ. მამაჩემი, ვაჟა თეთრაული სამხედრო იყო. 32 წლისა უკვე პოლკოვნიკი გახლდათ. ძირითადად, რუსეთში ვცხოვრობდით — 13 ქალაქი მოვიარეთ, ერთხანს ციმბირშიც კი ვიყავით. დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, სტალინგრადის დაბომბვას ორი კვირით გამოვასწარით. მამა პატრიოტი კაცი იყო და მართალია, ასაკით სკოლა მიწვდა, რუსეთში არ შემეყვანა. საქართველოში რომ გადამოიყვანეს და ვაზიანის სამხედრო ნაწილი ჩააბარეს, მხოლოდ მაშინ, უკვე 8 წლისა შემეყვანა სკოლაში. ჩვენ თბილისში დავფუძნდით, მამა კი ფრონტზე წავიდა. 62-ე გვარდიის შტაბის უფროსი იყო და დაახლოებით 52 წლისა, დნეპრის ფორსირებისას დაიღუპა — ციდან და ხმელეთიდან გერმანელების ალყაში მოექცნენ და ერთი კაციც არ გადარჩენილა. მამას ორი ქალიშვილი ვყავდით და ფრონტზე რომ წავიდა, დედა მესამე შვილზე დატოვა ფეხმძიმედ. დაიბადა ბიჭი, ჩემი უმცროსი ძმა და მასაც ვაჟა დაარქვეს. ვაჟა წლინახვერის იყო, დიზენტერიით რომ გარდაიცვალა. მე რომ გავთხოვდი და პირველი ბიჭი გამიჩნდა, ვაჟას დარქმევა მინდოდა, მაგრამ მამადებმა საგანგებოდ დამიბარეს და კატეგორიულად გამაფრთხილეს: არც ერთი ვაჟა არ შეგვრჩა, ყველა ახალგაზრდა დაგველუპა და შვილს სხვა სახე-



ლი დაარქვიო. შემეშინდა და სამივე ბიჭს სხვა სახელები დავარქვი.

— კარგად გასოვთ ბებო ქალიკელი?

— როგორ არ მახსოვს?! მეცხრე კლასში ვიყავი, რომ გარდაიცვალა. ქალმა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა და ჯვარსა სვამდა, ხელმონერის ნიშნად, თავის საყოლს (იგულისხმება შთამომავლობა. — ავტ.) დაუვიწყარი და ძვირფასი მემკვიდრეობა დაუტოვა თავისი პოეტური შემოქმედების სახით. კალმად საკუთარი ენა ჰქონდა და ქალაქად — ნათელი გონება. თიანური ზამთრის დღეებში კერაზე საჩჩეღთან ანდა ტარ-ფარტენასთან

ფიქრი და დარდი, მუდმივად სამხედრო სამსახურში მყოფი „სილაღე“ (სილაღეს ეძახდა მამაჩემს) იყო: „დედამც განაცვლა, ივანე/ მზესა ჰგვიხარ, მთვარესა/ მოული საქართველოსა/ ჰხილულობ ყველა მხარესა/ არ გაათენებ ერთხელა/ დედასთან ერთ-ორ ღამესა/ მოხვალ და მომეჩვენები/ დალახავ სახლის კარებსა/ ადგები, ნახვალ ისევა..! შენ გზას ვანყალბ თვალებსა!“ ხშირად ყოფა-ცხოვრებაში, საკუთარ ჭერქვეშ, ნათესავ-მეზობლობაში განცდილს, გაგონილს, ნანახს იტყოდა, ზოგჯერ მხოლოდ გულს ეტყოდა უჩუმრად, ხშირად — მხოლოდ თავისთვის, ისე, რომ საკუთარ ყურსაც

ყურდადებული ისმენდა მის ამონა-ალუღლუღებს და ასეთი წვალებით გადაჰქონდათ ქალაქდზე: „...თეთრი ჩიქილით მიუვალ/ ტყეში რო ხთიშობელია/ მიდღეგრძელებენ შვილებსა/ სადაც თავ-ხევისბერია/ მე კი შანდობა მითხროდით/ არავისი ვარ მტერია/ ასი წლისა ვარ ბებერი/ ე მა სიტყვების მთქმელია..! ჩემ საყოლთ სადღეგრძელოთ/ ხსენება იყოს ჩემია..! არ მინდა სუფარ-სამარხი/ შვილის მელირსოა ხელია/ სუყველა კარგად იყვენით/ ბევრ სიტყვა საცინელია/ ჩემ დროთა მოიყარენით/ გქონდესთ ადამის დღენია!“ ბებო ქალიკელი 1951 წელს, 91 წლისა გარდაიცვალა.



ღრმად ხანდაზმული ბებო გონებაში თხზავდა სტრიქონებს და ზაფხულში მასთან სტუმრად ჩასულ მის „ნუკრებს“ კარნახით გვაწერინებდა უკლებლად

ვერ გააგონებდა თავის ნათქვამს, რადგან საბრალო, ბოლო ხანებში დაყრუვდა კიდეც.

ქალიკელი ლექსად გამოთქვამდა ყველაფერს, რაც ანუხებდა და ახარებდა. ლექსი იყო მისი მწვავე მათრახი. ამიტომაც ფრთხილობდნენ ახალგაზრდები, „ბებო ქალიკელის ქილიკი“ არ დაემსახურებინათ... დანამდვილებით არავინ ვიც-

ვით, რამდენი ლექსი გამოუთქვამს, მაგრამ ცხადია, ლექსებიდან ცოტაა შემორჩენილი. სიცოცხლის ბოლოდროინდელ ლექსებში კი სიბერეზე ჩივილი ჭარბობს — ქალიშვილები გათხოვდნენ ფშავის სხვადასხვა სოფელში, ერთადერთი ვაჟი კი შორს, „ცისნაპირთა“ ჰყავდა. ღრმად მოხუცებულმა, 91 წლისამ, შვილზე დარდისაგან გულით დაავადებულმა, მომაკვდავმა, მაგრამ ჯერ კიდევ გონებანათელმა დატოვა თავისი უკანასკნელი სიტყვა — 24-სტროფიანი „სიზმარი-ანდერძი“. ენა აღარ ემორჩილებოდა და ჩემი ერთ-ერთი მამიდა მომაკვდავის ტუჩებზე

მუხლმორთხმული, ღრმად ხანდაზმული ბებო გონებაში თხზავდა სტრიქონებს და ზაფხულში მასთან სტუმრად ჩასულ მის „ნუკრებს“ (ანუ შვილიშვილებს. — ავტ.) კარნახით გვაწერინებდა უკლებლად. სამწუხაროდ, მისი სიყმაწვილის დროინდელი და ყველაზე ღამაში ლექსების ნაწილი აღარ შემოგვრჩა, ორიოდე გამონაკლისის გარდა. იმ დროისაა ლექსი „დუცობა“, სადაც იუმორითაა მოთხრობილი, როგორ წასულა 14 წლის ქალიკელი სახედრით დუცის (ბალახია მთაში, ფშავლები მას თავშესაქცევად ჭამენ) საკრეფად. გზაზე სახედარს საპალნე მოხსნია და ფერდობზე დაგორებულა საპალნეცა და სახედარიც: „...წინ ვირი ჩამეფარა, / უკან ტომრები იმისა, / დავჯე, დავინყე ტირილი / ხე-ქვან დაკვანრე ბნელითა / მემრე ავდექ და წამოელ / მაძებარ ვიყავ ვირისა / ჩამოიარე, დავკვლივე / ნათარ მეგონა თივისა / ნასათარივით ეტყობა / ნაგორვი ჩემი ვირისა..!“ ქალიკელი იტყოდა ხოლმე, 5 ქალი მყავ და ერთა შვილი: მთაში შვილად მხოლოდ ვაჟი მი-აჩნდათ, რადგან ფუძეს ის უნდა დარჩენოდა (იციინის). ამიტომაც, ბებო ქალიკელის შემოქმედების ერთ-ერთი ძირითადი თემა — მისი ერთადერთი

მინდა იცოდეთ, რომ თედო რაზიკაშვილმა ქალიკელ გორზამაშულისაგან ჩაინერა განთქმული მოლექსე ქალის — ხვარამზეს ლექსები. იგი აღნიშნავს, რომ ხვარამზე თედოსა და ვაჟას დედის, გულქან ფხიკლემვილისა და თვით ქალიკელ გორზამაშულის ტოლი და ამხანაგი იყო. ჩემს ოჯახს ბევრი მოგონება შემორჩა ვაჟა-ფშაველასზე. დარო და ევდო მამიდების მონათხრობსაც ხშირად ვინერდი. დარო მამიდა ჰყვებოდა: „სუ მუდამ დადიოდნენ ვაჟი და ბაჩანაი ჩვენსა, არტანში. ერთხელ მოიდნენ ორნივა. დაუკალით ქათამი. მე მოვხარაშე, ცამეტი წლისა ვიქნებოდი. თურმე კუჭი გასაჭრელ ჩამიგდავ და ამ ვაჟას ამაუჩნდა ე კუჭი. — მოდი აქა, ბიძაის ქალოო, — დამიძახა, — ბიძამ რა გითხრასო. — ამილო ი კუჭი და მითხრა: ჩემთან კი არა გიშავ რა, შვილო და სხვებთან კი არ მოგიხდეს, გაფრთხილდი ქალობაში, არ შაირცხვი-ნო თავიო“. ევდო მამიდას მონათხრობიც მახსოვს: „დედას, ქალიკელს ისე ახარებდნენ, დაიძახებდნენ თუ არა, იცნობდა იმათ ხმასა. მაშინვე დატრიალდებოდა. ბაბოჩემისა (მამის, გიორგის დედის) ალალ მამიდაშვილ იყო ი ღვდელი, ვაჟაის მამა, პავლე. სისხ-

**უყუჩაით!**

**www.palitrav.ge**

**PALITRA**

**TV-RADIO**

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!



ლით ნათესავები ვართ. დედისა კი ნათლია იყო, ვაჟაი კი — ნაძმობ. დედაჩემი ქალიკელი იმათ გათხოილ იყო. ჩემ პირგაურეველად არ გაათხოოთო, — ნათქომი ჰქონდა პავლესა. არტნის ხეობაში ყველაზე მდიდარ კაცი იყო მამაჩვენიო (იმდროინდელი სიმ-დიდრე ცხვარ-ძროხის რაოდენობით იზომებოდა და პავლე მღვდელმაც მდიდარ კაცზე, თავის დედიძისშვილ გიორგი თეთრაულზე გაათხოვა ქალიკელი)“. დარო მამიდა იგონებდა: „ხუთი წლისა ვიქნებოდი, ჩაუჯექ კალთაში ვაჟასა და ვკითხე: რა უყავ თვალი-მეთქი? — ჯიბეში მიზისო, — მითხრა. ხელ ჩაუყავ და კამფეტებ დავხელე. მემრე დედას შავეკითხე და ბედნიერმა (ციმბირის წყლულს გულისხმობდა) გამოსთხარაო, — მითხრა...“ ერთხელ კიდეც, ვაჟაის სახლის თავზე რომ გზაბილიც გადის, იქ ცხვარ მიუდის ერთ მწყემსსა: სცემსა და აგინებს. ამოიდა თურმე ვაჟაი და, — როგორ თუ ამ უენპირო საქონელს აგინებო! — ტყიპა ის მწყემსი. დაითრია ერთ ჭედლა და შათრია შინა — აი, შენ ეგრე გინდა დაჯარიმებო... ასეთი კიდეც რამდენი ამბავი ვიცი.

**ქალიკელის შემდეგ მოლექსე არაინ გყოლიათ გვარში?**

— მამაჩემი. თელავის ლეგიონში მსახურობდა და დედა იქ გაუცნია. თელავში კვირაობით თავშეყრის ადგილი „ტანც-პლაზადკა“ ყოფილა, სადაც იქაური ახალგაზრდები და თელავის სამხედრო ნაწილის ოფიცრები იკრიბებოდნენ. დედა მსახიობი, მოცეკვავე და მომღერალი ქალი იყო, ძალიან ლამაზი და მამას შეჰყვარებია. ლექსებსაც სწორედ მას უძღვნიდა ხოლმე, მერე კი მოიტაცა თურმე. ახალგაზრდობაში, შეყვარებული რომ ხარ და გელექსება, იმ დროს მეც ვწერდი. ჩემი შუათანა ვაჟი, ზურაბი და მისი მეუღლე, მაია მიქაია კი მწერალთა კავშირის წევრები არიან. ზურაბი „იმიერის“ ფსევდონიმით წერს. ვახუშტი კოტეტიშვილთან მეგობრობდნენ ძალიან. მათი ქალიშვილი, 14 წლის ელენეც წერს მოთხრობებს. დებიუტი შედგა კიდეც ჟურნალში. რატის ვაჟი ერეკლევც კარგად წერს პროზაულ ნაწარმოებებს. მე თვითონ ფილოლოგი ვარ. სტუდენტობისას მსახიობობამ გამიტაცა და უნივერსიტეტის თეატრში ბევრი მთავარი როლი

შევასრულე. მეუღლე ფსიქოლოგი მყავს, ძალიან თვალსაჩინო მეცნიერი — მამია ყოლბაია. 10 მონოგრაფიის ავტორია. სხვათა შორის, მისი წიგნების სტილისტი-კორექტორიც ვიყავი. მამია ბავშვთა ფსიქოლოგიის სპეციალისტი იყო, ძირითადად — დეფექტოლოგიის. ბევრ უმაღლეს სასწავლებელში იმუშავა, ყოფილი პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფსიქოლოგიის კათედრა დააარსა, მერე დეფექტოლოგიის ფაკულტეტიც და თვითონვე ხელმძღვანელობდა წლების განმავლობაში — მაშინაც, სულხან-საბას სახელი რომ უწოდეს, და მერეც, ჭავჭავაძის უნივერსიტეტი რომ დაერქვა. ორ თვეში 88 წლის ხდება და კათედრიდან მხოლოდ შარშან წამოვიდა. ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატშიც მუშაობდა. შვილები რომ წამოვზარდე, მეც იქ დავინყე მუშაობა. ყრუ-მუნჯი ბავშვების „ენა“ იოლად ავითვისე და წამყვანი პედაგოგი ვიყავი. ძალიან კარგად ვქსოვ. ადრე ჟურნალით ვასწავლიდი ქსოვას მსურველებს: გაკვეთილები მქონდა. 3 ვაჟი მყავს: რატი ანგლო-ამერიკანისტია, ზურაბი — ექიმი-მეთოდისტი და ზაზა. რატის ორი ვაჟი ჰყავს, ზურაბს — ორი გოგონა, 43 წლის ზაზა კი დასაოჯახებელია. ვხარობ, რომ ჩემი საყოლი — ჩემი შვილიშვილები ძალიან კარგი ბავშვები არიან. საამაყო ბიჭია სანდრო: ერთადერთმა დაამთავრა ოქროს მედალზე წმინდა გიორგის

ეროვნული გიმნაზია, მეორე ოქროს მედლით კი პრეზიდენტმა დააჯილდოვა. დარწმუნებული ვარ, ეს ბიჭი ღირსეული პატრონი იქნება ჩვენი რელიკვიის — ვაჟა-ფშაველას ნაჩუქარი



მამარა ლაგავრა დასა და მშობლებთან ერთად

ხანჯლის. მისი მეგობრები რომ მოდიან, ნეტავ განახვათ, რა მორიდებით მთხოვენ: შეიძლება, ვეამბოროთ ვაჟა-ფშაველას ხელშენაწლებ ხანჯალსო?.. ზაფხულობით მამაპაპისეულ — თიანეთის სოფელ არტანში ავდივართ ხოლმე. შარშან ჩვენი ძველი სახლი დაინგრა და ახლა ახალი ავაშენეთ. ადრე დედაჩემი — ელენე უვლიდა. თელავში გაზრდილი ჯაფარიძის ქალი ისე შეერწყა იქაურობას, ისე შეიყვარა ფშაველები, 27 წლისა დაქვრივდა და მანაც ქმრის ოჯახს შესწირა თავი. ახალგაზრდა ხარ, უნდა გათხოვდეო, — რომ ეუბნებოდნენ, — 2-3 დღე გლოვად იჯდა, ტიროდა, — როგორ მაკადრესო?!. პატიოსნად გაისტუმრა იმ ქვეყნად დედამთილ-მამამთილი და მთელი კუთხისთვის მშობლიური „ელო ძალო“ გახდა. იტყოდა ხოლმე: სიზმარშიც არ მილაღატია ჩემი ქმარ-შვილისთვისო... 77 წლისა ვარ და მინდა, 85 წლამდე მანაც ვიცოცხლო, შვილიშვილების პირველ წარმატებებს რომ მოვესწრო. ბავშვები კი მეხუმრებიან: ბებო, ახლა ასე რომ ამბობ, მერე კიდეც მეტი მოგინდება და იტყვი, — ამათ ცოლ-შვილს მომასწროო (იციან). რა ვქნა, ხომ იცით, ბებოები უფრო მგრძნობიარენი არიან.



მამას ფშაური ჩოხაც გადავეცი ჩემი უფროსი ვაჟის უფროს შვილს, სანდრო ყოლბაიას, რომელიც ახლახან 18 წლისა გახდა.



# იგავი უგუნური მდიდარზე

შორენა მარკილაძე

უფლის იგავი — „უგუნური მდიდარი“ გადმოცემულია ლუკას სახარების მე-12 თავში. მისი შინაარსი ასეთია: მდიდარ კაცს უხვი მოსავალი მოუვიდა; იფიქრა, — რა ვქნა, იმდენი სათავსი არ მაბადია, რომ მოსავალი დავადინო, ავდგები, ჩემს ბელღებს დავარდევ, უფრო დიდებს ავაშენებ და იქ მოვუყრი თავს მთელ ჩემს დოვლათს; ვეტყვი ჩემს სულს, — სულო, ბევრი სიკეთე გაქვს და გროვილი მრავალი წლისთვის, მოსვენებას, სვი, იმხარულე-უმალ ღვთის განჩინება მიიღო: „უგუნურო, ამალამვე მივიღებ შენს სულს და რაც დაიმზადე ვის დარჩება?“ იგავს წმინდა მამათა ნაზრვეის მოშველიებით განმარტავთ.

თავდაპირველად, გავისხენოთ — რას მოაყოლა მაცხოვარმა „უგუნური მდიდრის“ იგავის თხრობა: როგორც ლუკას სახარების მეთორმეტე თავშია მოთხრობილი, იესო ქრისტე თავის მოწაფეებს ჩააგონებდა, რომ უნდა მორიდებოდნენ ფარისევლთა საფუარს ანუ — თვალთმაქცობას. მათ გარშემო აურაცხელმა ხალხმა მოიყარა თავი. უფალი ქადაგებას განაგრძობდა. ბოლოს ერთმა კაცმა ქადაგება შეწყვეტინა და უთხრა: „მოძღვარო, უთხარი ჩემს ძმას, რომ გამიყოს მეშვიდობა“. მაცხოვარმა მიუგო: „ადაამიანო, ვინ დამაყენა თქვენს მსაჯულად, ან გამყოფად...“ ამ იგავზე საუბრისას, თეოფილაქტე ბულგარელი ბრძანებს: „ის მომჩივანი ძმა უფალს სთხოვს, წარმავალი ქონების გამყოფად იქცეს, უფალი კი თავისი პასუხით მშვიდად ამხელს მის ამქვეყნიურობაზე, მინიერებაზე ზრუნვას. მიუთითებს, რომ იგი უპირატესის, სულის ხსნისთვის კი არ ზრუნავს, არამედ ამქვეყნიურზე, წარმავალზე ზრუნვით და ანგარებითაა მოცული. ეს კი ღვთისთვის მიუღებელია...“ ამის შემდეგ, უფალი თავის მოწაფეებს მიუბრუნდება და მიმართავს: „დაუკვირდით და დაცავით თავი ყოველი ანგარებისგან, ვინაიდან ადამიანის სიცოცხლე მისი ქონების სიუხვზე როდია დამოკიდებული: „სიცოცხლეში“ — ცხოვრება, მარადიული სიცოცხლე უნდა ვიგულისხმოთ. ამ სიტყვების წარმოთქმით უფალი მიანიშნებს და გვაფრთხილებს, რომ ანგარების საფუძველი — ამქვეყნიურობაზე, ამოებაზე, მინიერებაზე მიჯაჭვულობაა. სწორედ ამის შემდეგ გვიამბო მაცხოვარმა „უგუნური მდიდრის“ იგავი, რომლის წარმოთქმის მიზანიც სწორედ სიმდიდრისა და ქების მოხ-

ვეჭის, ანგარების, ამოებაზე მიჯაჭვულობის დაგმობაა.

იგავის დასაწყისის თანახმად, კაცს იმდენი სიმდიდრე დაუგროვებია, ყველა სათავსი გადავსებული აქვს და არ იცის, სად წაიღოს ახალმოწეული უხვი მოსავალი — ე.ი. შეინახოს ამდენი ქონება. სწორედ ეს მიანიშნებს მის ვერცხლისმოყვარეობაზე, მომხვეჭელობაზე, მინიერებაზე მიჯაჭვულობასა და უგუნურებაზე. უფალი იმის გამო კი არ განიკითხავს მდიდარს, რომ სიმდიდრე მოიპოვა (მით უმეტეს, ქონება მას საკუთარი შრომით აქვს მოწეული და ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია), არამედ — ქონების არასწორად განკარგვისა და გაუმადლობის, მხოლოდ ხორციელზე ზრუნვის გამო.

„შეკვრებ მთელ ჩემს დოვლათს“ — ფიქრობს მდიდარი კაცი. ნეტარი თეოფილაქტე საგანგებოდ აჩერებს ყურადღებას იგავის ამ ადგილზე: დაუკვირდით, როგორ შეიძლება დაუბრმავოს კაცს გონება დიდძალმა ქონებამ, ვერცხლისმოყვარეობამ, — ამბობს, ჩემიაო! ქონებას მის საკუთრებად მიიჩნევს და არა ღვთისგან ბოძებულად. ადამიანი თავისი ქონების ბატონ-პატრონი კი არ არის, არამედ — მოურავი, განმკარგავი და ღვთისგანაც იმის მიხედვით მიეზღვება, როგორც განკარგავს.

მაცხოვარი ბრძანებს — თქვენი საუნჯე, უდიდესი განძი უნდა იყოს ცათა შინა, სადაც ვერც მოგპარავენ, არც გაფუჭდება; ასეთ განძს მარადიული დანიშნულება აქვს; თუკი მინიერსაც ვიუნჯებთ და სულიერსაც, ამ შეერთებით მრავალ კეთილ საქმეს აღვასრულებთ. „სადაც არის საუნჯე თქვენი, იქ არის გული თქვენი“, — გვმოდგვრავს სახარება. ნუთისოველში, ხორცში ყოფნის უამს ადამიანს ხორციელზე, მინიერის მოპოვებისთვის ზრუნვა კი არ ეკრძალება, მაგრამ მთავარია, არ მივეჯაჭვოთ მინიერს და არ დაგვავინცდეს უმთავრესი — სულის ცხოვრებაზე ზრუნვა. წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ბრძანებს: თუ ადამიანი იმდენს არ ზრუნავს სულისათვის, რამდენსაც ხორცისთვის, ვერ სათნოეყოფა უფალსო. სოლომონ ბრძენი თავის იგავების წიგნში წერს: „თავს ნუ იქებ ხვალინდელი დღით, რადგან არ იცი, რას გიმზადებს, რას დაბადებს ის დღე“.

თეოფილაქტე ბულგარელი წერს: „ამ მდიდრის უგუნურება იმითაც მულაუნდება, რომ საკუთარ ბედნიერებას ამგვარი უბადრუკი სიამეებით შემოფარგლავს — განსვენება, უსაქმურობა და ჭამა-სმა. სულ ეს არის მისი ბედნიერების თავი და ბოლო, ამათგან მონიჭე-

ბული სიხარული აღავსებს მის ალუკსებელ სანყაულს! ამგვარი სიამენი მხოლოდ უგუნური ადამიანის კმაყოფილებას ინვეს, გონიერი კი ღვთის კანონებს ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე, ეძიებს სიხარულსა და ბედნიერებასაც. მდიდარი თავის თავს რომ შესძახის — იხარებდე — ე.ი. იმხარულეო, მხიარულებაში ამჟამად განცხრომით, სიამეებით ცხოვრება იგულისხმება, რაც ყოველთვის მოჰყვება კარგ ჭამას, ნაყროვანებასა და მინიერებაზე მიჯაჭვულობით ცხოვრებას“.

იგავის ბოლო ნაწილიდან ნათლად ჩანს, რაოდენ ახლოსაა ადამიანისთვის მოულოდნელი სიკვდილის საფრთხე. მდიდარი არ ელოდა სიკვდილს, პირიქით — ოცნებობდა იმაზე, რომ დიდხანს ეცოცხლა საკუთარი ნებისამებრ — განცხრომითა და მხიარულებით, მაგრამ სამყაროში ყველაფერი, ადამიანის სიცოცხლეც, სიმდიდრეც და სიკვდილიც — ღვთის განგებულებით ხდება. იგავის ბოლო ნაწილით უფალი მიგვანიშნებს, რომ ყოველთვის, ყოველწამიერად მზად უნდა ვიყოთ გარდაცვალებისა და ღვთის სამსჯავროს წინაშე წარდგომისთვის.

იგავის თანახმად, უფალი კაცს კი არ ეუბნება — „სულს ამოგართმევო“, არამედ — „სულს ამოგართმევნო“. მამათა განმარტებით — „სულის მიღება“ ანუ „წართმევა“, „ამორთმევა“ სწორედ ცოდვილის სულის გამოა ნათქვამი. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი ამ საკითხთან დაკავშირებით ბრძანებს: „ცოდვილს ბოროტი ანგელოზები სულს მართლაც ძალდატანებით, იძულებით ამოართმევენ და მიიტაცებენ, ვინაიდან ცოდვილის სული მინასაა მინებებული, ხორცთანაა შეზრდილი და მეტისმეტად უჭირს მისი დათმობა, მასთან განშორება. ცოდვილს იმ სულს ამოართმევენ, რომელსაც ესოდენი კმაყოფილებით ახლახან, თავს დღეგრძელობასა და განცხრომას პირებოდა...“ ცოდვილისგან განსხვავებით, მართლისა და კეთილმსახურის სული არ წართმევა. მართალი ადამიანი საკუთარ სულს თვითონვე აბარებს უფალს სიხარულით. სოლომონ ბრძენი ამბობს: „მართალთა სულები ღვთის ხელში არიან და ტანჯვა-წამება მათ ვერ შეეხება“. „ამოგართმევენ“, „მიიღებენ“ — ამ იგავური თქმით მინიშნებულია ღვთიური განაწინი, საბოლოო ხვედრი და აღსასრული მოუწანიებელი ცოდვილისა...

„რაც დაიმზადე, ვის დარჩება?“ — ამ შეკითხვით ასრულებს უფალი იგავის თხრობას, რათა ამით კიდევ ერთხელ დააფიქროს მკითხველი, მით უფრო, ის ადამიანები, ვინც მინიერებისა და ქონების მოხვეჭისკენაა მიდრეკილი, კითხვამ: მართლაც, ვის დარჩება ჩემი სიმდიდრე, ჩემი ქონება?..

# „მიცუბიუსი“ ახალი ჰიბრიდული მობილური

„მიცუბიუსი მობილური“ 2015 წლის-  
თვის 8 ჰიბრიდული მოდელის წარ-  
მოდგენას გეგმავს. ამის შესახებ  
იაპონური ავტომწარმოებლის მიერ



გამოქვეყნებულ ბიზნესგეგმაშია  
ნათქვამი. 2 ახალი მოდელი 2012  
წლამდე იქნება ნაჩვენები. ავტომო-  
ბილების შესახებ დანვრებიანი  
ინფორმაცია ჯერჯერობით არ  
ვრცელდება, მხოლოდ ისაა ცნობილი,  
რომ ამ ჰიბრიდების ელექტროენ-  
ერგიით დამუხტვა დენის ჩვეუ-  
ლებრივი, საშინაო წყაროთი იქნება  
შესაძლებელი. ადრე გავრცელებუ-  
ლი ცნობით, 2013 წლამდე კომპა-  
ნია არასაგზაო „მიცუბიუსი აუტლენ-  
დერის“ ჰიბრიდული ვერსიის სე-  
რიულ გამოშვებას აპირებს. ავტო-  
მობილის პროტოტიპად, კონცეპტუ-  
ალური კროსოვერი Px-MiEV-ი იქცე-  
ვა, რომელიც 2009 წელს ტოკიოს  
ავტოსალონზე წარადგინეს. კონცეპტ-  
ავტო 2 ელექტრომობილით იყო აღ-  
ჭურვილი (თითო — თითოეულ ღერ-  
ძზე) — 82 ცხმ-იანი და 1,6-ლიტრი-  
ანი, 116 ცხმ სიმძლავრის მობილ-  
ებით. ამ ჰიბრიდის ელექტროენერგი-  
ით დამუხტვაც საშინაო პირობებში  
შეიძლება. ერთი ძრავათი მას 45  
კმ-ის გავლა შეუძლია. ამჟამად „მიცუ-  
ბიუსის“ სამოდელო რიგში მხოლოდ  
ერთი ავტომობილია, რომელიც სან-  
ვავის ალტერნატიულ სახეობას მო-  
იხმარს. ეს არის ელექტროჰიბრიდი  
i-MiEV. იგი იაპონიაში 2009 წლის  
შუა პერიოდში იყიდება, ხოლო  
უახლოეს მომავალში ევროპულ ბა-  
ზარზეც გამოჩნდება.




# „აუდის“ ელექტროავტომობილი გაშვებისთვის

თებერვლის დასაწყისში კომპანია „აუდი“



გაშვებისთვის განკუთვნილი  
ელექტროავტომობილის წარდ-  
გენას აპირებს. ეს მოხდება  
სათამაშოების 62-ე საერთა-  
შორისო გამოფენაზე, რომელ-  
საც ქალაქი ნიურნბერგი (გერ-  
მანია) უმასპინძლებს. სიახლეს  
Auto Union type C e-tron study  
ჰქვია და, როგორც მწარმოებ-  
ლის პრესრელიზშია აღნიშნუ-  
ლი, მასში მოთავსება არა მარ-  
ტო ბაგეებს შეეძლება, არამედ 1,8 მ-მდე სიმაღლის მოზრდილებსაც. სათა-  
მაშო ავტომობილის სიგრძე 2,32 მეტრია, სიგანე — 97 სმ. კორპუსი ალუმინისა  
და კარბონისგანაა დამზადებული. ავტომობილი 1,5 ცხმ სიმძლავრის ელექტრო-  
მობილითაა აღჭურვილი, რომელიც ლითიუმბატარებით იკვებება. ასეთი მანქანის  
მაქსიმალური სიჩქარე 30 კმ/სთ-ია, ხოლო სვლის თადარიგი — 25 კმ. 230-ვოლტიანი  
ძაბვის დენის წყაროდან ბატარეების დატენას დაახლოე-  
ბით 2 სთ დასჭირდება. ამ ეტაპზე უცნობია, აპირებს თუ არა „აუდი“ ასეთი  
სათამაშო ელექტროავტოს სერიულად წარმოებას.



# სპორტული პაკეტი X1-ისთვის

ერთ-ერთმა საიტმა სპორტული  
M-პაკეტით აღჭურვილი „ბე-ემ-ვე იქს



იანი დეტალები. გარდა ამისა,  
სპორტპაკეტში სპორტული წინა სა-  
ვარძლები და M-ემბლემის საჭეც  
შედის. „ბე-ემ-ვე იქს 1“-ის მსოფ-  
ლიო პრემიერა 2009 წლის სექტემ-  
ბერში ფრანკფურტის მობილურ  
შედეგა. ავტომობილი, რომელიც  
მოდელ „იქს 3“-ზე 110 მმ-ით მოკლე,  
60 მმ-ით ვიწრო და 140 მმ-ით  
დაბალია, ევროპულ ბაზარზე 3 ბენ-  
ზინის ძრავათი იყიდება — 2 და  
3-ლიტრიანი მოცულობის (რომ-  
ლებიც შესაბამისად, 150 და 258  
ცხმ-ს ავითარებს) და 2-ლიტრიანი  
დიზელით. ეს უკანასკნელი, სიმ-  
ძლავრის მიხედვით, 5 ვარიანტად  
იქნება ხელმისაწვდომი — 143-დან  
204 ცხმ-მდე დიაპაზონით.

1“-ის ფოტოები გამოაქვეყნა. ასეთი  
პაკეტის მქონე მანქანის პრემიერა  
წლეულს მარტში, ჟენევის მობილ-  
ურზე შედგება, რის შემდეგაც კო-  
მპლექტ M Sport-ის შეკვეთა ევროპ-  
ულ ბაზარზეც ხელმისაწვდომი გახდე-  
ბა. კროსოვერ „იქს 1“-ის M-პაკეტში  
შედის ახალი წინა ბამპერი, რომელ-  
საც გვერდებზე დიდი ჰაერშემავავე-  
ბლები აქვს, განსხვავებული უკანა  
ბამპერი, მსუბუქი შენადნობისგან  
დამზადებული 17-დუიმიანი ბორ-  
ბლების დისკები (ოპციის სახით —  
18-დუიმიანი), აგრეთვე — ძარაზე  
მიმაგრებული GmbH-ის ლოგოტიპ-





# Koenigsegg-ის ახალი სუპერკარგო

კომპანია Koenigsegg სუპერკარგოს — Agera-R — ახალი ვერსიის წარ-



დგენას გეგმავს ჟენევის მომავალ მობილურ მოტორშოუზე, რომელიც 3-13 მარტს შედგება. თავდაპირველად, ეს მანქანა შვედური მწარმოებელი Agera-ს ახალი მოდიფიკაციის გამოშვებას არ გეგმავდა. გადამწყვეტილება ომანის სამეფო ოჯახის მიერ შეკვეთილი Agera-ს 1100 ცხძ-იანი ვერსიის დამზადების შემდეგ შეცვალეს. მანქანა ჯერჯერობით, ერთადერთ ეგზემპლარადაა გამოშვებული. ის იმდენად მოწონა მწარმოებელსა და კომპანიის მფლობელს, კრისტინ ფონ კენიგსებს, რომ მან ჰიპერკარგოების სერიული გამოშვება გადაწყვიტა. მოდელი „აგერა“ პირველად შარშან, ჟენევის მოტორშოუზე წარმოადგინეს. ის 4,7-ლიტრიანი, 910 ცხძ სიმძლავრის მ-ცილინდრიანი ძრავათი იყო აღჭურვილი და სიჩქარის გადაცემათა სეკვენტური კოლოფით მუშაობდა. სამეფო ოჯახის შეკვეთით, სპეციალურად ჰიპერკარგოს მოტორის ფორსირება მოახდინეს და ავტომობილის აეროდინამიკა გააუმჯობესეს. „კენიგსების“ მონაცემებით, „აგერას“ სტანდარტული ვერსია 100 კმ/სთ სიჩქარეს 3,1 წმ-ში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე — 390 კმ/სთ-ია. R ვერსიის დინამიკური მაჩვენებლების შესახებ ჯერჯერობით არაფერია ცნობილი.



# რეკორდსმანი სსოველები

დედამიწის ყველაზე დიდ და მძიმე-ნონიან ცხოველად ლურჯი ვეშაპი ითვლება. ახალდაბადებული (მისი სიგრძე 10 მეტრს აღწევს) დღე-ღამეში 80-100 კგ-ს იმატებს. ზრდასრული კი სიგრძით 30 მეტრია და 125 ტონაზე მეტს იწონის. სხვათა შორის, 1966 წლიდან ლურჯ ვეშაპებზე ნადირობა აკრძალულია. წყლის კიდევ ერთი მძიმე-ნონიანი ბინადარია ვეშაპისებრი ზვიგენი. იგი ქვირითით მრავლდება. თითოეული სიგრძით 60 სმ-ია, ხოლო სიგანეში — 40 სმ.



ხმელეთის ყველაზე მძიმე-ნონიანი ცხოველი სპილოა. იგი 6 მეტრამდე სიგრძისა და 5 ტონამდე იწონის.

ფრინველებს შორის ყველაზე მძიმე-ნონიანია (130 კგ) სირაქლემა.

ყველაზე სწრაფ ცხოველად ავაზა მიჩნეული. იგი აფრიკის, ინდოეთის, შუა აზიის ტრამპალეზსა და უდაბნოებში ბინადრობს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 120 კმ/სთ-ია. მიუხედავად იმისა, რომ ავაზა კატისებრთა ოჯახის მტაცებელია, ხეზე ასვლა არ შეუძლია. მას ბევრ ქვეყანაში ათვინიერებენ და ანტილოპებზე სანადიროდ გეშავენ (ავაზა

ველურ ბუნებაშიც ძირითადად, ანტილოპაზე ნადირობს და მისი ხორციით კვებას თავის ლეკვებს).

წყლის ბინადრებს შორის, ყველაზე სწრაფი — იალქნოსანი თევზია. 100 კმ/სთ სიჩქარე შეუძლია განავითაროს. იგი ძირითადად წყნარ, ინდოეთისა და ატლანტის ოკეანეებშია გავრცელებული. მტაცებელია და თევზებითა და კალმარებით იკვებება.

წყლისა და საკვების გარეშე ყველაზე დიდხანს — 100 დღეს კლდის ციყვი ძლებს, რომელიც სამხრეთ მექსიკაში ბინადრობს და არა აქლემი, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

აფრიკული სპილოს ყურების სიგრძე 2 მეტრია, მაგრამ დედამიწის ყველაზე „ყურმა“ ცხოველად მიჩნეულია მინის კურდღელი. 9 სმ-იან ცხოველს ყურები 5 სმ-მდე ეზრდება. ამ ცხოველს, ტანის კვალობაზე, კუდიც გრძელი აქვს. მინის კურდღელი მონღოლეთის სტეპებში ბინადრობს.

ბინგინები და თეთრი დათვები ყინვაგამძლე ცხოველებად მიიჩნევიან, მა-



გრამ ექსპერიმენტის შედეგად დადგინდა, რომ იხვი და ბატი 110 გრადუსს (ცელსიუსით) უძლებენ.

პლანეტის ყველაზე ძლიერ არსებად ჭიანჭველა ითვლებოდა, რომელსაც საკუთარ მასაზე 50-ჯერ მეტი სიმძიმის აწევა შეუძლია, მაგრამ ცოტა ხნის წინ დადგინდა, რომ მარტორქა ხოჭოს საკუთარ სხეულზე 850-ჯერ მეტი სიმძიმის აწევა შეუძლია.



# ბრიტანული ტრადიციები

ინგლისსა და ევროპის რამდენიმე ქვეყანაში (შვეიცარია, პორტუგალია, გერმანია) მაისის პირველ კვირას გაზაფხულის მოსვლას აღნიშნავენ.

იც გაჭირვებულების დასახმარებლად შემონიშნულობებს აგროვებდა.

5 ნოემბერს „ფოქსის ლამეს“ ლონდონში კოცონს ანთებენ. 1605 წლის



ცენტრალურ მოედანზე ყვავილებითა და გირლანდებით მორთულ ბოძს — მაისის ხეს რგავენ და მის გარშემო ცეკვავენ.

ქალაქ გლოსტერის მახლობლად, კუპერ ჰილისის გორაზე ყველის ფესტივალი იმართება. მონაწილეები გორაზე დაგორებულ ყველის თავს უნდა გაეკიდონ. გამარჯვებული ის იქნება, ვინც ყველს ბოლომდე ჩააგორებს და უვნებელი გადარჩება. ფესტივალის ბოლოს ადგილობრივი სამედიცინო პუნქტი დაზარალებულებით ივსება.

გურინგის ფესტივალს XIII საუკუნიდან აღნიშნავენ. თავდაპირველად, ადგილობრივი ფეოდალი ყოველი წლის ერთსა და იმავე დღეს გამგლელებს ვაშლებს ურიგებდა. მოგვიანებით, ვაშლის დარიგება ფესტივალად აქციეს და სხვადასხვა გასართობიც დაუმატეს. ფესტივალი სექტემბრის ბოლო კვირას ეწყობა და მას უამრავი ტურისტი ესწრება. ყველაზე პოპულარულია ბოძზე გავრულ, ცხიმნასმულ ცხვრის ტყავზე ხოხვა და ყალიონის გაბოლება. ყველაზე მეტი მონაწილე კი საშიში და სასაცილო გრიმასების კონკურსს ჰყავს.

ლონდონში, მაისში „მარგალიტის ნეფე-დედოფალს“ ირჩევენ. გამაჯვებულია ის, ვისაც სადაფის ლილებით გაფორმებული ყველაზე ლამაზი კაბა ეცმევა. ტრადიციას XIX საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ლონდონელმა მეზობელმა ჰენრი კროფტმა, რომელ-

ამ დღეს გაი ფოქსს შეთქმულების ლიდერმა რობერტ კეტსიმ პარლამენტის აფეთქება და მეფის ჩამოგდება დაავალა. ამბოხებამდე რამდენიმე საათით ადრე დამნაშავეები შეიპყრეს. ბრიტანელები კი ქვეყნის გადარჩენას დღემდე ზეიმობენ.

ქალაქი ასკოტი უინძორთა სასახლიდან რამდენიმე კმ-ში მდებარეობს. ცენტრალურ იპოდრომზე ყოველწლიურად „ასკოტის დოლი“ იმართება, რომელსაც სამეფო ოჯახის წევრები, ცნობილი ადამიანები და ბრიტანეთის ელიტა ესწრებიან. ყველაზე ცნობილია ჯორჯ VI-ისა და დედოფალ ელისაბედის პავტივსაცემად მოწყობილი შეჯიბრება



(ივლისში იმართება). დოლი იმითაცაა ცნობილი, რომ მანდილოსნებს ყველაზე უჩვეულო თავსაბურავები ახურავთ.

ბრიტანეთი ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შეწირულობების მოზიდვის მიზნით, ჭაობის გადაცურვის ჩემპიონატი ეწყობა. მონაწილეებმა 36-მეტრიანი დისტანცია უნდა დაფარონ. შემოსული თანხა საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ.

ჩალის დათვის დღესასწაული ყოველწლიურად, 7 იანვარს იმართება. ეს დღე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დასაწყისად ითვლება. მონაწილეები ჩალისგან დამზადებულ დათვის ფიტულს იცვამენ და მეზობლებს ცეკვითა და სიმღერით ართობენ. გასამრჯელოდ კი ფულსა და ტკბილულს იღებენ.

1980 წლიდან სოფელ ვილატონში (ჩეშირის საგრაფო) ჭიაყელების დაჭერის ჩემპიონატი ეწყობა. იგი ადგილობრივი მცხოვრებლის, ტომ შაფლბოტემის თაოსნობით იმართება. 1980 წლის 5 ივლისს ტომმა რეკორდიც კი დაამყარა და ნახევარ საათში 511

ჭიაყელა დაიჭირა. მონაწილეებმა 18 წესი უნდა დაიცვან. ერთ-ერთის თანახმად, არ უნდა გასცდნენ ტერიტორიას (თითოეულ მონაწილეს 3X3-მეტრიან ფართობს უღობავენ), შეუძლიათ, ჩართონ მუსიკა, მაგრამ მინის საჩიჩქნი ხელსაწყოებისა და წყლის გამოყენების უფლება არა აქვთ.

„მორისის ცეკვას“, მუსიკის თანხლებით, მხოლოდ მამაკაცები ასრულებენ. იგი პირველად XIV საუკუნეში დაიდგა და დღესაც სიამოვნებით ასრულებენ. მიანიან, რომ ამ ცეკვას ბედნიერება მოაქვს. მოცეკვავეებს შავი ბრიჯები, თეთრი პერანგები და ხის ქოშები აცვიათ. თეთრ წინდებზე კი ზანზალაკები აქვთ დამაგრებული.

**უყუჩეთ!**

**www.palitra.ge**

**PALITRA**

**T.V - RADIO**

ლაპარაკობს და უჩვენებს პალიტრა!

რუბრიკა მოამზადა  
რუსუან ბელაშვილმა



# 15 წუთი სარბის წინ



## თვალის ჩრდილები

ჩრდილები საუკეთესო საშუალებაა თვალბის სილამაზის გამოსაკვეთად. ლამაზად გაკეთებული თვალის ჩრდილი თქვენს გარეგნობას უფრო მომხიბვლელს გახდის.

როგორც წესი, თვალის ჩრდილებისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ სასურველი ფორმისა თუ ზომის ფუნჯი, ფერიც — საკუთარი გემოვნებით შეარჩიოთ. თუმცა ეფექტური შედეგის მისაღებად რეკომენდებულია შემდეგი წესების დაცვა:

● თავდაპირველად აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფერის —

ღია, საშუალო და მუქი ტონები;

● დაიწყეთ ღია ფერის ჩრდილით. ეს ქუთუთოს ბუნებრივ იერს მიანიჭებს, გამოიყენეთ ბრტყელი ფორმის თვალის ფუნჯი;

● ამის შემდეგ დაგჭირდებათ ოდნავ მუქი ტონის ჩრდილი. წვრილი ფუნჯით ხაზი გაავლეთ წამწამის ზოლზე. ეს მას უფრო ხშირს გამოაჩენს;

● გამოიყენეთ მუქი ფერის ჩრდილი. წაისვით დაკუთხული ფუნჯით, რაც შეიძლება თხლად. თვალის ზედა კუთხეში კი გაშალეთ და ოდნავ გაამუქეთ;

● დაბოლოს: ბუნებრივი ეფექტის მისაღებად, დიდი ფუნჯით აურიეთ სამივე ფერის ჩრდილი და

თხელ ფენად დაიდეთ მთლიან ქუთუთოზე.

## როგორი ფორმის ნარბები მოგიხდება?

იმისთვის, რომ ლამაზად გამოიყურებოდეთ, აუცილებელია, სწორად განსაზღვროთ, თუ როგორი ფორმის ნარბები მოუხდება თქვენს სახეს. ამ ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

ნარბების კორექცია სხვადასხვა ფორმის სახისთვის განსხვავებულად კეთდება...

● მაგალითად, ოვალური ფორმის სახისთვის იდეალურია ოდნავ დაკუთხული ნარბები.

● ფართო შუბლისა და მოგრძო ნიკაპის შემთხვევაში, უპირატესობა მრგვალ ნარბებს ენიჭება, რადგან ეს ფორმა სახეს უფრო ნაზ და დახვეწილ იერს აძლევს.

● გრძელი სახისთვის სასურველია ჰორიზონტალური, გრძელი ნარბები.

● თუ გსურთ, რომ სახის სიმრგვალე დაფაროთ, გირჩევთ, თალოვანი კორექცია გაიკეთოთ.

● ფართო სახეს კი მიმზიდველ იერს მრუდი ფორმის ნარბები მისცემს.

● დაბოლოს, გახსოვდეთ, რომ ლამაზი ნარბები მომწუსხველი გამოხედვის მთავარი იარაღია!

# ნაზი ტერფები რომ გქონდეთ

პედიკურის გაკეთება შინაურ პირობებშიც შესაძლებელია, თუ რამდენიმე მარტივ რჩევას გაითვალისწინებთ და მიჰყევებით წესებს, რომლებსაც გამოცდილი სპეციალისტები იცავენ:

✓ მოამზადეთ თბილი ქაფიანი აბაზანა ტერფის კანის დასარბილებლად.

✓ ჩაყავით ფეხები ქაფიან წყალში და გააჩერეთ დაახლოებით ხუთი წუთი.

✓ შემდეგ ტერფები, ქუსლები და თითები სპეციალური ჯაგრისით გაიხეხეთ.

✓ აიღეთ პემზა და გულდასმით მოიმოროთ კანი, რომელსაც ჯაგრისი ვერ გაუმკლავდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ადგილებს, სადაც კანი გაუხეშებულია ან ბებერებია გაჩენილი.

✓ გადაივლეთ სუფთა წყალი და გაიმშრალეთ.

✓ ფრჩხილების დაჭრისას, გადაჭერით ისინი სწორად და არავითარ

შემთხვევაში — წრიული ტრაექტორიით, რათა თავიდან აიცილოთ ფრჩხილის ჩაბრუნება.

✓ შემდეგ გაიქლიბეთ ფრჩხილების ზედაპირი სპეციალური ქლიბით და მოათავსეთ თითები პედიკურის თითების დამჭერში, ლაქის წასმისას ერთმანეთს რომ არ მიეღოს. შეიძლება ამ დამჭერის მაგივრობა ბამბის ტამპონებმაც გაგინიოთ.

✓ პირველ ფენად წაისვით სამკურნალო უფერო ლაქი, რომელიც დაიცავს და გაამაგრებს ფრჩხილების სტრუქტურას, შემდეგ კი გადაისვით სასურველი ფერის ლაქი.

✓ კანის უფრო მეტად დასარბილებლად, ძილის წინ წაისვით



ტერფებზე დიდი რაოდენობით მკვებავი კრემი, შეიხვიეთ ცელოფანით და ამოიცივით ბამბის წინდები. დილით თქვენი ტერფები ჩვილის კანივით თოთო იქნება.





# თამაში, რომელსაც წესები არა აქვს

ყოველი ჩვენგანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც ჩვენი გულის ცხრაკლიტულის გასაღებს სასურველ მამაკაცს მივანდობთ იმ იმედით, რომ ის არაფერს დაიშურებს ჩვენი მარადიული გრძნობის შესანარჩუნებლად. თუმცა ეს ყოველივე — ზღაპრებში, ცხოვრებაში კი ყველაფერი სხვაგვარადაა...

სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს, თქვენი ერთი შეხედვით უწყინარი რაინდი, გრძნობებზე მოთამაშე თაღლითად იქცეს. ნუ შეშინდებით: სიყვარული ხომ თამაშია — თამაში წესების გარეშე!!!

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ არაფერს შეუძლია ქალის თვითშეფასების უნარის დაქვეითება ისე, როგორც სასიყვარულო ასპარეზზე განცდილ მარცხს. ჰოდა, საყვარელი მამაკაცის მიზეზით გამოწვეული გულგატეხილობა უსასრულო დებრესის მიზეზად რომ არ გექცეთ, ეცადეთ, საკუთარი წესებით მართოთ სიტუაცია.

ამბობენ, მამაკაცებს ცვლილებები უყვართ, ერთსა და იმავე ქალთან დიდხანს ვერ ძლებენ, სიახლეს ეძებენო. მაგრამ ისეთი ქალებიც არსებობენ, რომლებიც მამაკაცებს თავიანთი კრეატიულობით უამრავ თავ-



ლოებლად, მერწმუნეთ, რაც უფრო მეტ დაბრკოლებას გადალახავთ ამ თამაშში, მით მეტი დრო გექნებათ ერთმანეთის გრძნობების გამოსაცდელად, იქნებ ეს მართლაც მხოლოდ თამაშია?!

მაგრამ თუ თქვენ თავგადასავლების მაძიებელი არ ხართ და გირჩევნიათ, მშვიდად შეხედეთ მორიგ სასიყვარულო გამოწვევას, უბრალოდ საკუთარ გულისთვის მიენდეთ. შეცდომები გეპატიებათ, თამაშში ხომ რისკიან ადამიანებს უფრო უმართლებთ!!!

ბოლომდე მიჰყევით ფსიქოლოგების რჩევას და საკუთარი თავის ფასი შეიგრძენით — ქალები ხომ სამყაროს ყველაზე ამოუცნობი ქმნილებები ვართ!!! პრობლემები? — ჩათვალეთ, რომ ისინი მხოლოდ გართობთ და ცხოვრებას გიფერადებთ. ხოლო როდესაც საკუთარი შესაძლებლობების გჯერათ, საკმარისია, მხოლოდ გაუღიმოთ ცხოვრებას და ისიც არაერთხელ მოგცემთ შანსს!!!

სატყვას უჩენენ და თავგზას ისე უბნევენ, რომ მათი მუდმივი ინტერესის საგნად რჩებიან. მართალია, მამაკაცი არ ხართ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ცვლილებებზე უარი უნდა თქვათ, ან დასახული მიზნისკენ სავალ გზაზე ფარ-ხმალი დაყაროთ! მიზანი ამართლებს საშუალებას — თუ თქვენი რჩეულიც მსგავსი ტაქტიკით მოქმედებს თქვენთან დასახ-

## ვანილიანი „გულაბი“

**მასალად საჭიროა:**

- ფქვილი — 225 გ;
- კარაქი — 150 გ;
- კვერცხი — 1 ცალი;
- შაქარი — 125 გ;
- ვანილის ესენცია — 1 ჩ/კ.



**მოზადების წესი:**

გააკეთეთ გოგლიმოგლი. ჯამში ჩაყარეთ ფქვილი, დაუმატეთ კარაქი, გოგლიმოგლი და ვანილის ესენცია. აურიეთ კარგად.

მოზილეთ ცომი. გააბრტყელეთ 2,5 სმ სისქეზე, ამოჭერით გულის ფორმები.

თითოეული გულის ცენტრი ჩაზნიქეთ თითით და ჩადეთ მასში ნებისმიერი ჯემი.

ფორმაზე წაუსვით კარაქი, დააწყვეთ გულები და გამოაცხვეთ წინასწარ გახურებულ აერლუმელში 180 გრადუსზე, 15-20 წთ.

## საქონლის კუჭაქი

**მასალად საჭიროა:**

- 300 გ საქონლის გულ-ღვიძლი (ფილტვი, თირკმელი);
- 4 ცალი ხახვი;
- 4 ცალი პომიდორი;
- 2 ს/კ ზეითუნის ზეთი;
- 1 კონა ქინძი და ქონდარი;
- 1 ცალი ბრონეული;
- 1 ს/კ აჯიკა, მარილი, პილპილი.

**მოზადების წესი:**

კარგად გარეცხეთ გული, ფილტვები, ღვიძლი და თირკმლები — ცალ-ცალკე; შეაშრეთ, დაჭერით წვრილ კუბურებად.

მოშუშეთ ცხიმში დაჭრილი ხახვი და პომიდორი. დაუმატეთ ხორცი, აჯიკა, მარილი, პილპილი და შუშეთ კიდევ 10-12 წუთი. მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი და ბრონეულის მარცვლები.



რუბრიკა მოამზადა **ქვა ბუნთაიშვილმა**

# გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკბლენელი თქუი იჯანიძე

1. ზევსოფობია ღმერთების შიშია.
2. „კარბის კრიზისი“ 13 დღე გაგრძელდა.
3. „ნე მაგუ“ ჟივიოტ ნა ულიცე „ნე ხაჩუ“, — ამბობენ რუსები.
4. „ერთი ფოტო 1000 სიტყვას უდრის“, — ამბობენ ჟურნალისტები.
5. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა კარლ მარქსის სახელს ატარებდა.
6. სამუალოდ, მამაკაცი სიცოცხლის 5 თვეს სარკის წინ, წვერის პარსვისას ატარებს.
7. ზაქარია ფალიაშვილმა ოპერა „დაისი“ თავის მუხას, ნადეჟდა ბუზოლლის მიუძღვნა.
8. „არც უნიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა“, — წერდა ილია ჭავჭავაძე.
9. „ამქვეყნად მოკავშირეებზე უარესი მხოლოდ მათი არარსებობაა“, — ამბობდა უინსტონ ჩერჩილი.
10. ჟანა დ'არკი ჯალათებს ერთხელაც არ შეხვეწნია, სიკვდილით ნუ დამსჯითო. მხოლოდ ღმერთს ევედრებოდა, შემინყალეო.
11. ვენეცია ნელ-ნელა იძირება, რის გამოც ბოლო 10 წლის განმავლობაში მისი მოსახლეობის ნახევარი სხვა ქალაქებში გადასახლდა. ამჟამად ქალაქში მხოლოდ 60 ათასი კაცი ცხოვრობს.
12. „პიცა ისეთივე მნიშვნელოვანი აღმოჩენაა, როგორც მიზიდულობის კანონი ან ბორბლის გამოგონება“, — ამბობენ იტალიელები.
13. ვიქტორიას ეპოქაში ინგლისელები იატაკს თიხისგან აკეთებდნენ. მოზელის დროს თიხას გასაპკრივებლად, კირთან ერთად, ხარის სისხლს ურევდნენ და ოთახში, პირდაპირ მიწაზე გლესავდნენ. შემდეგ ხისძირიან ფესსაძმელებს იცვამდნენ და მანამ ცვეკვდნენ, სანამ თიხა სათანადოდ არ დაიტკეპნებოდა. გაშრობის შემდეგ არცთუ ურიგო იატაკი მზად იყო.
14. „რუს ჩინოვიკებს ყოველწლიურად 300 მილიარდი დოლარი გააქვთ ქვეყნიდან. ლონდონში უძრავ ქონებაზე, ცნობილი მხატვრების ტილოების აუქციონებსა თუ იახტების ბაზრობებზე სწორედ მათ შორის მიდის ტაციაობა“, — ამბობს იულია ლატინინა.
15. აფროამერიკელი მარკ ტვენის „ჭკულობერი ფინის თავგადასავლის“ სასწავლო პროგრამიდან ამოღებას მოითხოვენ, რადგან ამ ნაწარმოებში მათთვის საჭულველი სიტყვა „ნიგერი“ 219-ჯერ არის ნახსენები.
16. ერთხელ კუს ტბის მახლობლად მოსერიწე ოთარ რამიშვილს ვიღაც მთვრალი გადაუვიდა, შენთან ერთად კარგი პური უნდა ვჭამო, ჩემთან გეპატიუებო. თანაც

# ქრონიკული არაკალკულოზური (უკენჭო) ქოლესისტოზი



ქრონიკული არაკალკულოზური ანუ უკენჭო ქოლეცისტიტი ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებაა, რომელიც გამწვავებებისა (როცა დაავადება მკვეთრადაა გამოვლენილი) და რემისიის (დაავადება არ ვლინდება) პერიოდების მონაცვლეობით გამოირჩევა. ეს სნეულება ძალიან გავრცელებულია საქართველოში და ალბათ ჩვენებური კვების თავისებურებებიდან მომდინარეობს. მართლაც, ქრონიკული ქოლეცისტიტის ჩამოყალიბებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრების წესს; მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

კვების რაციონში ცხოველური ცხიმის, ნახშირწყლების სიჭარბე; ფიზიკური და ფსიქოემოციური გადაძაბვა; ნაღვლის ბუშტიდან და სანაღვლე გზებიდან ნაღვლის ევაკუაციაზე უარყოფითად მოქმედი ჰიპოკინეზია (ქვემოთ განვმარტავთ); თამბაქო, სპირტიანი სასმელები, ლუდი; ნიკოტინი და ალკოჰოლი ნაღვლის ბუშტის მოტორულ ფუნქციას არღვევს, რასაც ნაღვლის შეგუბება მოჰყვება; გარკვეული გენეტიკური ნიადაგი, კერძოდ — მემკვიდრეობაში ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სანაღვლე გზების სხვადასხვა პათოლოგია; დადგენილია კავშირი ორგანიზმის სხვა სისტემებში არსებულ, ქრონიკული ანთების კერებთან.

## ქალები უფრო ხშირად ავადდებიან

ის ფაქტი, რომ ქალებში ქოლეცისტიტი 6-8 ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში, ნაწილობრივ შეიძლება აიხსნას იმ მიზეზით, რომ მამაკაცებს ახასიათებთ მუცლის ტიპის სუნთქვა, რაც დიაფრაგმისა და მუცლის კუნთების შეკუმშვით არის განპირობებული; იქმნება ნაღვლის გადადენის ხელშემწყობი, ბუნებრივი მასაჟის სასურველი პირობები. ქალებს კი არ ახასიათებთ მუცლის

ტიპის სუნთქვა, ამიტომ მათთვის მიზანშეწონილია ვარჯიში დღეში რამდენჯერმე — ღრმად ჩასუნთქვისას მუცლის გამოზევა, ხოლო ამოსუნთქვისას — ძლიერი „შენოვა“.

## რა აწუხებს დაავადებულს

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ქოლეცისტიტის დროს ხშირად, როგორც მეორადი, თანდართული დაავადება, გვხვდება დისკინეზია ანუ ნაღვლის ბუშტის მოტორიკის (შეკუმშვის უნარის გაძლიერება ან შესუსტება) მოშლა. გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში ძირითადი დაავადების სახით არსებულ დისკინეზიას, ადრე თუ გვიან, ანთებითი პროცესი მოსდევს და ყალიბდება შერეული ხასიათის კლინიკური სურათი, რომელშიც შესაძლოა, რომელიმე ერთი პროცესის ნიშნები ჭარბობდეს.

ქრონიკულ ქოლეცისტიტზე ჰიპოტონიური ტიპის დისკინეზიების (ნაღვლის ბუშტის მოტორიკის შესუსტება) თანდართვისას აღინიშნება „შეგუბებითი ნაღვლის ბუშტის“ სიმპტომები:

- მწარე პირის გემო;
- ბოყინი;
- გულისრევა, შესაძლოა, პირლებინება, ნაღვლის მინარევით;
- მუდმივი ყრუ ტკივილი მარჯვენა ფერდქვეშ, რომელიც რამ-



# გზაში საკითხავი კოლაჟი

ქპლერელი თქუპ იყანიძე

ამაყად დაამატა, ვინმე ჰარიფი არ გეგონო, ძველი ვერელი ვარო. თავიდან რომ ვეღარ მოიშორა, მომღერალმა უთხრა, ორ საათში სევასტოპოლის 14-ში მომავითხე და სადაც გინდა, წამოგყვებიო. „ძველი ვერელი“ დამიღებულ ნავიდა და ბაიბურშიც არ იყო, რომ ოთარ რამიშვილმა სასაფლაოს მისამართი დაუსახელა.

17. დიდ ბრიტანეთში პარლამენტის შენობაში გარდაცვალება კანონით აკრძალულია. ამ კანონის უნებლიე დამრღვევად იქცა ქვეყნის რიგით ოცდამეერთე პრემიერ-მინისტრი სპენსერ პურსევალი, რომელიც ჯონ ბელინგემმა შურისძიების მიზნით, პარლამენტის შენობაში მოკლა.

18. თამბაქო ძალზე სწრაფად ფიტავს ნიადაგს. ამიტომ ამ კულტურის მომყვანი ახალმოსახლე ინგლისელები მინის გასანოყიერებლად ინდიელთა რჩევით, ყოველი ჩითლის ძირში, სასუქის ნაცვლად, თევზს მარხავდნენ.

19. მესამე პუნიკური ომი რომაა და კართაგენს შორის, ამ უკანასკნელის სრული განადგურებით დასრულდა ბუნებრივია, მათ შორის არავითარი ზავი აღარ დადებულა. საზავო ხელშეკრულება რომის მერმა, უგო ვეტერემ 1985 წელს, ტუნისში ოფიციალური ვიზიტის დროს გააფორმა ამ ქვეყნის დედაქალაქის მერთან და ოფიციალურად დაუსვა ნერტილი ომს, რომელიც ფორმალურად, 2131 წელი გრძელდებოდა.

20. ვაგნერს შურდა მისი თანამედროვე კომპოზიტორების, განსაკუთრებით მუნდელსონის. სიძულვილში გადასული შური მან გამოსატა თავის სტატიაში სახელწოდებით „ებრაელები მუსიკაში“, რომელშიც წერდა, მუნდელსონის შემოქმედებას სიღრმე აკლია, იმის გამო, რომ ებრაელიაო.

21. ერთხელ არისტოტელე დიოგენესს შეხვდა. კასრის ბინადარი ფილოსოფოსი ლევს მიირთმევდა არხინად და არისტოტელესაც შესთავაზა. ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელმა იფიქრა, უარი რომ ვუთხრა, ქედმაღლობაში ჩამომართმევს და რაიმე მწარე ხუმრობასაც მოაყოლებსო. ლევი გამოართვა და ნიშნი მოუგო: ხუმრობაც გაგიცუდდა, დიოგენეც, და ლევის გარეშეც დარჩიო.

22. ფილოსოფოსი არისტოტეპე სირაკუზელ ტირან დიონისეს საკუთარი მეგობრის შეწყალებას სთხოვდა, მაგრამ ვერაფერი შეასმინა. ბოლოს მის ფეხთით დაეცა და ცრემლითა და გოდებით მოუღბო გული. ამის დანახვზე იქ მყოფ დიდებულებს სიცილი წასკდათ, რაზეც არისტოტეპე მხრები აიჩინა: „განა ჩემი ბრალია, ტირანებს ყურები ტერფებიდან რომ ეზრდებათ?!“

დენადმე მცირდება პირღებინების ან საკვების მიღების შემდეგ (ნალვლის ბუშტის დაცლის გამო).

•ჰიპერტონიული ფუნქციური დარღვევის (ნალვლის ბუშტის მოტორიკის გაძლიერება) შემთხვევაში, კლინიკური სურათი განსხვავებულია: მარჯვენა ფერდის ქვეშ თავს იჩენს ხანმოკლე ტკივილი, რომელიც წამლების გარეშეც სწრაფად ქრება. ხშირად ამ შეტევას ავადმყოფი დიეტის დარღვევას ან ემოციურ გადატვირთვას უკავშირებს. ამ დროს ნალვლის ბუშტის საპროექციო არეზე ხელის დაჭერისას, მწვავე ტკივილი აღინიშნება.

## როგორ ხდება დიაბეზის დაზუსტება

ქრონიკულ ქოლესტიტიზე ეჭვის მიტანა ხდება ავადმყოფის ჩივილების საფუძველზე. ექიმი გასინჯვით ადგენს სპეციფიკური სიმპტომების არსებობას. ადრეულ სტადიაზე დაავადების გამოვლენა ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური, რადიოლოგიური გამოკვლევებით ხდება. სანყის სტადიაზე ანთებითი პროცესის გამოვლენა შესაძლებელია კლინიკაში ხელმისაწვდომი, სხვა მეთოდებითაც. მათგან აღსანიშნავია ნალვლის ლაბორატორიული კვლევა.

## თავიდან ავიცილოთ გამწვავება ანუ — დიაბეზი რამისიის პერიოდში

✓ მიზანშეწონილია საკვების ხშირი მიღება — დღეში 4-5-ჯერ, მცირე ულუფებით, მკაცრად ფიქსირებულ საათებში;

✓ მშრალი საკვები, ასევე, ნაჩქარევად მიერთებული კერძი საჭმლის მონელების პროცესს არღვევს — თორმეტგოჯა ნაწლავში კუჭიდან ჩასული საჭმლის ულუფები არასაკმარისად იჟღინთება კუჭის წვენიტ, რომელიც ნალვლის წვენის გამოყოფის ერთ-ერთი ძირითადი სტიმულატორია, ამიტომ ნალველი გამოიყოფა არასაკმარისი რაოდენობით, რასაც საკვების არასრული შეთვისება მოსდევს;

✓ ნალვლის ბუშტის ნორმალური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საკვებში ცხოველური და მცენარეული ცილების ზომიერი რაოდენობა;

✓ რაციონში უნდა ჩაირთოს: კარტოფილი,

სტაფილო, კიტრი, ჭარხალი, ყაბაყი, კომბოსტო, ბადრიჯანი, პომიდორი, ტკბილი ხილი, კენკროვანი. ჩამოთვლილ მცენარეთა უჯრედისი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ქოლესტერინის გამოყოფას;

✓ ბოსტნეულის ნალვლმდენ ეფექტს აძლიერებს მცენარეული ზეთი, რომელიც უმჯობესია, მზა საჭმელს დაემატოს და არ შეცხედდეს, რათა ცხიმმა სამკურნალო თვისებები არ დაკარგოს. მიზანშეწონილია, რაციონში ყოველდღიურად შევიტანოთ 30-50 გრამი მცენარეული ცხიმი; მისი რაოდენობა კალკულოზური (კენჭოვანი) ქოლესტიტის შემთხვევაში, 20-30 გრამამდე იკლებს;

✓ ცხარე და მწარე საკვები იკრძალებათ;

✓ ცხოველური ცხიმებიდან შეიძლება, მხოლოდ კარაქი, დღეში 15-20 გრამის ოდენობით;

✓ რეკომენდებულია დღიურად, 50-70 გრამი შაქარი, 10 გრამი მარილი;

✓ კვერცხი სასურველია, კვირაში 3-4-ჯერ მივიღოთ, ომლეტის სახით ან მაგრად მოხარშული, ხოლო გამწვავების პერიოდში ან ნალველ-კენჭოვანი დაავადებების დროს — მხოლოდ ორთქელზე მომზადებული ცილის ომლეტი;

✓ უმჯობესია, გამომშრალი თეთრი პური; რემისიის პერიოდში, გამომშრალი შავი პურის მიღებაც შეიძლება;

✓ ასევე შეიძლება, წინასწარ მოხარშული და შემდგომ, ოდნავ შემწვარი ხორცი მივიღოთ.

## დიაბეზი

### გამწვავების პერიოდში

დაავადების გამწვავების პერიოდში დიეტა ცხიმებისა და ცილის შეზღუდვას ითვალისწინებს. ამ დროს რეკომენდებულია: ჩაი, წყალზე დამზადებული ბრინჯისა და მანანის ბურღულის ფაფები, თეთრი ორცხობილა. 3-4 დღის შემდეგ





შეიძლება დაემატოს მოხარშული ხილი (კომპოტი, ვაშლის ხილფაფა), გახეხილი ბოსტნეული, მანონი, ბოსტნეულის წვნიანი, მცირე რაოდენობის რძიანი ჩაი. ამ დროს მიზანშეწონილია ცივი საჭმელი, ნაყინი, ცივი სასმელები.

კატეგორიულად დაუშვებელია: შებოლილი საკვები, ცხიმოვანი საჭმლის ხორცი, ტვინი, თირკმლები, ღვიძლი, ღორისა და ცხვრის ხორცი, იხვი, ბატი, ცხოველური ცხიმები (გამონაკლისია კარაქი), კონსერვები (ხორცის, თევზის, ქათმის, სოკოს), ლობიო და პარკოსნები, სანელებლები, მჭაუნა, მწნილი, მხალეული, ხახვი, ნიორი, ნაზუქები, ტორტი, კრემიანი ღვეზელი, ბლინი, შოკოლადი, კაკაო.

**ნაღვლმდანი მხანარაული საშუალება**

ქრონიკული არაკალკულოზური (უკუნჭო) ქოლეცისტიტის გამწვავების პერიოდში, ნაღვლმდანი თვისებების გამო სასარგებლოა ზეთუნის ან მზესუმზირის ზეთის მიღება — 1-2 ს/კ, დღეში 2-3 ჯერ; ასევე — უკვდავას, ცირცველის, ასკილის, სიმინდის ულვაშის ნაყინი. ნაყინის დასამზადებლად მცენარის ნაყოფს ემატება 2 ჩ/ჭ მდულარე წყალი: ადუღებთ 5-7 წუთს, მერე თავდახურულ ჭურჭელში 10-12 საათის განმავლობაში აყენებთ; შემ-

დეგ უნდა გაიწუროს და მივილოთ 0,5 ჩ/ჭ 2-ჯერ დღეში, ჭამადე 0,5 საათით ადრე.

**ყრუ გამოკრახვა**

ნაღვლის ბუშტის დაცლა შეიძლება უზონდო გამოორეცხვითაც (გამორეცხვა კატეგორიულად იკრძალება ნაღვლკენჭოვანი დაავადებების დროს), რასაც ხალხი ნაღვლის ბუშტის ყრუ გამოორეცხვას უწოდებს. ამისთვის გამოიყენება მინერალური წყალი, რომლის ზემოქმედებითაც ნაღველი თხელდება, ნაკლებად წებოვანი ხდება, რაც ბუშტის მოტორული ფუნქციის გაუმჯობესებას უწყობს ხელს.

ნაღვლის ბუშტის გამოორეცხვის პროცედურა შემდეგნაირად უნდა

ჩატარდეს: გაზგამომწვებული, 45-55 გრადუსამდე წინასწარ შემთბარი 0,5 ლიტრი მინერალური წყალი 10-15 წუთის განმავლობაში ყლუბებად უნდა დალიოთ; მერე წვებით 30-40 წუთით მარჯვენა გვერდზე და ნაღვლის ბუშტის საპროექციო ადგილას ათავსებთ სათბურას. პროცედურა ინიშნება 7-10 დღეში ერთხელ. ნაღვლის დენის გაძლიერების მიზნით, მინერალურ წყალს ერთ ჩ/ჭ-ზე შეიძლება დაემატოს 0,5 ჩ/ჭ გოგირდმჭავა მაგნეზია ან რომელიმე მარილი, უმჯობესია — ექიმის რეკომენდაციით.

**მელიკამენტაჰი**

მედიკამენტური მკურნალობა მიზანშეწონილია მხოლოდ ექიმის დანიშნულებით.



**შიგოთარაჰია**

**ამოსახველებელი საშუალება:** 1 ს/კ დაქუცმაცებულ ვირისტერფას ფოთლებს დაასხით 400 მლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 1 სთ, გაფილტრეთ და მიიღეთ 1 ს/კ, 4-6-ჯერ დღეში.

**თმის ცვენისა და ქერტლის საწინააღმდეგოდ:** აიღეთ 100-100 გ ვირისტერფა და ჭინჭარი, დაასხით 1,5 ლ მდულარე წყალი, გააჩერეთ 15 წთ, გაფილტრეთ, შეანელეთ ცივი წყლით და გადაივლეთ თმაზე.

**კუჭაშლილობის საწინააღმდეგოდ:** 1 ჩ/კ წვრილად დაჭრილ ბრონეულის ქერქს დაასხით 0,5 ჩ/ჭ მდულარე წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 15 წთ და მიიღეთ დღის განმავლობაში.

**ოფლის მოდენისა და გაცივების დროს ზემო სასუნთქ გზებიდან შესქელებული სეკრეტის გამოყოფის მიზნით:** 2 ჩ/კ დიდგულას ყვავილს დაასხით 1 ჩ/ჭ მდულარე წყალი, გააჩერეთ 10 წთ, გაფილტრეთ და მიიღეთ 2 ჯერზე ყლუბებით.

**გაზების დაგროვებისას:** მომინანქრებულ ჭურჭელში ჩაყარეთ 2 ჩ/კ კამის დაქუცმაცებული თესლი, დაასხით 2 ჩ/ჭ მდულარე წყალი და თავდახურული გააჩერეთ 10 წუთი, შემდეგ გაფილტრეთ და მიიღეთ სამ ჯერზე, ჭამადე 0,5 საათით ადრე.



**სისხლქარღვევის დაზიანება**

**სისხლქარღვევის გასუფთავების მიზნით:** აიღეთ 5 ს/კ ფიჭვის წიწვი, 3 ს/კ ასკილი, 2 ს/კ დაჭრილი ხახვი, დაასხით 1 ლ მდულარე წყალი; ადუღეთ 10



# თქვენი ოჯახის მკურნალი

ნუთი; გააჩერეთ 30 წუთი; განურეთ და მიიღეთ 100 გ 2-3-ჯერ დღეში, ჭამამდე და ბოლოს — ძილის წინ.

**სისხლძარღვების გასუფთავებისა და დამშვიდების მიზნით:** აიღეთ 1 ჩ/ჭ კამის თესლი, 2 ჩ/კ კატაბალასას ძირები, 2 ჩ/ჭ თაფლი; ჩაასხით თერმოსში, 2 ლ-მდე შეავსეთ წყლით, გააჩერეთ ერთი დღე; მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**თავის ტვინის სისხლძარღვთა სკლეროზის დროს:** გახსენით 1 ლიმონი და შეურიეთ თითო-თითო ჩ/ჭ დაქუცმაცებულ შტოს, ასკილსა და თაფლს; მიიღეთ 20-40 გ ჭამამდე.

**თრომბოფლებიტის დროს:** ანტონოვიკის ჯიშის 3 ვაშლი გარეცხეთ ცივი წყლით, დაანყვეთ მომინანქრებული ქვაბის ძირზე და დაასხით 1 ლ მდუღარე წყალი; დაასურეთ თავზე, შეფუთეთ და 4 სთ-ის შემდეგ დაჭყლიტეთ ვაშლი ქვაბშივე, წვენი გადმონურეთ და მიიღეთ თაფლთან ერთად (50 გ ნაყენზე 1 ჩ/ჭ თაფლი), დილით — უზმოზე და საღამოს — ძილის წინ.

**ქვემო კიდურების ღრმა ვენების თრომბოზის დროს:** 1 ჩ/ჭ დაჭრილი ხახვი, 1 ჩ/ჭ თაფლი აურიეთ და 3 დღე გააჩერეთ ოთახის ტემპერატურაზე; შემდეგ 10 დღე მაცივარში შეინახეთ. მიიღეთ 1 ს/კ, 3-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წუთით ადრე.

**ქვემო კიდურების სისხლძარღვების სკლეროზის დროს:** დაკრიფეთ წინვოვანი ხეებიდან წინვები და შეინახეთ პოლიეთილენის თავლია პარკში; ყოველ საღამოს ერთ მუჭა წინვს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ ნელ ცეცხლზე 10-15 წუთი; გააჩერეთ მთელი ღამით. მიიღეთ დღის განმავლობაში, წყლის ნაცვლად.

**ვენების ვარიკოზული გაგანიერების დროს:** 1 ს/კ დაქუცმაცებულ სვიის გირჩებს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ნელ ცეცხლზე ადუღეთ 20 წუთი, გაგრილების შემდეგ მიიღეთ 1 ჩ/ჭ, დღეში 3-ჯერ. დოლბანდი ამ ნაყენით დაასველეთ და ვენებზე დაიდეთ.



[www.mkurnali.ge](http://www.mkurnali.ge)

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.



# ადამიანი

## ბრძნობის გამო გადახული მსხვერპლი და ბერად აღკვესის სურვილი

მათი სიყვარულის ამბავი რამდენიმე ათეული წლის წინ დაიწყო. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტმა გოგონამ, ინესა აბესაძემ სასწავლებელში უცხო ყმაწვილი შენიშნა, მოეწონა და მეგობარს, გოჩა აბაშიძეს უთხრა, — შეხედე, რა კარგი ბიჭიაო. გოჩამ უცხო შეათვალიერა და მისი გადაბმული წარბების დანახვისას გოგონას გადაულაპარაკა: — არაფერი უთხრა, თორემ ისე იბღვირება, ორივეს გცემსო. თურმე, ეს სიტყვები ბიჭმაც გაიგონა და თეატრალურ ინსტიტუტში ჩაბარება გადაიფიქრა... მაგრამ წლების შემდეგ გუჯა ბურდული და ინესა აბესაძე ერთმანეთს ისევ შეხვდნენ...

### ანუ ბურდულების უჩვეულო ცხოვრების სტილი

#### თავისუფალი კინიკაჟი

— ანუ ერთმანეთი იმ დღესვე არ გაგიცნიათ?

— არა, ეს მოგვიანებით მოხდა. ერთ დღეს მე და ჩემი მეგობარი, მსახიობი თეა გაბუნია რუსთაველზე ვსეირნობდით. „ივერიის“ წინ მდებარე ატელიის ვიტრინისკენ რომ გავიხედე, ჩემი ყურადღება ერთმა ფოტომ მიიქცია. — თეა, შეხედე, რა კარგი ბიჭია-მეთქი, — ვუთხარი. — მაგ ფოტოზე აი, ეს ბიჭი არისო, — მითხრა მეგობარმა და იქვე მდგარი გუჯი გამაცნო; თურმე, ამ დროს გუჯა იქვე ტრიალებდა, თეა კი მას კარგად იცნობდა.

— ფოტოზე ვერ იცანით ის ბიჭი, რომელიც ვერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში მოგეწონათ?

— ვერა, ვერ ვიცანი, მაგრამ როცა თეამ მითხრა, — გაიცანი, გუჯი ბურდულიო, მერე ისიც გამახსენდა, რომ ეს ის ბიჭი იყო, რომელიც ინსტიტუტში ვნახე და მომეწონა.

— ამის შემდეგ თქვენი ურთიერთობა როგორ აწყო?

— ინსტიტუტიდან რომ გამოვდიოდი, ვითომ შემთხვევით, ქუჩაში მხვდებოდა — წინ მე მივდიოდი, უკან გუჯი მომყვებოდა; მერე ჩვენ შორის მანძილი თანდათან დამოკლდა... გუჯი მეტისმეტად სუფთა, ხალასი ბუნების მთიული მამაკაცია. მიუხედავად იმი-


სა, რომ თბილისში დაიბადა და გაიზარდა, სისხლის ყივილი მის ბუნებაში ვიგრძენი.

— და შეგიყვარდათ, არა?

— ასე მოხდა! შეყვარებულობის პერიოდში იყო გაბუტვები, შერიგებები...

— რაზე ჩსუბობდით?

— ეჭვიანი იყო და ვიდრე სახლამდე მიმაცილებდა, 4 კაცს მაინც სცემდა ხოლმე; ქუჩაში ვინმე თუ შემომხედავდა, მისი საქმე ნასული იყო. გამოგიტყდებით და ამაზე დიდად არ ვნერვიულობდი, მეტიც — ეს ყველაფერი მომწონდა კიდევც... გუჯი სიტყვააუნნიც გახლდათ. მას ერთხელაც არ უთქვამს, — მიყვარხარო, მაგრამ ამას მისი გამოხედვით, ქცევით, შეხებით ვგრძნობდი. მოგვიანებით იცით, რა მითხრა? — ბიჭი რომ არ გყვოლოდა, ბოლომდე ერთად ვერ ვიქნებოდით, ჩვენი ოჯახი დაინგრეოდაო. გავგიჟდი, — ამ დიდ სიყვარულს დათმობდი, ამას მართლა ამბობ-მეთქი? — დავთმობდიო! — სრული სერიოზულობით მიპასუხა. მთიულებში ბიჭის ანუ გვარის გამგრძელების კულტი დღემდე არსებობს. გუჯი ძალიან განიცდიდა, რომ ყველა ჩვენი შვილიშვილი გოგონა იყო, მაგრამ ცოტა ხნის წინ ბაკურს და მის მეუღლეს ვაჟი, პატარა გუჯა ბურდული შეეძინათ, რამაც ყველანი გაგახსარა. სხვათა შორის, ბაკურის ცოლიც



თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს. — როგორც ვიცი, თქვენ საქართველოში პირველი ფოტომოდელი იყავით...

— იმ პერიოდში, როცა ინსტიტუტში ვსწავლობდი, თეატრალურის რექტორი ილია თავაძე იყო. ერთ დღეს ის სერგო ზაქარიაძესთან და ერთ უცნობ პიროვნებასთან ერთად ინსტიტუტის შესასვლელთან იდგა. დილის 9 საათითა, სტუდენტთა ნაკადი და მათ შორის მეც სასწავლებელში შევდივართ. მახსოვს, ზაქარიაძემ ყველასგან გამომარჩია, ხელი ჩემკენ გამოიშვირა და თავაძეს უთხრა, — აი, ეს გოგონა დავტოვოთო. ბიჭებიდან კი კახი კავსაძე შეარჩიეს. როგორც აღმოჩნდა, სატელევიზიო ტელენოველისთვის შეგვარჩიეს და ფოტოები გურამ თიკანაძემ გადაგვიღო. იმ პერიოდში მოდელი იყო ფოტოკონკურსები, რომლებიც საზღვარგარეთ ტარდებოდა და საერთაშორისო არენაზე ჩვენი ფოტოების გატანა ჟურნალ „დროის“ მეშვეობით ხდებოდა. სხვათა შორის, გურამის გადაღებულმა ჩემმა ფოტოებმა არაერთ კონკურს-



ში გაიმარჯვა. მასსოვს, გოჩა აბაშიძე მეუბნებოდა, — შენ „ფოტოზეზა“ ხარ, მე — „კინოზეზა“. მაშინ გოჩას მართლა ბევრ ფილმში იღებდნენ.

**— საბოლოოდ, თქვენ უარი თქვით არა მარტო ფოტომოდელიობაზე, არამედ მსახიობის პროფესიაზეც...**

— აბა, მთიული კაცი მსახიობი მეუღლის გვერდით იცხოვრებდა? თანაც, გუჯის დედას ახლობლები ევითხებოდნენ, — ოღონდ, შენი სარძლო მსახიობიაო? — მსახიობი კი არა, ისტორიკოსიაო, — იტყუებოდა ოღონდ. არაერთმა რეჟისორმა მიმინვია ფილმში გადასაღებად, მაგრამ ყველას უარს ვუბნებოდა.

**— გული არ გწყდებოდა?**

— არა, ეს ნებაყოფლობითი მსხვერპლი იყო; ოღონდ გუჯი გამეხარებინა და რაც მას უნდოდა, იმას ვაკეთებდი. თანაც, როცა ცოლობა მთხოვა, ისიც დასძინა, რომ ოჯახის შექმნის შემთხვევაში შინ უნდა ვმჯდარიყავი, მისთვის მომეყოლო და ბურდულებების გვარის გამგრძელებლები გამეჩინა... მაშინ გუჯი „გეპიში“, სამშენებლო ფაქულტეტზე სწავლობდა და კინოში წასვლა აზრადაც არ ჰქონდა. მართალია, რეჟისორების ინტერესს ყოველთვის იწვევდა, მაგრამ მისი „აზიატი“ ბუნების შესახებ ყველამ იცოდა და როლის შეთავაზებას ვერ უბედავდნენ. არის ასეთი პიროვნება, სიომა გასპაროვი, რომელიც „ვგიკის“ (კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი) დამთავრების შემდეგ, ოდესის კინოსტუდიაში გაგზავნეს. სიომა ჩვენთან მეგობრობდა და პირველმა სწორედ მან გაბედა გუჯისთვის როლის შეთავაზება, მაგრამ ასეთი პასუხი მიიღო: — ნადი, თავი დამანებე, თორემ ერთს მოგადებო... სიომამ ფილმის გადაღება მძლოლების ცხოვრებაზე დაიწყო. სცენარის მიხედვით, ისინი საქართველოშიც უნდა ჩამოსულიყვნენ. სამხედრო გზაზე მასპინძლები მთიულები იყვნენ და გუჯი სიომას მეგობრულად დაეხმარა, ორგანიზაციული საკითხები მოუგვარა. ერთ დღეს მწყემსებმა სტუმრებისთვის ცხვარი დაკლეს და სუფრა მინდორში გაშალეს. სიომამ გუჯის სთხოვა, — იმღერეო, ოპერატორი კი წინასწარ გააფრთხილა: ეს სცენა ისე გადაიღე, რომ ვერავინ ვერაფერს მიხვდესო. როცა გუჯა სიმღერას მორჩა, მხოლოდ ამის შემდეგ გაუმხილა, — თუ გინდა, მომკალი, მაგრამ ეს ეპიზოდი გადაღებულია და ფილმშიც

შევაო. აი, ასე შედგა მისი კინოდებიუტი ფილმში — „რეისი პირველი, რეისი — უკანასკნელი“ ამის შემდეგ კი მინვევა არაერთი რეჟისორისგან მიიღო. გუჯი სცენარებს მე მაკითხებდა და გმირი თუ არ მოეწონებოდა, როლზე უარს ამბობდა. ერთ დღეს შეთავაზება თემურ ბაბლუანისგანაც მიიღო და „ბელურების გადაფრენაში“ მონაწილეობაზე თანხმობა მაშინვე განაცხადა, გმირის ხასიათი მოეწონა.

**— ამბობენ, ბელურა მართლა მიჩვეული ჰყავდაო...**

— გადაღებების დროს გუჯი ბელურას ეფერებოდა და გულის ჯიბით დაატარებდა. ერთ დღეს ფრინველი ჯიბიდან ამოუყვანია, ქურთუკი კი მინაზე დაუდგია და სადღაც წასულა. ვიდრე მობრუნდებოდა, ბელურა თავის „ბინაში“ დაბრუნებულა, რაც ცხადია, გუჯიმ არ იცოდა და თურმე, პირდაპირ ქურთუკზე წამოწვა, ბელურა გაჭყლიტა; ამ ამბის გამო გუჯა დიდხანს ნერვიულობდა... გუჯის ცხენებიც ძალიან უყვარს. მასსოვს, კინოსტუდიაში ჰყავდათ არაბული ჯიშის ცხენი — სატრაპა. როცა დავით აღმაშენებლის როლი ითამაშა, იქაც ამ ცხენზე იჯდა, ძალიან უყვარდა და როგორც კი თავისუფალ დროს გამოწახავდა, მის სანახავად მიდიოდა, ცხოველისთვის შაქრის ნატეხები მიჰქონდა. კინოსტუდიაში ამბობდნენ: როცა სატრაპა მოკვდება, ეზოში დიდი ორმო გავთხაროთ და დავასაფლაოთო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ამაზე აღარავის უზრუნია. იმ პერიოდში გუჯი ქალაქში არ იყო, გადაღებაზე გახლდათ წასული და როცა თბილისში დაბრუნებულმა სატრაპას სიკვდილის ამბავი გაიგო, ლამის გაგიჟდა...

**— გუჯა ბურდული სტიქაროსანა. საინტერესოა, სტიქარით პირველად როდის შეიძინა?**

— დედაჩემი, ისევე როგორც მისი თაობის უმეტესობა, ათეისტი იყო. მართალია, ბებიჩემი თავადის ქალი გახლდათ და სახარება ზეპირად იცოდა, მაგრამ დედაჩემზე გავლენა ვერ მოახდინა. მეტიც, როცა ბებია შვილ-

იშვილებთან რელიგიაზე იწყებდა ლაპარაკს, დედა შემინებული, განწირული ხმით საყვედურობდა, — ესენი ამას სკოლაში იტყვიან და დავილუბებთო... დედა აღდგომა დღეს გარდაიცვალა. მაშინ ქვეყანაში ამდენი სასულიერო პირი არ მოღვაწეობდა და ისე მოხდა, რომ წესის ასაგებად მღვდელი ვერ ვნახეთ. მერე ახლობელმა გვანუგემა, — შეგიძლიათ, ეს რიტუალი საფლავზე გასვლის დღესაც ჩაატაროთო. მღვდელი ვერც ამ დღისთვის მოვიძიე და გუჯას ვთხოვე, — გაიარე, იქნებ რომელიმე ჭირისუფალს მოძღვარი მოყვანილი ჰყავდეს და ჩვენთანაც მოვიდეს-მეთქი. გუჯა წავიდა, მაგრამ მოსვლა ძალიან დააგვიანა. ბოლოს, მღვდელთან ერთად გამოჩნდა. თურმე, მამა იოანე ვაკის სასაფლაოზე, დედის საფლავის საკურთხეველად ყოფილა მოსული, მაგრამ გუჯის გამოჰყვა... საფლავის კურთხევის შემდეგ მოძღვარს მადლობა გადაუხადეთ და გარკვეული თანხის მიცემა დაავაპირეთ, მაგრამ იუარა, — მე ამ ადამიანს იმიტომ გამოვეყვი, რომ გუჯა ბურდულია და ფულს არ ავიღებო! თან, დასძინა: — ტაძარში წირვაზე თუ დადიხარ? მე სიონის ტაძრის წინამძღოლი ვარ და მადლობის თქმა თუ გინდათ, ტაძარში მოდი, წირვას დაესწარით, ეს ჩემთვის გადახდელი ყველაზე დიდი მადლობა იქნებაო... კვირადღეს სიონში წავედით. წირვას პატრიარქი ატარებდა. ცოტა ხანში გუჯის სტიქაროსანი მიუახლოვდა და უთხრა, რომ მოძღვარი საკურთხეველში იხმობდა. გუჯი მოკრძალებით შევიდა. მამაოს უთქვამს, — თუ სურვილი გაქვთ, ეკლესიას ემსახუროთ, განცხადება უნდა დანეროთ, მოიტანოთ და პატრიარქი სტიქაროსნად გაკურთხებთო. ერთ მშვენიერ დღეს პატრიარქმა მართლაც, სტიქაროსნად აკურთხა და დალოცა... სხვათა შორის, თურმე გუჯის 6 წლამდე გერმანელი ქალბატონი — მარია უვლიდა და ყოველთვის, როცა ბავშვი სასეირნოდ გაჰყავდა, სახლთან ახლოს მდებარე წმინდა ტვერელის სახელობის ეკლესიაში შეჰყავდა, წირვას ასწრებდა. მოკვლედ, ძიძამ გუჯის დედი რწმენა ჩაუწერგა...

**— მინდა, შვილებზეც გკითხოთ...**

— (მანყვეტინებს) ისინი არაორდინარული ადამიანები არიან.

**— ეს რამ განაპირობა?**

— გუჯის ბრალია! ახალგაზრდობაში ისიც უცნაურად ჩაცმული დადიო-

ბიჭი რომ არ გეყოლოდა, ბოლომდე ერთად ვერ ვიქნებოდით, ჩვენი ოჯახი დაინგროვდაო



და — დაბალსათავიან შარვლებს ატარებდა, დიდბალთიანი ქამრით, ჩაჩაწული ჯინსით დადიოდა და რა გასაკვირია, რომ მის შვილებსაც უცნაური გემოვნება აქვთ?! ლადო პირვე-



ექვთიანი იყო და ვიდრე სახლამდე მიმაცილებდა, 4 კაცს მაინც სცემდა ხოლმე

ლი იყო, ვინც თბილისის ქუჩებში შორტით, უცნაური ვარცხნილობითა და საყურით გაიარა.

— და ცხოვრების განსხვავებული სტილის გამო, უსიამოვნო სიტუაციაშიც არაერთხელ ჩავარდნილა, არა?

— დიას, მის ცხოვრებაში იყო ბევრი დაპირისპირება, ჩხუბი, მაგრამ ლადოს არავისი ეშინოდა, რადგან პირველ რიგში, საკუთარ თავთან იყო მართალი. ის ბევრ გოგოს მოსწონდა, მაგრამ ამით ბოროტად არასდროს უსარგებლია... კარგი შვილები გვყავს, მაგრამ გვსურდა, უკეთესები ყოფილიყვნენ. ბაკური ნიჭიერთა ათწლეულში სწავლობდა, მაგრამ შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. მეორე კურსზე იყო, როცა თქვა, — მე მამაჩემისნაირი მსახიობი ვერ გამოვალ და საბუთები საოპერატოროზე გადაიტანა. საბოლოოდ, ის ლადომ მუსიკისკენ „გადმოქაჩა“.

— თავად როგორ აფასებთ მათ შემოქმედებას?

— (იციანის) შევეგუე. ლადოს მაინც ეტყობა, რომ კონსერვატორია აქვს დამთავრებული.

— ახალ მელიქიას პირველად მამას ასმენინებენ?

— ბაკურს ვუბნები ხოლმე, — როცა რაღაცას გააკეთებ, პირველად მამას და ლადოს მოასმენინე-მეთქი, მაგრამ მპასუხობს: ამათმა თუ შემისწორეს, მაშინ მათი მუსიკა იქნება და არა — ჩემიო...

— ბატონი გუჯა როგორი მამაა?

— იდეალური! ბაკური და ლადოც მას ჰგვანან, თავადაც ძალიან თბილი და ყურადღებიანი მამები არიან.

— საინტერესოა, რაზე კამათობენ ხოლმე?

— ეს იმდენად იშვიათად ხდება, რომ არც კი ვიცი, რა გითხრათ... ოჯახში ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტილას ბოლო სიტყვა გუჯის ეკუთვნის, ის ერთმმართველია. ყველაზე დამთმობი და განათლებული ლადოა, მაგრამ მიუხედავად ამისა, 4 ცოლი გამოიცვალა (აქედან ორი ოფიციალური მეუღლე იყო). სხვათა შორის, მისი პირველი მეუღლე გერმანიაში გათხოვდა, გუშინ ახალ ქმართან ერთად ჩამოვიდა და საჩუქრად აი, ეს შარფი ჩამომიტანა...

ლადოს ახლაც არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს — ქეთი მათუვილი, რომელიც ინგლისური ენის სპეციალისტია.

— ლადოს ყოფილ მეუღლეებთან როგორ ურთიერთობა აქვს?

— ყველას ჰპატირონობს, თითოეული მათგანის უახლოესი მეგობარია!

— მათ მეუღლეებთანაც მეგობრობს?

— აბა, რა და მათ სახლშიც ებატიყება ხოლმე... ლადოს ერთ-ერთ ყოფილ მეუღლეს, რომელიც ამერიკელი გახლავთ, ჰეიზერა ჰქვია. თავიდან მისი სახელი ვერ დავიმახსოვრე და ეთერას ვეძახდი (იციანის).

— არ სწყინდა?

— არა! სხვათა შორის, ის ოდრი ჰებერნს ჰგავს... ლადოს ქალიშვილი

— თეჯი ლონდონში გათხოვდა. სიძეს ბარნი ჰქვია. მართალია, მისი გვარი ვერ დავიმახსოვრე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ 27 წლისაა და ბი-ბი-სის თანამშრომელია. მათ თბილისში, ინგლისურენოვანი ქორნილი გადავუსადეთ. კიდევ კარგი, ჩემ გვერდით მაკას შვილი, აკაკო იჯდა და ყველას ნათქვამს მითარგმნიდა, თორემ ვერაფერს გავიგებდი. იცით, საქორნილო კერძების მოსამზადებლად მზარეულიც ჩამოიყვანეს და სუფრზე მხოლოდ ევროპული საჭმელები იყო. მართალია, ბაკურმა დამიშალა, მაგრამ შინ ლოში და ბაჟე მაინც მოვამზადე, რესტორანში წავიღე. ჰოდა, ისე მოეწონათ, 10 წუთში აღარ იყო.

— მაკა საკმაოდ წარმატებული რეჟისორია. მისმა ფილმმა, რომელშიც მშობლები გადაგიღოთ, კანის ფესტივალზე 10-ჯერ ჩვენების უფლება მოიპოვა.

— მაკამ „გვიკში“ სწავლისას მიიღო დავალება, გადაეღო ფილმი მეორე მსოფლიო ომის თემაზე. მან მთავარი როლებისთვის მე და გუჯა შეგვარჩია და გადაიღო მოკლემეტრაჟიანი ფოტოფილმი, რომლისთვისაც სურათები პოლონელმა ფოტოგრაფმა გადაგიღო. ამ ნამუშევარმა კანის ფესტივალზე 10-ჯერ ჩვენების უფლება მოიპოვა, მაკა კი ევროკინემატოგრაფისტთა კავშირის წევრად მიიღეს... ის ახლა მუშაობს ფილმზე, სადაც გრიგოლ ფერაძის ცხოვრება იქნება ასახული; კათოლიკოს-პატრიარქთანაც ჰქონდა შეხვედრა და ფილმში უნმინდესის საგალობლების გამოყენების ნებართვა ითხოვა. სხვათა შორის, ფერაძის როლში გუჯი იქნება.

— გუჯა ბურღული სტიქაროსანია ანუ შეიძლება, ერთ დღეს ბერადაც აღიკვეცოს, არა?

— ბურღულები რამდენიმე შტოდ იყოფიან, გუჯა კი ჯეჯიანთ კარის ბურღულების შთამომავალია. არსებობს ასეთი ლეგენდა: წლების წინ მთიულთა სოფლებს მტერი შესევია და თურმე, ხალხს საქეიფოდ ხარის დაკვლას, გასართობად კი ახალგაზრდა გოგონას მიყვანას სთხოვდნენ; უარის შემთხვევაში, მტერი მთელი კუთხის გადანვით იმუქრებოდა. როცა 9 ძმა ბურღულის „მასპინძლობის“ ჯერი დამდგარა, მამაკაცებს უთქვამთ: ყველანი ერთ დღეს გავწყდებით, მაგრამ ჩვენს ერთადერთ დას თითსაც ვერავინ დააკარებსო და მომხდურის დასახვედრად დაუნყიათ მზადება. მთელი მთიულეთი დიდველის ვაკეზე შეკრებილა, ბურღულების თაოსნობით თხრილები გაუთხრიათ, ზედ კი ხის სარები გაუდვიათ, ბალახი დაუტკეპნიათ... იმ დღეს დიდი ბრძოლა გამართულა, მომხდურნი თხრილებში ცხენებიანად ჩაცვენილან და 7 ათასიდან ცოცხალი მხოლოდ 7 მეომარი გადარჩენილა. ამის შემდეგ მთიულელებს დაუნყიათ ფიქრი იმაზე, თუ რით დაესაჩუქრებინათ ბურღულები. ძმებს მოუთხოვიათ, — ჩვენ ლომისის წმინდა გიორგის ტაძრის მომსახურე ხალხი ვიქნებით! დაე, დეკანოზი ყოველთვის ჩვენგან აირჩესო. მთიულელებს ძმების სურვილი აუსრულებიათ და თან დაუმატებიათ: „ქალი უმურველი, სუფრა უწევარი“ ანუ მას შემდეგ ბურღულებს ნებისმიერ სუფრაზე დაუპატიჟებლად შეეძლოთ მისვლა და ვერც იმას გაბედავდა ვინმე, რომ მათთვის ქალი არ გაეტანებინა... გუჯას ბერად აღკვეცის სურვილი აქვს და ალბათ, დადგება დრო, როცა წინაპრების მსგავსად, ისიც ლომისის წმინდა გიორგის მსახური გახდება.





# ახალგაზრდა კასი ლოტკინზე მოტყუებით აიყვანეს და მოკლეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ (მოსამართლე — ზვიად ესებუა) განხორციელებული მკვლელობის საქმის განხილვა დაასრულა. 2010 წლის მაისში ლოტკინზე, 34 წლის ზაზა კაკაბაძე მისსავე მანქანაში, მოკლული იპოვეს. გაირკვა, რომ მას თავში საკონტროლო ტყვიაც ჰქონდა ნასროლი. ძალოვნებმა მკვლელობა ოპერატიულად გახსნეს და 17 წლის ტარიელ ალიხანაშვილი, 16 წლის მარიამ მანუკიანი, 20 წლის გიორგი კიკნაძე, 28 წლის ედუარდ ეგიზაროვი და 34 წლის მამუკა მამუჩარაშვილი დააკავეს. თავდაპირველად მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებდნენ — არასრულწლოვანი ტარიელ ალიხანაშვილი ამბობდა, რომ შეყვარებულის გაუპატიურების გამო იძია შური. ძალოვნებმა აღიარებითი ჩვენებებიც გააწვდიეს. წინასწარ პატიმრობას მხოლოდ მარიამ მანუკიანი გადაურჩა; პროკურატურის მოთხოვნით, არასრულწლოვანს 15.000 ლარი გირაოდ შეუფარდეს.

## თქვა სურსილავა



მართალია, თავიდან გამოძიება მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებდა, მაგრამ საბრალდებო დასკვნაში აღნიშნულია, რომ კაკაბაძის განზრახ მკვლელობა ყაჩაღობის გადავიღების მიზნით მოხდა. საბრალდებო დასკვნით, არასრულწლოვანმა ტარიელ ალიხანაშვილმა და მისმა მეგობარმა, გიორგი კიკნაძემ მარიამ მანუკიანის ნაცნობის, ზაზა კაკაბაძის დაყაჩაღება გადაწყვიტეს. ტარიელმა მარიამი მოატყუა და უთხრა, — დაახლოებით 2 თვის წინ, შეყვარებულისგან, რაფაელასგან შევიტყვე, რომ ვინმე ზაზა კაკაბაძეს მასთან იძულებით, სექსუალური კავშირი დაუმყარებია და მასთან შეხვედრაში დამეხმარეო. მარიამმა ზაზას ტელეფონით შეტყობინება გაუგზავნა, ამის შემდეგ კი მისი ნომრიდან ზაზას ტარიელი სწერდა მესიჯებს და ბოლოს, მარიამის სახელით, შეხვედრაც დაუთქვა. ალიხანაშვილს კაკაბაძის მოკვლა ჰქონდა განზრახული. მან დაუდგენელი პიროსგან შექმნილი პისტოლეტი წამოიღო, რის შესახებაც მისმა მეგობარმა, გიორგი კიკნაძემაც იცოდა.

მანუკიანი ზაზა კაკაბაძეს შეხვდა, „როგერის“ ფირმის ავტომანქანაში ჩაუფხვდა და ალიხანაშვილსა და კიკნაძესთან შესახვედრად წინასწარ დათქმული ადგილისკენ წაიყვანა, იქ კი მანქანა გააჩერებინა. ამასობაში ალიხანაშვილმა მანქანის უკანა კარი გამოაღო და ზაზა კაკაბაძეს თავში ესროლა. შემინებული მანუკიანი მანქანიდან გადავიდა, ხოლო ტარიელმა ამჯერად წინა კარი გამოაღო და საკონტროლო გასროლა მოახდინა, მერე კი კიკნაძესთან ერთად, მანქანა გაჩხრიკა. მათ იქიდან მოკლულის მობილური წამოიღეს.

არასრულწლოვანი ტარიელ ალიხანაშვილს ყაჩაღობაში, იარაღის უკანონო ტარება-შენახვასა და დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის ჩადენაში ედებოდა ბრალი, ხოლო გიორგი

კიკნაძეს, რომელიც ადრე ნასამართლვე იყო და დაკავების მომენტისთვის პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი — ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარებაში, დანაშაულის დაფარვასა და ჯგუფურად ჩადენილ ყაჩაღობაში.

კიკნაძემ, ალიხანაშვილმა და მანუკიანმა მეგობარი — ედუარდ ეგიზაროვიც გახვიეს შარში და ისიც, მათი წყალობით, განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. მკვლელობის ღამე სამივემ ალიხანაშვილის ბინაში გაათენა. მეორე დღეს გიორგი კიკნაძემ მკვლელობის იარაღი თან წაიღო და მეგობარს თავშესაფარი სთხოვა. ეგიზაროვმა სამივე შეიფარა. დამნაშავეებს მისთვის არც დაუმალავთ, რომ სუადმოვზე კაც მოკლეს, მეტიც — კიკნაძემ დასვრილი შარვალიც გამოიცვალა, ეგიზაროვის ტანისამოსი ჩაცვა.

ეგიზაროვს დანაშაულის დაფარვაში დასდეს ბრალი. ამასთან, გამოძიების მტკიცებით, მის ბინაში ერთი ვაზნა იპოვეს და ამიტომ მეორე ბრალდება — საბრძოლო მასალების შექმნა-შენახვა დაემატა.

უცნაურად გაეხა მასემი 3 შვილის მამა, 34 წლის მამუკა მამუჩარაშვილიც. ეგიზაროვის ბინიდან წამოსულმა მანუკიანმა ნაცნობს, მამუკა მამუჩარაშვილს დაურეკა და ბინის მოძებნაში დახმარება სთხოვა. მამუკამ ისინი დროებით, მარტოხელა მეზობლის ბინაში შეიყვანა. ამ დროს შენიშნა, რომ კიკნაძეს შარვალი იარაღი ჰქონდა დამალული. „მომეცი ეს იარაღი, რაიმე შარში არ გაუხვიო“, — უთხრა კიკნაძეს, იარაღი

გამოართვა და მეზობლის სახლში, ლეიბის ქვეშ შეინახა, მერე კი სასადაილოდ წავიდნენ. ისინი პოლიციამ დააკავა. მამუჩარაშვილი დაკავების დღიდან ირწმუნებოდა, რომ მომხდარ მკვლელობაზე არაფერი იცოდა, მაგრამ ძალოვნებმა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვაში ბრალი მინც დასდეს. რაც შეეხება არასრულწლოვან მანუკიანს, იგი ჯგუფურ ყაჩაღობაში დახმარებისა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის — მკვლელობის დაფარვის ბრალდებით გაასამართლეს.

სასამართლო განხილვა 2 თვეზე მეტხანს გაგრძელდა; მოწმეები დაიკითხნენ. პროკურატურამ პროცესზე რაფაელას მოყვანა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, ის წინასწარი გამოძიებისას იყო დავითხული და სასამართლოზე მისი ჩვენება გამოქვეყნდა. რაფაელას ჩვენებიდან:

„...9 კლასი დავამთავრე. გატაცებული ვარ მუსიკის ერთ-ერთი მიმდინარეობით — გოთური მეტალით... ნაცნობისგან, აჩისგან გავიცანი ტარიელ ალიხანაშვილი, მეტსახელად ტარასა. მასთან ჩვეულებრივი, მეგობრული ურთიერთობა მქონდა. მითხრა, რომ ვუყვარდი. ერთმანეთთან სექსუალური ურთიერთობა გვქონდა. მის სახლში ერთად ვცხოვრობდით. მარტის ბოლოს ვუთხარი, რომ არ მიყვარდა და ერთმანეთს უნდა დავშორებოდით, მისი სახლიდან წამოვედი. აპრილში ჩემი ნივთების წამოსაღებად მივედი მასთან. ვუთხარი, რომ სხვა მყავდა. ტარასამ მითხრა, — შენს შეყვარებულს რამე თუ დაემართება, ხომ არ გენყინებო?.. ამის შემდეგ არ მინახავს და მასთან არც ტელეფონით მისაუბრია. არავის გავეუბატიურებია და არც არასდროს მითქვამს ტარასასთვის, თითქოს ვინმე ზაზამ გამაუბატიურა. საერთოდ არ ვიცნობდი ზაზა კაკაბაძეს... უბრალოდ, ტარასასთან ყოფნა არ მინდოდა და ამიტომ დავშორდი. ჩემთვის უცნობია, რატომ თქვა ტარასამ, რომ მან კაკაბაძე ჩემი გაუბატიურების გამო მოკლა“...

განსასჯელი ტარიელ ალიხანაშვილი პროცესზე არ დაეთანხმა პროკურატურის მიერ დასახელებულ მკვლელობის მოტივს. მან ყაჩაღობაში თავი დამნაშავედ არ ცნო, მაგრამ აღიარა, რომ კაკაბაძე მოკლა. ალიხანაშვილის ჩვენებიდან:

„დედა ბავშვობიდან არ მყოლია; 2 წლის ვყოფილვარ, რომ გარდაიცვალა. 13 წლის რომ ვიყავი, მამაც დამელუპა. მას შემდეგ ჩემს დასთან ვცხოვრობდი. ის იქვე, ჩვენს კორპუსშია გათხოვილი... გიორგი კიკნაძე ჩემი მეგობარია, მისგან გავიცანი მისი საცოლე, მარიამ მანუკიანი... ჩემმა შეყვარებულმა



რაფაელამ მითხრა, რომ ის ვინმე ზაზა კაკაბაძემ გაუპატიურა, ნაცემი იყო, სხეულის სხვადასხვა ადგილას სილურჯეები ეტყობოდა... ამ საკითხზე გიორგისთან და მარიამთან ვსაუბრობდი. ვიცოდი, ის ბიჭი ნახალოველი რომ იყო. მარიამმა მითხრა, ნახალოველ ზაზას მე ვიცნობო. მისი ტელეფონის ნომერი გამოვართვი, დალაპარაკება მინდოდა. მარიამს ვუთხარი, რომ ზაზას მისი სახელით მივწერდი მესიჯებს. ხუდადოვის გზაზე შეხვედრა დაეუთქვი. მასთან სალაპარაკოდ მივედიოდი, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, სახლიდან იარაღი მაინც წავიღე. წლების წინ ეს იარაღი მაჩუქეს და ვინახავდი... კაკაბაძემ იცოდა, რომ მარიამი ძმკაცებთან ერთად იქნებოდა. მარიამმა მითხრა, რა მანქანა ჰყავდა. მანქანა დათქმულ ადგილას რომ გაჩერდა, უკან ჩავჯექი. ის ჩემკენ შემობრუნდა. ამ დროს, მართალია, მისი მოკვლა არ მინდოდა, მაგრამ უცებ გადავწყვიტე, მისთვის მესროლა. პირველივე გასროლით გარდაიცვალა. ჩამოვდი მანქანიდან, წასვლას ვაპირებდი, მაგრამ წერებამშლილმა ისევ გამოვალე მანქანის კარი და კიდევ ერთხელ ვესროლე. მკვლელობის შემდეგ იქვე, ბალახებში ჩავჯექი. კიკნაძემ იარაღი გამომართვა, კაკაბაძის მანქანიდან ტელეფონი წამოიღო და წავედით... ყაჩაღობას არ ვაღიარებ, რადგან არ ჩამიდენია“.

განსასჯელმა უარყო, რომ მარიამ მანუკიანი მკვლელობის ადგილას იმყოფებოდა. თქვა, რომ მას მოგვიანებით, ვაგზალზე შეხვდნენ ანუ მან წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენება ამ ნაწილში შეცვალა: ადრე ამბობდა, — ჯერ მარიამი ჩაუჯდა კაკაბაძეს მანქანაში, შემდეგ უკანა სავარძელში მე ჩავჯექი და ვესროლეო...

ანალოგიური იყო გიორგი კიკნაძის ჩვენებაც — მანაც უარყო, რომ მკვლელობის დროს მანუკიანი მათთან ერთად იმყოფებოდა.

ეს ალოგიკურად ჟღერდა. თავისთავად გაჩნდა კითხვა, — რატომ უნდა შეხვედროდა უცხო ბიჭებს ზაზა კაკაბაძე ან მარიამი რომ არ ენახა, მანქანას უცხოებს რატომ გაუჩერებდა?

მართალია, განსასჯელები ამ საქმიდან მანუკიანის „ამორიცხვას“ ცდილობდნენ, მაგრამ თავად განსასჯელმა გოგონამ პროკურატურის პოზიცია სრულად გაამყარა — მკვლელობის ადგილზე ყოფნა დაადასტურა. ის პროცესზე, წინასწარ დაწერილი ჩვენებით წარდგა და წაიკითხა; აშკარად ჩანდა, რომ ეს მისი ნაწერი არ იყო — ხშირად, სიტყვების გაჩრევა უჭირდა...

**მარიამ მანუკიანის** ჩვენებიდან:

„დანაშაულის შეუტყობინებლობაში მედება ბრალი... მეგობარმა ანუელიკამ გამაცნო ზაზა კაკაბაძე... ტარიელი ჩემი

მეუღლისგან, გიორგი კიკნაძისგან გავიცანი, მის ბინაში დავედიოდი და ხშირად ვრჩებოდიო... ტარასამ თქვა, რომ ვინმე ზაზამ მისი შეყვარებული გაუპატიურა. ვუთხარი, ვიცნობდი ნახალოველ ზაზას... რამდენიმე დღის შემდეგ მთხოვა, შემეხვედრებინა. ჩემთვის არ უთქვამთ, ზაზას ჩემი სახელით რა შინაარსის მესიჯებს სწერდნენ. ზაზასთან ვემგობრობდი; დაუურვე და ვუთხარი, რომ მასთან სალაპარაკო მქონდა. მერე თვითონ დამირეკა და მითხრა, რომ სალაპარაკო შეძლებდა შეხვედრას. შევთანხმდით — ბიჭები ცოტა ზემოთ დამელოდებოდნენ. ვიცოდი, ისინი მის დაყაჩაღებას რომ აპირებდნენ... მანქანაში რომ ჩავჯექი, ზაზას სახეზე უსიამოვნება შევატყვე. უკან ალიხანაშვილი ჩაჯდა. გადმოსვლას ვაპირებდი, რადგან ტარასამ წინასწარ მითხრა, მარტო დამტოვე, სალაპარაკო მაქვსო. კარს ვაღებდი; ამ დროს ზაზამ მოულოდნელად, მანქანა დაძრა და გასროლავ გავიგონე. გასროლის შემდეგ გავიქეცი. მერე გიორგი კიკნაძე ჩაჯდა მანქანაში. რას აკეთებდნენ, არ ვიცი; 5 წუთში გადმოვიდნენ. გიორგი ტარასას ეკამათებოდა, ასეთი რამ მარიამის თანდასწრებით როგორ გააკეთო?! სრულად ვცნობ თავს დამნაშავედ. ზაზას სახლიდან გამოყვანაში მონაწილეობა მივიღე... ვერ მოვხერხე, მისთვის მეთქვა, დაყაჩაღებას რომ უპირებდნენ“.

ყაჩაღობაზე მანუკიანს თავიდან, დაკითხვისას არაფერი უთქვამს; მკვლელობას ისიც გაუპატიურების ფაქტს უკავშირებდა. კიკნაძის ადვოკატმა განსასჯელ მანუკიანს მოსთხოვა, განემარტა, თუ რატომ შეცვალა ჩვენება. „თავიდან აღელვებული ვიყავი, მოგვიანებით დავწყნარდი, ყველაფერი გავიხსენე და მერე ვუთხარი გამოძიებას სიმართლე“, — უპასუხა მან.

პროკურორი მანუკიანის ჩვენებით ბრალდების მოტივის გამყარებას ცდილობდა. როგორც ნესი, სახელმწიფო ბრალმძებელი განსასჯელების ბრალეულობას ამტკიცებს, მაგრამ პროკურორი პროკოფ ქანკოტაძე განსასჯელი გოგონას მიმართ აშკარად, ლოიალური იყო, მეტიც — დაკითხვისას ხშირად, მანუკიანის ადვოკატის ფუნქციასაც ითავსებდა; სხვა განსასჯელების ადვოკატთა მწვავე კითხვებზე რამდენჯერმე პროტესტიც გამოთქვა.

რაც შეეხება განსასჯელ ეგიზაროვს, ის წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ ცნობს. ვიცოდი, მკვლელობა რომ ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ დეტალები არ გამოძიკითხავსო, — აღნიშნა. ისიც დაადასტურა, რომ კიკნაძეს ტალახიანი შარვლის გამოცვლა შესთავაზა. „ვინაიდან ჩადენილ დანაშაულს — რომ ეს ამბავი დავფარე“, — თქვა **ეგიზაროვმა**. მამუჩარაშვილიმაც დაადასტურა იარაღის შენახვის ფაქტი, მაგრამ განმარტა, —

ამით შევეცადე, რაიმე უსიამოვნება არ მომხდარიყო, მკვლელობაზე კი ნამდვილად, არაფერი ვიცოდიო.

სასამართლო ყველა განსასჯელი წარდგენილ ბრალდებებში დამნაშავედ ცნო. ტარიელ ალიხანაშვილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, ედუარდ ეგიზაროვს მეგობრების დანაშაულის დაფარვა 3-წლიან პატიმრობად დაუჯდა, ხოლო მამუჩა მამუჩარაშვილს 1 წელი აკმარეს. ციხეს გადაურჩა მარიამ მანუკიანი: პროკურატურამ მასთან საპროცესო გარიგება გააფორმა და 8 წელი პირობითი პატიმრობა შეეფარდა. ყველაზე დიდი სასჯელი, შეკრებითობის პრინციპით, განსასჯელ გიორგი კიკნაძეს ერგო: ყაჩაღობის ორ ეპიზოდს იარაღის უკანონოდ შენახვა-ტარებისთვის მისჯილი პირობითი სასჯელიც დაემატა და საბოლოოდ, 32-წლიანი პატიმრობა შეეფარდა.

გამოტანილი განაჩენით უკმაყოფილო იყვნენ დაზარალებული და მისი ადვოკატი ნატალია ბუჟაშვილი, რომლებიც მანუკიანის დაპატიმრებას ითხოვდნენ. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრდება. მართალია, დაზარალებულები თავიდანვე კატეგორიულად არ იზიარებენ იმას, რომ მკვლელობა გაუპატიურების მოტივით იყო ჩადენილი და ამ ვერსიის გავრცელებით შეურაცხყოფილებიც იყვნენ, მაგრამ ადვოკატი ნატალია ბუჟაშვილი არც პროკურატურის საბოლოო ვერსიას ეთანხმება — რომ მკვლელობა ყაჩაღობის მიზნით მოხდა.

**ნატალია ბუჟაშვილი:**

— სასამართლო დასრულდა, მაგრამ მკვლელობის ჩადენის მოტივი დღემდე არ არსებობს. ვერ გავიგეთ, რატომ მოკლეს ზაზა. არასწორია, რომ მკვლელობა ყაჩაღობის მიზნით მოხდა; არც ის დადასტურდა, თითქოს გაუპატიურება იყო და ამის გამო იძიეს შური. მიკვირს, მანუკიანს ასე რატომ იცავდა პროკურორი? ჯერ ერთი, გირაოს თანხა — 15.000 ლარი 10 დღეში უნდა გადაეხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პატიმრობაში უნდა აყვანათ, მაგრამ სასამართლო ისე დასრულდა, რომ იმ გოგონას ეს თანხა არ გადაუხდია და მაინც თავისუფალია. მართალია, არასრულწონიანი, მაგრამ საზოგადოებისთვის საშიშია. მისი დახმარებით ზაზა კაკაბაძე სახლიდან გამოიყვანეს და მოკლეს. ვითხოვთ, პატიმრობაში აიყვანონ.

მართალია, განსასჯელთა ჩვენებების შემდეგ ბევრი კითხვა დარჩა პასუხაუცემელი, მაგრამ არც პროკურატურის ვერსია ჩანდა ფაქტებით გამყარებული. რამდენად ლოგიკურია, 80-ლარიანი მობილურისთვის სახლიდან ადამიანის გამოყვანა და მისი მოკვლა?! — მით უმეტეს, რომ მკვლელობის შემდეგ დამნაშავეებს არც კაკაბაძის საფულე წაუღიათ და არც მანქანა გაუძარცვავთ. ■



# შეუფარებელი წყვილები ანუ რის გამო შეიძლება დაიწუნო სარძლო ან სასიძო

თუ ჩვენს რუბრიკას თვალს ადევნებთ, ისიც გეცოდინებათ, რომ ბევრი რესპონდენტი ჩივის, — მშობლებმა ჩემი საქმრო ან საცოლე დაინუნესო; მიზეზი ცხადია, სხვადასხვაგვარია, მაგრამ ძირითადად, მათ გარეგნობის ან ასაკის გამო ინუნებენ, დანუნებული სასიძო-სარძლოების რიცხვი კი ალბათ დამეთანხმებით, არც ისე მცირეა, მით უმეტეს, რომ ბოლო დროს ასაკოვანი ადამიანის შეყვარება თითქოს, მოდურ ტენდენციად იქცა.

## ლიკა პაჯაია

**მარიამი, 19 წლის:**

— ჩემი მშობლები ისეთ სასიძოს ეძებენ, როგორსაც სანთლით რომ ეძებო, ვერ იპოვი. ალბათ, უნდათ, შინაბერა შვილი ჰყავდეთ, მე კი ეს არ მანყობს და ამიტომაც, მათგან დამოუკიდებლად ვეძებ საქმროს. თუმცა, რაღას ვეძებ, უკვე ვიპოვე და მის გვერდით თავს ბედნიერად ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, შეიძლება ამის გამო მშობლები დავკარგო.

— **ანუ გაუთხოვრობას ვერ შეეგუები, მაგრამ მშობლებს იოლად შეეღებ?**

— არც მასეა საქმე, მაგრამ... უფროსებს ვერ შევანებინე, რომ ჩემს არჩევანს პატივი უნდა სცენ. ჯერ იყო და, ჩემს პროფესიულ არჩევანში უხეშად ჩაერივნენ — მათი წყალობით ახლა სტომატოლოგიურზე ვსწავლობ, ეს პროფესია კი საერთოდ არ მიზიდავს. მინდოდა, მსახიობი გავმხდარიყავი, მაგრამ ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს — ჩვენი შვილი არ შეიძლება, სცენაზე იდგეს და ხალხს ართობდესო; ახლა კიდევ, საქმროს მიწუნებენ. მითხარით, რა უფლება აქვთ? მხოლოდ იმიტომ, რომ ვაჟა სოფლიდანაა და ჩემზე ოდნავ დაბალია, მისი დანუნება, აბუჩად აგდება შეიძლება?.. ერთხანს შეყვარებული არც მელაპარაკებოდა, რადგან ქორიკანებმა ენა მიურბენინეს, — სასიდედრო ლენის გადარებს და გინუნებსო.

— **ლენის სიმალით ადარებს?**

— აბა, სხვა რით შეადარებდა? მისი აბრით, ვაჟს კარგი არაფერი აქვს, დადებითს ვერაფერს უპოვი... აბა, დედამისს ვკითხოთ, თუ უნდა რძლად ისე-

თი ქალაქელი გოგო, რომლის მშობლებიც მის ვაჟს ცხვირაბზუებულები ხვდებიან...

— **მშობლებს ამ თემაზე ელაპარაკე?**

— კი, მაგრამ არაფრის გაგონება არ უნდათ! მეტიც, იმის შიშით, რომ ცოლად ვაჟს არ გავყვე, უკვე ნათესავებში დაიწყეს გამორკვევა, — ჩვენ გოგოსთვის სადმე კარგი საქმრო ხომ არ გეგულებათო? ჰოდა, ერთ-ერთმა ნათესავმა თავი გამოიღო, მაჭანკლება მოინდომა და ამას წინათ შინ ვილაც „მახინჯი“ მომაყენეს, რომელიც მართალია, ჩემზე გაცილებით მაღალი იყო და ნაკითხიც, მაგრამ ისეთი გამოშტერებული სიფათი ჰქონდა,

მივხვდი, „დედიკოს ბიჭი“ იქნებოდა. ჰოდა, მასზე მაგრად ვიკაიფე, მაგრამ მერე ამის გამო დამსაჯეს, — რას ჰქვია, სტუმარს ასე თამამად ელაპარაკე, ახლა შენკენ გამოხედვაც არ მოუნდებაო და ერთი კვირით შინ გამომკეტეს. თურმე, იმ სანყალს უთქვამს: არ მიცნობდა და ენას ატკლიკინებდა; ოჯახში რომ შევიყვანო, შეიძლება მთლად გაცოცდეს და დამკანროსო. ჰოდა, დამიწუნა ბიჭმა, თავისი ჭკუით. ვაი, მაგის პატრონს!..

— **ახლა შენ და ვაჟა რას აპირებთ?**

— ერთმანეთი გვიყვარს და თუ ამ სიყვარულს თავად გაუფრთხილებდებით, სხვა ვერაფერში შეგვიშლის ხელს. სხვათა შორის, ამ რამდენიმე დღის წინ ჯვარი ჩუმად დავიწერეთ და ეს მხოლოდ ჩვენმა უახლოესმა მეგობრებმა იციან, მაგრამ რამდენიმე თვეში ამ სიხალეს ყველა შეიტყობს, რადგანაც გაპარვას ვაპირებთ.

— **ამბობენ, კარგი შვილი ისეთს არაფერს გააკეთებს, რაც მის მშობლებს ატკენს გულს, თუნდაც მერე ამისთვის მთელი ცხოვრება ენამოსო..**


— რა სისულელეა! მშობლების სულელური ახირების გამო რატომ უნდა ვენამო? რა მაცხოვრებს ისეთი ადამიანის გვერდით, რომელიც არ მიყვარს, რომლის ენაც არ მესმის და რომლის ლალატიც შეიძლება, ოდესმე გულში გავივლო?.. არა, მშობლების გამოც კი ვერ წავალ ასეთ მსხვერპლზე! ცოლად გავყვები იმას, ვინც მიყვარს და მჯერა, დროთა განმავლობაში მათ ვაჟაც ისე შეაყვარებს თავს, რომ მადლობას მეტყვიან, ასეთი კარგი სიძე რომ შევუყვანე სახლში.

**მარი, 17 წლის:**

— მშობლებმა ჩემი შეყვარებული იცით, რატომ დაინუნეს? — ნაადრევად გამელოტებულიაო. მართალია, ჩემზე ასაკით დიდია — 26 წლისაა, მაგრამ ეს პრობლემად არ მიაჩნიათ, მას მხოლოდ გარეგნულად ინუნებენ და სწორედ ეს მალიზიანებს. მის ასაკში მამაჩემი თუ იყო თმაქოჩორა ბიჭი, ახლა ხომ აქვს თავი დინამოს სტადიონივით უმინდორო და სიბი კლდესავით პრიალა?!

— **გარეგნობის გამო თავად არავინ დაგინუნებია?**

— როგორ არა, ამის გამო ბევრი





თავანისმცემლისთვის შესვედრაზეც კი უარი მითქვამს, მაგრამ როცა ადამიანი გიყვარს, მის გარეგნობას ნაკლებად აქცევ ყურადღებას...

— თავად არ გაქვს ისეთი ნაკლი, რის გამოც შეიძლება, სადედამთილომ დაგინუნოს?

— არ ვიცი, ნაკლია თუ არა, მაგრამ ერთი მავნე ჩვევა კი მაქვს — საჩვენებელ თითს ბავშვობიდან ვწუნნი და ზოგჯერ ამას საზოგადოებაში ყოფნის დროსაც ვაკეთებ, თავს ვერ ვიკავებ. ჰოდა, შეიძლება, ამის გამო დამინუნოს, თორემ დარწმუნებული ვარ, სადედამთილო სხვა ნაკლს ვერ მიპოვის! სხვა რომ არაფერი, დედისერთა გახლავართ, მშვენიერი ოჯახის შვილი და გარეგნობაც მინცობს ხელს იმაში, რომ ხალხს თავი მოვანონო. ჰოდა, რა ვიცი, მაინც თუ დამინუნებენ, ჭკუა არ ექნებათ...

— სომ იცი, ყველა მშობელს შვილისთვის საუკეთესო უნდა და იქნებ, შენზე უკეთეს გოგოს ეძებნა სარძლოდ...

— თუ ასეა, ჩემზე უკეთესო გოგო ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, მაგრამ არა, მე თავი ქუდში მაქვს! სხვათა შორის, სადედამთილოს უკვე ვიცნობ და მასთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მან შვილის ხელით საჩუქრებიც კი გამომიგზავნა — ახალი წელი, შობა მომილოცა და არც ჩემი დაბადების დღე დავინწყნია...

— ეს იმას ნიშნავს, რომ შეყვარებულის ოჯახს სარძლოდ მოსწონს, მაგრამ მშობლებს რომ არ მოსწონთ შენ არჩევანი?

— სხვა გზა არა აქვთ, სასიძოს სიმელოტეს უნდა შეეგუონ... სხვათა შორის, ჩემი შეყვარებული ბანკში მუშაობს, ნორმალური შემოსავალი აქვს და თუ მშობლები არ მიგვიღებენ, თავის რჩენას დამოუკიდებლადაც შევძლებთ!

სტარია, 16 წლის:

— უკვე ცოლიც მყავს და 7 თვის შვილიც. ასე რომ, საცოლეს ვეღარავინ დამინუნებს!

— ამ ასაკში ოჯახის შექმნა ნადრევი ხომ არ არის?

— შენი აზრით, რას უნდა დავლოდებოდით?.. ცოლ-შვილის რჩენაში ოჯახი მეხმარება, მაგრამ მეც ვცდილობ, საკუთარი ფიზიკური ფული ვიმოვო.


— შენთვის ცოლის შერთვა არავის დაუშლია?

— მშობლებმა ამის შესახებ ნი-

ნასწარ არაფერი იცოდნენ; ისინი ფაქტის წინაშე დავაყენე და ნონას სახლიდან ხომ არ გააგდებდნენ?!

— უკვე შინ მიყვანილი რძალი მოეწონათ?

— გარეგნულად კი, მაგრამ როცა გაიგეს, რომ სომეხია და თანაც — ჩემზე 2 წლით უფროსი, ლამის გული გაუსკდათ. დამაყარეს კითხვები: რა გაჭირვება გქონდა, ასაკით უფროსი გოგო რომ არ მოგეყვანა? ან ქართვე-



ლი ვერავინ იპოვე, სხვა სარწმუნოების ქალი რომ არ შეგერთოთ? არადა, მიუხედავად იმისა, რომ სომეხია, ნონა ჩვეულებრივად დადის ეკლესიაში და ბევრ ქართველზე მორწმუნეცაა — მარხვასაც ინახავს და მოძღვარიც ჰყავს.

— არჩევანი რომ დაგინუნეს, როგორი რეაქცია გქონდა?

— ყველა გავაფრთხილე: ამის შესახებ კრინტიც აღარ დაძრათ! ნონა მიყვარს და თუ ვინმეს რაიმე არ მოგწონთ, შეგიძლიათ, მას ხმაც არ გასცეთ, გარეგნულად კი მახინჯი არაა, მის დანახვაზე გული რომ აგერიოთ და ვიდრე საცხოვრებლად ქირით გადავალთ, თქვენ გვერდით უნდა აიტანოთ, თუ არა და, მეც დამკარგავთ-მეთქი! მას შემდეგ ხმაც არავის ამოუღია. მეტიც, ნონამ იმდენი მოახერხა, რომ უკვე მშობლები „ნამართვა“...

— რას გულისხმობ?

— მათ თავი ისე შეაყვარა, რომ „შვილოს“ ეძახიან, მე კი იმის უფლებასაც აღარ მაძლევენ, რომ ცოლს საყვედური ვუთხრა; როგორც კი რაიმეს ხმამაღლა ვიტყვი, მაშინვე თავს დამაცხრებიან ხოლმე, რაც ნამდვილად მახარებს. აი, ასეა: ზოგჯერ მშობლები არჩევანს გვინუნებენ, მაგრამ მერე

თავადვე ნანობენ საკუთარ საქციელს, რადგან შვილის მეორე ნახევრები საკუთარი შვილივით უყვარდებით!

ნიაზი, 19 წლის:

— მშობლებს ვერაფრით შევაგნებინე, რომ უკვე დიდი ბიჭი ვარ. მათ ჰგონიათ, ისევე უკან დევნა მჭირდება, რათა საკუთარ თავს რაიმე არ დაუშვაო; ყველა ჩემს ნაბიჯს ამონებენ, შორიდან მზვერავენ და თუ რაიმე არ მოეწონათ, იმწუთასვე თავს ქორებივით დამაცხრებიან ხოლმე. გინდა, გაცინო? ამას წინათ ტელეფონით ვილაც გოგო გავიცანი. ერთმანეთს დიდხანს ვემესიჯებოდით, მერე კი პაემანიც დავუწინაშე. იმ გოგოს ბუკიას ბალთან შევხვდი, შემდეგ ბარში, ყავაზე დავაპატიჟე. ოფიციალურად ყავა მოტანილიც არ ჰქონდა, დედამ რომ დამირეკა და მკითხა: სად ხარ? სასწრაფოდ სახლში მოდი, ძალიან მჭირდება. — სომ მშვიდობაა-მეთქი? — ჩავეძიე. — შენსიგრძე მინას რომ გაგიტხრი, მერე იქნება ჩემს თავს მშვიდობაო, — იმხელაზე იკივლა, რომ ეს სიტყვები თამუნამაც გაიგონა. მაგრად „გამიტყდა“ და ტელეფონი გაუთიშე, მერე კი იმ გოგოს ბოდიშები ვუხადე: მშობლებთან რაღაც პრობლემა მაქვს და დედაჩემი ამიტომაცაა გაცოფებული-მეთქი, სინამდვილეში კი ვერ მივხვდი, დედას ჩემგან რა უნდოდა; ამ ამბიდან 10 წუთში თავალი ქუჩისკენ გამექცა და ბუკიას ბაღში იცით, ვინ აღმოვაჩინე? — დედაჩემი, რომელიც ბოლთას სცემდა და მობილურ ტელეფონს აწვალვდა, თან — ბარისკენ იხედებოდა. მივხვდი, რისთვისაც დამიბარა შინ. ჰოდა, თამუნას სასწრაფოდ გამოვემშვიდობე, — რაღაც საქმე მაქვს-მეთქი და გოგო ბარში მივატოვე, მე კი გარეთ გამოვედი, დედას დავურეკე და ვუთხარი: მეტროში ვარ, ჩამოდი-მეთქი, იქ კი დავამშვიდე: ის გოგო არ მომწონს, უბრალოდ, ვერთობოდი და მერე მივატოვე კიდეც, ხომ ხედავ-მეთქი?! — მე კიდეც მეგონა, შენი შეყვარებული იყო და გული გამისკდა. ეს როგორი ძველი, გახეხილი ჩანთა ეკავა ხელში ან როგორი სიარულის მანერა ჰქონდაო. არადა, მერწმუნეთ, მართლა მშვენიერი გოგო იყო.

— იმ დღის მერე თამუნას აღარ დაკონტაქტებია?

— არა! აბა, ამას რა აზრი ჰქონდა? საინტერესოა, შენ როგორ მოექცევი ბიჭს, რომელიც გაცნო-



ბისთანავე მიგატოვებს და ამით გეტყვის, — ამქვეყნად უფრო მნიშვნელოვანი რაღაცებიც ხდება, ვიდრე შენთან ლაპარაკიო?... ცხადია, იმ გოგოსაც არ გაუჩნდებოდა ჩემთან დაკონტაქტების სურვილი; შეიძლება ისიც იფიქრა, — არ მოვეწონეო, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის...

— შეყვარებული გყავს?  
— არა!  
— იქნებ, ის გოგონა იყო სწორედ ის, ვინც გავიგებდა, შენს მშობლებსაც შეყვარებდა თავს...

— (მანყვეტიწებს) შეიძლება, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკი გვიანია. რომ დავუთრეო, რა ვუთხრა, — გიჟი დედა მყავს და მამატიც, იმ დღეს მის გამო რომ მიგატოვებ-მეთქი?..

— შენც ნუ ეტყვი, რომ დედის ახირების გამო მიატოვე, უბრალოდ, მოუბოდიშე...

— კარგი, მაშინ ამას თქვენი მემკვიდრით გვაკეთებ: თამუნა ქაცარავა, იმ დღეს მომხდარის გამო ძალიან დიდი ბოდიშს გიხდის. მერწმუნე, საოცრად ლამაზი ხარ და ჩემი დასაწუნი არაფერი მაქვს, უბრალოდ, ხომ იცი მშობლების ამბავი... არც ის გეგონოს, რომ „დედიკოს ბიჭი“ ვარ, მაგრამ „ნიკალაში“ რომ ამოსულიყო, მერწმუნე, ორივეს სირცხვილს გვაჭმევდა, სახალხოდ მოგვჭრიდა თავს... ისე, თამუნას ჩემთან დალაპარაკება რომც მოუწოდეს, როგორ ფიქრობ, დედაჩემისნაირი დედამთილის რძლობას მოისურვებს? თუ ჭკვიანია, არა მგონია, გამოემხმეაუროს.

— მის ადგილას, პირადად მე, ნამდვილად არ გამოგვხმეაურობდი, მაგრამ ვინ იცის, რა მოხდება... იქნებ მას ისე მოეწონე, რომ ვერ გივიწყებს.

— თამუნა, დედაჩემი მთლად ისეთი იც არაა, როგორც წარმოდგენაც მასზე შეგექმნა, უბრალოდ, შვილისთვის მხოლოდ საუკეთესო ემეტება და ფრთხილობს; როგორც ამბობს, — არ უნდა, ვინმე ქარაფშუტა და უჭკუო გოგომ „გამომიჭიროს“. კიდევ ერთხელ გიხდის ბოდიშს!

ვერ გეტყვით, ამ აღიარების შემდეგ თამუნას ნიაზთან დაკონტაქტების სურვილი გაუჩნდებოდა თუ არა, მაგრამ პირადად მე დავინტერესდები, როგორ იპოვა თავად ნიაზის წუნია დედამ საქმრო და მას სწორედ ამ თემამზე სალაპარაკოდ, შინ დავუთრევე.

**ქალბატონი კლარა:**

— რა უცნაური კითხვაა? რას ნიშნავს, როგორ შევარჩიე საქმრო? პირველ რიგში, მან დაამადგა თვალი, მერე კი იმდენი ქნა, რომ თავი შემაყვარა.

— მაინც, რით მოგზობლათ?

— ყვავილებით, საჩუქრებით...

— მის გარეგნობაში ყველაფერ გაკმაყოფილებდათ?

— ნუ, გოგა ჩემი ოცნების პრინცი ნამდვილად არ იყო, მაგრამ... ყოველთვის სიმპათიური გახლდათ, დახვეწილი მანერების მქონე...

— მისი ჩაცმის სტილიც მოგწონდათ?

— ნუ, არც ისე, მაგრამ ხომ იცი, თუ მოინდომებ, ადამიანს გემოვნებას იოლად შეაცვლევიანებ.

— როგორც ვიცი, ქალ-ვაჟი გყავს. საინტერესოა, შვილების არჩევანში თუ ჩაერევი?

— ცხადია, ჩავერევი! ბოლოს და ბოლოს, მათი მტერი ხომ არ ვარ?! მირჩევნია, ბავშვების პირად ცხოვრებაში აქედანვე ჩავერიო და შვილებს რჩევა-დარიგებაც მივცე, ვიდრე მერე გამიხდეს თავში სარტყმელი.

— მაინც, როგორ სარძლოს ექვით?

— ისეთს, როგორც ჩემს ოჯახს შეეფერება. პირველ რიგში, გოგონა დახვეწილი უნდა იყოს; აუცილებელია, რომ დიპლომიც ჰქონდეს.

— თქვენ თუ გაქვთ დიპლომი?

— მე რომ არა მაქვს, ამიტომაც ვეძებ დიპლომიან სარძლოს.

— ისიც ხომ არ გაქვთ განსაზღვრული, თუ ვინ უნდა იყოს პროფესიით?

— კარგი იქნება, თუ ჩემი შვილი ექიმს შეირთავს, მაგრამ არც ჟურნალისტი ქალზე ვიტყოდი უარს.

— და მსახიობი რომ შეირთოს?

— დიდად არ გამიხარდება, მაგრამ თუ ჩემს შვილს ეყვარება, წინააღმდეგობას არ გავუწევ. ბოლოს და ბოლოს, ადამიანს პროფესიის შეცვლა ნებისმიერ ასაკში შეუძლია!

**პიპა, 5 წლის:**

— სვეტი გოგოს რძლობას ვერ ავიტან. კაცო, რძალმა ცხვირწინ სიგარეტი რომ გამიბოლოს, ინფარქტი დამარტყამს; ან ისეთი მინიკაბა რომ ჩაიცვას, რომლის დანახვისას ჩემი ძმაცაცები ცუდად გახდებიან, ხომ შევიშლები ჭკუიდან და საყვედურსაც ვეტყვი, რასაც ცხადია, ახალგაზრდა გოგო ვერ აიტანს და ჩვენ შორის კონფლიქტი მოხდება... საბედნიეროდ, ისეთი რძალი მყავს, რომელიც არც გარეგნულად დაინუნება და არც — „სვეტსკი“ არაა. მართალია, ის მინიქვედაბოლოებსაც იცვამს, მაგრამ ისე გამომწვევს არა, რომ კაცები უკან აედევნონ...

— კიდევ, რის გამო შეიძლება დაინუნოთ სარძლო ან სასიძო?

— უკულტურობის გამო! კიდევ, ვერ ავიტან, ქალი ჩემს ვაჟზე ბევრად უფროსი რომ იყოს. რა, ცოლი სათა-

ვისოდ უნდა მოიყვანოს თუ საჩემოდ? ვერ ვხვდები, ამ ბიჭებს ბებრუხანებში რა მოსწონთ?! ამას წინათ ჩემი მეგობრის შვილმა შეირთო ცოლი. მერე გავიგეთ, რომ ის გოგო ქმარზე 12 წლით უფროსი ყოფილა და რა გასაკვირია, რომ დღესდღეობით მშობლები ბიჭს აღარ ელაპარაკებიან, როცა იმ ქალის რძლობა ჩვენ, მისი ოჯახის კარგის მსურველებსაც „გაგვიტყდა“? თან — ყველაფერთან ერთად, განათხოვარიც ყოფილა. ეტყობა, რაღაც გაუკეთა, თორემ როგორ შეიძლება, ახალგაზრდა კაცს დედისტოლა ქალზე მიგივიდეს გული?..

**ნანი, 45 წლის:**

— სარძლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავინუნებ, თუ მეცოდინება, რომ მას გრძელი ენა აქვს. მთავარია, ჩემს შვილს უყვარდეს და შევეცდები, გავუგო. მერწმუნეთ, გოგოს იმიტომ ნამდვილად არ დავინუნებ, თუ ჩემს ვაჟზე დაბალი ან უსწავლელი იქნება; არ მომეწონება, ჩემი ასაკის ქალი რომ შეირთოს, მაგრამ თუ მათ შორის სხვაობა მაქსიმუმ, 5 წელი იქნება, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ...

— ქალიშვილი არ გყავთ?

— მყავს, მაგრამ ის უკვე გათხოვილია.

— თავის დროზე სასიძო ხომ არ დაგინუნებიათ?

— ცოდავ გამხელილი ჯობს და დავინუნე, რასაც ახლა ძალიან ვნანობ. მაშინ მეგონა, რომ ის ბიჭი ჩემს გოგოს არ შეეფერებოდა, ჰოდა, როცა გავიგე, ერთმანეთი უყვარდათ და დაქორწინებას აპირებდნენ, გავცოფდი.

— მაინც, რას უნუნებდით სასიძოს?

— გარეგნულად არ მომწონდა. ჩემი ქალიშვილი მოდელი გახლდათ, ის კი მოჭიდავეა და ცხვირმოგერების ბიჭის სიძეობა არ მინდოდა, ქალიშვილისთვის ბრედ პიტისნაირ კაცს ვეძებდი... ახლა კი მგონია, რომ ჩემმა გოგონამ საუკეთესო არჩევანი გააკეთა და თავყვანისცემლებს შორის ყველაზე ღირსეულს გაჰყვა ცოლად.

— მაინც, ასე როგორ შეგაყვართ სიძემ თავი?

— თავისი საქციელით. ის ჩემს შვილს ისე ექცევა, როგორც ანგელოზს შეიძლება მოექცე: თბილი, ყურადღებიანი ქმარი და მამაა, ჰოდა, სხვა რა შეიძლება ინატროს ქალიშვილის დედამ?! სხვათა შორის, ყურადღებას არც სიდედრ-სიმამრს გვაკლებს, ყოველდღე გვირეკავს, ჩვენს ამბავს კითხულობს. ხოლო როცა ნასვამია, მხოლოდ იმისთვის გვსტუმრობს, რომ გულში ჩავვიკრას და წინოს აღზრდისთვის მადლობა გადავვიხადო.



# გიგლუსი

გიგლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

## წვეთი პოეზია



### ნეტავი რადმე მაქცია

ნეტავი რადმე მაქცია,  
 ბულბულად გადამაქცია,  
 ბულბულის ენა მასწავლა,  
 ბალებში შემომამჩვია,  
 დავკონო ოქროს უონები,  
 დავფერო ვერცხლის წყალშია,  
 საღამო ხანზე გაახლო,  
 ჩამოგიყარო ბანშია,  
 დილით რო გამოსულიყვე,  
 შიგ ჩაგეხვიოს უავშია.

ბალხური

### ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოსცემული

ქართული ენის

ბანმარტაპიტი ლეჟენიონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენალი თამარ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“;

№2-52, 2010 — №1-3, 2011

**კაჭარ** — ქანის მონატეხი დიდი ქვა, ცოტა-ოდენად მომრგვალებული და გაჭეხილი.

**კაჭაჭი** — გამხმარი ღერო მალალი მსხვილღეროიანი ბალახის, მზე-სუმზირის და მისთ.

**კაჭიჭი** — 1. ვაზის ერთგვარი ჯიში; 2. ამ ვაზის ყურძენი და ღვინო.

**კბილჩორა** — ვისაც მრუდედ უსხედს კბილები.

**კბოდე** — მიუდგომელი კლდოვანი ნაპირი ზღვისა, მდინარისა.

**კედარო** (კუთხ.) — მხარე, კიდე.

**კევი** — მცენარის ერთგვარი ფისი, საღებად ხმარობენ.

**კევი** — პურეულის სალენი ძველისძველი იარაღი; წარმოადგენს წინისკენ თანდათან დავიწროებულ და თავანუ-ულ სქელ ფიცრებს, რომლებსაც ძირზე კოსები (კაყის ნატეხები) აქვს ჩასმული; კევიში ხარებს ან ცხენებს აბამდნენ და კალოზე ატარებდნენ.

**კეკლა** — 1. (ძვ.) კეკლეცი (ქალი); 2. (საუბ.) უშნოდ მოკვლეუცი ქალი.

**კლა** — ზზიკი, კრანანა.

**კლაფრო** — მუცლის სორცი (საბა) (კლაფროის მწვადი).

**კეჭიჭი** — 1. ცხენისა და მისთ. გავის ტყავი, შეღებილი მწვანედ ან შავად, ქოშების საპირედ. // სორკლიანი, მაგარი ტყავი, რომლითაც ქარქაშს მოსაფენ; 2. (გადატ.) — კერპი, ახირებული (ადამიანი).

**კენწისა** (კუთხ.) — თავის ქალა.

**კეფრა** — ორნლოვანი ბოსტნეული მცენარე კომბოსტოს ოჯახისა; თავს არ იხვევს; ხმარობენ მხლად ან მწნილად.

**კერატი** — დაუკოდავი ღორი.

**კერკი** — წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის გამხმარი ნაყოფი (ალუბლის კერკი).



# აკაკი შანიძე



გამოჩენილი ქართველი ენათმეცნიერი — აკაკი შანიძე დაიბადა

იცა 1930 წელს, არის ახალი ქართული ენის პირველი მეცნიერული გრამატიკა. უალრესად მნიშვნელოვანია აკაკი შანიძის „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, რომელიც 1976 წელს გამოიცა. მეცნიერის მოღვაწეობიდან აღსანიშნავია ე.წ. „ხანმეტ-ჰაემეტი ტექსტების“ აღმოჩენა-გამომზადება, ქართული ბიბლიური ტექსტების, „ქართული ოთხთავის“ რედაქციების აკადემიური გამოცემა. დიდია მისი ღვაწლი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენის საქმეში, რისთ-



1939 წლიდან საშუალო სკოლებში ისწავლებოდა შანიძის შედგენილი „ქართული ენის გრამატიკა“. შანიძე იყო საქართველოს მეცნიერება-

**„1960 წელს, როდესაც მამა გიორგი წერეთელთან და ირაკლი აბაშიძესთან ერთად, იერუსალიმში რუსთაველის პორტრეტის მისაკვლევად გაემგზავრა, უკვე 70 წელს იყო გადაცილებული. მაშინ ირაკლი აბაშიძე იხსენებდა: ჩვენ გვეშინოდა, ვაითუ, ვერ იაროს, ხანში შესულია... აკაკი კი ჩვენზე წინ გარბოდაო“.**

1887 წლის 26 თებერვალს, სოფელ ნოლაში (ახლანდელი სამტრედიის რაიონი). 1913 წელს დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. იყო — თსუ-ის ერთ-ერთი დამაარსებელი, 1918-1930 წლებში — თსუ-ის სომხური და ქართული ენის კათედრების გამგე; 1945-1987 წლებში უძღვებოდა ძველი ქართული ენის კათედრას. მან გიორგი ახვლედიანთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ენათმეცნიერების კვლევა-ძიებას. მეცნიერის ნაშრომები ეხება ქართველური ენების სტრუქტურისა და ისტორიის, ქართული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის, ტექსტოლოგიის, ეპიგრაფიკის, ფოლკლორისტიკის, რუსთველოლოგიის, არმენისტიკის, ალბანოლოგიისა და ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის პრობლემატიკას. შანიძის ადრეული გამოკვლევები შეჯამებულია საეტაპო მნიშვნელობის წიგნში — „ქართული ენის გრამატიკა“. მორფოლოგია, რომელიც გამო-

**„100 წლის იუბილეზე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა: ხუთიოდე წელი კიდევ მინდა, რომ დანყებულნი საქმეები დავამთავრო; მაგრამ მას რამდენ ხანსაც უნდა ეცოცხლა, ყოველთვის ექნებოდა რალაც გასაკეთებელი“.**  
**აკაკი შანიძის ქალიშვილის — მზექალა შანიძის მოგონებებიდან**

ვისაც 1987 წელს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია მიენიჭა. მისმა ნაშრომმა — „ქართული ხალხური პოეზია — ხევსურული“ სათავე დაუდო ქართულ მეცნიერულ ფოლკლორისტიკას.



თა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ნამდვილი წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. საქართველოსა და სომხეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე. იყო აგრეთვე პრალის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წევრ-კორესპონდენტი, იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. მინიჭებული აქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია. აკაკი შანიძე გარდაიცვალა 1987 წელს. დაკრძალულია თსუ-ის ეზოში.



# მოსრობელი — ერნესტ ჰეინგუი

„ლაპარაკის სწავლას ორი წელი უნდა, დუმლის სწავლას კი ალბათ ორმოცდაათი წელიც არ ეყოფა“, — ამბობდა ერთ-ერთი საუკეთესო მთხრობელი მსოფლიოში, მაგრამ მაინც ვერ შეეღია სიტყვას და სიცოცხლის ბოლომდე მას ემსახურა. ერნესტ ჰეინგუი დღემდე პოპულარულია მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში და მათ შორის, საქართველოშიც. 24 იანვარს, ჟურნალ „რეიტინგთან“ ერთად, სწორედ ამ მწერლის მოთხრობების კრებული გამოვიდა.

სამწუხაროდ, დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გამო, წიგნი ფუფუნების საგნად იქცა. გამომცემლობა „პალიტრა L“ კი ამ მხრივ მკითხველს ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს. ასე თუ გაგრძელდა, წიგნის მოყვარულები „მსუყე“ ბიბლიოთეკის შექმნასაც მოახერხებენ.

## თამთა დოლიძე

### ვაჟა სორნაული, პოეტი:

— გამომცემლობა „პალიტრა L“ არაერთი კარგი წამოწყების ინიციატორია. მისი ძალისხმევა იქითკენა მიმართული, რომ წიგნმა და მკითხველმა ერთმანეთი იპოვონ. უღამაზეს მოგონებად შემომრჩა გასული საუკუნის ერთი ფაქტი: წიგნის ბუმი! თუ მაშინ პოეტური კრებულები საოცარი ტირაჟებით (10000, 50000, 100000 და უფრო მეტიც), გამოდიოდა, ამჟამად, ამ მხრივ, მართლაც, გულსატკენი მდგომარეობაა — რომელიმე დიდი მწერლის წიგნი შეიძლება, 100 ცალიც არ გაიყიდოს... ამგვარ ვითარებაში სასიხარულოა, გამომცემლობა „პალიტრა L“-ის ღვაწლი, ხოლო ამ ღვაწლის კიდევ ერთი დადასტურებაა პროექტი.


**ნათია ორმოცაძე, მთარგმნელი:**

— ნებისმიერი პროექტი, რომელიც ორიენტირებულია ლიტერატურის განვითარებაზე, მკითხველის დაინტერესებაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ სასიხარულო და მისასალმებელია. დღეს ახალგაზრდა თაობას დავიწყებულიც კი აქვს მსოფლიო კლასიკოსების შედევრები, რომელთა ნაუკითხაობით ადამიანი ბევრს კარგავს.

— როგორც უკვე ვთქვით, პროექტის პირველი წიგნა — ერნესტ ჰეინგუი. ხომ არ გახსოვთ, პირველად როდის გაცნით ამ მწერალს და როგორ იყო თქვენი შთაბეჭდილება?

### მაიკო გოძაძე, კომპოზიტორი:

— ბავშვობაში ნავიკითხე და რა გასაკვირია, რომ სწორედ სათავგადასავლო ტიპის საკითხავი დამაინტერესებდა — „კილიმანჯაროს თოვლიანი მთა“, სადაც ალბათ, პირველ რიგში, თვალში მეცემოდა ეგზოტიკა; შემდეგ, როგორც ბავშვის წარმოდგენაში, ცენტრალური ფიგურა — ცხოველები და ბოლოს, ბავშვისთვის ნაკლებად საინტერესო — წყვილის ურთიერთობა.



მოგვიანებით, კინოკრანებზე გამოჩნდა ამავე სახელწოდების ამერიკული ფილმი, სადაც მთელი ინტერესი ამჯერად, შესანიშნავ წყვილზე — გრეგორი პეკსა და ავა გარდნერზე გადავიდა.

### არჩილ გამზარდია, სკოლის მასწავლებელი:

— პირველად, 15 წლის ასაკში ნავიკითხე — „მშვიდობით, იარაღო“ და მოთხრობები, თუმცა, თუ სწორად მახსოვს, მოთხრობებზე მეტად ამ ნაწარმოებებმა მოახდინა ჩემზე შთაბეჭდილება.

### ვაჟა სორნაული:

— ერნესტ ჰეინგუი ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია. მის შემოქმედებას სტუდენტობის წლებში გავეცანი და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. განსაკუთრებით მომხიბლა მოთხრობამ — „მოსუცი და ზღვა“. ჰეინგუი არა მარტო შემოქმედებითაა მიმზიდველი, არამედ ბოჰემური ცხოვრებითაც. „სად არ შევხვდებით მას — ბრძოლის ველზე და ბარიზის კაფეებში, ალპებსა და კორიდაზე, უაიომინგის ულრან ტყეებსა და აფრიკის მწვანე ბორცვებზე, ალ-

ყაშემორტყმულ მადრიდში და ბანინის კუნძულებთან“ (ენტონი ბერჯესი).

### ნათია ორმოცაძე:

— ჰეინგუის შემოქმედებას პირველად რომ გავეცანი, მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლე ვიყავი და წიგნებს მხოლოდ დედის დაუინებელი თხოვნით ვკითხულობდი. მაშინ მხოლოდ ნაწარმოების შინაარსი მიტაცებდა, ამიტომ შთაბეჭდილებებითაც ვერ მამდიდრებდა კითხვის პროცესი. გააზრებულად ეს ავტორი სტუდენტობისას ნავიკითხე და აღფრთოვანებული დავრჩი იმით, თუ როგორ შეძლო მწერალმა, ასეთი სადა და უშუალო თხრობით, სიტყვების მინიმალური რაოდენობის გამოყენებით ასეთი ღრმა აზრების გადმოცემა. მისი გმირები სიცოცხლის უზომო აღსავსე და სიყვარულით გაჯერებული ადამიანები არიან. მოსუცი სანტიაგოს („მოსუცი და ზღვა“) სახე ისეთი შთაბეჭდავი და დასამახსოვრებელია — დაბერებული, დანოჭებული, მოხრილი კაცი და უცებ — მარად ახალგაზრდა ცისფერი თვალები!.. მოსუცი, რომელიც ასე ეურჩება დამარცხებას და მაინც არ კარგავს იმედს, უკვე გამაჯვებულია, მებრძოლი და შეუდრეკელი ადამიანის დამარცხება კი შეუძლებელია. აი, ამ შთაბეჭდილებით დავდიოდი ამ ავტორის ნაკითხვის შემდეგ და ასე სავსეს და სრულს კარგა ხანს არ შემეძლო სხვა, ახალი ემოციის მიღება.

— ერნესტ ჰეინგუის ცხოვრება დღემდე დიდ ინტერესს იწვევს. მწერალი თურმე ცდას არ აკლებდა, რომ ხალხს გამუდმებით ელაპარაკა მასზე, მიებაძა მისთვის და ასეც ხდებოდა. როგორ ფიქრობთ, რაში სჭირდებოდა უკვე ისედაც პოპულარულ მწერალს სკანდალური (უმეტესწილად, სასიყვარულო) ამბებით „თავის მონონება“.

### ვაჟა სორნაული:

— რომელ მწერალს არ სურს, რომ მასზე ილაპარაკონ; რომელ მწერალს არ უხარია, რომ მისი გავლენა დიდია და ჰყავს მიმბაძველები? ადამიანის ბუნებაა ასეთი. ამ მხრივ, იგი „აღუვსებელი სანყაულია“ და ამაში არაფერია მოულოდნელი და მიუღებელი. რაც შეეხება მის სკანდალურ (უმეტესწილად, სასიყვარულო) თავგადასავლებს, უნდა გავითვალისწინოთ მისი ხალისიანი და დაუდგარი ბუნება, რაც მისი ხასიათის კიდევ ერთი თავისებურებაა. ჰეინგუი უნიღობა, ერთნაირად ლამაზად თამაშია ქალთან და სი-





მარი ჯაფარიძე

# მორიგანი

## არხიდიტა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-3, 2011

ჩანთა შესასვლელში დავტოვე და დივანზე მივეგდე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

— დაიღალე? — მზრუნველად მკითხა ქალმა.

— ჰო, ლალი, დავიღალე.

— აუ, რამდენი რამ გექნება მოსაყოლი, არა? — თვალეში ჩამხედა.

ხელზე ხელი მოვუთათუნე.

— ისევ ისეთი ხარ, თითქოს წლები არც გასულა.

— შენ კი შეცვლილი ხარ, ტუჩებთან და შუბლზე ნაოჭები გაგჩენია, — თავი სინანულით გადააქნია, — მაგრამ ეგ არაფერი, თუ არ დააკვირდი, ვერც კი შენიშნავ დროზე თუ უშველი, უცებ გაქრება.

ვინ-ვინ და ლალიმ კი იცოდა, ნაოჭებთან ბრძოლის ათასი მეთოდი, მაგრამ ჩემთვის ეს თემა არც ისე მნიშვნელოვანი იყო, რის გამოც ლალისგან მუდმივად საყვედურებს ვიღებდი ხოლმე. ქალის არაფერი გცხია, კაცად ხარ დაბადებულიო, მეტყოდა ხოლმე.

— სანდრომ იცის, გარეთ რომ ხარ? — მივხვდი, მისი ხსენება გაუჭირდა.

— კი, იცის, ერთად ჩამოვფრინდით მოსკოვიდან, მისი დამსახურებაა, გარეთ რომ ვარ. უფრო სწორად — მისი სიამამის.

— ეს კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს, ალბათ, — უცებ მიხვდა.

— ამაზე სხვა დროს, ლალიკო, ახლა მშია და მეძინება.

სკოლა მაღალი ნიშნებით დავამთავრე, მაგრამ მიღებული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად. საბუთები იურიდიულ ფაკულტეტზე შევიტანე. მესამე გამოცდა ისტორიაში მქონდა. პირველი ორი — როგორც იქნა, ჩავაბარე და სამიანიები მივიღე, რაც იმას ნიშნავდა, რომ დანარჩენი ორი ფრიადზეც რომ ჩამებარებინა, სტუდენტი მაინც ვერ გავხდებოდი — ქულები არ მეყოფოდა. ძალიან დიდი კონკურსი იყო და ისეთი „მგლები“ აბარებდნენ, საგნებს ლამის პროფესორების დონეზე ფლობდნენ.

ისტორიის გამოცდაზე რომ მივ-

დიოდი, იმ დღით დათხო მოვიდა.

— მარგო, აზრი არა აქვს გამოცდაზე გასვლას, ტყუილად უნდა განვაღდე.

— ვიცი, მაგრამ მაინც წავალ, გამოცდილებას მივიღებ და გაისად გამომადგება.

— კარგი, როგორც გინდა, — წინააღმდეგობა აღარ გაუნწვია და თვითონვე მიმიყვანა უნივერსიტეტთან.

მოკლედ, ოთხივე საგანში სამიანი მივიღე. ლალის ერთხელაც არ უკითხავს, რა ხდებოდა, ვაბარებდი თუ არა გამოცდებს ან საერთოდ, მივდიოდი თუ არა. მხოლოდ ერთხელ მახლდა თან, როდესაც საბუთები შევიტანეთ და ეგ იყო. თითქოს არც არაფერი ხდებოდა ჩემს ცხოვრებაში.

როდესაც საბოლოოდ გადამენურა იმედი და მივხვდი, რომ იმ წელიწადს სტუდენტობას უნდა გამოვმშვიდობებოდი, გადავწყვიტე, მომავალი წლისთვის ყველა საგანში საფუძვლიანად მოვზადებულიყავი და რაღაც უნდა დამჯდომოდა, აუცილებლად ჩავრიცხულიყავი.

— მარგო, რადგან მისაღები გამოცდები დასრულდა, ახლა შეგვიძლია, დასვენებაზე ვიფიქროთ. ზღვაზე წავიდეთ, მე და შენ... ამაზე რა აზრის ხარ? — შემომთავაზა ერთ საღამოს.

— დასვენება კარგია, მაგრამ გული მწყდება, სტუდენტი რომ ვერ გავხდები. ისევ მეცადინეობა მომიწევს მთელი წელი. ლალი, დათო ხომ შემპირდა, თუ დიანას ქორწილს ჩავშლიდი, რასაც ვთხოვდი, შემისრულებდა?

— კი, შეგპირდა, მაგის მოწმე მე თავად ვარ.

— ჰოდა, რომ ვთხოვო, რეპეტიტორების ფული გადამიხადოს, ეს ნამეტანი ხომ არ იქნება?

— კი, ნამეტანი იქნება, — ხმამაღლა გაიციინა.

გავიბუსხე და გავჩუმდი. დავინწყე იმაზე ფიქრი, საიდან მომეტანა მომზადებისთვის საჭირო თანხა.

— პატარავ, გაიბუტე?

— არა, — უარის ნიშნად თავი კი გავაქნიე, მაგრამ სახეზე აშკარად მენერა, რომ ხასიათი გამიფუჭდა.

თბილისში თავსხმა წვიმა იყო. სანდრომ აეროპორტის შენობაში დამტოვა, თვითონ გავიდა და ტაქსი პირდაპირ კართან მოაყენა. როდესაც ქალაქში შემოვედი, ხმა მხოლოდ მაშინ ამოიღო.

— სად მიგიყვანო?

— ლალისთან! — ბრძანებასავით გაისმა ჩემი ხმა.

ლალის ნახვა ძალიან მინდოდა. თითქოს მართლაც ის დღე მეორედებოდა, პირველად რომ ჩამოვედი თბილისში. მაშინაც დათომ პირდაპირ ლალისთან მიმიყვანა. განსხვავება ის იყო, რომ მაშინ ლალის არ ვიცნობდი; არ ვიცოდი, სად მივდიოდი; ახლა კი მონატრებული ადამიანის სანახავად მიმეჩქარებოდა.

სანდრო შინ არ შემომყოლია. ტაქსი გაჩერდა, გადმოვედი, კარი უხმოდ მივაჯახუნე და არც დავმშვიდობებინვარ, ისე შევაქციე ზურგი და ჭიშკარს მივანექი. ღია დამხვდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ლალი სახლში იყო.

ეზოში შესულმა იქაურობას თვალი მოვაველე. თითქმის ყველაფერი ისევე დამხვდა, როგორც დავტოვე. კარს მივადექი და ზარის ღილაკს თითი დავაჭირე.

ნაცნობი ფეხის ხმა მომესმა. ამ ნაბიჯებს მილიონში გამოვარჩევდი — მტკიცე, თავდაჯერებული, მოკლე ინტერვალებით.

— მარგო?! — ლალი გადამეხვია და გულში ჩამიკრა. — რომელმა ქარმა გადმოგაგდო? როდის გათავისუფლდი? რატომ არ დამირევე? — კითხვები დამაყარა.

თან მათვალეირებდა, თითქოს თვალებით მეფერებოდა. როგორც იქნა, ხვევნა-კოცნას მორჩა და შინ შემიძღვა.



— იცი, რატომ იქნება ნამეტანი? იმიტომ, რომ შენ ისედაც სტუდენტი ხარ და რეპეტიტორებთან სიარული და კიდევ ფულის გადახდა ნამდვილად ზედმეტია.

— ვერ გავიგე... — მეგონა, მომესმა.

— შენ უკვე სტუდენტი ხარ, დათო თავისი სიტყვის პატრონია. შეგვიძლია, სუფთა სინდისით წავიდეთ, დავისვენოთ და დრო აღარ დავკარგოთ, რადგან პირველი სექტემბერი კარსაა მომდგარი და ველარ მოვასწრებო. ლექციებს ხომ არ გააცდენ?

ამის დაჯერება მიჭირდა, მაგრამ არც იმის საფუძველი მქონდა, მეფიქრა, რომ ლალი მატყუებდა. ჩემზე ბედნიერი ადამიანი არ არსებობდა ქვეყნად. მართალია, ჩანყობით, მაგრამ მაინც სტუდენტი გავხდი. საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ კარგად ვისწავლიდი, ლექციებს არ გავაცდენდი და აუცილებლად ნითელ დიპლომზე დავამთავრებდი — საუკეთესო სპეციალისტი გავხდებოდი და კარიერასაც ავიწყობდი.

პირველ სექტემბერს უნივერსიტეტში გარუჯული მივედი. ახალი ტანისამოსი მეცვა, რომელიც ლალიმ წინა დღეს მიყიდა და თავი ამყავდ მეჭირა. თავმოწონე ვიყავი, რადგან მთელ უნივერსიტეტში 1-2 სტუდენტი თუ იქნებოდა ჩემნაირი ლამაზი, კარგად ჩაცმული და მოვლილი. ადრე ასეთი რამ სიზმარშიც რომ მენახა, ჩემზე ბედნიერი არავინ იქნებოდა. ახლა კი ყველას ყურადღების ცენტრში მოქცეული, ამყავდ ყელმოღერებული ვიყავი და მანერებით ლალის ვბაძავდი.

\* \* \*

იმ ღამეს მკვდარივით მეძინა. თითქოს თბილისში უფრო მშვიდად ვგრძნობდი თავს. შესაძლოა იმიტომაც, რომ უკვე გარკვეული იყო ჩემი მომავალი და მიუხედავად იმისა, რომ ვიცოდი, კარგი არაფერი მელოდა, გაურკვეველ სიტუაციაში ყოფნას ნამდვილად სჯობდა.

დილით ლალიმ გამაღვიძა, სანდრო რეკავს და დელიაპარაკეო.

— პირველ რიგში, მობილური ტელეფონი იყიდე, რომ დაკავშირება ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილზე შეეძლოს, — ყოველგვარი სალმისა და მოკითხვის გარეშე დაიწყოს სანდრომ.

როდესაც ციხეში მიკრეს თავი, მაშინ მობილური ტელეფონი საკმაოდ ძვირი სიამოვნება გახლდათ და აქა-იქ თუ ჰქონდა ვინმეს. 7

წლის განმავლობაში კი ისე მოეკიდებინა ფეხი, რომ მის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელიც იყო, მაგრამ მე მის საჭიროებას ვერ ვგრძნობდი. იმიტომ, არც მიზრუნია, რომ ტელეფონი მეყიდა. არც სანდროს საყვედურის შემდეგ მიფიქრია, რომ აუცილებლად ვიყიდდი, მაგრამ ცოტა ხანში ნამდვილად მივხვდი, რომ მობილური ყველაზე საჭირო ნივთი ყოფილა.

— მობილური რომ ვიყიდო, ფული უნდა მქონდეს, რომელიც ჩემთვის ჯერ არ მოგიცია, — ხისტად გავეცი პასუხი მის უხეშ გამოხდომას.

— დღეს შევხვდებით და მიიღებ იმ თანხას, რაც ამ ეტაპზე გჭირდება. 3 საათზე, მარჯანიშვილზე, „მაკდონალდსთან“ შევხვდებით, — მითხრა და ყურმილი დაკიდა.

— მარგო, რა ხდება? — ლალი ჩემ ზურგს უკან იდგა და თვალყურს მადევნებდა.

— სანდრო იყო.

— ვიცი.

— 3 საათზე უნდა შევხვდე, — მაინც ავარიდე თავი ყველაფრის ღიად თქმას. ცოტა დრო მჭირდებოდა და მერე მოვუყვებოდი, როგორ გადამიბირეს სანდრომ და მისმა სიმამრმა. — ლალი, შეიძლება, ცოტა ხანს შენთან ვიცხოვრო?

— რამდენ ხანსაც გინდა.

— ჩემს სახლში რემონტს გავაკეთებ. სანამ მოვრჩები, მანამდე აქ ვიქნები, მერე გადავაალ.

— არავინ გაგდებს, თუ გინდა, მუდმივად აქ დარჩი. ხომ იცი, შენზე ძვირფასი არავინ მყავს.

— მოდი, დღეს ყავას მე მოვადუღებ, — მაღლობის ნიშნად ლოყაზე ვაკოცე და სამზარეულოსკენ წავიდე.

სანდრო უკვე ადგილზე მელოდა.

— დაგაგვიანდა, — მკაცრად მითხრა.

— ასე ნუ მელაპარაკები, ერთხელაც იქნება, ყელში ამომივა შენი ხუმტურები და განანებ, იცოდე, — დავეშუქე, — თავიდან ლამის ფეხქვეშ გამგებოდი და რაც სიმამრმა ჩემს შეფად „დაგამტკიცა“, იმის მერე თავში აგივარდა. შენ თუ ჩემი უშუალო ხელმძღვანელი ხარ, ეს არაფერს ცვლის, იცოდე.

„მაკდონალდსში“ შევედი და თავისუფალ მაგიდასთან დავსხედით. ჯიბიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე, ჩემ წინ დადო.

— რამდენია?

— რამდენზეც მოვილაპარაკეთ — 10 ათასი.

კონვერტში ჩავიხედე. დოლარების კუპიურები რომ დავინახე, აღა-

რაფერი მითქვამს — ჩანთაში ჩავუძახე და მამაკაცს შევხედე.

— შენი პირველი განკარგულება რა იქნება?

— რამდენიმე დღე არავინ შეგანუხებს, შეგიძლია, შენს საქმეებს მიხედო. როცა საჭიროდ მივიჩნევ, თვითონ დაგიკავშირდები.

საუბარი დამთავრებულად ჩავთვალე და იქაურობა დავტოვე. ჩანთაში სახლის გასაღები მოვიძიე და როცა დავრწმუნდი, თან მქონდა, ტაქსის ხელი ავუწიე.

როდესაც ადვოკატად დავინიყე მუშაობა, გარკვეული თანხა მოვაგროვე და ფაქტობრივად, ქალაქის ცენტრში კერძო სახლი ვიყიდე, უფრო სწორად — ეზო, რადგან სახლი ნახევრად დანგრეული იყო და იქ ცხოვრება — შეუძლებელი. ხელახლა, ჩემი გემოვნებით ავაშენე ბელეტაჟი, რამდენიმე ოთახითა და მანსარდით. სახლში ყველაფერი ისევე დამხვდა, როგორც დავტოვე. ეგ იყო, მტვრის სქელ ფენას დაეფარა იქაურობა და აბლაბუდაც ბლომად იყო გაბმული. ეზო გაპარტახებული დამხვდა, ყვავილების ბაღი, რომელსაც რუღუნებით ვუვლიდი — გამხმარი. დიდხანს არ გავჩერებულვარ. უბრალოდ, თვალი შევაკვირე ყველა ოთახს, რემონტისთვის რალაცები დავგეგმე და წამოვედი. გარეთ გამოსულმა პირველივე გამველი გავაჩერე და ვკითხე, მობილური ტელეფონის ყიდვა სად შემიძლია-მეთქი? უცნაურად შემომხედა. ალბათ გიჟი ვეგონე, ისეთი უცნაური კითხვა დავსვი. თუმცა, გულმოდგინედ ამისხნა და მეც იქით გავეშურე. ცოტა ხანში ახალი მობილურით „ხელდაამშვენებული“ დავბრუნდი ლალისთან.

მეორე დღიდან კი სახლის მოვლასა და რემონტზე დავინიყე ზრუნვა. პარალელურად — საოფისე ფართობს ვეძებდი საადვოკატო ფირმისთვის.

სანდრო 2 კვირის განმავლობაში არ შემხიანებია. ერთ საღამოს კი პირდაპირ ლალისთან გამომეცხადა.

— როგორ მოხდა, რომ გაგახსენდი? — ლალი ოთახში შემოუძღვა.

— მარგოსთან ვარ, ოფიციალური ვიზიტით, — განსაკუთრებულად ალერსიანი ჩანდა მამაკაცი.

— ახალი ამბავი გაქვს ჩემთვის, ეტყობა, — ირონიული ღიმილი აღვიბეჭდე სახეზე.

— კი, სასიხარულო ამბავი მოგიტანე — სამსახური გიმოგვ.

— რას მელაპარაკები?!

— ხვალ ერთ ოჯახში გასაუბრებაზე უნდა მიხვიდე, სადაც ძიძა სჭირდება. რადაც უნდა დაგიჯდეს,



უნდა მოახერხო და შენ უნდა აგიყვანონ. ამას წარმატებულად რომ გაართმევ თავს, შემდეგ სხვა დავალებას მიიღებ.

— გასაგებია, — ჩავილაპარაკე.

— აი, მისამართი და ტელეფონის ნომერი აქ წერია. დარეკე და შეუთანხმდი. თუ გკითხავენ ინფორმაციის წყაროს შესახებ ანუ საიდან იცი, რომ ძიძა სჭირდებათ, ეტყვი, რომ ელენე ქუმსიაშვილისგან. ეგაა და მბ.

— კარგი, გასაგებია.

— ახლავ დარეკე, მაინტერესებს, რას გეტყვიან.

ქალმა მიპასუხა. რამდენიმე შეკითხვა დამისვა და მეორე დღეს დამიბარა.

სანდრო მოსმენილით დაკმაყოფილდა და წავიდა.

ლალმ რაღაცნაირად, დანანებით გადააქნია თავი.

— ვატყობ, ცუდად გაიჩხირე სადღაც.

— კი, — თავი დავუქნიე და ყველაფერი გულახდილად მოვუყვიე.

— ცოტა მადროვე და პირობას გაძღვე, მაგ სიტუაციიდან თავის დაღწევაში დაგეხმარები.

მითითებულ მისამართზე დათქმულ დროს მივედი. კარი ახალგაზრდა ქალმა გამიღო და ლიმილით შემიპატიჟა.

— რა გქვიათ? — პირველად ეს მკითხა.

— მაკა, — რადგან სანდროსგან არავითარი ინსტრუქცია არ მქონდა, გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც საჭიროდ მივიჩნევიდი და ნამდვილი სახელი დავმალე.

— პროფესიით ვინ ხარ?

— დანებითი კლასის მასწავლებელი, — განვაცხადებდი ტყუილების ლაპარაკს.

— გიმუშავიათ პროფესიით?

— საბავშვო ბაღში ვმუშაობდი, წლების განმავლობაში.

— ახლა?

— ახლა უმუშევარი ვარ, რადგან ის ბაღი კერძო გახდა და ძველი თანამშრომლები დაგვითხოვეს, — ტყუილების გულდას ისე მოვხსენი თავი, რომ თავადვე შემეშინდა, არ დამეჩინებოდა, რასაც ვამბობდი და ჩემი სიცრუე სხვა დროს არ გამჟღავნებულა.

— გასაგებია... იცით, ჩვენი პირობები?

— არა, საიდან უნდა ვიცოდებ? იქნებ არც კი მანყობს...

— მთელი კვირის განმავლობაში, დღედაღამ აქ უნდა იყო. მხოლოდ კვირას გექნებათ დასვენება. თამუნა 4 წლისაა, დღისით ბაღში დადის.

ამ დროს საოჯახო საქმე უნდა გააკეთოთ — დალაგოთ, დარეცხოთ, კერძი მოამზადოთ მთელი ოჯახისთვის. ბავშვს ბაღიდან რომ მოიყვანთ, მხოლოდ მისით უნდა დაკავდეთ. ოჯახი გყავთ?

— არა, ოჯახი არ მაქვს.

დამხმარე ქალბატონებს ვქირაობთ ხოლმე. ასე რომ, დიდი ჯაფა არ დაგადგებათ.

— კარგი, მოვილაპარაკეთ, თანახმა ვარ.

— მაშინ თქვენი დიპლომი და წინა სამუშაო ადგილიდან ცნობა

## რადგან სანდროსგან არავითარი ინსტრუქცია არ მქონდა, გადავწყვიტე, ისე მოვქცეულიყავი, როგორც საჭიროდ მივიჩნევიდი და ნამდვილი სახელი დავმალე

— მაშინ ალბათ არ გაგიჭირდებათ 6 დღის განმავლობაში ჩვენთან დარჩენა.

— ანაზღაურება როგორი მექნება?

— თვეში 700 ლარს მიიღებთ, კვებაში ფული არ დაგხარჯებათ, ზაფხულში დასასვენებლად ჩვენთან ერთად ივლით და 2-კვირიან შევბუღებასაც მოგცემთ, რომ სურვილის შემთხვევაში, მარტო დასვენება შეძლოთ. შევბუღების თანხასაც ჩვეულებრივად მიიღებთ. მე მგონი, ცუდ პირობებს არ გთავაზობთ.

— მოვიფიქრებ, — მაშინვე არ დავთანხმდი.

— იქნებ უარი არ გვითხრათ? — მოულოდნელად შემომხევენა დიასახლისი.

— პასუხს ახლავ ვერ გეტყვით, კიდევ ერთ ოჯახში უნდა მივიდე და შემდეგ გადავწყვიტე, — თავი გამოვიდე.

— იცით, რაღაცნაირად, მომეწონეთ, აქამდე ისეთები მოდიოდნენ, რომ გული არ მიმდიოდა. თქვენ კი პირველივე წუთიდან მომეწონეთ და იქნებ არჩევანი ჩვენზე გააკეთოთ... ჯამაგირსაც მოგიმატებთ, თუ შემოთავაზებული თანხა ხელს არ გაძღვეთ.

— კარგი, — თბილად გავიღიმე და საკუთარ თავს გამოვუტყდი, რომ დიასახლისი მეც პირველივე წუთებიდან მომეწონა, — მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ თქვენი სახლი უზარმაზარია, სახლი კი არა, ფაქტობრივად — სასახლეა. არა მგონია, რომ დღის განმავლობაში მისი დალაგება მოვასწრო.

— ყოველდღე მხოლოდ იმ ოთახების დალაგება მოგიწევთ, სადაც ძირითადად, გვინევს ყოფნა. როდესაც სტუმრები გყავს, დამატებით

მოიტანეთ და ხელშეკრულება გავაფორმოთ.

— კარგი, — ომხიანად კი შევპირდი, მაგრამ ეს ცნობები საიდან უნდა მომეტანა, აზრზე არ ვიყავი.

სანდროს დავუკავშირდი და ყველაფერი დანვრილებით მოვუყვიე. გაუხარდა, პირველმა ეტაპმა წარმატებით რომ ჩაიარა და სამსახურში ამიყვანეს. ცნობებზე არ იდარდო, არხეინად მითხრა და შემპირდა, ყველაფერს რომ გაამზადებდა, დამირეკავდა და შემდგომ დავალებასაც გამაცნობდა.

როდესაც რამდენიმე დღის შემდეგ დიასახლისს ცნობები და გაშანშალებული დიპლომი წარუდგინე, გაუხარდა. მუშაობას ხვალდანვე შეუდექი, ოჯახის წევრებსაც ხვალ გაგაცნობო, მითხრა.

მეორე დღეს მომცრო ჩანთით მივადექი, სადაც აუცილებელი ნივთები მენყო. სანდროსგან ახალი დავალება ჯერ არ მქონდა მიღებული და წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა გამეკეთებინა. ისიც კი არ ვიცოდი, ვის ოჯახში „გამამწესეს“.

დიასახლისმა ჩემი ოთახი მაჩვენა.


— თავისუფლად იყავი, მოენყვე, შენი ნივთები კარადაში შეინახე, ცალკე სააბაზანო და ტუალეტი გაქვს და იმედა, თავს კომფორტულად იგრძნობ.

დიასახლისი გავიდა. სინდისის ქენჯნა ვიგრძენი და სანდროს სიტყვები გამახსენდა:

— სინდისი თავს ჰგავს, ან გლრლის, ან ჩუმადაა.

— შენი სინდისი ვირთხაა, ჩემი კი თავგია თუ არა, ამას ცოტა ხანში დავადგენ.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-3, 2011

მეორე დილით ისაუბმა თუ არა, გოგლამ მარი მდივნის თხოვნის შესრულება გადაწყვიტა, თუმცა ვაჟას ტელეფონი წყვეტილ ხმებს გამოსცემდა.

„ნეტავ, ასე დაუშთავრებლად ვის ელაპარაკება? — გალიზიანდა იგი და, კიდევ ერთი უშედეგო ცდის შემდეგ, ვაჟასთან შინ მისვლა გადაწყვიტა. თუმცა მანამდე ყოფილ კომპანიონს დაურეკა:

— ალო, კოტე, შენ ხარ?

— ჰო, რა იყო?

— ერთ საქმეში ხომ ვერ დამეხმარებოდით?

— მაინც რა საქმეში? — მაშინვე ხმა შეეცვალა კოტეს. — ხომ არაფერი დააშავე?

— დამშვიდდი, ყველაფერი რიგზეა. ხომ იცი, რომ კანონს არასდროს ვარღვევ.

— რა ხდება?

— შენთან ერთი ნივთის შენახვა მიწდა.

— არ მითხრა, რამე უნიკალურს მივაგენიო!

— უნიკალურობისა რა მოგახსენო, მაგრამ მისი სახლში დატოვება არ მიწდა.

— კარგი. ოღონდ, მხოლოდ დროებით დავიტოვებ.

— რა თქმა უწდა. მის გაყიდვას ვაპირებ.

— მაშინ დამელოდე. აქვე ვარ და ბარემ შემოგივლი.

რამდენიმე წუთში კოტე უკვე გოგლას კართან იდგა.

— გაუმარჯოს, — მან ბინაში მედიდურად შეაბიჯა.

ლალიძემ ყოფილი კომპანიონი ძლივს იცნო. კოტეს ძვირფასი კოსტიუმში ეცვა, ხელზე ძვირფასი საათი ეკეთა, თმაც მოდურად ჰქონდა შეჭრილი და ირგვლივ უძვირფასესი ოდეკოლონის სურნელს აფრქვევდა. ახალკაცს მისრა-მოსრაც კი შესცვლოდა და იმ მაძღარ და გაზარმაცებულ კატას დამსგავსებოდა, ვისაც შეძლებული პატრონი არაფერს აკლებს.

— საქმიან შეხვედრაზე მივიდივარ, — ახალკაცს გოგლას გაცემული მზერა არ გამოჰპარვია, — მაჩვენე

ერთი, რა გაქვს ასეთი?

— ერთი უცნობი მხატვრის ტილოა.

— უცნობი მხატვრის? — გაუკვირდა კოტეს.

— ჰო, მაგრამ ბოლო ხანებში მის ნამუშევრებზე ისეთი ნადირობა დაიწყო, რომ მეშინია, ვინმემ არ მომპაროს...

— კარგი, მომეცი, მაგვიანდება. გოგლამ კოტეს საგანგებოდ შეფუთული ტილო გადასცა:

— გეხვენები, გაუფრთხილდი.

— ნუ გეშინია, ცივ ნიაფს არ მივაკარებ, — ახალკაცმა სურათი ილღიაში დაუდევრად ამოიჩარა და მაშინვე გასასვლელისკენ გაემართა.

„ძალიან შეცვლილია, — თვალი გააყოლა მას გოგლამ, — თუმცა ამბობენ, ადამიანები კი არ იცვლებიან, მულავენდებიანო და ეტყობა, კოტეც ბოლომდე გამოიმულაუნდა და მხოლოდ ფულის კეთებაზე გადავიდა“. შეფიქრიანებული გოგლა ფანჯარასთან მივიდა და ქუჩაში გაიხედა. სწორედ იმ მომენტში ახალკაცი ძვირფას მანქანაში ჩაჯდა და ადგილს მოსწყდა.

ლალიძემ მარი მდივნის თხოვნის შესრულება კვლავ ვერ შეძლო, რადგან ვაჟა შინ არ დახვდა. გოგლამ მის სადარბაზოსთან დაღამებამდე სრულიად უშედეგოდ იცადა, შემდეგ კი გულის გადასაყოლებლად, იქვე მდებარე ბარში შევიდა.

ლალიძე თავს დათრგუნვილად გრძნობდა, რადგან ბოლო დროს საკუთარი ბიზნესი წინ ვეღარ წასწია. ეს მაშინ, როცა სრულიად ახალ საქმეს შეჭიდებული კოტე სულ ახალ-

ახალ სიმაღლებს იპყრობდა. გოგლას კოტესი არ შურდა, რადგან ის გზა, რომელსაც ახალკაცი ადგა, მისთვის საკმაოდ მიუღებელი იყო. გული იმაზე სწყვეებოდა, რომ ის და კოტე — ერთ დროს საერთო ინტერესების მქონე ორი ადამიანი — ერთმანეთისთვის სრულიად უცხოები გამხდარიყვნენ.

2 ჭიქა კონიაკის გამოცლის შემდეგ, გოგლამ ბარში შეკრებილთ თვალი გულგრილად მოავლო და მეზობელ მაგიდასთან მჯდარი საკმაოდ სიმპათიური გოგონა შენიშნა. გოგონას შავი თმა მოკლედ ჰქონდა შეკრეჭილი, ტანთ კი მოტკეცილი ჯინსი და უბრალო მაისური ეცვა. „რა კარგი ვინმეა“, — გაიფიქრა გოგლამ, შემდეგ კონიაკის ჭიქას დასწვდა და ნაშში მეზობელ მაგიდასთან გაჩნდა:

— გაუმარჯოს.

გოგონამ დაუპატიჟებელ სტუმარს გულგრილად შეავლო თვალი და ისევ ყავის ნება-ნება სმა განაგრძო.

— შეიძლება, თქვენს მაგიდასთან ჩამოვჯდე? — ლალიძემ ისტიბარი მაინც არ გაიტყბა.

პასუხად გოგონამ მხოლოდ მხრები აიჩეჩა, აქაოდა, ჩემთვის სულერთიაო. გოგლა კი მაშინვე სკამზე დაეშვა და ისევ განაგრძო:

— ადრე ხომ არ შეხვედრივართ ერთმანეთს?

— როგორ არა, ინგლისის დედოფალთან გამართულ მიღებაზე.

— არა, მართლა... ნამდვილად სადღაც მინახავხართ, მაგრამ ვერაფრით ვიხსენებ.

— ვერც გაიხსენებთ, — ყავის ფინჯანი მაგიდაზე ხმაურით დადგა გოგონამ, — რადგან ერთმანეთს პირველად ვხედავთ.

— კარგი... როგორც არის... — ლალიძემ საუბრის თემის სასწრაფოდ შეცვლა გადაწყვიტა. — კოქტილს ხომ არ მიირთმევთ?

— არა, გმადლობთ.

— მე გაგიმასპინძლებით.

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, მაგრამ საკუთარ თავს მხოლოდ თავად ვუმასპინძლები. თანაც უკვე ჩემი წასვლის დროც დადგა, — ფეხზე სწრაფად წამოდგა გოგონა და გასასვლელისკენ გაემართა.

— ტელეფონი მაინც დამიტოვეთ, — დაედევნა გოგლა, მაგრამ გოგონა ბარიდან ისე გავიდა, რომ მისკენ საერთოდ აღარ მოუხედავს.

ყოყმანის შემდეგ, ორდენიძე მარი მდივნისთვის დაცვის გამოყოფის სათხოვნელად შეფთან მაინც შევიდა.



— ერთი კარგად ამისხენი, — ხელქვეითი გაკვირვებით აათვალიერ-ჩაათვალიერა შეფმა, — ეს მდივანია თუ ვილაც, გაძარცვეს?

- არა.
- გააუბატიურეს?
- არა.
- მოკლეს?
- არა.
- აბა, რა დედის...

ამის შემდეგ შეფმა უცნებურ სიტყვების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ ორდენიქმ მისი კაბინეტი უკანმიუხედავად დატოვა, შემდეგ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და მარი მდივანს დაურეკა:

— ქალბატონო მარი, გამომძიებელი ორდენიქმ ვარ.

— გისმენთ, ბატონო ოთარ! — გაისმა ყურმილში ქალის გახარებული ხმა. — იცით, თქვენს ზარს როგორ ველოდი?! მითხარით, დაცვა როდის მოვა?

ორდენიქმ ქალისთვის სიმართლის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა ვერ მოაბრუნა და, ისევ შორიდან მოვლა ამჯობინა.

— საქმე ისაა, ქალბატონო მარი, რომ ახლა ხალხი ძალიან გვიჭირს და ამიტომაც...

ამის თქმა იყო და ყურმილში მაშინვე ქალის სლუკუნე გაისმა.

— და ამიტომაც... — მაინც განაგრძო გამომძიებელმა.

— ბატონო ოთარ, გემუდარებით...

— ამიტომაც უფროსობამ გადაწყვიტა, თქვენთან მე გამოვეგზავნე, — სხაპასხუბით მიაყარა ორდენიქმ.

— მართლა?!. — გაისმა ყურმილში მარის აღფრთოვანებული შეძახილი.

— დიახ, რა თქმა უნდა... — ოფლით დაცვარული შუბლი მოინმინდა შემცბარმა გამომძიებელმა.

ვის-ვის და ორდენიქმ მართლა აღარ ესწავლებოდა, შეფი მის უცნაურ ინიციატივას როგორც შეხვდებოდა, თუმცა ისტიბარს არ იტყბდა. „ვისი რა საქმეა, ვისთან გავატარებ თავისუფალ დროს, ანდა ვის რისგან დავიცავ?“ — გულში გაუთავებლად იმეორებდა იგი...

მოლიმარი მარი მდივანი გამომძიებელს ჭიშკართან შეეგება. ქალს გვერდში თავისი უზარმაზარი ნაგაზი ამოსდგომოდა, რომელსაც თავი დამნაშავესავით დაუხარა და პატრონს წამითაც აღარ შორდებოდა. როგორც კი ორდენიქმ ჭიშკარს გადააბიჯა, ძალღმა მაშინვე ღრენა დაიწყო.

— ჩვენთანია, როკი, ჩვენთანია... — მასპინძელმა თავზე ხელი გადა-

უსვა ძალღს, რის შემდეგაც როკი გამომძიებელს კუდი აუჭიციანა.

— შინ შემობრძანდით, ბატონო ოთარ, — სახლისკენ გაუძღვა ორდენიქმს დიასახლისი.

სახლში ახალმომზადებული სადილის მადისაღმკვრელი სურნელი ტრიალებდა. ორდენიქმს აღარც კი ახსოვდა, შინ მომზადებული სადილი ბოლოს როდის ჭამა.

— ხელი დაიბანეთ და სუფრასთან მობრძანდით, — სასადილო ოთახისკენ ანიშნა მას დიასახლისმა.

რამდენიმე წუთში ორდენიქმ უკვე ქათქათა სუფრაგადაფარებულ ოვალურ მაგიდას უჯდა და თავს იმდენად უხერხულად გრძობდა, რომ დაბრანული ხორცის მოზრდილი ნაჭრის დანით გაჭრას კარგა ხანს ამაოდ ცდილობდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა, მაგრამ ლუკმა ყელში გაეჩხირა და ძლივს გადაყლაპა.

— რაღაც უგემურად ჭამთ, — შეწუხდა მარი, — ეტყობა, თქვენი მეუღლე უფრო გემრიელ სადილებს გიმზადებთ, ხომ?

— არა, რას ბრძანებთ! — იუარა ორდენიქმ. — ძალიან გემრიელი ხორცია. ცოლი კი არ მყავს.

— ცუდია... — ამოიოხრა მარი. — ისე, მეც მარტოხელა ვარ. ტყემალს რატომ არ მიირთმევთ? შემწვარ ხორცს ძალიან მოუხდება.

— დიახ, ახლავე, — როგორც იქნა, თავი ხელში აიყვანა გამომძიებელმა და ხორცის ენერგიულად ღეჭვას შეუდგა.

— ხაჭაპურიც აუცილებლად უნდა გასინჯოთ. სანამ დედა ცოცხალი იყო, ხაჭაპურის გამოცხოვას არავის ანებებდა. თუმცა იმასაც აღიარებდა, რომ ჩემი სახით კარგი მოსწავლე ვყავდა.

— ამაში აღარც მე მეპარება ეჭვი, რადგან ყველაფერი მართლაც ძალიან გემრიელია.

— ნუ გამანითლეთ, — დაიმორცხვა მარი.

დანაყრებული ორდენიქმ თავს მშვიდად და ბედნიერადაც კი გრძობდა, რადგან როგორც იქნა, მარტო დარჩა ქალთან, რომელიც

უკვე ძალიან მოსწონდა. მართალია, იმის იმედი ნამდვილად არ ჰქონდა, რომ მარიც იმავეს გრძობდა მის მიმართ, მაგრამ თავის მსხენლად და მცველად რომ მიაჩნდა, ამაში ეჭვი აღარ ეპარებოდა.

— თქვენ არ მისმენთ, — ფიქრი გაანყვეტინა გამომძიებელს მარი.

— მაპატიეთ, — შეწუხდა ორდენიქმ.

— ეტყობა, დაღლილი ხართ, მე კიდევ ჩემი პრობლემებით გიჭედავთ ყურებს.

— არა, რას ბრძანებთ... უბრალოდ, ფიქრი გამეჭკა... დიდი მადლობა შესანიშნავი ვახშმისთვის. ველარც კი ვიხსენებ, ასე გემრიელად ბოლოს როდის ვივახშმე.

— თუ უკვე არაფერი გინდათ, ჩაის დასალევად სასტუმრო ოთახში გავიდეთ.

— გიყვართ ცეცხლის ყურება? — ჰკითხა ორდენიქმს მარი, როცა ორივე ბუხრის მახლობლად, სავარძლებში მოკალათდა და ჩაის შეეცცა.

— სიმართლე გითხრათ, პროფესიიდან გამომდინარე, ცეცხლის ხსენებაზე „განზრახ ცეცხლის წაკ-



იდება“ და „ხანძარი“ უფრო მახსენდება, — დამნაშავესავით გაელიმა ორდენიქმს, — მაგრამ ამჯერად ეს ცეცხლი ნამდვილად მომწონს და მამშვიდებს.

ამ სიტყვებზე დიასახლისს მრავალმნიშვნელოვნად გაელიმა.

— გინდათ, რამეს დაგიკრავთ? — მოშორებით მდგარი როიალისკენ ანიშნა მან მაშაკაცს.

ორდენიქმს მუსიკის ბევრი არა-



ფერი გაეგებოდა და დიდად არც მისი მოსმენით იკლავდა თავს, მაგრამ ამჯერად რატომღაც ამის გაკეთებაც ძალიან მოუნდა:

— რატომღაც არა, დიდი სიამოვნებით მოგიხსენებ...

დილაადრიან წამოდგარმა ორდენიქმ პირის დაბანა ძლივს მოასწრო, რომ სამზარეულოდან მარის ხმა მოესმა:

— ბატონო ოთარ, საუზმობის დროა!

გამომძიებელს სიამოვნებით ჩაელიმა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ფხიზლად ეძინა და უმნიშვნელო ხმაურზეც კი ეღვიძებოდა, თავს ძალზე მხნედ და ენერგიულად გრძნობდა.

მეტი სიფრთხილისთვის ორდენიქმს შემოსასვლელ კართან უნდოდა დაძინება, მაგრამ მარიმ მაინც თავისი გაიტანა და პირველ სართულზე, ფართო ჰოლში მდგარ დივანზე გაუშალა ლოგინი. გამომძიებელი ქალის ნებას მხოლოდ იმიტომ დაჰყვა, რომ თუ ვინმე სახლში შემოღწევას კვლავ გაბედავდა, ჰოლის გაუვლელად ვერსად მოხვდებოდა. თუმცა, ორივეს გასახარად, ღამემ მშვიდად ჩაიარა.

სამსახურში წასვლამდე ორდენიქმ ქალი კიდევ ერთხელ დაარიგა, მის მოსვლამდე როგორ უნდა მოქცეულიყო.

— ყველაფერი დავიმახსოვრე, — დაამშვიდა მარიმ, — მთავარია, ტელეფონს არ ვუპასუხო და სახლში არავინ შემოვუშვა.

— დიახ, სწორედ ასე უნდა მოიქცეთ. ვინც უნდა მოგადგეთ კარზე, თვით ქალაქის მერიც კი, უარით უნდა გაისტუმროთ.

— ქალაქის მერს რაღას ერჩით? — ეშმაკურად გაელიმა მარის. — მას და მის მეუღლეს ხომ კარგად ვიცნობ...

ორდენიქმ პასუხად მხოლოდ მრავალმნიშვნელოვნად ჩაახველა და გასასვლელისკენ გასწია. როკიმ ის უკვე შინაურით გააცილა.

ახალგაზრდა მხატვრების გამოფენა დამთავალიერებლებს ვეღარ იტევდა. ასეთი გამოფენების მთავარი ხიბლი ის იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება, სამხატვრო სასწავლებლების სტუდენტებით დაწყებული და თვითნასწავლი ახალგაზრდა მხატვრებით დამთავ-

რებული, ყველას ჰქონდა. გამოფენილი ავტორების და თვით გამოფენის უპრეტენზიოების მიუხედავად, ბევრი დამწყები მხატვარი სწორედ



მსგავსი გამოფენების შემდეგ ხდებოდა ცნობილი, რადგან ფერწერის არაერთი კარგი მცოდნის, ყველა კოლექციონერის თუ უბრალოდ, სეირის მაცურებლის თავშეყრის ადგილი — ერთგვარი ინტერესის „ბაზარიც“ იყო. ამ ადამიანების უმეტესობა ნამუშევრებს საკმაოდ იაფად ყიდულობდა. შემდეგ კი იმ მხატვარს, ვის ნამუშევარსაც სწრაფად და, რაც მთავარია, მომგებინად გაყიდდა, შეკვეთებით ავსებდა და, შესაბამისად, სახელსაც გაუთქვამდა.

ასეთ გამოფენებზე გოგლაც რეგულარულად დადიოდა, რადგან საკმაოდ რიგიანი ტილოს იაფად ყიდვასთან ერთად, ხელოვნების ბაზრის სიახლეებსა და ბევრ სხვა საკმაოდ საინტერესო ამბავსაც იგებდა ხოლმე.

ამჯერად ის გამოფენაზე ადრინადა მივიდა, სურათები ყიდვამდე კარგად რომ დაეთვალაიერებინა, მაგრამ თითქმის ნახევარი დარბაზი ისე შემოიარა, სათავისო ვერაფერი აღმოაჩინა. ამასობაში ერთ-ერთ ნამუშევართან შეჯგუფული ადამიანები შენიშნა და მათკენ გაემართა. ლაღიქმ ისინი ფრთხილად გასწი-გამოსწია, ნამუშევრისთვის თავადაც რომ შეველო თვალი და კინაღამ გოგონას შეეჯახა, რომელმაც ბლოკნოტში რაღაცას გულმოდგინედ იწინაგადა.

— მაპატიეთ, ნამდვილად არ მინდოდა. უბრალოდ... — გოგლამ აზრი ვეღარ დაასრულა, რადგან გაოცებულმა დააფიქსირა, რომ მის წინ სწორედ ის გოგონა იდგა,

რომლის გაცნობაც ბარში უშედეგოდ სცადა.

— აა, ეს ისევე თქვენ ხართ? — მკაცრად ჰკითხა მას გოგონამ, მაგრამ თვალეში მაშინვე ცნობის მოყვარეობაც ჩაუდგა, რამაც გოგლას მცირედი იმედი მისცა:

— დიახ, მე ვარ. არ მეგონა, თუ აქ შეგხვდებოდით.

— არც მე...

— თქვენც ფერწერით ხართ დაინტერესებული?

— რაც ენაზე მოადგა, ის ჰკითხა მას გოგლამ.

— დიახ, — მოკლედ მოუჭრა მას გოგონამ.

— მხატვარი ხარ? — შენობით ლაპარაკზე გადასვლა სცადა ლაღიქმ.

— არა, დიზაინერი. უფრო სწორად კი — მომავალი დიზაინერი.

— მაშ, ამ გამოფენაზე რამ მოგიყვანა?

— ხელოვნების ყველა სიახლეს ვეცნობი.

— მშვენიერია. მაშინ იქნებ ერთ-მანეთიც გაგვეცნო, რადგან, როგორც მახსოვს, ჩვენი წინა შეხვედრისას ამის სურვილი ნამდვილად არ გქონია.

— მართალი ხარ. მაშინ სასტიკად არ მომეწონე.

— ახლა?

— ახლა მგონი, არა გიშავს რა, — ისევე გაელიმა გოგონას.

— მე გოგლა ვარ, შენ რა გქვია?

— ლელა.

— მადლობა ღმერთს! — გოგონას გამოწვდილ ხელს სასწრაფოდ თავისი შეაგება კმაყოფილმა გოგლამ.

— აქ შემთხვევით მოხვდი თუ შენც რამე ინტერესი გაქვს?

— კი, მეც ფერწერა მაინტერესებს. რაღაც ღირებულს იმიტომ ვეძებ, რომ შემდეგ სარფიანად გავყიდო.

— მესმის. ამით ცხოვრობ, ხომ?

— ჰო. გატყობ, დიდად არ მოგწონს ჩემნაირების საქმიანობა.

— არა, რატომ? ყველა ისე შოულობს ლუკმაპურს, როგორც შეუძლია.

— ბევრს შოულობ? ამბობენ, დიზაინერებს კარგად უხდინაო.

— დიზაინერს, ისევე, როგორც მხატვარს, სახელი სჭირდება. მე კი ჯერ მხოლოდ მესამე კურსზე ვარ და ცოტა ვინმე თუ მიცნობს. თუმცა მსხვილ დიზაინ-სტუდიებში პატარა შეკვეთებს მაინც მაძლევენ. ბევრს არ მიხდინა, მაგრამ მყოფნის.



— კონკრეტულად ფერწერით მაინც რატომ დაინტერესდი?

— იმიტომ, რომ ბევრ ფარულ და ორიგინალურ იდეას ვპოულობ, რაც მუშაობაში მესმარება.

— ამჯერად თუ ნახე რამე?

— კი, რამდენიმე სურათში ნამდვილად დევს ფარული აზრი.

— მართლა? მე კი, სამწუხაროდ, ფარული აზრებისა და ჩანაფიქრების აღმოსაჩენად არ მცალია. მთავარი, ნამუშევარი პროფესიული თვალსაზრისით, კარგად იყოს შესრულებული, კლიენტს რომ მოეწონოს.

— ჰო, მაგრამ მასში გამოცანა და ინტრიგაც უნდა იდოს, რადგან ამ შემთხვევაში, ის მაგნიტივით მიიზიდავს ადამიანებს... მოწონებას რაც შეეხება, ვფიქრობ, ბევრი ცნობილი ოსტატის ნამუშევარი დამთვალეერებელს დააფრთხოვს კიდევ. თუმცა ისინი მაინც მსოფლიო შედეგებადაა აღიარებული.

— მართალი ხარ, — ლელას აზრებმა აშკარად დააინტრიგა გოგლა, — ერთი ასეთი სურათი მეც ვიცი. გინდა, სადმე კაფეში დავსხედეთ და იქ განვაგრძოთ საუბარი?

— კაფეში? — საათს დახედა ლელამ. — პრინციპში, რატომაც არა. ცოტა დრო ნამდვილად მაქვს.

— სურათების ფარულ აზრზე შეეჩერდით, — როგორც კი ოფიციალტმა ყავა მოუტანა, გოგლამ შეწყვეტილი საუბრის გაგრძელება სცადა.

— ფარული აზრი მარტო ნამუშევრებში კი არა, ყველაფერშია, ნებისმიერ საგანში, რომელსაც ხელოვნის ხელი შეხებია.

— დიზაინერის კვალობაზე ზედმეტად განსწავლული ჩანხარ, — შეაქო გოგონა გოგლამ.

— ვცდილობ. ხელოვნების სამყაროს შესაცნობად ძალიან ბევრი უნდა იკითხო და იმუშაო. შეიძლება, ხმამაღლა ნათქვამად ჩამომართვა, მაგრამ მინდა, ნამდვილი ოსტატი გავხდე.

— ყოჩაღ! აი, ჩემზე კი ამას ვერ იტყვი.

— რატომ? განა შენ არა გაქვს მიზანი?

— აბა, როგორ გითხრა?! — სევდიანად ჩაეღიმა გოგლას. — ძალიან მიწიერი მიზნები მაქვს. ფულის შოვნა მინდა, ბინის, მანქანის ყიდვა...

— ნორმალური სურვილია, მაგრამ მერე რაღას აპირებ?

— მერე?

— ჰო. დავუშვავთ, იმდენი ფული იშოვე, რომ ბინაც იყ-

იდე, მანქანაც და აგარაკიც. მერე რაღას გააკეთებ?

— ხვალემ იფიქროს ხვალისაო, ხომ გაგიგონია...

— და მაინც?..

— სამწუხაროდ, ჩემი ფიქრები ასე შორს ვეღარ მიდის. ჯერ ნეტავ, იმისთვის მიმალწვევინა, რაც ჩაფიქრებული მაქვს.

— აი, სწორედ ამით განვსხვავდებით უბრალო მოკვდავები დიდი ოსტატებისგან.

— უფრო კონკრეტულად?

— ჩვენ მხოლოდ დღევანდელი საზრუნავ-საფიქრალით ვცხოვრობთ...

— ეს მაინც უფრო ფილოსოფიაა, — ხელი ჩაიქნია გოგლამ, — განა მათ კი ჩვენზე ნაკლებად უყვართ გემრიელი საჭმელი და რბილ ლოგინში ძილი?

ლელამ პასუხად მხრები აიჩეჩა და დასძინა:

— შეიძლება. მაგრამ მათთვის ეს მთავარი არ არის. განა, ერთი და ორი დიდი ხელოვანი მოკვდა სილატაკეში, მაგრამ მათმა სახელებმა მაინც საუკუნეებს გაუძლო.

— მართალი ხარ. თუმცა ისტორიაში მშვიერი კუჭით შესვლას, მაინც ნორმალურ ცხოვრებას ვამჯობინებდი.

— ამიტომაც არიან გენიოსები ასე ცოტანი.

— ჰო, ნიჭი მხოლოდ ღმერთისგან მოდის, ამიტომაც ის ან გაქვს, ან — არა. თანაც, ყველა რომ ნიჭიერი იყოს, სამყარო ძალიან მოსაწყენი იქნებოდა. სხვა რომ არაფერი, ვისით აღვფრთოვანდებოდით?

ლელამ ისევ საათს დახედა:

— ალბათ კიდევ შეიძლებოდა შენთან კამათი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩემი მასვლის დროა.

— იქნებ კიდევ შევხვდეთ?

პასუხად ლელამ კალამი ამოიღო,

ხელსახოცზე რაღაც დაწერა და გოგლას გაუწოდა.

— ეს რა არის?

— ჩემი ტელეფონის ნომერია...

მთელი მომდევნო დღე გოგლა დაბნეული დადიოდა და საქმეს გულს ვერ უდებდა, რადგან თვალწინ გამუდმებით ლელა ედგა. მიმზიდველ გარეგნობასთან ერთად, გოგონა საკმაოდ ერუდირებულიც იყო, რაც ლალიძეს არანაკლებ ხიბლავდა. „ეს გოგონა ხელოვნების სფეროში განსწავლული და ზოგადად განათლებულიცაა. მოკლედ, უკეთეს თანამემსწეს ვერც კი ვინატრებდი“. ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ გოგლამ ლელას ტელეფონის ნომერი აკრიბა:

— გამარჯობა, ლელა, გოგლა ვარ.

— რომელი გოგლა?

— გამოფენაზე რომ გავიცანი ერთმანეთი.

— გისმენ.

— მოდი, დღეს შევხვდეთ, რაღაც უნდა გითხრა.

— ახლა ლექციები მაქვს, საღამოს მეცლება.

— საღამოს იყოს.

ახალგაზრდებმა ისევ კაფეში დათქვეს შეხვედრა.

— რისი თქმა გინდოდა? — მაგიდასთან დაჯდომისთანავე ლელა საქმეზე გადავიდა.

— სამუშაო უნდა შემოგთავაზო.

— სამუშაო? — გაკვირვებით აზიდა წარბები ლელამ. — მე?

— ჰო, რა იყო?

— ოფისის გაფორმება გადანყვიტე?

— ვერ გამოიცანი. ჩემთან მუშაობას გთავაზობ.

— შენთან როგორ უნდა ვიმუშაო, როცა წარმოდგენაც არ მაქვს, რას აკეთებ?!

— რა პრობლემაა? საკმაოდ ჭკვიანი ხარ და ყველაფერს ალღოს მაშინვე აუღებ.

— კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა, მაგრამ მაინც ძალიან მოულოდნელი წინადადებაა. თანაც, ჩვენ ხომ ერთმანეთს თითქმის არ ვიცნობთ?

— ამასაც მოველება. ასე ვთქვათ, შემოქმედებით პროცესში გავიცნობთ ერთმანეთს.

— არ ვიცი, არ ვიცი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა ლელამ. — მაინც უნდა დავფიქრდე.

— არც მე ავაჩქარებ. უბრალოდ, შენს ზარს დაველოდები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში





დასაწყისი იხ „გზა“ №2-3

ზურა სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა. უნებურად, ნუკიმ უკან დაიხია, მაგრამ მოულოდნელად ფეხი ფეხს გამოსდო, თავი ვერ შეიკავა და შექანდა. მამაკაცმა ხელი შეაშველა, მაგრამ ნუკიმ გაშლილი ხელებით წონასწორობის შენარჩუნება შეძლო და ზურას ძლიერი მკლავის მოხვევა აირიდა. მისთვის აუტანელი იყო კიდევ ერთხელ მისი დანახვა, თანაც ისე ახლოს, რომ თვალის უბეჭებში მისი ნაოჭების (თუ თმაში მიმოფანტული ჭაღარის) დათვლაც კი შეეძლო. სტუმარი არ დანებდა და ჯიუტად ჩაჰკიდა მაჯაში ხელი. ამ შეხებამ უარესი დამართა გოგონას. ისე დაფრთხა, შეშინებული ჩიტივით შურდულივით შეიფრთხილა. მოულოდნელად საოცარი გრძნობა დაეუფლა. თითქოს მის ძველშეჩერებულ გულს ვიდაც შეეხო და ბაგაბუჯი გააგრძელებინა...

ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა, ყველაფერი რიგზეაო და გრძელი წამწამებიდან ქურდულად გამოხედა მამაკაცს, ცუდი შთაბეჭდილება ხომ არ მოვახდინეო.

— როგორ ხარ? — გაუღიმა ზურამ.

— კარგად, გმადლობთ... — გოგონამ ხშირი წამწამები დახარა და თითქოს უძირო შავი თვალები შიგ შემალა.

— შეგაშინე?

— არა, რას ამბობთ...

— რატომ დაიმორცხევე? იქ, პლაჟზე საკმაოდ თამამი იყავი?! — ეშმაკურად მოჭუტა მარცხენა თვალი ზურამ.

აალებულმა ნუკიმ თავი დახარა და კიდევ უფრო დამორცხვებულმა მხოლოდ ცალი მხარი აიჩქრა.

— შინ არიან? — მამაკაცმა მზერა აივნისკენ მიმართა.

— არა, ჯვარზე ავიდნენ, სტუმარი ჰყავთ, გაასეირნეს და... — ნუკი საკუთარ ხმას ვერ ცნობდა, რატომღაც გაჰბზაროდა.

არც ზურა იყო უკეთეს დღეში. გრძნობდა, რომ შინაგანად ნერვიულობდა და უკვირდა. მას შემდეგ, რაც გაიგო, ვინ იყო სინამდვილეში მისი საოცნებო მირანდა, წესით, უნდა დამშვიდებულიყო, რადგან ნუკი მისთვის ახლო (თუ შორეული) წარსულის ლამის დავიწყებული (თუ ამოჭრილი) „კადრი“ იყო, რომელიც ბუნდოვნად შემორჩენოდა მის მუხსიერებას. მაშ, რა ემართება? მირანდა ხომ ასეთი უბრალო არ ყოფილა მის წარმოდგენაში? ის ღვთაებრივია, ხელშეუხებელი, მიუწვდომელი და საოც-



# ნაადრევი ენქელავი

სკვება კვარასხელია

წანარმოებზე თქვენი  
შთაბეჭდილება შეგიძლიათ  
გაგვიზიაროთ ელფოსტით

[gza.fantazia@gmail.com](mailto:gza.fantazia@gmail.com)

ნებო. ეს კი რეალურია, ცოტათი უცხო, ცოტათი ახლობელიც, მეზობლის ჩვეულებრივი გოგონა, რომელსაც ალბათ არც მიაქცევდა ყურადღებას, იქ, სანაპიროზე ზეციურ არსებად რომ არ მოვლენოდა.

ახლა კი როგორი უცხო იყო ნუკი მისთვის... თუმცა იმაზე ნაკლებად, ვიდრე მაშინ, წლებს წინ, როცა კიკინებზე ექაჩებოდა. მაშინ ისე უყურებდა, როგორც ბავშვს, ახლა კი ისე უყურებს, როგორც ქალს — ტანაყრილს, თქომალალს, მკერდაფეთქებულს... როგორი თვალები აქვს, ყველაფრის წაკითხვა რომ იოლად შეიძლება. ამ წუთში მის თვალებში შიშის არის ჩამდგარი, გაკვირვებაც და გაბრაზებაც... ყველაზე მეტად კი ტკივილი მოჩანს. სევდით გაჯერებული ტკივილი. ეჰ, ზურა, ზურა... შეეშვი მასზე ფიქრს, ვერ ხედავ, რომ მთლად ბავშვია, ის შენ ვერასდროს გაგიგებს, — მხარზე შემოსკუპებულმა მეორე „მემ“ ბოროტად ჩაიხითხითა.

ნუკიმ გაბედა და თვალი გაუსწორა მამაკაცს. როგორ უხდება ღიმილი. ნეტავ, ვინმემ თუ შეამჩნია, რა ლამაზი ტუჩები აქვს ამ კაცს? როგორი მომხიბვლელი ღიმილი? მერედა, გამოხედვა? თვალს ვერ უსწორებს, ისე დაჟინებული მისჩერება! სანაპიროზე უფრო თამამი იყავიო... იქნებოდა, მაშინ ხომ არ იცოდა, ვინ იყო, სრულიად უცხო ადამიანი ეგონა და მოსარიდებელიც არაფერი ჰქონდა. ახლა კი, როცა გაიგო, ვინც იყო, მაშინვე დაიძაბა. მასზე ბევრად უფროს მეზობელს (იქნებ ბავშვობის აუხდენელ ოცნებას), თანაც ამდენი ხნის უნახავს, როგორ შეიძლება, გაეპრანჭოს? მით უმეტეს,

მთელი ამერიკა აქვს მოვლილი, მაგას რომ ქალები ეყოლება ნანახი... ნუკი მათთან ახლოსაც ვერ მივა.

— ძალიან ლამაზი ხარ, — ვერ მოითმინა ზურამ, უნებურად გაექცა სათქმელი.

— ისა... — დაიბნა გოგონა. — მირანდა რატომ დამიძახებ ნელან?

— იმიტომ, რომ ერთ გოგონას მაგონებ, ძალიან ლამაზ გოგონას.

— თქვენს შეყვარებულს? — მოურიდებლად შეეკითხა.

— არა, შეყვარებულს არა. ისეთ გოგონას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს.

— ეგ როგორ?

— ჩვეულებრივად... შენ ნახატიდან ხარ გადმოსული.

— ნახატიდან? — გაკვირვებულმა აახამხამა გრძელი წამწამები.

— ჰო, რა იყო, არ გჯერა?

— არ ვიცი...

— ასეთებიც ხდება. იმ ნახატის გოგონას მირანდა ჰქვია. შენ კი იმ მირანდას ჰგავხარ.

— არ ვიცი... — იმავე ტონით გაიმეორა ნუკიმ და მზერა აარიდა.

— წყალს ვერ დაძაღვენივ? ცივ წყალს...

— როგორ არა, ახლავე! — მკვირცხლად უპასუხა ნუკიმ და კიბზე აირბინა.

ზურამ თვალი გააყოლა. მისი სხეული მოარულ ცეცხლს ჰგავდა, შორიდან რომ გათბობდა და ახლოდან რომ გდაგავდა. უნებურად თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, რა სასიამოვნო იქნებოდა მისი გაცხელებული სხეულის მკერდში ჩახუტება.

— ოოო! გაიხარე! — მამაკაცმა ყინულისფერი ჭიქა მოიყუდა და ერთი





ამოსუნთქვით ბოლომდე გამოცალა.  
— შენ რომ არა, ვინ გამაგრილებ-  
და, — ორაზროვნად წარმოთქვა და  
გამომცდელად მიაჩერდა.

— მირანდა! — უპასუხა ნუკიმ და  
გალიმებულმა ქვედა ტუჩი კბილებ-  
შუა მოიქცია.

ზურამ სიცილი ვერ შეიკავა. ამ-  
წუთას ის ისეთივე თამამი და თავის-  
უფალი იყო, როგორც იქ, სანა-  
პიროზე, ჩამავალი მზის სხივები  
ვნებიანად რომ ელამუნებოდა თქო-  
მკერდზე და ქვიშისგან გახურებულ  
ტერფებს უტიფრად რომ უშვერდა.

— მეტაფიზიკური გოგონა! —  
შეახსენა ზურამ.

— ჰო, ასეა.

— კი, მაგრამ შენ საიდან იცი,  
რას ნიშნავს მეტაფიზიკური? —  
ჰკითხა მამაკაცმა და ირგვლივ მი-  
მოიხედა, დასაჯდომ ადგილს დაუნ-  
ყო თვალებით ძებნა.

— შინ შემობრძანდით, მალლა  
ავიდეთ, აივანზე დავსხდეთ, —  
როგორც იქნა, მიხვდა ნუკი და  
აუყვნი თუ არა კიბეს, წინ მიმავალ-  
მა თითქოს თავისთვის გააგრძელა,  
— მე სამხატვრო აკადემია და-  
ვამთავრე. იქ კი ბევრ რამეს გვას-  
წავლიდნენ.

— სამხატვრო აკადემია? რას მე-  
ლაპარაკები! მე კი მთლად პატარა  
გოგო მეგონე! — ყასიდად გაიოცა  
ზურამ.

— არა, პატარა არა, 28 წლის  
ვარ, — სერიოზული ტონით უპა-  
სუხა.

— მართლა? მეტის მეგონე, —  
გაეხუმრა.

— მეტის? რამდენის? — ჩრდილ-  
მა გადაურბინა ნუკის სახეზე.

— 28 წლისა და ერთი დღის, —  
გაიციანა ზურამ. ვერ შეიკავა სიცილი  
ნუკიმაც, წამით სევდის კვალი წაეშა-  
ლა სახიდანაც და თვალე-  
ბიდანაც.

— აი, აქ დაბრძანდით.  
ყავას ხომ არ დალევთ? ცივ  
ყავას.

— შენ როგორ შეიძლე-  
ბა, ადამიანმა რამეზე უარი  
გითხრას... დალევ, ოღონდ  
იმ პირობით, რომ შენც  
დამენვევი.

— კი, რა თქმა უნდა.  
ახლავე მოვიტან.

ყავის მოლოდინში გა-  
რინდებული ზურას ფიქ-  
რები კვლავ ნუკის დაე-  
სნია (როგორც ფუტკარი  
ფიჭას). ამწუთას სხვა  
ალარაფერი ახსოვდა.  
გაბრუვდა გოგონასთან  
ლაპარაკით, მისი ცქერ-

ით დანაყრდა. თვალს ნუკი დაა-  
ლევიანა და დაათრო. მერედა,  
როგორ უყვარს მის თვალებს და-  
ლევა (დათრობაც), თუმცა კი ასე  
ადვილად სხვა დროს არ დამთვრა-  
ლა. გული? გულიც გაიფლინა მისი  
სილამაზით, მისი ქალური სურ-  
ნელით და ისიც ახმაურდა (იქნებ  
ამღერდა).

— აი, თქვენი ყავა, — მოფრთხი-  
აღდა გოგონა და კოქტილის ჭიქა-  
ში აქაფებული ყავა წინ დაუდგა.

— საოცრება ხარ! — შეაქო ზურამ.

— ჯერ გასინჯეთ, იქნებ არ მოგე-  
წონოთ, — თავმდაბლობა გამოიჩინა  
ნუკიმ.

— მომეწონება, რადგან ვიცი, რომ  
ყავის მომზადების დიდოსტატი ხარ.

— მართლა? ვინ გითხრათ?

— მზემ მომიტანა ამბავი.

გოგონამ გადაიკისკისა, ბავშვურად,  
ხალასად. ისედაც ბავშვს ჰგავდა,  
თავისი მიამიტური (თუ ეშმაკური)  
გამოხედვით. ჰა-ჰა, 22 წლის თუ  
გეგონებოდათ.

— შეყვარებული თუ გყავს, ნუკი?  
— მოულოდნელად ჰკითხა მამაკაცმა  
და დაჟინებით ჩააჩერდა ნუკისებრ  
თვალებში.

გოგონას მზერა დაუფრთხა. სი-  
ცილი ნელ-ნელა დაუდნა სახეზე და  
ძალიან ხმადაბლა წარმოთქვა.

— არა... მე არავის ვჭირდები,  
სრულიად ზედმეტი ვარ... ყველასთვის,  
— დააყოლა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ!.. ის, რაც შენ ახლა  
თქვი, ყველაზე ცნობილი სისულე-  
ლეა მსოფლიოში, — მხიარულად  
შესძახა ზურამ, — ყველა ქალი ასე  
ამბობს, მათ შორის შენც.

— მართლა ასეა.

— რატომ მატყუებ? არ მითხრა,  
რომ სიყვარულზე არ ოცნებობ.

— არა... ჩემს ოცნებას ხვრელი

გაუჩნდა, დიდი ხანია, — დასევდიან-  
და გოგონა.

— ხვრელი? ეგ როგორ — ოზო-  
ნის ხვრელი? — მამაკაცმა მისი ნათქ-  
ვამის ხუმრობაში გატარება სცადა.

ნუკიმ კვლავ გადაიკისკისა.

— რა ხუმარა ხართ, ბატონო ზურა!  
ბატონო ზურაოოო!.. მამაკაცს  
ღრუბლისფერი დაედო სახეზე. ნუთუ  
ასე შესამჩნევია მისი ასაკი? ნუთუ  
ამხელა სხვაობა იგრძნობა მასა და  
ნუკის შორის? კიდევ კარგი, ბიძია  
ზურათი არ მიმართა, თორემ გულიც  
გაუსკდებოდა.

— გინდა, ერთ რამეში შევთანხმ-  
დეთ? ოღონდ უარი არ მითხრა, —  
დაიწყო მამაკაცმა და ყავა მოსვა.

— ჯერ მითხარით, — კვლავცად  
გადახარა ნუკიმ თავი გვერდზე.

— ჯერ შემპირდი, — გაჯიუტდა  
მამაკაცი.

— კარგი, გპირდებით.

— არც ბატონოთი მომმართო და  
არც თქვენოთი, გასაგებია? — „შეთ-  
ანხმების“ მისეული ფორმა მოთხოვ-  
ნას უფრო ჰგავდა, ვიდრე თხოვნას.

— გასაგებია, — ჩუმად ჩაილა-  
პარაკა ნუკიმ და ყავას ისე დაუნაფა,  
თითქოს წვენი ყოფილიყო. როცა ჭიქა  
დადგა, ქაფით დასვრილი ტუჩები  
ენით გაილოკა და მრავლისმეტყვე-  
ლად გაილიმა.

ამის შემხედვარე მამაკაცს კინალამ  
სასულეში გადასცდა ნერწყვი. ცხადი  
იყო, ეს, ერთი შეხედვით, პატარა  
გოგო მთელი არსებით ცდილობდა,  
გაჰპრანჭოდა, როგორც მაშინ, წარ-  
სულში.

— როდის დაბრუნდებიან შენები?  
— სხვა თემაზე გადაიტანა ზურამ  
საუბარი. მიხვდა, ასე თუ გააგრძელებ-  
და, შორს შეტოპავდა.

— არ ვიცი, ალბათ სალამოს, —  
ნუკიმ კვლავ მოწრუბა ყავა, თან თვალს  
არ აცილებდა ზურას.

— მაშინ მე წავალ და  
როცა მოვლენ, სუტას  
უთხარი, დამირეკოს, კარ-  
გი? — თქვა და წამოდგა.

— რა თქმა უნდა,  
აუცილებლად ვეტყვი, —  
ხმაში სევდა შეეპარა გოგ-  
ონას.

— არ გამაცილო, ყავა  
გაგითბება, — ღიმილით  
თქვა და მწველი მზერა  
მოავლო მის სხეულს, სან-  
ამ გასასვლელისკენ შეტ-  
რიალდებოდა, — გემრი-  
ელი იყო, — დააყოლა  
ბოლოს.

— დიდი მადლობა, —  
ძლივს გასაგონად თქვა  
მისი უცარი წასვლით





მონყენილმა (თუ იმედგაცრუებულმა) გოგონამ და უკან მიჰყვა კიბისკენ მიმავალ სტუმარს.

— ჰო, მართლა, — მოულოდნელად შემობრუნდა ზურა, — შემპირდი, რომ მათ ჯვრისწერაზე მეცეკვები. ამით ჩემს დანაშაულს გამოვიწყდი.

— რომელ დანაშაულს?  
— ნელან რომ გაგწუნე.

— იცით? მე არ მეცლება. ასეთ დროს არასდროს...

— არასდროს თქვა არასდროს! — არ დააცალა მამაკაცმა და 20 წლის ბიჭივით ჩაირბინა კიბეზე.

— ნახე, მაქსმა რა მაჩუქა? — ეკამ მარჯვენა ხელი გაფარჩხა და ბიძაშვილს თითები ცხვირწინ აუთამაშა, — აი, ეს ბეჭედი და კიდევ ეს საყურე, — ახლა ყურის ბიბილო მიუშვირა ნუკის.

— რა ლამაზია, მშვიდობაში! — გოგონამ ხელი ჯერ საყურეს შეავლო, მერე ბეჭედს. — ბრილიანტია?

— ჰო, აბა?! უბრალოს ხომ არ ჩამომიტანდა! — იუკადრისა ეკამ.

— რა თქმა უნდა... ძალიან უცხოა, კარგი გემოვნება ჰქონია შენს შეყვარებულს. მიხარია, რომ გაგიმართლა, — ნატვრისმიერი ხმით აღნიშნა ნუკი.

— საქმროს, — შეუსწორა საპატარძლომ და ნიშნის მოგებით გადახედა.

— საქმროს, — მორჩილად გაიმეორა ნუკომ და დამნაშავესავით გაიღიმა.

— ნამო, სუფრა გაშალე, ძალიან მოგვშივდა, — ბეჭდიანი ხელი მაჯაში ჩაავლო ეკამ და ლამის სირბილით მიმავალმა თან გაიყოლა...

ის იყო, გოგონა მაგიდის გაშლას მორჩა და ოჯახის წევრები სტუმართან ერთად სუფრას შემოუსხდნენ, რომ ზურაც მოვიდა. ახყდა ერთი აუიოტაჟი, ხვევნა-კოცნა და ერთმანეთის მოკითხვები. დიდი ხნის უნახავ მეზობელს დიდი სითბოთი შეხვდნენ კორძაძეები.

— როგორ დამშვენებულა ეკა, რა კარგი გოგო დამდგარა, — ისროლა პირველი კომპლიმენტი „ნაამერიკალმა“ მეზობელმა.

— მართლა კარგი შვილიკო მყავს, — მხარი აუბა თამარამ, — იმდენი ბიჭი დასდევდა, გული მისკდებოდა, ვინმე უხეირომ არ მომტაცოს-მეთქი. კიდევ კარგი, ეს ადამიანი გამოჩნდა, ანი აღარ მექნება სანერვიულო. სასიძოც ხომ კარგი ბიჭია, ზურა?

— არაჩვეულებრივი, — ხელები გაშალა მამაკაცმა, — დიდებული ადამიანია. ჰოლანდიელებს ძალიან ვაფასებ, კარგი ხალხია.

ზურამ და მაქსმა გაცნობისთანავე

გაუგეს ერთმანეთს. უცხოელს ეტყობოდა, რომ მოეწონა ახალგაცნობილი მამაკაცი, რომელიც თავისუფლად და უაქცენტოდ ლაპარაკობდა ინგლისურად. კარგა ხანს ბაასობდნენ, თან ნუკის მომზადებულ ნაირ-ნაირ კერძს სიამოვნებით აგემოვნებდნენ.

— რაო, რა თქვა? — შიგადაშიგ იკითხავდა ლოყებდაბუშტული ხუტა და ცნობისმოყვარე მზერას ხან ზურას მიაპყრობდა, ხანაც — მაქსს.

ზურაც დაუზარებლად უხსნიდა სასიამოვნოს, რასაც მაქსი იტყობდა.

— ისე მომეწონა აქაურობა, შეიძლება, დროებით დავტოვო ჰოლანდია და აქეთ გადმოვსახლდეო, ამბობს თქვენი სტუმარი, — თარგმნა ზურამ.

— აჰ, ეგ არ ქნას, უთხარი! აქ რა უნდა აკეთოს? მე შენ გეტყვი, სამსახურს იშოვის წესიერს თუ რა? მისნაირი საქმიანი კაცი აქ ვერ გაძლებს. უთარგმნე, თუ გიყვარდე! — შემფოთდა ხუტა.

— დროებითო, ამბობს, სულ კი არ აპირებს აქ ცხოვრებას, — მისი დამშვიდება სცადა ზურამ, — ერთ თვეში წავიყვან ეკას და როგორც კი გამოზაფხულდება, უკან დავბრუნდებითო.

— კარგი, ხუტა, რას გადაეკიდე ამ ბიჭს, თავისი საქმე თვითონ იცის. მე მიჩვევნი, ჩემთან ახლოს თუ იქნებიან, აბა, რა სიკვდილად მინდა ეს ყველაფერი, ჩემი ერთადერთი შვილი ცხრა მთას იქით თუ მეყოლება, — შეუტია თამარამ ქმარს.

— ნუკი, შენ რატომ არ შემოგვიერთდები? — მოულოდნელად მიუბრუნდა ზურა ნუკის, რომელიც ამ დროს ღრმა თევზებით შემწვარ კარტოფლის დებდა სუფრაზე.

— არ მცალია ჯერ, — ღანწები შეუწითლდა გოგონას.

— მოდი აგერ, გვერდით დამიჯექი, — სკამი გამოაჩოჩა მამაკაცმა, — დაისვენე ცოტა, თან ახალგაზრდობაც გავისხენოთ.

ნამით დუმილი ჩამოვარდა. თითქოს უჩვეულო არაფერი იყო იმაში, ნუკი სტუმარ-მასპინძელს რომ ემსახურებოდა, მაგრამ მეზობლისთვის ეს თუ ასე შესაძლებელი გახდებოდა, არავის უფიქრია. ხუტამ უხერხულად ჩაახველა.

— დაჯექი, ნუკი, დაჯექი, თორემ კიდევ დიდხანს მოგინევს ტრიალი, ვატიყობ მე, — თქვა ბიძამ, — ადე, ქალო, შენ კიდევ, რომ დამისკუპდი აქ, მოასვენე ეს გოგო ცოტა ხნით. ეს კაცი შენი სტუმარია, მისი კი არა! — გაღიზიანებული მერე ცოლს მიუბრუნდა.

— ამ უცხო ადამიანთან არ იჩხუბო, თუ ღმერთი გნამს, რა იყო, რა მოხდა ამისთანა! — ბუზღუნით წამოდგა თამარა და სამზარეულოში გავიდა.

— როდის გაქვთ ჯვრისწერა? — შეცვალა საუბრის თემა ზურამ და მის გვერდით დამჯდარ ნუკის მხარზე მსუბუქად გადახვია მკლავი.

— შაბათს, სვეტიცხოველში, — უპასუხა ეკამ და ისეთი ბოროტი მზერა ესროლა ბიძაშვილს, თვალებით გახვრიტა.

— სუფრა?

— სუფრა რესტორან „ნახიდურში“ ვიხდიო, 20-30 კაცი გვეყოლება, მეტი არა, — ხუტამ ხაჭაპურიანი თევში მიანოდა ნუკის.

— კარგია. იმედია, ვიმხიარულებო. აი, ნუკი ერთ ცეკვას შემპირდა და... — ირიბად გამოხედა ზურამ გოგონას.

ნუკი აიღენა, ბიძის მოწოდებული ხაჭაპური გადაიღო და დაბნეულმა წარბები აზიდა.

— რა უნდა იცეკვოს, „აჭარული“ თუ „მთიულური“? — დამცინავად გაისმა ეკას ხმა. — ხალხური ცეკვები იქ არ იქნება, სამეჯლისო კი მაგან არ იცის.

— მერე რა? ვალსს დიდი სწავლება არ სჭირდება, ჩემო ეკა, — ირონიულად შენიშნა ზურამ, — ერთი ხელი მხარზე, მეორე წელზე და... გადი, გამოდი, გადი, გამოდი... ეგ ყველას შეუძლია.

— ნუკიი! — მოისმა ამ დროს თამარას ხმა სამზარეულოდან. — მოდი ერთი წუთით, შვილო!

ნუკიმ მხარი გაითავისუფლა ზურას მკლავიდან და სირბილით გავარდა.

— ერთი წუთით არ დაასვენებენ ამ ბავშვს, რა! ოხ, თქვენი! — კბილები გააკრატუნა შეზარხოშებულმა ხუტამ და თავი მწარედ გადააქნა-გადმოაქნია.

— გეყოფა, მამა! ამის დროა ახლა? — უსაყვედურა ეკამ მშობელს და მაქსს მხარზე დაადო თავი, თანაც არათითზე წამოცმულ ბეჭედს კმაყოფილებით დახედა.

— ნადით, თქვენი... — ლამის შეიგინა ხუტამ და დოქს წაეტანა ღვინის ჩამოსასხმელად. — აი, ასე მიშრობენ სისხლს დედაც და შვილიც, ჩემო ზურა. ხომ გინდა გაძლება, არა?

— იცი, რა ლამაზი კაბა შევიკერე? — ეკამ ზურას შეხედა. — ულამაზესი.

— შენ ის მითხარი, როგორ გაციანი მაქსი? — აირიდა მისი ნათქვამი მამაკაცმა.

— ინტერნეტი, ფეისბუქზე.



— ვახ, შენ რა მაგარი ყოფილხარ! მერე?

— მერე არაფერი, ექვსი თვეა, ვმეგობრობთ, მერე მითხრა, მიყვარხარო.

— როგორ გითხრა, მოგწერა?

— არა, „სკაიპში“ ვლაპარაკობდით, ვიდეოკამერით ვკონტაქტობდით.

— ასე კარგად იცი ინგლისური? ყოჩაღ, შენ!

ეკას სახე შეეცვალა. როგორც ჩანს, მამასთან მოერიდა ტყუილის თქმას, რადგან ოდნავ დარცხვენით ჩაილაპარაკა.

— მთლად კარგად არ ვიცი, მაგრამ მეხმარებოდნენ და ასე თუ ისე, ვახერხებდი.

— ვინ გეხმარებოდა? — არ მოეშვა ზურა.

— ხან — ვინ, ხან — ვინ, — არ დააკონკრეტა ეკამ და თვალი აარიდა მეზობელს.

— მისტერ მაქს, — უცხოელს მიუბრუნდა ზურა, — მგონი, არა უშავს, ჩვენს საპატარძლოს ინგლისურად ცოტა რომ უჭირს, არა?

— ეგ არაფერია, — გაიღიმა სასიძომო, — სიყვარულს ენა სულაც არ სჭირდება. მერე თანდათან აითვისებს და ეცოდინება. ისე, ჰოლანდიაში ამბობენ, ცოლი მუნჯი ჯობიაო.

ამაზე ორივეს გულიანად გაეცინა.

— მართლა აპირებ ჯვრისწერაზე წამოსვლას? — საღამოს ეკამ ნუკი დაიმართოხელა.

— არა მგონია...

— აბა, ზურას რატომ შეჰპირდი ცეკვას?

— არ შევიპირებვარ, ეს ისე თქვა.

— მატყუებ!

— არ გატყუებ. ხომ იცი, რომ მაინც ვერ წამოვალ, არც კაბა მაქვს და არც ფეხსაცმელი შესაფერისი.

— მერე რა? — თითქოს შეეცოდა ეკას ბიძაშვილი. — მე გათხოვებ, რა პრობლემაა.

— კაბა კიდევ შეიძლება, მაგრამ... შენ რომ ჩემზე დიდი ფეხი გაქვს?

— აი, იმას მოგცემ, შარშან რომ მიყიდა მამამ და რომ ვერ ვიცვამ, საერთოდ არ ჩამდის ფეხი, თითები გარეთ მაქვს გამოყრილი. ის კი არა, საერთოდ გაჩუქებ იმ ფეხსაცმელს.

— დიდი მადლობა, — გული აუჩუყდა ნუკის.

— კაბასაც გაჩუქებ, მაინც აღარ დამჭირდება. მაქსი ახლებს მიყიდის.

— რომელ კაბას? — თვლები გაუნათდა გოგონას.

— ვარდისფერს, ძალიან გრძელია, შენ კარგად გექნება, ჩემზე მაღალი ხარ.

— მაგრამ... ის ძალიან ფართოა, ჩავძვრები შიგნით, — სახე მოექცა



ნუკის, როცა მიხვდა, რომელ კაბაზეც ეუბნებოდნენ.

— დედა ჩაიგვირავს, რა პრობლემაა.

— ჰო... ვნახოთ... შეიძლება, არც წამოვიდე, — ნირი ნაუხდა გოგონას.

იმ კაბით და ფეხსაცმლით წასვლას, შინ მჯდარიყო და ქვაბები ეხეხა, ის ერჩივნა. აქედანვე იცოდა, რომ არც კაბა მოუხდებოდა და არც ფეხსაცმელი მოერგებოდა. მაინცდამაინც საფრთხობელას უნდა დამსგავსებოდა? თანაც ზურას მასთან ცეკვა სურს (და თვითონაც). არამც და არამც! ჯობია, მართლა არ წავიდე, თორემ თავი მოექრება. ეკასაც ხომ ეს უნდა? ეჰ, მისი ბრაღია, რაც ხდება. ერთხელ ვერ გაიმეტა ფული, რომ თავისთვის ლამაზი საღამოს კაბა ეყიდა. სხვისი გამოწვავა რომ დემდე უნდა ეცვას? სტუდენტობის დროსაც განამებული იყო. სულ 3 თუ 4 ხელი ტანსაცმელი ჰქონდა და იმით დადიოდა. არადა, დიზაინერობას სწავლობდა. ეკადრებოდა დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტს ღარიბული გარდერობი? ნეტავ, საერთოდ არ ესწავლა. რაში გამოიყენა? ვერაფერში. არა, არა, ასე გაგრძელება არ შეიძლება. როგორმე უნდა გააღწიოს აქედან და დამოუკიდებლად დაიწყოს ცხოვრება. თავიდან უბრალო სამსახურს იშოვის. სულერთია, რას, დამლაგებლობაზეც კი თანახმაა. ცოტა ფულს დააგროვებს და... ორას ლარამდე კი აქვს ისე, მოგროვებული. ხუტა ბიძია ჩუმადა აძლევს ხოლმე და ისიც ინახავს. როგორ უყვარს ბიძამის ნუკი

და ქალების შიშით სათანადო ყურადღება ვერ გამოუჩენია მის მიმართ. დედა და შვილი მაშინვე ქორებით დააცხრებთან თავს. რა იქნება, ზურასთან მაინც აენყოს ურთიერ-

თობა (იქნებ სიყვარული)? არა, სიყვარული არაფერ შუაშია (ამ ეტაპზე მაინც), უბრალოდ, რომ დაუმეგობრდეს და დაეხმაროს სამსახურის მოძებნაში. ისე უნდა ნუკის თბილისში გადასვლა, ისე, ისე, რომ...

ღრმად ამოიოხრა და თავზე წამომდგარ ბიძაშვილს დალილი მზერით ახედა.

— დამშვიდდი, ეკა, არ ვაპირებ წამოსვლას და თუ მაინცდამაინც აუცილებელი გახდა ეს, გარწმუნებ,

შენზე ლამაზი მაინც ვერ ვიქნები. ასე რომ, ტყუილად ნერვიულობ.

— ეგ რა შუაშია? — კოპები შეკრა ეკამ.

— იმ შუაშია, რომ შენ მხოლოდ ეგ გაელევებს. სულელი არ ვარ, რალაც-რალაცებს ვხვდები, — ველარ მოითმინა ნუკიმ და წლების განმავლობაში დაგროვილი სათქმელი მოურიდებლად მიახალა ბიძაშვილს.

ამნუთას მისთვის ყველაფერი სულერთი იყო. ერჩივნა კიდევ, ეკა ისე გაებრაზებინა, რომ სახლიდან გაეგდოთ. სხვანაირად ვერ იღებდა ამგვარ გადაწყვეტილებას. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბება, როცა ეკა ჰოლანდიაში გაემგზავრება. ბიცოლაში მერე მხოლოდ მას ამოიღებს მიზანში და სიცოცხლე გაუშენებს. ახლა ხანდახან ეკასაც ეჩხუბება. ქალიშვილი რომ გვერდით არ ეყოლება, ვილაზე უნდა იყაროს ჯავრი? რა თქმა უნდა, ნუკიზე. თანაც, ყველაფერი მისი გასაკეთებელი გახდება, ისედაც მოახლესავით ჰყავს თამარას მთელი ცხოვრება.

მორჩა, ამას ვერ გაუძლებს. პატარა აღარ არის, უნდა მიეჩვიოს ბოლოს და ბოლოს, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებას. როგორც კი ჯვრისწერა დამთავრდება, დაემშვიდობება ნათესავებს და თბილისისკენ მიმავალ გზას გაუდგება. კარგია, ზურა რომ გამოჩნდა. მას სთხოვს დახმარებას და იმედა, უარს არ ეტყვის. ხვალვე დაელაპარაკება. ნუკი ხომ მისი საოცნებო მირანდაა?..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# გზის გზნიღლები

## ჩათრავას ჩაყოლა ჯობია

მარი ჯაფარიძე

როგორც იქნა, დაგვიზამთრდა, მგონი... რა ჯობია ახლა მოგიზგიზე ბუნარს და „გზანიღების“ კითხვას? ჰოდა, ვინაიდან და რადგანაც, ჩემი შესავლისთვის ადგილს მართლა აღარ მიტოვებთ, ბევრს არ ვილაპარაკებ და დაგტოვებთ. თქვენ კი ისიამოვნეთ და მომდევნო თემისთვის ნურც მესიჯის გამოგზავნას დაიზარებთ. რა გენაღლებათ, მაინც ბუნართან სხედხართ და...

### უკვე გვიან იყო!

შაბათი დღე... მინგრეულ-მონგრეული საავადმყოფო თითქმის სულ დაცარიელებულიყო. მხოლოდ აქა-იქ თუ ჩაივლიდნენ ძაძით შემოსილი ქალები, რომლებსაც ხანდახან უკან ნვერ-მოსვებული მოხუცები მოჰყვებოდნენ. იგრძნობოდა, რომ ცოტა ხნის წინ აქ კარგი არაფერი მომხდარიყო. ქვეყანა ომის ჭრილობებს იშუშებდა.

თეთრი ხალათი მოიცვა, სიგარეტი საფერფლეში ჩაასრისა, სარკეში თავი შეათვალიერა და ცარიელ დერეფანში გავიდა. ბოლომდე გაიარა, ბოლო ოთახში შევიდა და იქ მყოფთ მიესალმა. დამხვდურნი ფეხზე წამოდგნენ. ყველას კარგად ეცვა და „ძვირიანად“. ასეთი ადამიანები არც ისე ხშირი სტუმრები იყვნენ ამ საავადმყოფოში.

— ექიმო, გვიშველე... გვიშველე და მერე ჩვენ ვიცით...  
— დამშვიდდით, დამშვიდდით, ყველაფერი კარგად იქნება, — თან — გამიმართლავ, გაიფიქრა.  
ექთანს გადახედა და საოპერაციოში შევიდა. ადვილი საქმე იყო — მუხლის ძვლის ამოვარდნილობა. პაციენტი 16-17 წლის ბიჭი აღმოჩნდა.  
— იცი, მეც მყავს შენი ტოლი ბიჭი.  
ყმანვილმა ხმა არ გასცა, ტკივილს განკანკალებდა.  
„აი, უფშური!“ — გაიფიქრა. შარვალი გაუჭრა და ფეხი მალლა აუწია.  
— ასე გტკივა? ასე? ასე?  
უეცრად, გარედან საშინელი ღრიალის ხმა შემოესმა. ინსტინქტურად,

ყური დაუგდო. ასეთი განწირული ღრიალი მისთვის უცხო არ იყო. მერე ისევე გააგრძელა თავისი საქმე. სულ ადვილად შეეძლო, ძვალი ადგილზე ჩაესვა. მხოლოდ დროს წელავდა. იცოდა, გარეთ დააფასებდნენ რთული საქმისთვის.

ვილაცამ კარი საშინლად მოაჯახუნა. ექთანს ქალი კისრისტებით შემოვარდა პატარა, თეთრ ოთახში. ბიჭს რომ არ გაეგონა, ყურში რალაც ჩასჩურჩულა ფიქრებში გართულ ქირურგს.

— პატრონი ჰყავს?  
— პატრონი?! — გაუკვირდა ექთანს.  
— ანუ ვინმე ახლავს?  
— არა, ექიმო, მარტო იპოვეს ქუჩაში...  
— ჰოდა, ხომ ხედავ, არ მცალია... მოილუშა და თავისი საქმე გააგრძელა. მერე ისე, ზოგადად ჩაილაპარაკა:  
— ოჰ, ეს მშობლები, სულ ფეხებზე ჰკიდიათ შვილები.  
გაფითრებული ექთანის ზანტად გავიდა ოთახიდან, მას კი სულ გადაავინყდა ჩანაფიქრი და დროზე ადრე დააბრუნა მუხლის ძვალი ადგილზე. ხელები დაიბანა და გარეთ გავიდა.  
— ესეც ასე... ხომ გეუბნებოდით?! ყველაფერი კარგადაა, ახლა თაბაშირში ჩაუუსვამთ ფეხს და ერთ თვეში ძველებურად ირბენს.  
— ვაჰ, შენ გაიხარე, ექიმო!  
შემოხვივნენ პაციენტის ახლობლები. ერთმა „მწვანე ქალაღი“ ჩაუს-

რიალა ჯიბეში და მხარზე მეგობრულად მოუთათუნა ხელი.

— პატარა სუფრა გვაქვს, აქედან ჭიქააუნეველად ვერ წავალთ!

თავიდან თითქოს უარზე იდგა, მერე რალა თქმა უნდა, დათანხმდა. სუფრა იქვე გაშალეს, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოაყოლეს, ბედნიერი იყო, იმ დღეს გაუმართლა...

ექთანს ისევე ჩამოვიდა, თქვენ გარდა ქირურგი არ არის საავადმყოფოში, უნდა გვიშველოთო...

— მოაკითხა ვინმემ? — პასუხი არ მიუღია. — ხომ ხედავ, არ მცალია!

ქალმა ზიზღნარევი თვალეში მოავლო და ოთახიდან კარის ჯახუნით გავიდა.

სმა განაგრძეს...  
ცოტა ხანში ისევ ჩამოვიდა ექთანს.  
— გონზე მოვიდა და მგონი კვდება, ექიმო, ლმერთი არ გნამთ?!

ზანტად გამოემშვიდობა იქ მყოფთ და ბუზღუნით გაჰყვა ქალს. ხმამალლა ლანძღავდა პაციენტის მშობლებს, რომლებსაც ფეხებზე ეკიდათ იგი.

საოპერაციოში ბარბაცით შევიდა. ავადმყოფი ნითელ გუბეში ცურავდა და სახე სისხლით დაფარვოდა. თეთრი პირსახოცი შუბლზე დაადო და ნელ-ნელა ჩამოუსვა. მერე მწოლიარეს პირდაპირ თვალეში ჩააშტერდა.

პაციენტმაც ამოხედა და უკანასკნელად ამოიკვნესა:

— მიშველე, მამა!  
უკვე გვიანი იყო!  
მუავიტო ფრომ ბათუსი.  
P.S. ულიბკა, ბრავო! ასე გააგრძელე“.



### მოგონება

„ის წელიც კურდღლის წელი იყო. მაშინ შემჯავრდა კურდღელი და ბაჭია... ერთი მატარებლით, მაგრამ სხვადასხვა ვაგონით ვიმგზავრეთ. მხარაძეში (ამჟამად — ოზურგეთი. ავტ.) ავტობუსები დაგვახვედრეს და აქ, ანასულში, სწორედ ამ სკოლაში ამოგვიყვანეს. თქვენი კომპაგნიური ლოზუნგი აღარ მახსოვს. ჩვენს ჯგუფს კი „რომანტიკა“ ერქვა და ლოზუნგიც შესაფერისი გვექონდა შერჩეული — „რომანტიკა ყველგან და ყველაფერში“. თავიდან ერთერთს შორიდან ვაფასებდით. თქვენი შრომის მასწავლებელს, გურამს ბურთი რომ გადმოუვარდა თუ გადმოაგდო, უცებ ავირიეთ, ავითქვიფეთ, თითქოს განვლილი თხუთმეტი წელი განუყრელუბი ვიყავით. ჩვენგან ვილაცამ შენიშნა, რა ძალა აქვს დედამიწას, სფეროს და სფეროსებერ ბურთს, ასე უცებ რომ დაგვაახლოაო. შენ კი სიცილით უთხარი, ნამუგათი რომანტიკაც არ ვარგა, ბურთმა კი არა, ჩვენმა გურამმა დაგვაახლოაო. თვალი მოგვაველე და რაღაცით კმაყოფილი დარჩი. ჩვენს ბიჭებს ალბათ იმ წუთიდანვე დაუშვებოდა. გოგონებიდან... ოოოჰ, პირველივე დღეს, შეხვედრის პირველსავე წუთებში ჩემი გულის ტკენით დაინწყე. ყურადღების ღირსადაც არ მიმიჩნევდი, თითქოს იქ არ ვიყავი. სხვა გოგონები ხალისით რომ გეცნობოდნენ და გვეკვლეუცებოდნენ, მე ძლივს ამოვიღწავლე ჩემი სახელი და ალბათ შენც მაშინვე დაივინწყე. მეორე დღით ჩაის საკრეფად წაგვლალეს. ჩაის კრეფა არ გვიტანავენოდა, უხალისოდ აგროვებდი დუყებს. სხვებს რომ კალათები სავე ჰქონდათ, შენ ორიოდ კილო თუ გვექნებოდა მოგროვებულნი. კი არ გაყვედრი, მაგრამ როცა გოგონები ბიჭებს ჩაის ფოთოლს გადამინანილებდნენ ხოლმე, მე ლამის სახე-ვარ კალათას გიყრიდი, მაგრამ იმათი უფრო მადლიერი იყავი. პლანტაციიდან დაბრუნებულს ჭადრაკის თამაში გიყვარდა, მაგრამ თამაშის აზრზე არ იყავი (ჩემი გადმოსახედიდან, რა თქმა უნდა, თორემ იქ მყოფ ბავშვებს თითქმის ყველას უგებდი). მე უკვე პირველთანი-გოსანი ვიყავი და სპორტის ოსტატობას ვუმინებდი. პირველად რომ გეთამაშე, ლაზიერი „დაველე“, მაგრამ დიდ-სულოვნად მაპატიე და არ მომიკალი. ასე აშკარად არა, მაგრამ მაინც გეზმარებოდი. მეფე და კუთხის პაიკი დაგრჩა, გითხარი, არ გადის ეგ პაიკი-მეთქი და ფრე შემოგთავაზე. აგერ ნახავ, თუ არ გადისო, ისე მითხარი, რომ არ გაგყვანა, მე ვინერვიულდები. მეორე ხელიც მოგაგებინე და უმაღ ინტერესი დაკარგე ჩემ მიმართ. მეორე დღეს გთხოვე, ისევე ვითამაშოთ-მეთქი. უხალისოდ მიუჯექი

დაფას. გონს მოსვლა არ გაცადე — რამდენიმე სვლაში დაგამაძათე. დავილალო, მითხარი და გამეცალე. ვერ გაგიგე ვერაფერი — ნავაგე და ინტერესი დაკარგე ჩემ მიმართ, მოგიგე და სულაც ამითვალწუნე. ახლა ნეტავ სად ხარ? მთელი ეს წლები, ზამთარ-ზაფხულ, ავიგზიზიზებულ ცეცხლს მივუჯდები და მოგონებებით ვთბები ხოლმე. ეს ცეცხლი კი ხანდახან ძლიერ მწველია, ხანაც — უსაშველოდ აღერსიანი. ამიტომაც ვარიდებ ჩემს ქმარ-შვილს ამ ცეცხლის აღს... ჭიშკარში შეხვედი, ეზოში ქვას ფეხი გაჭკარი და სკოლის ფანჯრებს შეაცვივდი. მესამე სართულზე, დიდ საკლასო ოთახში იყავით დაბინავებულები. დაიცა, გავიხსენო, ვინ იყავით: მიკა, ლევანი, ჩიქო, შენი საუკეთესო ძმაკაცი, დათო, ვატო, შრომის მასწავლებელი გურამი და შენ. ეზოში აღარ გაჩერდი და სკოლის შენობაში გაუჩინარდი. ქუჩაზე გადმოვივრბინე, ფანჯრიდან სკოლის ფოიეში ვიჭყიტები დაკვიანებული მოსწავლესავით... თუშეცა არა, ფეხდაფეხ მივყვები შენს ფიქრებსა და მოგონებებს... შუაში გაჩერდა და ირგვლივ მიმოიხედე. თვალით ალბათ ის ადგილი მოზომე, სადაც ჩოგბურთის მაგიდა იდგა მაშინ... კი, ზუსტად მაგ ადგილზე იყო... ისევე მიმოიხედე და თავი მარტო რომ დაიგულე, წარმოსახვითი მაგიდის ბოლოში დადექი და თამაში დაიწყე. აი, შენეული დარტყმა, თითქმის იატაკს მიღწეული ბურთის მოგერიება და მონინააღმდეგის დაბნევა. მხოლოდ ჩემთან არ გაგდიოდა ეგ ოინი... მეც იგივე რომ გაგიმეორე, ფეტივით დაიბენი. გულში ვზეიმობდი და ვხალისობდი... ფოიეში სასწავლო ნაწილის გამგე გამოჩნდა და შენც ვითომ თასმებს იკრავდი, მაგრამ უთასმო ფეხსაცმელი გეცვა და ახლა წინდების გასწორებას შეუდექი... კიბეს ავუყვები და მეორე სართლის დერეფანში გასასვლელ კართან გაჩერდი. ურდული ამ კარზე მაშინ, იმ შემთხვევის მეორე დაამაგრეს და დღემდე შერჩა... მეორე სართულიდან გოგონები ამოვიპარეთ კბილის პასტებით შეიარაღებულები და ღამე უჩუმრად თავს დაგვსხით. შენი სანოლი ყველაზე ახლოს იდგა და მეც ყველას დავასწარი. დანარჩენებმა სხვა ბიჭები დაუნდობლად გათხაპნეს. მე კი შენს სანოლზე ჩამოვჯექი, სახეზე გეფერებოდი და ვტკებოდი შენი უშფოთველი ძილის ცქერით... პირველად და უკანასკნელად ვიჯექი შენთან ღამე, პირველად და უკანასკნელად ვეფერებოდი შენს შუბლსა და ტუჩებს... უცერად განგაში ატყდა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ლევანის გამოქნეული ბოჭასი მიშვას მოხვდა... გოგონები ავკვივდით და სულ სირბილ-სირბილით შევაფარეთ თავი ჩვენს სართულს. ამ ხმაურსა და

ღრინცელში ყველა ფეხზე დადგა. ჩვენმა ხელმძღვანელმა, თინა მასწავლებელმა დაგვტუქსა, — რას აპირებდით, იმ ბიჭებს ლოგინში რომ შეეთრიეთო? — და პასუხად გაისმა, — ეჰ, ვინ მოგვცა ჩვენ მაგის ბედით?! მესამეზე კი თქვენი თინა ქოქოტებდა, — ამისთანა რა ბლავები გაგაჩინათ ღმერთმა, რომელიმეს ხელი როგორ ვერ სტაცეთო?! სწორედ მაშინ გააკეთებინა ჩვენმა თინამ ეს ურდული, ციციქნა ბოქლომი დაადო და გასაღები უბეში დამალა. ჩვენს ბიჭებსაც გაუნყრა, — თქვენს იმედად მტერი იყოს, კინალამ გაგვიბახეს ეს ანგელოზივით ქალიშვილებო...  
განვივად და იმის მაგივრად, გამოდარებისთვის დაგეცადა, გარეთ გახვედი. ცას ახედე და როგორც მაშინ, წვიმას სახე ღიმილით მიუშვირე. ოღონდ მაშინ მთვრალეხი მოხვედით და მაგრადაც მოგხვდათ თქვენი მასწავლებლებისგან — ნატას, თინასა და ილისაგან. გაპატიეს. მერე ამბობდი, თავად გალას სული გამოეცხადათ და იმან გვიშუამდგომლაო. გიყვარდა გალაკტიონის მეფეთმეფედ მოსხენება. გალა თავადაც გენია და გენიოსის მუხაც არისო — მუხაში საღვადორ დალის ცოლსა და შთაგონების წყაროს გულისხმობდი. იმ დღეს კი ადგილობრივ ბიჭებთან დაგილევით და რომ მოხვედით, კოკისპირულად წვიმდა. თქვენმა თინამ გადმოგხედათ ფანჯრიდან: „თქვე ტუტუცებო, ამობრძანდებით და მიიღებთ საკადრის პასუხს“. შენ კი რამდენიმე ნაბიჯი გადადგი და მოულოდნელად, ხმადაბლა წამოინწყე:  
„ის მიდიოდა ქუჩაში ერთი/ მას მიჰყვებოდა წვიმა და ქარი/ მისთვის იმ წამში არ იყო ღმერთი/ მისთვის არ იყო ქრისტე და ჯვარი“. მოულოდნელად ქუდი მოიშვლია, ხვეული სველი თმა შუბლზე გენებებოდა და შენს ხმას განსაცვიფრებელ ელფერს სძენდა: „იგრძნო, რომ მაინც საოცრად ცხელა/ გადიძრო ქუდი. მხურვალე შუბლი/ წვიმის წვეთები მარცვლების ხელა/ სიამოვნება ამ გრილი ღრუბლით/ თითქმის არ გრძნობდა სახლებს და კედლებს/ ძილით დაბურულს არ ცნობდა მხარეს/ ეტლები ცვლიდნენ მიმავალ ეტლებს/ როგორც სიზმარში მხარე ცვლის მხარეს.“ ეზოში მონყობილ საბავშვო სასრილოზე აირბინე: „როგორ, საიდან... არ იცი თვითონ/ ის უცნობ ხიდზე დგას. სხვა ხიდი/ მიძივა ტვირთი? მაშ სხვებმა ზიდონ/ ის ახლა გახდა წყნარი და მშვიდი.“ თავი დაგვიკარი და ერთიანად განუწული შენობაში შემოვარდი. ჩვენი აპლოდისმენტები და ოვაციები დიდხანს არ შემწყდარა... არასოდეს არავისთვის არ მითქვამს, რომ გალას ბევრი ლექსი ვიცო ზეპირად, როგორც ის, რომ სპორტის ოსტატი ვარ ჭადრაკში. ჩემმა



კლასიკურებმაც არ იცოდნენ და ვიყავი ასე ჩუმად, შეუქმნეველი და მარტოსული... თუმცა მათემატიკის საკონტროლოებზე ყველას უეცრად ვახსენებოდი. აქ, ანასეული კი თითქმის საერთოდ მიტოვებული ვიყავი. ჯერ საკუთარ გარეგნობას ვაბრალებდი. ერთხელაც, სარკეში ცქერისას ანაზდად საკუთარ თავზე გული მომივიდა და ჩემს გამოსახულებას შევაფურთხე. თქვენი კომპაგნიკის მდივანი, ნატა შემოვიდა და — რას აკეთებ? თვალზე დაიბრიალა. მითხრეს, რომ ასე უკეთ გინდინდა და გაპრიალდება-მეთქი — თავლადაუსამბებლად ვიცრუე. გულში ჩამიკრა და დამიყვავა, ამისთანა მკვალავით თვალზე ასე კი არ უნდა მოექცე, თვალში უნდა შესცივინებდეო. ოთახში შემიყვანა, ჩემი ყავისფერი „გეტრები“, მწვანე ქვედაბოლო და თეთრი, თბილისური „ადიდასის“ მაისური თითქმის ტანზე შემომახია. გოგონები დამესივინენ, შუბლზე ჩამოშლილი ურჩი დალალები გადამიჩიოს და ნახევარ საათში ნითელი მაისურით (წარწერილი NORTH CAROLINA), ჯინსის ბრიჯში, მოკლე, შავ-ზოლიან, თეთრ წინდებსა და ბოტასებში გამოწყობილი გამოგეტყდავით. ეფექტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. თუმცა, ჩემი სკოლის გოგონები აიბრინენ, ასეთი „ზმანები“ თუ გქონდა, რას გვიმალავდით?! ჩაქმის ის სტილი ჩემი ცხოვრების თანმდევი და განუყოფელი ნაწილი გახდა. თითქოს სამყარო გარდაიქმნა და საცოდავ კონვიას ბიჭები, როგორც ფუტკარი ყვავილს, ისე დაესივინენ. ყველაზე მეტად ერთი აქაური ბიჭი აქტიურობდა. თბილისში რომ ვბრუნდებოდი, იმ საღამოს გამიძინლა თავისი გრძობა. შრომითი სემესტრის განმავლობაში შენთან დაახლოების იმედი საბოლოოდ გადავქურდა, როცა კონცერტისთვის ვემბადებოდი. ნატა გეხვეწებოდა, თქვი რომელიმე ლექსიო, შენ კი ჯიბიდან კენჭებს იღებდი მაღლა ისროდი და თავს უშვერდი. მერე სათქმელი გექნებოდა, — ვთავაზობდი, მაგრამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო. შენი იდეა იყო, ლიკას წავეითხა გალას ლექსები და ფონად გაჰყოლოდა „მთვარის სონატა“. მე შემოვთავაზეთ, მორიკონეს მელოდიით გაფორმება და ძალიან უხეშად უარყავი ეს წინადადება. სამაგიეროდ, ვილაძამ რომ თქვა, „ერთხელ აქრიკაში“ ან „პროფესორის“ მელოდიები გამოვიყენოთო, აღფრთოვანდი. „უვიცი და გაუნათლებელი, რეგენი და ხეპრე, ინტრიგანი და ავანტიურისტი, შენზე ამბობენ რუსები „სამოუკერენი ბალვანიკი“ — აი, ის ეპითეტები, რითაც მაშინ შეგაძვე — გულში, რა თქმა უნდა. თან ვბრაზობდი და თან შენს მიაბიტობაზე მეცინებოდა. კონცერტი მართლაც კარგი გამოვიდა

და ეს ძირითადად, თქვენი სკოლის დამსახურება იყო. ლიკას მიერ სანთლის შუქზე წაითხულ ლექსებს ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა დარბაზიდან. მეორე დღეს ჯილდოდ, ბათუმში გასეირნება გვერგო. დელფინარიუმში არ მუშაობდა და პლაჟზე გავვდივით. ყველა გახარებული დატყაბუნობდა ნაპირზე და შეხარდა ზღვას. უწუმრად აგვადევე და მგონი, მხოლოდ შენ გხედავდი. გხედავდი, როგორ მიეახლე ზღვას, მუხლებზე დაუწოქე და მოწინებით ეამბორე. პასუხად ზღვაც მოგელაშენა. პატარა ტალღას პეშვით წყალი ამოარიდე და დალიმლებდი: „როგორ მომანატრე თავი, შე გიყმაყო“... წყალი პეშვითვე ზღვაში ჩააბრუნე და ჩასწორეულე, სოხუმი და ბიჭვინთა მომიკითხე, მალე ვინახულე. მხოლოდ ამ რიტუალის მერე დაგვიბრუნდი. რატომაც ბიჭების გაბრაზება და დაცინვა დაიწყო. აშკარად იწვევდი და მე თუ მკითხავ, მაგარი საცემიც იყავი. შენი ძმაცაცებიც ვერ ხვდებოდნენ შენი ასეთი ქცევის მიზეზს. მხოლოდ ვაჭო მისვდა, აყვავა. ერთხუროს ექიმგვილაგებოდი და მოულოდნელად, ორთავე ზღვაში მოადინეთ ზღართან. მერე იცოცხლე, მოგაძქეს სხვემაც და ყველა წყალში აღმოჩნდა. თქვენი შრომის მასწავლებელი, გურამი, სიხარულს ვერ მალავდა, ილო გაბრაზებული ბოლთას სცემდა, ნატა, თინა და თქვენი თინა მუხლამდე წყალში იდგნენ და „ტუტუტუტუტ“ „ნიმანარსალირსებლებსა“ და კომპაგნიკიდან გასარიცხ „მუტრუტუტ“ ზღვიდან გერეკებოდნენ. ჩვენი გეოგრაფიის მასწავლებელი როცა ბრაზდებოდა, მეტად საინტერესო იყო:

— ოჰ, შაკო, ზურა, შე თავგასივებულ გლობუსსა, ჯობია, არ ამოხვიდეთ, სად დამემალებით?!

— თურქეთში დაგემალებით, მასან...

— აბა, აბა, ბოსფორით მერმარისლოს ზღვაში გადახვალთ, მერე დარდანიელით ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვებში...

— და სუეცის სრუტით — წყნარ ოკეანეში, — გაისმა ზღვიდან რეპლიკა და თინაც საბოლოოდ გამოვიდა წყობილებიდან.

— დასახრობი მე ვარ მხოლოდ... ხმელთაშუა ზღვიდან გიბლარტარით გადინარათ ატლანტის ოკეანეში და იქ ბერმუდის სამკუთხედსა და გოლფსტრემის დადნებას თუ გადაურჩით, მე ვერ გადამიჩრებით...

თქვენი ისტორიკოსი თინა გაოგნებული ისმენდა ამ დიალოგებს და მოულოდნელად შემოგაძახათ, — თუ ასეთ მოგზაურობას აპირებთ, არგონავტების მიერ გავკალაული კურსით იცურეთ, შედარებით უსიფათოაო.

უსაზღვროდ კმაყოფილები და ნასიამოვნები დავბრუნდით ანასეულში. სო-

ფომ, ეკამ, ლიკამ და მკამ სადღაც კურდღლებს მოჰკრეს თვალი და გულდამწყვეტილებმა ინატრეს მათი მიფრება და მიალერსება. შენ და ვაჭომ ერთ საათში გააჩინეთ პანია ბაჭიები და გოგონების გული საბოლოოდ მოინადირეთ. დანარჩენები ცუდად შენიღბული შურით შევეცქეროდი თქვენს რჩეულებს. საუბრიდან გავიგე, რომ ჩემი თაყვანისმცემლის, მამიას დედისგან შეგიძინათ კურდღლები და ცოტა გულს მომეფონა — მიხვდი, მამია მეც მომიყვანდა ბაჭიას. მოუთმენლად გავცქეროდი ჭიშკარს და მამიას დანახვისთანავე გავვებე ჩემთვის, მხოლოდ ჩემთვის განკუთვნილი სიურპრიზის მისაღებად... თავიდან თვალზე არ ვუფერებდი, მივირდა, სად დამალა ასე მოხერხებულად-მეთქი. დავრწმუნდი თუ არა, რომ ხელცარიელი იყო მოსული, ხმის ამოღება არ ვაქცადე და უმოწყალოდ დავამცირე. უხმოდა, უსიტყვოდ შეტრიალდა... შური ვიძიე შენზე და მთელ საკაცეთზე... სექტემბერში შენ და ვაჭო სკოლაში გვეწვეით. ფანჯრიდან რომ დაგინახე, შემაჭროლა.

იყო ერთი მოკითხვა და ხვევანაკონა. მერე უცებ ტაქსი გააჩრეთ და ყველანი სადღაც ნახვდით... გულდამძიმებული გამოვდი სკოლიდან. ატირებას აღარაფერი მაკლდა, რომ უეცრად, ჩემ წინ ვარდების დიდი თაიგული „აის-კრეტა“. ვიგრძენი, ჩემთვის იყო, მაგრამ შენ ვერ გხედავდი. მერე გავაცნობიერე მამიას ნაღვლიანად მოლიმარი სახე.

— იმათ არ გაყვიერე? — ვკითხე.

— ისინი არც მიხანახეს, მე შენთან ჩამოვდი, — მიპასუხა.

მუხლები მიკანკალებდა და ტუჩები მითრთოდა... მამიამ კი უბიდან ულამაზესი ბაჭია ამოაძერინა და ხელებში მომაჩქია... ავღრიალი და დაგუბებულ ცრემლს გზა მივცი. ჩემი გაჩრება უკვე არც ისე ადვილი იყო... გაოცებული მამია ვერ ხვდებოდა, რომ მატრიტება და უმწეოდ მომჩრებოდა...

— ნაღი!

მორჩილად, უტყვად შეტრიალდა და წავიდა.

საოცარია, ამ ძელსკამზე ჩემს ცეცხლთან მიფიცებულს, რამდენჯერ მინატრია შენ გვერდით ყოფნა და დღეს, როცა აგერ ჩამომიჯექი, მხოლოდ ხიფათის შეგრძნება მაქვს. ხიფათისა, რომ შენი ცეცხლი ჩემში მინავლულ, მაგრამ მუდამ მფეთქავ ნაღვერდალს ააგიზგიზეებს და გადავწვავ ყველაფერს. ყველაფერი ჩაიფერვლება და დავრჩებით მხოლოდ მე და შენ... მაგრამ ეგ ხიფათიც ფარსია... კარგა ხანია, ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე. ცოლი რომ მოიყვანე, მაშინ გადავუსვი ყველაფერს ხაზი... მაგრამ მანამდე... უნივერსიტეტში შენ გამო ჩავაბარე. შენ კი იმ წელს ვერ



ჩაირიცხე და მეც დაუსწრებელზე გადავიტანე საბუთები. აღმოჩნდა, რომ სულ ტყუილად. მომდევნო წელს სხვა ფაქულტეტზე ჩაირიცხე. უნივერსიტეტში მინც ხშირად გხვდავდი. საერთო სანაცნობო, ბუნებრივია, გყავდა, მაგრამ მე მინდოდა, შენ თვითონ დაინტერესებულიყავი ჩემით. თვითონ გამოგჩინა ინიციატივა, გებრძოლა, მოგეპოვებინა გამარჯვება და მოწყურებული დასწავებოდი გულს, გონს და სხეულს ჩემსას... ერთხელ, ჩემი უაზრო (უკვე ასე მეჩვენებოდა) პრინციპებისგან „ნერვებმოთხრილს“ დერეფანში შემეჩქე. გეგონა, გვერდს აგიცვედი, მაგრამ ჯიქურ დაგეტაკე და შემოგატრიალე. ვიგრძენი, თვალს არ მაცილებდი და უკანმოუხედავად დაგიგდე: „უკაცრავად!“ არა, არა, შენს გამოფხიზლებას არ დაადგა საშველი...

თუმცა დადგა ის ნანატრი წუთიც, როცა უნივერსიტეტის ბუფეტში „ჯოკერის“ თამაში ერთად მოგვისდა... ვერ მიცანი და გასაკვირიც არ იყო. ხშირად ჩემი სკოლელებიც ვეღარ მცნობდნენ. გატყობდი, მოგენონე, მაგრამ არ იმჩნევდი. უკვე დახვეწილი ქალიშვილი ვიყავი და არც მე ვუყადრებდი ვინმეს თავს. ვიცოდი ჩემი თავისა და ჩემი თვალების ფასი. მაღულად მიმზერდი, მერე ეჭვიანი ხმით ამოდერდე, სადაც შეგხვდრივართო. თავი შორს დავიჭირე, ვითომ საერთოდ ვერ გაგიხსენე. მოულოდნელად, ჩირვეული გოგოსავით კარტი დაგყარე, აღარ ვისურვე თამაშის გაგრძელება. შენთან საუბარი მინდოდა, შენთან ერთად ფიქრი და ოცნება მინდოდა... შენ კი, მიმოიხედე და ხმამალა დაიძახე, აბა, ვის სურს გააგრძელოსო? ავენთე, ერთიანად ავიღანძე, მაგრამ მინც დაუდევრად და არაფრისმთქმელი მზერით ჩანთას დავევდი. განგებ ზანტად ვმოძრაობდი, შენ გელოდი, მაგრამ შეუგნებელი და გაუგებარი იყავი, დეგენერატი! დეგენერატზე გამახსენდა, ერთი ცნობილი მოდელი მოგნონდა. ინტერვიუში ჟურნალისტის შეკითხვაზე, რომელ რუსულ ნაწარმოებს გამოარჩევდი? — უპასუხა: „დეგენერატი“. იმის შემდეგ აითვალწუნე... ჰო, რას მომჩერებხარ?

მერე რა, რომ ეს სულელური ფიქრები ჩემი ცხოვრების თანამდევია... აი, აგერ, ჩემი მამაც მოდის. გვერდში რომ ახტავანა გოგო მოჰყვება, ჩვენი უფროსი ქალიშვილია, მათ უკან კი დიდი კაცივით დინჯად მოაბიჯებს ჩვენი უმ-

ცროსი პირმშო — შენი სესნია... შენ ნინ გაჩერდა და შენს კალთაში გაყურსულ ბაჭყას დააცქერდა. გაუაზრებლად გაუღიმე, მოფერე და ბაჭყა გაუნოდე. — გინდა, გაჩუქო? ნაიყვან და შეყვარებულს აჩუქებ.

ერთი ამოგხედა, ღრმად ჩაისუნთქა და ლოყებდაბერილმა სულმოუთქმელად მოგაყარა:

— რაი უნდა მარუქო, ნეტა, ბიძია... მაი ისეც ჩემია და ვინცხას მინდა, იმას ვაჩუქებ...

სიამოვნებით ვუსმენდი შენს ხმამალ ხარხარს... ჩემი შვილი ხელში აიტატატი და აღფრთოვანებით შესძახე, ეს რა კაცი ეზრდება ამ კურთხეულ კუთხესო. ბავშვი დასვი, ქურთუკი შეისწორე და ნასასვლელად შეემზადე.

მე ჩათრევას ჩაყოლა რომ ვამჯობინე, გამიმართლა და ბედნიერი ვარ. არც ჩემი ცეცხლი ჩამქრალა და ვთბები.

მშვიდობით, მშვიდობით! არ ვიცო, დაგენია თუ არა ჩემი ხმა. მიდიოდი დაკარგული და შენეულად რომ ვთქვა, „ნი პრივეტა, ნი ოტვეტა... ნი გრიმასა, ნი ულიბკა“.

### ფუფალა და მამლუქი

„სუთონიანი ყოყმანის შემდეგ, ქალბატონმა მაიამ, თავის ცალთვალა შვილს არც ისე სრულ ჭკუაზე მყოფი მზობელი გოგოს, თამუნას ცოლად შერთვის ნება დართო. მანამდე ცისფერთვალეობა, თოვლივით თეთრი, ლამაზი გოგოს გამოჩენას ელოდა, თავისი, როგორც თავად გაბრაზების დროს ამბობს, „ბრუტიაანი“ შვილისთვის, მაგრამ ცალთვალა კაცის ცოლობას იმ სოფლის გოგონები „გრესად“ მიიჩნევდნენ. ერთადერთი, ზემოსხენებული თამუნა იყო გამოჩენილი, რომელიც ალექს ცალი თვალის უუჩუნზე გულგრილი ვერ რჩებოდა. მათი ქორნილი იყო რალაც საოცრება, შოკი! არ ვიცო, რას შევადარო. — ბიჭი ჯობია, ბიჭი! — ერთმანეთში ქირქილებდნენ ბიჭის ნათესავეები. — აარა, რას ამბობ, გოგო ჯობია, გოგო! — არც გოგოს ნათესავეები რჩებოდნენ ვალში. ალექს ნათესავეები დამთხვეულებივით უყურებდნენ პატარძალს. თამუნაც საზოგადოებას თავს აწონებდა და ალექს ნლინახევრის ბიძაშვილს დიდი მონდომებით ეფერებოდა. სიტყვების მარაგი რომ ამოწურა და პატარას ტირილმაც თავი მოაბეზრა, ქმრის ერთ-ერთ ნათესავს მიუბრუნდა და ჰკითხა: ყველაფერი — ყველაფერი, მაგრამ ბავშ-

ვისთვის მამლუქი რამ დაგარქმევინათო? არადა, დედამ ბევრჯერ გაუძეოდა, რომ ბავშვს მამლუქი კი არა, მათე ერქვა. ქორნილში ყველა დათვრა. განსაკუთრებით — სიძე-პატარძალი. ვერ გაიგებდი, ვინ ვის ეცვევებოდა, ვინ ვის უხსნიდა სიყვარულს და ვინ ვის და სად უფათურებდა ხელეხს. ასევე ვერავინ გაიგო, ქორნილიდან როგორ გაქრა სამსართულიანი ტორტი. ქორნილი მეორე დღესაც გაგრძელდა და მესამე დღის ბოლომდე გასტანა. არ შემოძლია მათ შესახებ, სულ ახლახან მომხდარი ამბავი არ მოგიყვით: ამას წინათ, ალექს და თამუნა სტუმრად მიდიოდნენ. მასპინძელს პატარა გოგონა ჰყავს, რომელსაც ფოთოლა ჰქვია. ალექს მთელი ორი დღე უმეორებდა თამუნას, ბავშვს ფოთოლა ჰქვია და არ დაგავინყდესო, მაგრამ თამუნას მინც დაავინყდა და პატარას ახალი სახელი — ფუფალა შეარქვა. ლუნა“.

„მოგესალმებით ყველას. ახლა ერთი უცნაური ქორნილის შესახებ მოგიყვებით: რამდენიმე წლის წინ გოგოს და ბიჭს ერთმანეთი გააცნეს. ცოტა ხანში ქორნილის დღეც დაინიშნა. ყველა სისარულით ელოდა ამ დღეს და შუა ქორნილში სიძემ პატარძლის მეჯვარე მოიტაცა... რატომ? იმიტომ, რომ ის უფრო ლამაზი და მიმზიდველი აღმოჩნდა. აი, ასე ჩაიარა ქორნილი, რომელიც პატარძლისთვის ტრაგედია იქცა... თიკვ“.

„ერთ წვეილს, ნანას და აეთოს სკოლის მერხიდან უყვარდათ ერთმანეთი. წლები გადიოდა, ნანამ უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, აეთომ ბიზნესს მოჰკიდა ხელი და საკმაოდ წარმატებულად „მოღვაწეობდა“. ნანას სწავლის დამთავრების შემდეგ შეუღლებას აპირებდნენ (2 წელიწადში ათავრებდა სწავლას), მაგრამ აეთოს ბიზნესის გამო უცხოეთში მოუწია წასვლამ და წლების მანძილზე დარჩენამ, რაც არ ახარებდა, რადგან ნანა აქ რჩებოდა, მაგრამ გამოსავალი მინც მოქებნეს. ბიძამისი მიაგზავნა ნანას ოჯახში და სიტუაცია აახსნევინა. ქორნილი ნანამ და აეთოს ბიძამ გადაიხადეს. ქორნილი რა — ხელი მოანერგეს და ბიძამ თავისი ხელით ჩაუყვანა ნანა აეთოს. აი, ასეა, თუ მოინდომებ, ყველაფერი გამოვა, რადგან სიყვარულში ყველა ხერხი გამართლებულია. კოზანოსტრა (ბისკვიტი)“.

**მომდევნო ნომრის თემა იქნება —**  
**„ახდენილი ნინასწარმეტყველება“**  
 ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ  
 მესიჯებით ტელეფონის ნომერზე  
**8.77.456861**  
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:  
 marorita77@yahoo.com

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზაპნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



# „ერთდროულად ორივეს შეყვარება არ გამოვა“

„ალბათ გსიამოვნებს, ბიჭები შენ გამო რომ ჩხუბობენ“

„გზის“ №2-ში დაიბეჭდა 17 წლის სოფოს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გენერდა, რომ ორმა საუკეთესო ძმაცაცმა სიყვარული აუხსნა და ახლა არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. „მე ისინი ისე მიყვარს, როგორც — ძმები. ჩემ გამო გამუდმებით ჩხუბობენ და მეშინია, მათ შორის რაიმე არ მოხდეს. გთხოვთ, მირჩიეთ რაიმე.“

## ლიკა ქავაია

**ლაშა—F.C.B:**

„თუ სიყვარული აგისხნეს, შენი საუკეთესო ძმაცაცები არ ყოფილან და თუ არც ერთი არ გეხატება გულზე (იმის გათვალისწინებით, რომ მიხვდი, ვინც ყოფილან), შენს ადგილას ორივეს „დავახვევინებდი“. აბა, შენ იცი, წარმატებები!“

**SCOUSER KATE:**

„აუხსენი მათ, რომ ორივე ძმად მიგაჩნია და იმედია, გაგიგებენ. წარმატებები!“

**გველი ქალი:**

„რალა რჩევა გინდა, თავად ვერ აზროვნებ? დარწმუნებული ვარ, ძალიანაც გსიამოვნებს, ბიჭები შენ გამო რომ ჩხუბობენ. ორივეს „პაკა“ უთხარი და ეგაა, რა.“

**კრუღარა:**

„ანალოგიურ სიტუაციაში მეც ვყოფილვარ და ვიცი, რომ ეს მართლაც, არასასიამოვნო ფაქტია. მოდი, ორივეს აუხსენი, რომ ვერც ერთს ვერ შეიყვარებ! აბა, შენ იცი.“

**ძიხიყელი:**

„თუ ისინი მართლა ძმებივით გიყვარს, ორივეს ერთად უნდა დაელაპარაკო და ყველაფერი აუხსნა; უთხარი, რომ მათ შორის ჩხუბს აზრი არა აქვს, რადგან სხვა გიყვარს, მერე კი ორივეს დაემუქრე, — თუ ოდესმე ჩემ გამო იჩხუბებთ, თქვენთან აღარ ვიმეგობრებ—თქო. P.S. ისე, გირჩევ, ვიდრე ამას გააკეთებ, საკუთარ გულში ჩაიხედო — ორივე მართლა ძმასავით გიყვარს?..“

**ჰარიზი:**

„ჯერ ეგ მითხარი, რა გოგოს და ბიჭის ძმაცაცობაზე ლაპარაკობ? ოჰ, როგორ გინდათ, რომ ასეთი ზღაპრების გჯეროდეთ და იჯერებთ კიდეც, მერე კი ნუნუნებთ, ისე და ასეო... ჩემო კარგო, დისტანცია ყველაფერში საჭიროა!“

**უცნობი:**

„ალბათ, შენი ბრალია, ერთმანეთს რომ ხოცავენ, მათ ამისკენ თავად უბიძგებდი. აბა, ვერ დავიჯერებ, რომ ორივე მათგანს უმიზეზოდ შეუყვარდი;



უცნობა, იმ ბიჭებს ეპრანჭებოდი, ეფარცქვალბოდი და ბოლოს, როცა მიზანს მიაღწიე, მიხვდი, რომ არც ერთი არ გიყვარს... შენ სადისტი ხარ და აუცილებლად უნდა დაისაჯო!“

**2107:**

„ძალიან რთულ სიტუაციაში ხარ. გირჩევ, ორივეს დაელაპარაკო და უთხრა, რომ მათ მეგობრებად მიიჩნევ, რომ ვერც ერთს ვერ შეიყვარებ. თუ ამან შედეგი არ გამოიღო და შენ გამო ჩხუბს ისევ გააგრძელებენ, ორივე დაივინე, მათთან აღარ იმეგობრო. წარმართებებს გისურვებ!“

**რეალელი:**

„იმ ბიჭებს უნდა მოახსენო, რომ შენ გამო ტყუილად კინკლაობენ, მათ სხვანაირად არასდროს შეიყვარებ!.. სოფო, იმედია, იმასაც ხვდები, რომ მათთან მეგობრობას ვეღარ გააგრძელებ. რატომ? — ისინი ხომ სხვა თვალით გიყურებენ?! ჰოდა, ჯობია, ორივეს დაემუშობო.“

**ნა:**

„რატომღაც მგონია, რომ იტყუები, ყველაფერი თავადვე შეთხზე და მესიჯად გამოგიგზავნე... აბა, როგორ შეიძლება, ძმაცაცებს ერთდროულად შეყვარებოდი და საუკეთესო მეგობრები ერთმანეთს დარეოდნენ?.. P.S. შეიძლება, ეს ყველაფერი სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ ამის დაჯერება არ მინდა!“

**იკუშკაი:**

„ამ სიტუაციიდან ერთი მარტივი გამოსავალი არსებობს: ძმაცაცებს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ ისინი მხოლოდ მეგობრულად გიყვარს, რომ შენი გულის მოსანადირებლად ჩხუბი არ ღირს. მათ ისე მტკიცედ უნდა ელაპარაკო, რომ თავიანთ უაზრო საქციელზე დაფიქრდნენ! თუ გაჯიუტდებიან, მათთან მეგობრობაც კი შეწყვიტე. მთავარია, შენს დაკარგვაში ერთმანეთი არ დაადანაშაულონ. აბა, წარმატებებს გისურვებ! P.S. სიყვარული კი მაშინ მოვა, როცა საჭირო იქნება.“

**ტამ:**

„თუ ნამდვილად გინდა, მათ შორის არაფერი მოხდეს, სასწრაფოდ, ორივესთან განწყვიტე კავშირი! მერწმუნე, ისინი შენი ძმები ვეღარ იქნებიან.“

**BLOODZ:**

„მგონი, თავდაც ხვდები, რომ ერთდროულად ორივეს შეყვარება არ გამოვა. გირჩევ, ძმაცაცები ძმაცაცებადვე დატოვო! გონება მოიკრიბე და ორივეს დაელაპარაკე.“

**LOCUST:**

„საშინელებაა, ძმაცაცები სიყვარულს რომ გიხსნიან. ჩემ ირგვლივ იმდენი მსგავსი შემთხვევა მოხდა, რომ უკვე ბიჭებთან მეგობრობის აღარ მჯერა. ჩემი უფროსი ძმა სულ იმას მიმტკიცებს, — ქალსა და კაცს შორის მეგობრობა არ არსებობსო, მაგრამ ამის დაჯერება არ მინდა; ვერ ვხვდები, ეს რატომ არ უნდა შეიძლებოდეს?... ორივეს დაელაპარაკე და აუხსენი, რომ მათი საქციელი ძალიან გაღიზიანებს. ჰოდა, მერე ორივეს უარი უთხარი.“

**ლიანა:**

„ჯობია, ორივეს დაშორდე. მეც მქონდა მსგავსი შემთხვევა და ასე მოვიქეცი, ახლა კი მერწმუნე, ჩემზე „ვაფშე“ აღარ ფიქრობენ.“

**რუსა:**

„არც ერთთან არ იამხანაგო, არც ერთი აღარ ნახო და შენდამი სიყვარული თანდათან გაუწმენდებო, მერე კი ერთმანეთთან საჩხუბარიც აღარაფერი ექნება...“

**„სასიდედროს თავი როგორ მოვანო?“**

**სტარია, 18 წლის:**

„მოგესალმებით, ძვირფასებო. თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. მყავს „ლოვე“. ჩვენ ერთმანეთი სიგიჟედ გვიყვარს, მაგრამ მისი მშობლები ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგნი არიან; მეტიც — სასიდედრო დასაწახვად ვერ მიტანს და არ ვიცი, რა ვქნა. მირჩიეთ, მას თავი როგორ მოვანო?“





„გზის“ №2-ში დაიბეჭდა 18 წლის ნინოს მესოჯი, რომელიც გენერდა, რომ შეყვარებული არასდროს ჰყოლია, ყოველთვის გონების კარნახს ენდობოდა, გულისთქმას კი არაფრად აგდებდა. „ახლა არ ვიცი, გულისთქმა თუ გონების კარნახი, რომელიც ერთი ადამიანისკენ მექაჩება, მაგრამ დავიბენი. ის ჩემი იდეალისგან სრულიად განსხვავებულია — ამაყი, ჯიუტი, მექალთანე, უყურადღებო და უზრდელი. სულ ვჩხუბობთ, მაგრამ მაინც მასზე ვფიქრობ. თავს ვერ ვერვი, ნეტავ, რა შემართება?“

**ძვრივი:**

„ყველაფერს ეშველება და მოველებება, გარდა მექალთანეობისა. როგორც წესი, ეს თვისება შექნილი კი არა, თანდაყოლილია! თავს ნუ მოიტყუებ, თორემ ყოველ წუთას ლალატის მსხვერპლი იქნები. დამორდი!“

**მარიკა:**

„მის გამოსწორებას ნუ შეეცდები, ყოველი ცდა ამაო იქნება. დამიჯერე, ის ბიჭი ნერვიულობად არ ღირს. P.S. ოდესმე იპოვი ისეთ ადამიანს, რომლის გადაკეთებაც არ დაგჭირდება. ერთი სიტყვით, იმ ბიჭს უნდა შეეშვა, რა.“

**ანსია-ნინო:**

„შენი წერილი რომ წავიკითხე, რჩევის მოცემა მომიწინა. მომწონს შენი ნათქვამი: „ყოველთვის გონების კარნახით ვმოქმედებდი და გულისთქმას არაფრად ვაგდებდი“. კარგი ხარ, ასე გააგრძელებ, მაგრამ ზოგჯერ, საკუთარ გულშიც უნდა ჩაიხედო... როგორც ამბობ, ის ბიჭი მექალთანე და ამაყია, თანაც — უზრდელი. ჰოდა, თუ აგრძობინებ, რომ არ გაინტერესებს, თავად მოვა შენთან. უფალი გფარავდეს.“

**აუტანალი:**

„კარგია, რომ თავადაც ხვდები — მექალთანის გამოსწორება შეუძლებელია! მაგრამ ვფიქრობ, სწორედ მისი ამ თვისებების გამო მოგწონს, მაგარი ბიჭი გგონია. შეეცადე, მასზე არ იფიქრო, თორემ ცხოვრებას გაიმწარებ.“

# „ყველაფერს ეშველება, გარდა მექალთანეობისა“

„გულზე მეტად, გონებას მიეძე...“

**ტილო-ტილო:**

„იცი, რა გემართება? გიყვარს! ძალიანაც რომ ეცადო, ვერ გამოასწორებ. ხომ გიყვარს? — ჰოდა, გიყვარდეს ისეთი, როგორც არის.“

GA 9799:

„მაგ ბიჭს შეეშვი! პატარა არა ხარ და თუკი კარგად დაფიქრდები, მიხვდები, რომ ცუდ ადამიანთან გაქვს საქმე“.

**რუსიანი (YELLOW):**

„ჭირვეულის მორჯულება 2“ და რამე? მე, ადამიანი, რომელიც სიყვარულს სასუნთქ და მხედველობადაქვეითებულ გრძნობად მივიჩნევ, მხოლოდ ერთს გეტყვი: გულზე მეტად, გონებას მიენდევ. ისე, კონტრასტულ წყვილებს დიდი მომავალი არა აქვთ და რა ვიცი, აბა... წარმატებები! P.S. იქნებ უზრდელი, ჯიუტი და ამაყი რომ არის, მასზე ამდენს ამიტომაც ფიქრობ?..“

**აუტია-თათული:**

„თუ გიყვარს, მიიღე ისეთი, როგორც არის. წარმატებები, გენაცვალე!“

**გვანცა:**

„შენი მშვენიერად მესმის. ზოგჯერ მართლაც, ისეთი ადამიანი შეიძლება შეგიყვარდეს, რომელიც ამას არ იმსახურებს; სრულიად განსხვავებულია იმ იდეალური პიროვნებისგან, რომელსაც ასე, თანაც — ძალიან დიდხანს ელოდი; მაგრამ მაინც გიყვარდება და მერე გამუდმებით უსვამ საკუთარ თავს კითხვას: რამ შემიყვარა? თან — მოსაშორებლადაც ვერ იმეტებ!.. ჰო, ეს ყველაფერი რთულია. ალბათ, აქ ბევრი გეტყვის, არ უნდა შეგყვარებოდა! ჰმ, ამის თქმა მარტივია. ჩემი ერთადერთი რჩევა ის იქნება, რომ

სერიოზულად დაელაპარაკო და სთხოვო, — თუ მართლა უყვარხარ, თქვენს ურთიერთობას გაუფრთხილდეს. წარმატებები, საყვარელო“.

**ლუნა:**

„შენი იმაზე კარგად მესმის, ვიდრე წარმოგიდგენია. ჩემი გულწრფელი თხოვნაა (და არა — რჩევა), ვიდრე სიყვარულის ცეცხლი მოგედება, მაგ ბიჭისგან თავი შორს დაიჭირო. როგორც უნდა მოინდომო, მას ვერ შეცვლი! როცა ადამიანი გიყვარს, მის სიჯიუტეს, სიამაყეს შეძლებისდაგვარად აიტან, მაგრამ მექალთანე, უყურადღებო და უზრდელი მამაკაცის გვერდით ბედნიერი ვერ იქნები. ისეთი ბიჭი მოძებნე, ვინც მის თავს დაგავიწყებს. აბა, შენ იცი, ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

**ვლამინო:**

„რა გემართება? — რა და ის უზრდელი, ჯიუტი, მექალთანე და ა.შ. უკვე ძალიან მოგწონს; შეიძლება შეგიყვარდა კიდევ სწორედ იმიტომ, რომ სხვებს არ ჰგავს, შენი იდეალისგან განსხვავებულია. საერთოდ, ადამიანები შეუძლებლისკენ, ჩვენთვის მიუწვდომელი მწვერვალისკენ მივიღებთ, მაგრამ მთავარია, რაიმე გულით გვინდოდეს და ვირწმუნოთ, რომ შეუძლებელიც კი შესაძლებელია. ასე რომ, აბა, შენ იცი. P.S. არ ვიცი, როგორ უნდა მოარჯულო, მაგრამ წარმატებებს გისურვებ!“

**მისის მოთქოთა:**

„მიუწვდომელი და მოსარჯულებელი ყოველთვის მიმზიდველია!“

**რუა-რუა:**

„თუ მისი მორჯულების იმედიც არ გაქვს, შეეშვი, ყურადღებას ნუ მიაქცევ. მექალთანე თუა, ენ. შემეტენე ქალებს ვერ აიტანს.“

**უცნობი:**

„თუ ის ბიჭი მექალთანეა, უნდა შეეშვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოდესმე გულს აუცილებლად გატყენს. ეცადე, დაივიწყო. ისე, თუ მართლა უყვარხარ, არც ერთ გოგოში არ გაგცვლის. P.S. უყურადღებო ბიჭი არ გალიზიანებს!“

**ახარამსია:**

„მოარჯულებ, რა, ცხოველი ხომ არ არის? მიიღე ისეთი, როგორცაა, თუ არა და, შეეშვი. მერწმუნე, ადამიანები არ იცვლებიან!“

## „სულ მე მიყურებს, თან — მიუხეუბა...“

**მარი:**


„ძალიან, ძალიან გთხოვთ, დამეხმარეთ. მესამე წელია, რაც „უძალიანმავრესად“ მიყვარს ბიჭი, რომელიც ჩემზე 2 წლით უფროსი და თან — ძალიან ლამაზია. მერწმუნეთ, მასზე ვგიჟდები... რამდენჯერმე მისი დავიწყება ვცადე, მაგრამ არაფერი გამოივიდა. ის რალაცნაირად მექცევა, სულ მე მიყურებს, მაგრამ ამასთანავე, გამუდმებით მეუხეშება. მისმა ორმა ძმაცმა მითხრა, — მოსწონხარო, მაგრამ ჩემმა ყოფილმა „ლოვემ“, როცა გაიგო, რომ ახლა სხვა მიყვარს, მითხრა: ტყუილად გაქვს რაიმეს იმედი, იმ ტიპს შეყვარებული ჰყავსო და, ვერ წარმოიდგენ, რამდენი ვიტყვი. რა ვიცი, ის ისე იქცევა, რომ მგონი, ვუყვარვარ... ძალიან გთხოვთ, განსაკუთრებით — ბიჭებს, მითხარით, როგორ ფიქრობთ, შეიძლება ვუყვარდე? მიშველეთ, რა...“

P.S. მაშ ასე, თუ სტარტიკას და მარის წერილების ნაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

# მოზილი-ზაცია




იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხდეს, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოზილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



## ქაღაბი

- 1. ვარ 20 წლის, მდიდარი, ლამაზი მანდილოსანი. გასათხოვარი. გამოქვამურეთ.
- 2. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ სიმპათიურ, ყურადღებიან, მოწესრიგებულ მამაკაცს, 40 წლამდე.



## ქასაბი

- 3. მსურს გავიცნო 17-22 წლის ლამაზი გოგონა. დასავლეთში მცხოვრები. ვარ 23 წლის, სიმპათიური. გოგა.
- 4. ვარ 32 წლის, სუსტი აღნაგობის მამაკაცი. მშრომელი, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 24-29 წლამდე მანდილოსანს.
- 5. გთხოვთ მომცეთ „გზა“ №2-ში, პირველი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.
- 6. ვეხმიანები №2 მეორე მესიჯის ავტორს. ვთხოვ, დამიმესიჯოს.
- 7. გთხოვთ მომცეთ „გზის“ ბოლო ნომერში გამოქვეყნებული, პირველი ნერილის ავტორი გოგონას ნომერი.
- 8. გავიცნობ იმერულ გოგოს, 35 წლამდე.
- 9. გავიცნობ 18-25 წლამდე გოგონას, ეროტიკულ ფილმში მონაწილეობისათვის.
- 10. გთხოვთ, გამომიგზავნოთ „გზის“ №47-ის მე-9 SMS-ის ავტორის საკონტაქტო ნომერი.
- 11. გთხოვთ, მომცეთ №44, რიგით მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი.

- 12. ვარ 30 წლის, სიმპათიური ბიჭი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე ასაკის, ბინით უზრუნველყოფილ მანდილოსანს. გპო.
- 13. ვეხმარები „გზა“ №2-ის 1-ელი მესიჯის ავტორს.
- 14. ვარ 21 წლის, კარგი აღნაგობის ბიჭი. გავიცნობ 25 წლამდე ქალს.
- 15. ვარ 32/164/53. ვეძებ ჩემს მონაცემებზე არა უმეტეს გოგოს.
- 16. ვარ თბილისელი, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის მამაკაცი, სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 45 წლამდე ასაკის ქალბატონს, თუნდაც განათხოვარს.
- 17. გავიცნობ ოჯახის შექმნის მიზნით სერიოზულ ქალბატონს. ვარ 34 წლის.



## სხვადასხვა

- აუ, ყველანი ატეხილები და ნომერ პირველი გლეხები ხართ, რა!
- დიდი ხანია მანუხებს ერთი რამ: როდისღა უნდა გამოიცეს ქართული პროზის საგანძურში ჯეშალ ქარჩხაძე? ცოტა მალე, რა! ვასიკო კეჟერაძე.
- კასკუ, ჩემს ცხოვრებაში ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამდენი ხანი ვერ გნახავდი და ვიცოცხლებდი. ჩემო სიცოცხლე, წინასწარ გილოცავ დაბადების დღეს. გკოცნი ბევრს. ლიკა.
- კასკუ, დედა და ბავშვები კარგად არიან. ისინიც გილოცავენ და ბევრს გკოცნიან. ძალიან გვენატრები. შენი ჩახუტება მირჩევნია ყველაფერს. ჩუკის ბუკასთან უნდა ძალიან.
- კასკუ, ყოველ საღამოს მე და SMS-ები შენთან ვართ და მანდ მგონია თავი. მიყვარხარ ტკივილამდე. სიტყვებს არ შეუძლია იმის გამოხატვა, რასაც მე ვგრძნობ. გკოცნი, ლიკუნა.
- კასკუ, ჯანმრთელი, გახარებული

და მალე ჩვენთან დაბრუნებული მენახე. ღვთის წყალობა არ მოგაკლდეს და მისი მადლით, მალე ერთად ვიქნებით. უსაზღვროდ მიყვარხარ. მე — უფრო...

• 5-7, მეც მაქვს შენთვის ერთი სიურპრიზი. ვიცი, რომ ძაან გაგიხარდება. ჩემი ოცნებაც ახდა და ორშაბათს ოპერაციას ვიკეთებ. :) ცოტა კი მეშინია, მაგრამ მაინც აუცილებელია.

• მსუქანა, როგორ გამხდარხარ და გათეთრებულხარ?! ნუ ხდები, რა, მე მსუქანა მიყვარხარ. იცი, მგონი, ბატონები მაქვს. ცუდად ვარ. მიყვარხარ! მიყვარხარ! მიყვარხარ! გკოცნი.

• აუ, მართალია ახალი ვარ, მარა მივხვდი, ვინ რას წარმოადგენს! მისტერ, კლეოპატრა, რუისპირ, გენაცვალეთ. წყველა, ნუ ბლატობ, რა! ყველა მაგრები ხართ, გაკოცეთ! ბუხასო.

• გამარჯობა, მგზავნელებო! პირველად გწერთ და ახლახან გადავხვდეთ „გზის“ წინა ნომრებს. YELLOW და მისტერ, მაგარი ხალხი ხართ. თქვენი აზროვნება მომწონს. blooz.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსავალი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გამოფერა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ღ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



• გიონი-ნნი, როგორ ხარ? 21-ში, დილით გავიგეთ შენი ამბავი და ძალიან ვინერვიულეთ. უფრო მეტად იმის გამო ვინერვიულეთ, რომ წარმოვიდგინეთ, შენ როგორ იწერავდი იმ დღეებში. იმედი არ დავკარგეთ და ვნახოთ, უფალი რას გვიქადის. შვილო, შეეგუე შენს მომავალ ბედს, ყველანაირად. რას ჰქვია, საჭმელი არ ჭამო? ეგლა გვინდა, რომ რაიმე დაავადება შეგხვდეს? კარგად დაიფეთე, ყველაფერზე. სულ ამას გთხოვ, მხოლოდ შენს თავზე იფიქრე. ხომ კარგად იცი, რა მომავალიც უნდა გქონდეს; რა დამართე საკუთარ თავსაც და მშობელსაც? მაგრამ არა უშავს, ალბათ ეს გზა უნდა გაგველო. რაც მთავარია, უფლისგან სიცოცხლე გაქვს ნაბოძები. იქნებ შენთვის კარგი გაკვეთილი იყოს, რომ ყველა ადამიანში სპეციალური გული არ ფეთქავს. შენ ხომ ყველასთვის თავადაკლული იყავი, მათ კი დაგივიწყეს. იმედი მაქვს, ადრინდელზე უკეთეს სახელსაც მოიხვეჭე და უფრო კარგ საქმეებსაც გააკეთებ. უკვე სერიოზული, ავია და კარგის მნახველი, ჩამოყალიბებული მამაკაცი ხარ. მოგივინებთ გილოცავ შენი მიხუნას დაბადების დღეს. წინასწარ გილოცავ დედისა და ძმის დაბადების დღეს. არ ინერვიულო, თუ შენებურად, განსხვავებული სახარტისი, მჭეკარე ხმითა და მდიდრული სიტყვებით ვერ იტყვი ამ სადღეგრძელოს. ჩვენთვის ყოველი დღესასწაული შენ გარეშე მწარეა, თავს ზევით ძალა არ გვაქვს. დიდი მოთმინება უნდა გამოვიჩინოთ, ჩვენც და შენც. მამა პირველი წამოვა, ტანსაცმელსაც წამოვიდებო და შეხვედრავ განცხადებას დანერს. გთხოვ, შვილო, ძველებურად ივარჯიშე და ბევრი ილოცე. უფალი გვარავდეს.

• ბადრიკუნა, როგორ ხარ, სიხარულს? გული მწყდება, რომ ვერ გნახე, მენატრები. შენი ჯანმრთელობა მაღელვებს. თავს მიხედე, თუ რამე გინდა, გვითხარი... ახლა 2 ადამიანი მყავხარ საპატრონო მანდ და უამრავი — გარეთ... თითქოს მოკვდი და მხოლოდ ინერციით ვცოცხლობ, რადგან ყველას ვჭირდები... არ ვწუნებ... ვიცი, რომ ღმერთი ადამიანს იმდენ განსაცდელს უგზავნის, რამდენის ატანაც შეუძლია. არ გეგონოს, გავტყდი და რამე შეიცვლება... ყველაფერს შევტყდები ვიცი, სულით და გულით ჩემთან ხარ და მგულშემატყვრობ, ისევე, როგორც მე — შენ... ახლა რომ გვერდით მყავდე, ასე არ შემეშინებოდა... თავს მიხედე, შენი პირველი საზრუნავი ახლა ეგაა, რადგან სხვა არაფერი შეგიძლია და მაგამი დამეხმარე, რომ კარგად მყავდე იმედია, მომავალ კვირაში რაიმე საიმედოს მაინც გაგაგებინებ... გკოცნი და გეფერები, შენი დაიკო...

• ზვიჩა, ჩემო პატარავ... დედას სიხარულს და მტანჯველს. ვიცი, ნაიკითხავ ამას, ალბათ ელოდები კიდევ. მენატრე-

ბი... ყველას გვენატრები. საბა გვითხოვლობს, ეს ვ დღეა... თავს მიხედე, დედი... ხომ იცი, რომ შენი და შენი ძმის გარეშე ჩემი ცხოვრება არაფერია. როგორც ჩანს, დარდი მაკლდა და ახლა მომემატა. ბევრი იფიქრე... აწონ-დაწონე ყველაფერი... ჯერ მეც არაფერი ვიცი, რა იქნება და ამიტომ ვერაფერს გაგებინებ... გკოცნი და გეხუტები.

• მონიერით არასდროს მომიწერია, მაგრამ თვალში ნემსი მესიჯები მხედება. მომწონსარსავით და თუ შენც დაგაინტერესებს, ვინ ვარ, მომწერე.

• ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ გამოვიდა, საიდან აქვს ამ ხალხს ამდენი ზიზღი და აგრესია? ნუთუ ძალიან ძნელია, ყველა ჩვენს თავს მოვუაროთ? სრულიად კარგი და შეიძლება ითქვას, იდეალური განწყობილებით ვიყიდე ხუთშაბათს „გზა“ და... ბაყაყს ჰგავხარო; შენთან ნამესიჯები გოგო ოჯახში არ შეიშვებო... ველარც გავზარადი... ჯანდაბას, ბაყაყობას კიდევ ავიტან, მსხენე პრინციპსა და უფლისწულად გადაქცევის მოლოდინში, მაგრამ იმ გოგონებს რაღას ერჩით, ვინც მე მემესიჯება? თქვენს ლოგიკას რომ მივყვეთ, დარჩენილა ქართველი გოგონების უმეტესობა გასათხოვარი და ეგაა. :) რაც შეეხება იმ ქალბატონს, რომ მთლიან პირი და მთელი საქართველოს წინაშე ურცხვი ფანტაზიების მატარებელი მეძახა, მგონი, მთლად დალაგებული ვერ უნდა იყოს... არ გიფიქრია, რომ მე სხვა ამბავი მოვეყვი და შენი მეგობარი ოჯახის ამბავი უზრალოდ დაემთხვა ჩემს მონათხრობს? უმჯობესია, მსგავსი პრეტენზიებით მე მომმართოთ ხოლმე, პირადად... P.S. ნამო, რამე ზებუნებრივი ნიჭი ხომ არ შემამჩნიე, რაც ჯერ არ შემომჩნივია მე? რა ვიცი, ჯერ ტელეფონით დაფეხმძიმების ტექნოლოგია არ ამითვისებია და რად ამბობ უარს ჩემს მონათხრობზე? ავის მსურველნი, შემეშვიტეთ და იცხოვრეთ თქვენი ცხოვრებით! რუისპირი (YELLOW).

• მე მოგონებას გთხოვ მხოლოდ მაშინ, როცა საფლავში ღრმად მეძინება და ჩემს ნორჩ გულზე საბნის მაგიერ მწვანე ზალახი აბიბინდება. ესტრელა.

• ვისაც ამქვეყნად უსიყვარულოდ უცხოვრია, იმ ქვეყნად ვცხოვრობდიო, ამის თქმის უფლება არა აქვს. ესტრელა.

• მოკითხვა მისტერს და ქაჯს. :-) რუი, მაგარი ხარ. როგორ ახერხებ ყველასთვის თავის შეყვარებას? :-)

• მისტერი ძალიან მომწონს. მართალია, ცდილობს, ყველას თვალში ცუდი გამოჩნდეს, მაგრამ ეს არც ისე კარგად გამოისდის. მაგალითად, მე ძალიან მესაყვარლება. :-) ესტრელა.

• ლამის წყვილიაღვი, დღის სინათლეზე, სულ შენა გხედავ/ ფიქრის მორევში, სევდის ამბორში, შენს თვალს ვხედავ/ გულს მოლოდინში,

შენს მოლოდინში, ფიქრებში ჰყავხარ/ შენზედ ვლოცულობ/ შენ მენატრები, შენს სახეს ვხედავ/ ფიქრები სევდითა არის და... ისევ შენ გხედავს/ შენს მოლოდინში გული ატირდა, შენ რომ ვერ გხედავს/ მოლოდინს გულში დაღი დაუსვამს და შენზედ ლელავს/ შენ რომ უყვარხარ, შენ რომ უყვარხარ, ამიტომ ფეთქავს.../ მიყვარხარ. ჩემი გულის ფეთქვა ხარ. გაკოცეთ. ციკო-ედელვანი.

• ბაი, მაპატიე, რომ ვერ გიპასუხე, როცა რეკავდი. ვინერვიულე ძალიან. საავადმყოფოში ვინეკი გადასხმებზე და ტელეფონს ვერ ვაქცევდი ყურადღებას. სულ შენს ზარს ველოდები.

• ედელვანის, ჩემი განძი ხარ, კლეოპატრა — ჩემი სიხარული. ჭრიჭი, გეხუტე. მე ვერე მახსოვდა... 9717, ბოთე დაიკოს უყვარხარ, მოკითხვა ჯიგარ მგზავნელებს. ფლამინგო.

• ლამაზი ფიქრები, შენზე ფიქრები/ შენზედ ფიქრებში, ისევი ვინევი/ შენზედ დარდებში, ისევი ვიღლები/ შენზედ ლოცვაში არ დავიღლები./ შენ მეყვარები, არ მიგატოვებ/ სხვასთან არ ნავალ, და არ დაგთმობ მე/ შენზედ ვილოცებ, შენ არ დაგტოვებ/ მე მეყვარები, ჩემთან დაგტოვებ.../ ყველა მიყვარხარ. მუდამ თქვენთვის, ედე. ციკო-ედელვანის.

• ფუ, რა აფერისტვა ბოზები ხართ, რა!

• მსუქანა ბატონები მაქვს, ცუდად ვარ ძაან. შენ როგორ ხარ? ალბათ ვერ მოვალ შენს სანახავად, არ გეწყინოს. გკოცნი უამრავს. მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ.

• გულს, უშენობით დაღილილ-დაქანცულს, გულის კართან დაუკენსია, დიდხანს ვერ გნახავ და ვიტანჯები, ხშირად რომ გნახო, უარესია, გაბრაზებულა ჯიუტი გული...

• მოვიკითხვა ლავასტის, კლეოპატრას, ქაჯების დედოფალს, ფლამის, ედელვანის, რუის, კოზანოსტრას, ჯაყის-მანელს, ლუნას, მემეს, სკარლეტს, CRZY-ს, ეთოს და კუტრინას. გაიხარეთ. აურა.



• უფალო, რატომ მიმატოვე? რად გამინყერი მთლად? რა ვერ მაპატიე, ასე რომ მიყვარდა? რა ვერ მაპატიე, რა? გამადლობთ ჩემი მწუხარების გაზიარებისთვის, მგზავნელებო. ქვრივი.

• ჭორიკანა, ახალ ამბებს რომ ვერ იგებ, როგორ გრძნობ თავს? შენს სახელზე პარაკლისი გადავხდევინე მამაოს. ყველაფერი კარგად იქნება, მალე გეჭორავები. გკოცნი უამრავს.

• დათ, ისე გარბის აქ დრო, სწრაფად და უაზროდ. თუმცა, იმედი არ დაგვიკარგავს. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება. ერთ საოცარ, პატარა ბროშურას გიგზავნი. წაიკითხე.

• მოგესალმებით, ჩემო ლამაზებო, აი, მეც დაგიბრუნდით. ყველაფერი ახალი ხომ კარგად დაგინებულ იქვლია? ჰოდა, მეც დიდი ხნით წასული დაგიბრუნდით. მომნატრებისხარტო...

• დათ, ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს, ეტყობა. ერთი ვიცი, უფალოს მივინდოთ და ყველაფერი მოგვარდება. გვიყვარხარ, გესუტებით, მეც და ბავშვებოც.

• გამარჯობა! რაღაც მინდა გთხოვოთ: ადრე აქ იბეჭდებოდა „სხვისი ოცნების ქალი“. მგონი, ზუსტად მახსოვს. ვინმეს თუ შეგიძლიათ მითხრათ, სად შეიძლება ვიპოვო?

• ბოლოს ყველა სიკვდილის შვილები ერთ/ ყველა კვდება, აქ არავინ რჩება./ სიყვარულმა ეს გოგონა რომ დაღუბა./ სიყვარული უკვდავებად რჩება./ მას სჯეროდა სიყვარულის არსებობის./ მას სჯეროდა, რომ მასაც უყვარდა/ ის ცხოვრობდა ზღაპრებში და ოცნებებში./ ის არ იყო ამ ქვეყნისა, არა./ მის სპექტაკულს ბევრი როდი შეუძლია./ ის ხომ ერთი პატარა გოგო არის./ მას უყვარდა ოცნებებში სიარული./ მას სჯეროდა ჯადოსნური ზღაპრის./ ჯადოსნური ზღაპარიც ხომ კვლავ მთავრდება./ ეს ზღაპარიც დამთავრდება ახლა/ სიყვარულმა დიდი მარცხი განიცადა/ და ამ გოგომ ვერ გაუძლო ამას./ ის გაგიჟდა, შეიშალა, „ჭკვიდან“ შეცდა./ მან არ იცის, ქვეყნად რაღა უნდა./ მისმა გულმა გაცრუება განიცადა./ მას ხომ მხოლოდ სიყვარული სურდა./ ბოლოს ყველა სიკვდილის შვილები ვართ/ ყველა კვდება, აქ არავინ რჩება./ სიყვარულმა ეს გოგონა რომ დაღუბა./ სიყვარული უკვდავებად რჩება. ციკო-ედელვასისი.

• თურმე 20 წელი იმისთვის ვიცხოვრე, რომ ამხელა განსაცდელს ვზიარებოდი და ამხელა სიხარულს, რასაც შვილი შქვია. ყველაზე კარგი მარ, დამიბეჭდე რაა, მესიჯები. ქვრივი.

• თქვენი სიტყვების თამაშით ჩემს გაღიმებასაც ახერხებთ. მე ვეძებ ამ სამყაროში და ასე ვცდილობ გავიგო, რომ სამყარო საინტერესოა. მიხარია, რომ გამოვეთ... 18-12.

• ყველა ძალიან მიყვარხართ. ჩემთვის უძვირფასესები ხართ. გაკოცეთ. გმად-

ლობ მარი, ასეთი კარგი ადამიანები რომ გამაცანი. ჩაგებუტეთ მაგ გულში თქვენი. ციკო-ედელვასისი.

• გამარჯობა ყველა: მკითხველსაც და მწერალს! რუისპირი, თუ არ ვცდები, შენ მოჰყვეი ამბავს მწველ ძროხაზე?! მაინტერესებს: მწველელმა მოიბოდიშა ბოლოს? თემ.

• „გზასთან“ ვარ, მაგრამ მკითხველად ვრჩები. მოკითხვა ყველას, განურჩევლად სქეს-ასაკისა. მიყვარხართ გულთ. მემე.

• საღამოს სახლში გზრუნდები დალილი და მესმის ხარხარი. შექვანდი ოთახში და ვხედავ, ბიძაჩემი უყურებს „ნუ პაგადის“. მიფუჯეკი მეც და ვაჰ, რა კარგი იყო ბალნობა? მემე.

• 5-7, იცი, რა მინდა გითხრა? ერთხელ დედამინაზე ყველა ადამიანურმა გრძნობამ და თვისებამ ერთად მოიყარა თავი. სიგიჟემ თქვა: დამალობნა ვითამაშოთო. დაინყეს დამალვა. სიმართლე არ დაიმალა, მაინც მიბოვიანო. სიცრუე ცისარტყელში დაიმალა. სინამდვილე — ოკეანეში, სიზარმაცე — ყველაზე ახლოს. თავისუფლება ნიავს ამოუფარა, სიკეთე კარგა ხანს სხვას უთმობდა ადგილებს! რწმენა ზეცაში აიჭრა, შური კი სხევში მიიმალა. სიყვარული სადაც მივიდა, ყველა ადგილი დაკავებული იყო. ბოლოს ლამაზი ვარდის ბუჩქი იპოვა და შიგ დაიმალა. დაიწყო სიგიჟემ დამალული გრძნობების ძებნა. ყველა იპოვა... სიყვარულის გარდა. ბოლოს ვარდის ბუჩქი გადასწია და კვილის ხმა გაიგონა... სიყვარულს ეკლებზე დაეჭრა თვალბები და დაბრმავდა... მას შემდეგ დედამინაზე სიყვარული სიგიჟეს ხელჩაკიდებული დაჰყავს. :) შენი ბრალია, შენ გამაგიჟე. :) მიყვარხარ, არ მოინყეინო. მძუაა შენ.

• ქ-ნ ნანის მინდა მოვეფერო და ბოლოში მოვუხადო, რომ ვერ ვეზმინებე. გულში მყავხარ. ემის კი ვეჭყვი: დეი, ყველაფერი კარგად იქნება. ყველა დაკარგული მენატრებით. მემე.

• კასკ, ჩემო სიცოცხლე, სიგიჟემდე მენატრები. აუტანელია უშენოდ გატარებული ყოველი დღე და წუთი. ამ მოლოდინმა საერთოდ გაგავიჭრა. თავებს ვურტყამთ მე და ქეთო ერთმანეთს. დედა და ბავშვები კარგად არიან. სკოლა დაენყით და ჩაერთვნენ ფერულში. თითქოს ყველაფერი მონესრიგებულია, მაგრამ დროს რატომღაც წელავენ. მიყვარხარ უზომოდ. როგორ ვიფიქრებდი, 24-ში ერთად არ ვიქნებოდით, მაგრამ არა უშავს, მერე ყველაფერს ავინაზღაურებთ. ძმამო წამიყვანა, ავეჯი ვნახეთ და მაგარია. ამ დღეებში მოვიტანა. ომარის ცოლს ვასწავლე ყველაფერი. ჩემო ერთადერთო სიყვარულო, უშენობამ დამტანჯა, მაგრამ უფალი ჩვენთან არის და ყველაფერი კარგად იქნება. ბითა. შენი ლიკუნა.

• ლევანს: რა გგონია? შენს მესიჯებს რომ ვკითხულობ, ნერვიულობისგან ფრჩხილებს ვიკვნებ და კედლებზე გავრ-

ბი-გამოვრბივარ? სირბანჯო ხარ, რა. წერე და იკითხე.

• კლუბპატრონა იდეა მომეწონა და ამიტომ გადავწყვიტე, მე შემოგთავაზოთ ნომინაციები. მამ ასე: წლის საუკეთესო „გზაჯინა“ — წარდგენილია ულიბკას „გასკვანწული“ გოგონები, მისტერის „220-ვოლტიანი პასუხი“ და SVEET-GIRL-ის „უცხო პრინცი“ და გამარჯვებულია SVEET-ი გზაჯინით — „უცხო პრინცი“. ნომინაციაში — წლის აღმოჩენა, წარდგენილები არიან: ნანი ბებო, შალვა ბაციკაძე და ულიბკა. გამარჯვებულია — ულიბკა. ნომინაციაში — წლის დანაკარგი, წარდგენილები არიან: ნანი ბებო, პარიფანკა და ოლეგარიო და გამარჯვებულია ნანი ბებო. :( ვაგრძელებთ დაჯილდოებას... ნომინაციაში — წლის აქტიურობა, წარდგენილები არიან ნაომი, ლაკვასტი და რუისპირი და წლის აქტიურობა გახდა ნაომი. ნომინაციაში — წლის შენახენი, წარდგენილები არიან შალვა ბაციკაძე, ნაომი და ულიბკა. მამ ასე, მგზავნელებო, გამარჯვებულია ნაომი. :) (წუ ღლირძავეთ თვალბებს, ასე-მეთქი). წლის „დიდი და უშნო მუნუი“ წარდგენილები არიან მისტერი, რუისპირი და ლევანო. ამ ნომინაციაში დამარცხებული არ გყავს. წლის თბილი მგზავნელი, წარდგენილები არიან ფლა-მინგო, ნანი ბებო და მემე. დააა გამარჯვებულია ნანი ბებო. ნომინაციაში — წლის მატყუარა მგზავნელი, წარდგენილია რუისპირი და გამარჯვებულია გიორგი. ნომინაციაში — წლის რეიტინგული მგზავნელი, წარდგენილები არიან ნაომი, ულიბკა, მისტერი, რუისპირი, ლაკვასტი და ნანი ბებო. გამარჯვებულია მისტერი (სულ თქვენი ბრალია, იდიოტებო! არა, ისე ჩემი ბრალიცაა). P.S. გეყოოთ!!! მარ, იცი შენ, ამ მესიჯებს რაც უნდა უქნა. გენაცვალოს ნაომი.

• ძველად, განუწყრელი ძმაკაცები ცხოვრობდნენ, ერთმანეთის გვერდგვერდ. ყმანვილობის დროს შეარქვეს ერთმანეთს მეტლსახელები და როცა მოხუცდნენ, მამინაც იმ სახელებით მიმართავდნენ ერთერთს. ერთს თავა ერქვა, თავისი დიდი თავის წყალობით; მეორეს — ცხვირა. დამეთანხმებით, მოხუცებს ბავშვებით სწყინთ ყველაფერი. მათაც ყველაფერზე გული მოსდიოდათ და ხშირად კამათობდნენ კიდეც: — ცხვირა, ყმანვილკაცობაში შენზე მეტი ქალი რომ მყავდა, გემახსოვრება კარგად. — მამინაც ტრახახა იყავი, თვარა ქალები არც მე მაკლდნენ. ისე, რომელ კუბოში უნდა ჩაეტიოს ეგ შენი საკუბოვე თავი, ის გამაბებინა და მომკლა მერე. — მაინც მალე მოგაყრინა მინას და დავინახავ, რომელ კუბოში ჩაგვტევა მაი გასახმოი ცხვირი. — თუ შენზე ადრე წამიყვანა მიქელ-გაბრიელმა, ქე გაგიყოლებ თან. — დამანებე თავი, რაცხა ორიკინილა სიცოცხლე დამრჩენა, თუ კაცი ხარ... — ერთი თვის შემდეგ მართლა წაიყვანა ჩვენი ცხვირა მიქელგაბრიელმა. თავა



მწარედ დასტეროდა მეგობარს, შემინებული და ნაწყენი იყო, ქალებზე არანაკლებ მოსთქვამდა და გოდებდა. იმ ღამეს დაესიზმრა გარდაცვლილი ცხვირა, ღრმად დამწუხრებულ თავს და უთხრა, კაცი არ ვიყო, თუ თან არ ჩაგიყოლოო. როგორც ჩანს, მიცვალებულს რცხვენოდა, მეგობარს რომ ტოვებდა და უეცრად, ნაბორძიკებულ თავს თავით გადაემყა ორმოში. სასაცილო რა იყო, მაგრამ იქ მყოფებმა კი მაგრად იხალისეს. მურთაზმა კიდეც ერთი წელი იცოცხლა, მერე მასაც მოაკითხა მიქელ-გაბრიელმა და ძმაცის გვერდით დასაფლავეს. განძის მაძიებლის მაძიებელი.

• რამდენიმე დღის წინ ჩემი ამქვეყნად მოვლინიდან 22 წლისთავი ვიზეიმე. 15-ოდ მეგობართან ერთად ისე მოვიღხინე, რომ ის საღამო მართლაც „ზღაპრად იქცა, არაკად“, მაგრამ სამაგიეროდ, მეორე დღეს, უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზას ინერციით მიყვებოდი, თავში ფუმფულა ბალიშის მუტი არაფერი მიტრიალებდა. მაღალ ქუსლებზე შემხტარი (ერთხელაც ვემსხვერპლები მის სიყვარულს) მიცვანცარები და უცებ, ქვედაბოლოზე რაღაცამ დამქაჩა. უძილოს და აზროვნების ზონიდან გასულს მეგონა, ფეხი გადამბრუნდა და უფრო მყარად გადავდგი ნაბიჯი, მაგრამ ამაოდ, წინ ვერ წავინიე. შეძლებისდაგვარად, სწრაფი ბრუნით გადავხვი, შეგვრიალდი და ასფალტზე მჯდარი, შუახნის ქალი შემრჩა ხელთ, რომელიც გავლისას ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო ვერ შევნიშნე (თუმცა, არც გამოძინებული გამოვიჩრევი ყურადღების მაღალი ხარისხით). ხელი მომეცი, შენი ბედი გითხრა, ლამაზოო, — ამომხედა ქალმა.

• რომ გითხრათ, ქრომატიკით ვარ გატაცებული და მით უმეტეს — ქუჩაში (არც სახლში) ნაწინასწარმეტყველები ბედისა მჯერა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ამიტომ ვუთხარი, რომ მექარებოდა და ვერ გავჩერდებოდი, მაგრამ ისე დამეჭიდა ახალთახალ კაბაზე, შემეშინდა, არ დამიხიოს-მეთქი და ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე. გავჩერდი და ხელი გავუნოდე. მოკლედ, იმისთანა რამეები მითხრა, კინაღამ ხმამაღლა ვიყვირე, მიშა, მოვდივარ-მეთქი! ერთი სიტყვით, სულ მალე ქვეყნის ბედის გადაწყვეტას მანდობენ (საკუთარი ვერ გადაამინყევია), ავშენდები და ავაშენებ ხალხს. გარდა ამისა, ერს 3 შვილს შევძენ და მზესავით (ოღონდ არ ვიცი, მასავით დიდი თუ ცხელი) ქმარი მეყოლება (კიდეც ერთი ვარიანტია — მზესავით შორეული). ბევრი რომ არ გავაგრძელო, უძილობაც დამავიწყდა და მაღალქუსლიანი ჩემკაც. ალტაცებული წამოვდგი და მომავალს იმედით გავყურებ. ხუმრობა ხომ არაა, დღეს-ხვალ ქვეყნის სათავიდან დაგიკრავთ თავს. :) გკოცნით, დიდი პაუზის შემდეგ დაბრუნებული პარიჟანკა. P.S. ძველებო, დაბრუნდით, რაა.

უაზრობისკენ მიექანება ახლანდელი „გზავნილები“, ერთად ვუშველოთ! ჩუბი, გამიხარდა შენი ნიკის კვლავ დანახვა და იმედით მომეცა, რომ სხვა ნაცნობ და ნიჭიერებასთან ასოცირებულ სახელებსაც ვიხილავ „გზაში“.

• მარიამულ, სიხარულო, ხომ იცი, არ მიყვარს, როცა პრეტენზიას გამოეთქვამ ან რამე მსგავსს, მაგრამ გავბედავ და ჩემსას ვიტყვი: „გზავნილები“ საგრძობლად შეიცვალა, რაც ძალიან არ მომწონს (არა მარტო მე.) ადრე, 20 და მეტი გზავნილიც იბეჭდებოდა, რაც ახლა ვეღარ ხერხდება, 1-2 ვრცელი გზავნილის წყალობით. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც 4-5 გზავნილი იბეჭდება. ადრე ყველას ადგილი იყო, ახლა კი მარიამული ყველას ვეღარ ტევს, რადგან ჩვენმა მგზავნილებმა მართლა მწერლობა დაიწყეს, რაც ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ჩემი აზრით, ჯობს, მცირე და შინაარსიანი ამბავნი დანე-

რო, ვიდრე პატარა ამბავი მეტისმეტად განავრცო. განსხვავებული ფორმატით კი მცირე გზავნილის დაბეჭდვაც მოსულა, მთავარია, ამბავნი საინტერესო იყოს. ალბათ დამეთანხმებით. ვიმედოვნებ, ჩემს ნათქვამს სწორად გაიგებთ. წინა კვირას ორი ამბავი მივნიერე მარიამულს (ვფიქრობ — საინტერესო), მაგრამ ვერ დაბეჭდა იმავე მიზეზით, რაც ზემოთ აღვნიშნე. P.S. უთქმელო უღიბკა, შეამცირე, ჩემო ბატონო, ამბავი, მერე ბატონი რუსიპრიც შეამცირებს და ჩემი და დანარჩენების გზავნილებიც იხილავს დღის სინათლეს! მუდამ თქვენი ლუნა.

• მე ისეთი პატარა ვარ, სულ პატარა, ერთსახე, ყველა შენთვის მიჩუქნია, ეს ტანი და ეს სახე... ეს შევი თმის ნახი ბუჩქი, ჩემი ცოდვით, ქარი ტოტებს დაუნდობლად ამტერვეს, ლენავს. შენი სახლის ბილიკები, ბევრჯერ მარტო გამივლია, შენს ფიქრსა და შენს

## „გამომცემლობა ვალიბრა L“-ის ახალი წიგნები

### ჩემი პირველი დღეები



წიგნის დახმარებით პატარა ბავშვები შეუძლებენ დღიურ თავს ექსპერტის მისამართული ცვალებით ფოტოებით, სახელსა და გრაფიკული ნაგებობით... მრავალი მღის მუხლზე გაისვენებს. როგორ დანაყოფიყო?

ფასი: 14.99

### მოულოდნელ პაპაჩა



ამ წიგნის წყნარ, თავის მართვით გვეყვარება პატარა მამიკა. მამიკა შეგვიყვარებენ. მთავარი სურვილია რა მოხდება ჩამართვის გავალისათვაწავს გაიგონებო, ბავშვებს და მათ მოვლობებს შევადგათაოსებს.

ფასი: 15.99

### გრანდიოზული ნაგებობები



ნათქვამი ეს წიგნი და გვიღვი, როგორ შევძლებოდა პირამიდები, ცამები, ავლაშენები, ცითაშენები, კაშალები, ყონ-მოსური სადგურები და სხვა გრანდიოზული ნაგებობები... შეეცადეთ ამ ნაგებობებთან დაეხმარებოდეთ სიღვრული ნაგებობებს.

ფასი: 16.99

### ინტელექტი



ამ წიგნიდან თქვენ შეიძლებოდა როგორ ხელსა დასამაჯოლის გამოთხოვ. რა არის ბალოსიკა, კბეჭედიანალი, რაი აბსტრაქციული და დედნუხელი მოვლენები როგორ ვეფენ ვაშს. რას იფიქრებ დღეს ანალიზით.

ფასი: 16.99

### უფაშისის საომაკი აღზრდიანი



ამ წიგნის დახმარებით, იმეზგარეხი ცვლაშენის გარშემო, დატებით ჩუნი მუსიკის მწერნიერებით, იმედავთ: საქარის უღაზოს, ავლაშენის ჭეს ატებს, ისტაშენის ვეზარებს... ბუნებრივი ფოტოების საშუალებით ახლოდან შეუძინებთ ამ საოყარი აღვითებს.

ფასი: 16.99

### რა როგორ მუშაობს



წიგნი მარტო და ვასავით უნდა ვარტარტავს პატარა ცხოველსოვ ვარტებს 250 მიმზენლოუანი სივრთი, დანადგარისა და მონაო ბილბობის მოვრეცებას. ატსნის მათ რა შექარბობით მუშაობს კომპიუტერი, მიკროავლტური ცენტრი, ბუნომაჟი, მიმავლური ტელეფონი და მრავალი სხვა საოყადებლობერებო წიგნი თუ ხელსაწყო!

ფასი: 21.99

### უთენის დღეები



ნათქვამი დღიურებზე მთარწული დღესი და პაშლების დახმარებით ვაკოცხოვ ველოკიული დროშისა და მათი მუეობრების თავდასაავალი.

ფასი: 9.99

### ღარი და პატარა



ამ წიგნი თქვენ ნათქვამით და მხლბობით ანწობთ მამიკი ვერდლის აშავს, რაოპელ-მაკ ატის ბინდარში მრისანულომის ბრჭებობისად იხსნა.

ფასი: 9.99

შეიძინეთ წიგნის მალაშეებში!

წიგნები სახლი მიანნიმ დასამაჯარის ბავშვბ ბალ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

**გზა №4 27.1.2011 85**



ლოდინში, ხშირად ამივლ-ჩამივლია... ეს თვალები შენი ეშით, შავი ფანქრით ჩამიხატავს და მხატვარი ჩვენს სიყვარულს, ძალზე ჩუმად, ჩუმად ხატავს... მარიაშულ, დილა მშვიდობისა. გთხოვ, P.S. დამიბეჭდო, სადაც ვნერ, რომ ერთ-ერთი ლექსი შეცდომით იყო დაბეჭდილი, თორემ ერთი-ორი კუდს გამოიხამს. შენი ლუნა.

• ფერფლი ნასახლარებში, ჩონჩხების ხროვა ძვალგამოხრული და გამყინავი ქართა თარეში. ყარაყორუმი ნანგრევთა ტყეში, ყაჩაღთა ჯარი, ქურდთა ბრბოები... ქვეშის ქარბუქი, ისრების თქეში, ყინვის და თოვლის უდაბნოება. ყარაყორუმი. ხოცვა და გვემა, ცხენის ფლოქებქვეშ ბავშვის აკვანი, ველზე უბელო კვიცების რემა და გარტყოცნილი ცაში აკვანი, ყარაყორუმი. ყანა მონხული ხანძრით და ოხვრა ცას მიღწეული. ხალხების რისხვით ალყამორტყმული ყარაყორუმი, სამგზის წყეული! უხილავი.

• ყოველთვის მცნობოდა ულიბკა — იმ განსაკუთრებული გზავნილების ავტორი და აი, მგონი ვხედები, ვინც უნდა იყოს. მოვიკითხავ ნიჭიერ ადამიანს. უხილავი.

• ნიბირუს: ლაკვასტი ნამდვილად რომ თავისუფლს წერს, მე შენი მიმართვიდან დასკვნა გავაკეთე, ბოლბა გალაპარაკებს. ლაკვასტი ცუდს არაფერს წერს, ჩაუღრმავდი მის ჩანახატებს და განმტკიცდი სულიერად. ეს ადამიანი კარგ საქმეს აკეთებს, მე ვფიქრობ, მას ამით სურს, ერი სულიერი თვალსაზრისით გაძლიერდეს. შეარჩინეთ ერთი ღირსეული მგზავნილი. უხილავი.

• ლაკვასტს: თქვენ რომ ჩემს ასაკამდე მოხვალთ, ჩემს დონემდე კი არა, რუსთაველიანი ველარ გაჯობებთ. :) ყური არავის უგდო, შენ შენი გზით წადი და იამაყე ამ ნიჭით. უხილავი.

• ლაკვასტს: ჩვენს სიცოცხლეს სიყვარულის მეტი რა აქვს გამართლება, ჩვენს სიცოცხლეს სილამაზე ათამაშებს კამათლება. მშვენიერო, სულიერთა, სად გამტყორცნის ბედისწერა, რაკი ერთხელ გამოთენე, მე ამქვეყნად ერთი მჯერა: სიცხე დასწვავს ვაზის ფოთლებს, სეტყვა დახვეს, დაიჯაბნის, მაგრამ ერთხელ დამწველი ფორაჯები შაბიამნის, არც ნიაღვრით მოსცილდება, არც ნიაღვრით წაიშლება. შენზე ფიქრიც სიკვდილამდის თან მიმყვება კაუნებად. არ მეშვება შენი დარდი, შენს ხატებას შორს შევხარი. მე ყვავილი სადა ვაოვო, დაგიგდვიარ რტომემზმარი. მე უშენოს, სულიერთა, სად მომისწრებს ბედისწერა, ყველა რწმენა შენ წამართვი, მაგრამ რა ვქნა, შენი მჯერა. უხილავი.

• დამწვები პოეტებიდან და მწერლებიდან, შემოძლია, ხმამალა ლაკვასტი ვაღიარო ნიჭიერ და მეტად შემოქმედებით ადამიანად. ლაკვასტ, რამდენიმე დღის წინ, ჩვენმა საერთო ნაცნობმა შენ შესახებ ცოტა რამ მიაპბო

და აი, რა ნამოვიდა ჩემი გონებისეული, ნუთიერი დაბნევიდა: მითხრეს, სინთლემ გადამკრა ნუთით... ვერ დავარჩი მშვიდად და არხეინად, არც მყვარებისხარ, არც ჩემად მსურდი და მაინც ჩემად რაღაც მეწყინა. გათხოვდი, ბოლოს ყველა თხოვდებით... თითქმის ყველანი ხედებით დედები, თქვენი სიმართლით, თქვენი ცოდვებით მოძებნი თვინუს, მიეკედლებით. მაინც რად გვწყდება გული, რით არის? თითქოს ვშორდებით ვინმე ჩვენთან. თითქოს გვაკლდება ერთი სიზმარიც, ჩიტი ყოფილა და გაგვფრენია. შორით მომწონდი, მხედებოდი ნუთით, დღეს თითქოს ჩემი დატოვებ ბინა. არც მყვარებისხარ, არც ჩემად მსურდი, არ ვიცვი, გული რატომ მეტკინა... დიდი პატივისცემით, უხილავი.

• ვუსმენ ჩემი დაკარგული სიყვარულის ჰიმნს და... მაინც ბედნიერი ვარ, რადგან უფალმა არ მიმაცოცხლა... დიდება უფალს! კლეოპატრა.

• რუი, რამეხლა გზავნილი იყოოო. გენათალე, მიყვარხარ. კლეოპატრა.

• უნიკოვ, ჰოდა, გვერიდე, ატხილენი რომ ვართ, არაფერი მოგტეხით. ხობ! :) კლეოპატრა.

• მისტერ, ჩვენ შენი გზავნილებით ვცდილობთ გაღიმიებას. :) კლეოპატრა.

• ყოველთვის ხაზს ვუსვამდი, რომ ქორწინებამდე ახალგაზრდა უნდა ეცადოს, რაც შეიძლება ეკლესიურად ცხოვრობდეს და უმანკოება შეინარჩუნოს, ეს კი მას ორგვარ ჯანმრთელობას მოუტანს. სულიერი ცხოვრება საუკეთესო მონაცემია როგორც ოჯახური, ასევე მსოფლიურ გზის წარმართვისთვის.

დღევანდელი ქვეყნიერება გაბნეული მარცვლის... ყანას ჰგავს. გათელილი ბალახი, მინა, ჭუჭყში ამოსვრილი თავთავები და მხოლოდ სადღაც კიდებთან შეხვედებით გადარჩენილ თავთავს, საღი მარცვლებით. რაც უფრო მეტად იღვწის ადამიანი სულიერად ახალგაზრდობის წლებში, მით უფრო უადვილდება მას, რომელი გზაც უნდა აირჩიოს შემდგომში. რაც უფრო კარგად შეიარაღდება ის ომის წინ და რაც უკეთ მოემზადება ბრძოლისთვის, მით უფრო გაუადვილდება ბრძოლის ყამს, როდესაც ირგვლივ ტყვიები აზუზუნდება და ქვემეხებიდან გასროლილი ჭურვები აფეთქდება. ვიდრე გოგონა გადაწყვეტს, კეთილი და მოყვარული დედა უნდა გახდეს თუ მონაზონი, მან უმანკოდ უნდა იცხოვროს. ამიტომ ამჯერად მთელი თავისი ენერჯია და მცდელობა სწავლას უნდა მოახმაროს. თუკი ის თავის თვალსა და ყურს უფროსილდება, თუკი ის ბილწზრახვებს განდევნის, მომავალში გაცილებით ცოტა რამ ექნება მოსაშორებელი, ვიდრე აშშ-ს, უყურადღებოდ რომ ყოფილიყო. ანდა ყმანვილი! როდესაც ის მაგალითად, ლამაზ გოგონას შეხვდება, კეთილი ზრახვები უნდა აამუშაოს. მას ისე უნდა უქქერდეს,

როგორც რომელიმე წმინდანის ცოცხალ ხატს. ხოლო თუ გარყვნილი ქალიშვილი შეხვდება, მას ისე უნდა უყურებდეს, როგორც საკუთარ დას. ჩვენ ყველანი ხომ ადამის შვილები ვართ. ლაკვასტი.

• ცა ღრუბლებით მოიფანტა, გაისმა ქვეა-ქუხილი, ვაითუ სეტყვა მოვიდეს, გულმა დამიწყო ნუხილი. ქარმა ღრუბელი გაფანტა, გამოჩნდა დიდი მთავარეო, მამულში გავისეირნე, დარდები გავიქარვეო. დილით მზემ ამონათა, განათდა მთელი მამული, მთელი მინდორი ბრწყინავდა, დილის ცვრით გადანამული... შალვა ბაციკაძე.

• ქალბატონ ნანი დუმბაძეს: დიდხანს სიცოცხლეს გისურვებ, ძვირფასო ქალი ნანი, გული ღომისა გქონია, არწვისა კი თვალი. თქვენ წინ მუხლსა მოიდრეკს, კავკასიონის მთანი, შორსა მჭვრეტელი ყოფილხარ, განათლებული ქალი, ცხოვრებას ისე უწვრთნისხარ, ვით სააკაძის ხმალი. უცებ განსაზღვრავს ყველაფერს შენი გონების თვალი. შალვა ბაციკაძე.

• ანის: მოგესალმები, კარგო ადამიანო, რატომ გაგაოცა უსიამოვნოდ? ნაომი მართლა კარგი ადამიანია და ნუ შეაფასებთ იმ მესიჯებით, რაც არასასიამოვნოდ ფლერდა. ლაკვასტი.

• ქალ ეგზოტიკას ვულოცავ წარმატებას, წინსვლას და გახარებას, სულიერი სიმტკიცესა და სილამაზეს ვუსურვებ. მიყვარხარ. ლაკვასტი.

• ნაომ: ვერც მე შეგეღვი, დეეეეე, ეს ადამიანი, ხალხნო, ძალიან სერიოზული და განონანსოვრებულია. ლაკვასტი.

• პნკენა-პნკენაში შეყვარებული დამიფხმძიმდა და რომ გავიგე, ელდა მეცა, დავიბენი. მერე ცივ გონებაზე რომ დავფიქრდი, გამიხარდა კიდევ, ხომ შეიძლება, შვილი არ გვყოლოდა, თან თავს ხომ არ მოვჭრიდი შეყვარებულს და ჩათრევას ჩაყოლა ვამჯობინე, რითაც დღეს ძალიან გახარებული ვარ. ზოგი ჭირი მარგებელია. ტატო.

• რაც მთავარია, ულიბკას მესიჯები ხომ დაეჭია? მომენტატრა SWEET GIRL-ი. სად დაიკარგა? ძველები სულ დაიკარგეთ. და რააატომმმმ, ჰააააა?

• ახლა „გზის“ ძველ ნომრებს ვკითხულობ და ენიგმას (თუ ბერბიქას) მონატრება ვიგრძენი. განუმეორებელი გზავნილები აქვს. ნეტავ, დაბრუნდება ოდესმე? მისის-ნ.

• თვალებს სევდიანს შენი ნახვა მონატრებია, ამ გულს უშენოდ რახანია, არ უმღერია, როცა შენ გელი, ჩემი გული ბედნიერია, მე ახლა მიხვდები, უშენობა მართლა ძნელია. მისის-ნ.

• გამარჯობა, მარი და „გზის“ ერთგულებო. სევდამ, დარდმა და დეპრესიამ ერთად შემომიტი. გადაწყვეტიე, რომ ან აქ დავიმკვიდრო ადგილი, ან

# „კვირის პალიტრის“ კოლექსია „დიდი მხატვრები“

წიგნების სერია რჩეულ ფერმწერებზე - შუღვერები და ისტორიები  
**წიგნი XVI**

# კანაკაჯო - 14 თებერვლამდე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მეთხველისთვის სპეციალური ფასი 15 ლაში!



„კვირის პალიტრის“ ხელმძღვანელთა საყურადღებოდ! წიგნის შექმნის მსურველები  
დაუკავშირდით „ელვაჯი“-ს ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ



# ბაიბ-აუბი

## სიკვდილი სისოცხლის გადასარჩენად



ჯონ სტოუნაშვილი

ცოლ-ქმარი, ჯონ და ანა დარვინიები გაჭირვებულად ცხოვრობდნენ, მაგრამ მუშაობა არც ერთს არ უნდოდა. კრედიტებისა და ვალების დაფარვა არ შეეძლოთ და არსებობისთვის გამუდმებით ვალებს იღებდნენ. როცა კრედიტორებმა მუუღლებს საბოლოოდ გაფრთხილება მისცეს, ჯონმა თვითმკვლელობა გაითამაშა. 2002 წლის 12 მარტს, მდინარეზე კანოეთი საცურაოდ გაემგზავრა და გაუჩინარდა. ერთწლიანი ძებნის შემდეგ, ჯონი გარდაცვლილად გამოაცხადეს, მისმა „ქვრივმა“ დაზღვევის სოლიდური თანხა მიიღო და საცხოვრებლად პანამაში გადავიდა. სიმართლე 5 წლის შემდეგ გაირკვა და მუუღლები თაღლითობისთვის გაასამართლეს.

ბენი ვინტი ნარკომოვაჭრე იყო. მას პოლიცია და სხვა ნარკომოვაჭრეები ემტერებოდნენ. ბენიმ ცხოვრების თავიდან დაწყება გადაწყვიტა, მანამდე კი უნდა „მომკვდარიყო“: ერთ საღამოს, საცოლესთან ერთად პლაცზე სეირნობისას, ვინტმა ცურვა მოინდომა და ცოტა ხანში თვალ-

სანიერიდან გაქრა. შემფოთებულმა საცოლემ პოლიცია და მამუელები გამოიძახა. რამდენიმე დღიანი ძებნის შემდეგ, პოლიციამ მამაკაცი გარდაცვლილად გამოაცხადა. ამასობაში ბენი წყლიდან „მშრალი“ ამოვიდა. ჩრდილოეთ კაროლინაში დასახლდა, თავი ბილ სვიტად გამოაცხადა და სხვა შეირთო ცოლად. სიმართლე მოულოდნელად გამჟღავნდა. 2009 წელს ბენი-ბილი ავარიაში მოყვა. პოლიციამ დაზარალებულებს თითის ანაბეჭდები აულო და ერთ-ერთი დიდი ხნის წინ გარდაცვლილ ადამიანს ეკუთვნოდა.

ჯონ სტოუნაშვილი ცნობილი ბიზნესმენი და ფინანსისტი იყო. საკუთარი კაპიტალის გასაზრდელად ის ფინანსურ აფერას ხშირად მიმართავდა. როცა შეიტყო, რომ სამართალდამცველები მისი მაქინაცეებით დაინტერესდნენ, თვითმკვლელობა გაითამაშა. 1974 წლის 20 ნოემბერს, ზღვის ნაპირზე ტანსაცმელი და გამოსამშვიდობებელი წერილი დატოვა. თავად კი ავსტრალიაში გაემგზავრა. ძველი პროფესია — ფინანსური მაქინაცეები

ვერც იქ დაივიწყა. ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელმა სტოუნაშვილი ამოიცნო და პოლიციაში დაასმინა.

ფილიპ სესარგო ბრიტანეთის სამეფო არტილერიაში მსახურობდა. მთელი ცხოვრება ჯამუშობაზე ოცნებობდა. სურდა, ჯეიმს ბონდისვით პოპულარული გამხდარიყო. ზემდგომებს წერილობით არაერთხელ მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, სესარგომ საკუთარი სიკვდილი გაითამაშა — ვითომ, ბოსნიაში ნალმზე აფეთქდა. სინამდვილეში, სამშობლოში ტომ კერიუს ფსევდონიმით დაბრუნდა. მოგვიანებით კი წიგნი — Jihad დაწერა. წიგნმა პოპულარობა მოუტანა, განსაკუთრებით, ამერიკაში. ნიუ-იორკის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ, სესარგო-კერიუს სხვადასხვა შოუში ინვესტდნენ. ერთ-ერთი ინტერვიუს დროს კი ფილიპი საკუთარმა შვილებმა ამოიცნეს.

ამერიკელი სამხედრო არტურ ბენეტი რამდენჯერმე ამხილეს სექსუალურ ძალადობაში. პატიმრობის თავიდან ასაცილებლად, ბენეტიმ საკუთარი სიკვდილი გაითამაშა. საკუთარ ავტომობილში ვილაციის გვამი მოათავსა და მანქანას ცეცხლი წაუკინდა. ოჯახის წევრებმა, რომლებიც საქმის კურსში იყვნენ და არტურს ეხმარებოდნენ, ტრაგედია და გლოვა გამოაცხადეს. ყოფილი სამხედრო საცხოვრებლად იუტას შტატი გადავიდა და ჯო ბენსონი დაირქვა. მისი ვინაობა სრულიად მოულოდნელად გაირკვა. ბარში ჩსუბის დროს პოლიციამ ყველა დაზარალებულს თითის ანაბეჭდი აულო და სამხედრო ამოიცნო. ბენეტის სიცოცხლე ტრაგიკულად დასრულდა. დაპატიმრების შემდეგ, 1999 წლის 12 ივლისს, მან საკანში თავი ჩამოიხრჩო.



სესარგო-კერიუსი





# პოპულარული სადღეობრკელოები

სადღესასწაულო დღეების დასრულების შემდეგ, ინტერნეტსაიტებზე პოპულარული სადღეობრკელოების რეიტინგი გამოქვეყნდა. საინტერესოა, რა სიტყვებს (სადღეობრკელოებს) წარმოთქვამენ საახალწლო სუფრასთან სხვადასხვა ქვეყანაში. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს:



✦ ფრანგები ყველაზე ხშირად ჯანმრთელობის სადღეობრკელოს სვამენ — A votre sante. ამ სადღეობრკელოს შემოკლებულადაც ამბობენ — sante. სხვათა შორის, სადღეობრკელოს წარმოთქმის შემდეგ ისინი სასმისს სუფრის ყველა წევრს უჭახუნებენ. ჩვენებური „ბუჩქი“ — ყველა სტუმრის ჭიქის ერთდროული

მიჭახუნება მათთვის უცხოა.

✦ ინგლისელებმა ჭიქის მიჭახუნება საერთოდ არ იციან. გამორჩეული სადღეობრკელოებიც არა აქვთ. დაღვების წინ მხოლოდ ერთ სიტყვას — Cheers წარმოთქვამენ.

✦ გერმანიაში სტუმრები მაშინ სვამენ, როცა ოჯახის უფროსი Prosit-ს იტყვის. კიდევ ერთი გავრცელებული ვარიანტია „ცუმვალ“.

✦ საახალწლო სუფრასთან შვედები Skoal-ს წარმოთქვამენ. სადღეობრკელოს პირველად ოჯახის უფროსი ამბობს. იგი სუფრის თითოეულ წევრს გადახედავს, „სკოლს“ იტყვის და შესვამს.

✦ ირლანდიელები წარმოთქვამენ — „სლინტს“, იტალიელები — „სალუტს“, უფრო ხშირად კი — „ჩინ-ჩინს“, ესპანელები — „სალუდს“. ებრაელთა ყველაზე პოპულარული სადღეობრკელოა — LChayim. ჩინეთი ტრადიციების მოყვარული ქვეყანაა. საახალწლო სუფრაზე სადღეობრკელოებსაც ამბობენ და ერთმანეთს ჭიქებსაც უჭახუნებენ, მაგრამ უფროს-უმცროსობის წესს იცავენ. მაგალითად, თუ ასაკით უმცროსი უფროსს



ჭიქას უჭახუნებს, ჭიქის ზედა ნაწილი უფროსის ჭიქის ფეხს უნდა შეეხოს. ამით ის უფროსისადმი პატივისცემასა და მორჩილებას გამოხატავს.

მერიქიფემ ჭიქები ბოლომდე უნდა გაავსოს, ამით ის სტუმრებისადმი პატივისცემას გამოხატავს. დაღვების წინ ჩინელები წარმოთქვამენ: „კან პეი“ (ან „კამპაი“), რაც ჩვენებურად ბოლომდე შესვის ნიშნავს, ჩინურად კი — „მდინარე დააშრე“.

**ტროპიკული ტყეების მრავალფეროვანი და უსწაური ბინადარნი!**

**ბინადრობან თუ არა „ტყის კახები“ ტროპიკულ ტყეებში?**

**გაიგაით უფრო მეტი!**  
**24 იანვრიდან - 31 იანვრამდე**  
 მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის  
 სპეციალური ფასი 15 ლარი!

**სამგანწოდებელი (3D) გამოსახულებები**  
 შეიძინეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

„კვირის პალიტრის“ ხელმოწერით სავარაუდოდ!  
 ნიგნის შემცნის მარკეტები დაუკავშირდით „მ.გ.გ.გ.“-ს  
 ტელ: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერვის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ!

**გომი №12**

სერია „ეს სამყარო“-ს ნიგნები: №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10 და №11 იყიდება ნიგნის მაღაზიებში!



დასაწყისი იხ. გვ. 82

ზეცაში. მეშველება რამე? მისის-ნ.

• რუსისპირ, საკუთარ თავს იტყუებ, შე ტვინში ბინძურებით საცვე დოყლაპია, ბინძურო პარაზიტო. ეს უნდა მეთქვა. შენი სიცოცხლე ნაომი. ძაან მაინტერესებს, მარ, ამ მესიჯს თუ დამიბეჭდავ.

• უკაცრავად, თემის გარეშე გნერთ, მეტი გზა არ მაქვს. 2 გვი ძმაცაცი მყავს, 1 თვეა, რაც გავამზავრე, ჰოდა, თან მიხარია, თან მწყინს. :( ძაან მენატრებიან. :( იმთ ვერავინ ჩამინაცვლებს, მარა უზომოდ დამაკლდნენ და ვინმე გვი გამოქვამაურეთ, პლზ! ოღონდ მანერული და ძაან ქაქანა თუ იქნება — უკეთესი. :) თუ თბილისში მცხოვრები მომწერ, უკეთესი. არ მიყვარს გაზეთები (უკაცრავად მკითხველებთან), მარა მეტი გზა არ მაქვს.

• „გზის“ ერთ ნომერში 14 წლის გიგას ამბავი დაიბეჭდა და მინდა დაახლოებით იმავე თემაზე ვისაუბრო, ოღონდ სქესის საპირისპიროდ. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ.

• მინდა, საზოგადოებას მივმართო. რატომ სჯით ასეთ ადამიანებს? მთავარი არ არის, გაციცხოთ, სიკვდილისთვის გაიმეტოთ ან თუნდაც ჩაქოლოთ. ვერ გრძნობთ, ჩვენნიარი ადამიანები ნუგეშს რომ ეძებენ თქვენს თვლებში; ხელს გინვლიან მეგობრობისთვის. მე ჩემი ადგილი დიდი ხანია, დამკვიდრებული მაქვს და სულ ცოტა ხნის წინ მივიჩნევდი, რომ დავიკარგებოდი, მაგრამ თურმე ჩემნიარებიც უყვარდებოთ. მგონი ზედმეტია, რომ წერთ, შენნიარი შვილს მოკვლავდით. ვერაფერსაც ვერ უზამდით, დამიჯერეთ. ის ღმერთმა ინება ასეთი ყოფილიყო. ცხოვრება არჩევანის საშუალებას არ გვაძლევს და რა თქმა უნდა, ეს ჩემი SMS-ები ანონიმური იქნება, დარწმუნებული ვარ. მე არ ვეძებ ნუგეშს, რადგან დიდი ხნის წინ გამოვედი სასონარკვეთილებიდან და დავიწყე ყოველდღიური ცხოვრება, მაგრამ გიგას ამკარად დეპრესიული პერიოდი აქვს. რატომ გძულვართ? იმიტომ, რომ თქვენ არ ხართ ასეთები? განა რა დაგიშავეთ? მართალია, თქვენნიარი არ ვარ, სამაგიეროდ, თქვენზე მეტი მეგობრობა, სიყვარული და ერთგულება შემიძლია. მე 30 წლის გოგო ვარ. მიჭირს ალიარება, მაგრამ ასეა. მე ტრანსსექსუალი ვარ და სულაც არ მიჭირს, ვიყო ამ საზოგადოების წევრი. სანამ არ გეტყვინება რაიმე, სხვას ვერ გაუგებ. არც ვიმალები და არც მრცხვენია ამის ალიარების. ვიცი, ბევრი გამკიცხავს და სანამ ასე მოხდება, მინდა ყველას ვუთხრა: თანადგომა — ეს უპირველესია, სიძულვილი — ძალიან ადვილი. ნუ იქნებით დარწმუნებულები, რომ თქვენში ეს არ მოხდება. მოძღვარიც მყავს და მან ყოველი ნაბიჯი იცის ჩემი, კურთხევაც მაქვს ოპერაციისთვის, რადგან მე ეს ძალიან მჭირდება. ავადმყოფები არ ვართ. გეთანხმებით, რომ ბუნების შეცდომაა და არა — ჩვენი.

ნებისმიერ ადამიანს დაუდგები წინ და გამარჩიოს, რომელ სქესს მიეგუთვნები. საძულველები კი არ ვართ, ისეთები ვართ, როგორებიც ყველა, ოღონდ მცირედი ცვლილებით. ჩემ გვერდით მყოფი ადამიანი სრულიად ნორმალური გოგოა. მან დაინახა ჩემში ის, რაც არც ერთ მამაკაცში არ დაუნახავს. რა ჩემი ბრალია, თუ ასეთი ცვლილებით დავიბადე? ამიტომ არ მაქვს უფლება, ვიცოცხლო, მიყვარდე, ვუყვარდე? ნუ იქნებით ჯალათები. მე ტრანსსექსუალი ვარ. მყავს საყვარელი ადამიანი, ვცხოვრობ მის ოჯახში და შემიძლია, ნებისმიერ მამაკაცზე მეტი სიყვარული და ყურადღება მივეცე. ძალიან მალე გავიკეთებ ოპერაციას. არც ჩემი მეგობრობისთვის ვარ საძულველი, რადგან ეს აუცილებლობით არის გამონეული. შინაგანად მამაკაცის ორგანოებით დავიბადე, გარედან კი — გოგოსი.

• ღამის ბინდში გაივლვა ცაზე მთვარემ, მისმა სხივმა გაანათა არემარე, ანგელოზი ცაში რეკავს წმინდა ზარებს და ძილის წინ ღმერთს შენზე ვთხოვ, დაიფარე! ნი87.

• ღმერთმა გაგიზარდოს და კარგად ამყოფოს შენი დისშვილი და შენი ოჯახი, ნაომი. გაბედული და მამაცი გოგო ხარ, მე კი ამას ძალიან ვფასებ ადამიანში. გკოცნიით. გურული.

• ისე, მისტერ, ძაან მაგარი როჟა ხარ. მაგარს მაკაიფებ. გამეცანი რა, მიდი!

• კლეოპატრა, დიდი მადლობა, რომ გახსოვარ. გაიხარე. კამ...

• მე ახალი ვარ და პეპის სახელით მოვიხატე. ყველა ძალიან მიყვარხართ.

• მიღე, მთავარი ადამიანობაა და არა ის, რომ რუსი ხარ თუ სხვა ეროვნების. მე ძაან მიყვარხარ და მიხარია, შენი სახით ღამაზ ანგელოზს რომ ვიცნობ. გაკოცე. გრუზინკა.

• ყველაზე მაგარი, იცით, რა იყო? ჩემი ძმები სამსახურში წავიდნენ, მე და ბიძაშვილი კი დაბადების დღე ცივ სახლში, გაცხელებული პიურეთი აღვნიშნეთ და ცივ სანოლში დავიძინეთ, მაგრამ გული გვეკონდა სითბოთი და სიყვარულით საცვე. მაშინ 19 წლის ვხდებოდი. ჩემმა კურსელმა და მეგობარმა ლადომ იცოდა, როდის მქონდა დაბადების დღე და წინასწარ გამაფრთხილა, დაუვიწყარი დაბადების დღე გექნებაო. დილით რომ მივედი ლექციაზე, წარწერებიანი ბუშტებითა და საიუბილეო სიმღერით შემხვდნენ. კინაღამ ყველა გაგვიცხვს ხმაურისთვის. დაახლოებით 10 ბუშტი იყო გაბერილი. ლექციების მერე „კოლმეურნეობაზე“ ავტობუსის მომლოდინე, გაყინული იუბილარი ბუშტების გამყიდველი ვეზონე პატარა ბავშვს და მამამისი მომყენა, ბუშტი რა ღირსო? როგორც იქნა, მოვიდა ავტობუსი და ჩემს ბედად ადგილიც იყო. ავეკვეცე და კარმა ერთი ბუშტი გამიხეთქა. ძლივს დავეტიე სკა-

მზე. ჩემმა ბუშტებმა მგზავრები გაამხიარულა. ჩემმა ძმამ უკეთესად შემამკო, სახლში მისული: სუფთა ფირისმანის ნახატი ხარ, გოგონა ბუშტით.

• გადამრვეს ეს ხალხი, ლაკვასტსაც მისწვდნენ. რა იყო, რატომ გშურთ ნიჭური გოგოსი? სხვათა შორის, მალე წიგნს დაასრულებს და გიპროტექტორებს, დაგპატივოს.



გილოსავ!

• თინიკო შილათავას და ლაშა ზარგინავას ფოთში, ვულოცავთ პატარა გოგონას შექენას. გაზრდილიყოს სასახელო გოგო. ირაკლი კომახიანი და მეზობლები ფოთიდან.

• ქეთი და ნუგზარ, გილოცავთ პატარა ნიკოლოზის შექენას. გამრავლდით და გაიხარეთ. ნათია და დათო.

• ნინიკო ქარქაშაძეს: ჩემო პატარა ანგელოზო, გილოცავთ ნინოობას, ჩემო სიხარულო. ნათია და დათო.

• ჩემს სიცოცხლეს, ნინო გაბაძეს და ყველა ნინოს ვულოცავ ნინოობას. გფარავდეთ მისი მადლი.

• ჩემს ულამაზეს ძმისშვილს, მაიკო არაბულს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერებას და ღამაზი დღეების სიმრავლეს. ამირანი.

• ქალბატონ ნაწულს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მრავალ სიხარულს. დებსნარი მრავალს, შენს ოჯახთან ერთად.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შემგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



დასაწყისი იხ. გვ. 64

ტყვასთან. სიცოცხლით ტყებზე და სიკვდილსაც ისე ეთამაშება, როგორც უძვირფასეს ახლობელს...

**ნათია ორმოცაძე:**

— ჩემი ფიქრით, იმის მიზეზები, თუ რატომ ცდილობდა, მწერალი ასე თავგამოდებით მუდამ ყურადღების ცენტრში ყოფნას და რატომ მოსწონდა მას, რომ ის გამუდმებული მითქმა-მოთქმისა და ჭორაობის საგანი იყო, უნდა ვეძებოთ მისსავე ხასიათში. ჰემინგუეი იმსახურებდა ყურადღების ცენტრში ყოფნას და მოსწონდა კიდევ, რომ გამუდმებული ჭორების საგანი იყო. შეიძლება, მისი ამ ხასიათის გამძაფრებას სამსახურმაც შეუწყო ხელი — სკოლის დამთავრების შემდეგ კანზას-სიტიში გადავიდა, სადაც მუშაობა გაზეთში — STAR რეპორტიორად დაიწყო. იქ მას ჰქონდა შემთხვევის ადგილზე კონტაქტი დამანაშავეებთან, მკვლელებთან, მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან. ის მუდამ იქ იყო, საითაც მთელი საზოგადოების ყურადღება იყო მიპყრობილი. თვალყურს ადევნებდა ყველაფერს, ცდილობდა, ამოეცნო დანაშაულის მოტივები, იმასხოვრებდა დამანაშავეების სახეებს და შემდგომ იყენებდა კიდევ თავისი ნაწარმოებებისთვის. აქ ხდებოდა მისი ლიტერატურული სტილის და შესაძლოა, ხასიათის ჩამოყალიბებაც.

**მაია ბოძაძე:**

— ჰემინგუეი, მოგესხნებათ, ქარიზმატული პიროვნება იყო, რომელსაც მოგვიანებით შემდეგი დიაგნოზი დაუსვეს — მანიაკალური დეპრესია. ვფიქრობ, ამის ფონზე, მას სულაც არ სჭირდებოდა „ხმაურიანი“ იმიჯის ხელოვნურად მოპოვება, მისი ცხოვრება ისედაც გაუთავებელი მოგზაურობებით და სასიყვარულო ინტრიგებით იყო სავსე. მისი ნაწერებიც ხომ ფაქტობრივად, იმეორებდა ერნესტის ხასიათებსა და ყოფით გამოცდილებას.

— **საინტერესოა, ვინ არიან თქვენ რჩეული მოწოდებლები და განსაკუთრებით, რომელი თაობის წარმომადგენლებისთვის იქნება ეს პროექტი საინტერესო?**

**ნათია ორმოცაძე:**

— ნებისმიერი საზღვარგარეთელი კლასიკოსის ხელახალი გამოცემა ძალზე საინტერესო იქნება, მაგრამ მე მაინც გამოკვეთილად აღვნიშნავდი ჩემთვის უსაყვარლეს ავტორს, რომლის ქართული თარგმანიც მგონი, არ უნდა არსებობდეს, და რომელსაც ქართველი მკითხველის უმრავლესობა რუსული თარგმანით იცნობს, ეს არის ტორნტონ უაილდერი. ეს ავტორი ყველა

# მთხრობალი – ერნესტ ჰემინგუეი

თაობის მკითხველისთვის საინტერესო იქნება. ამ სერიით გამიხარდებოდა თომას სტერნ ელიოტის, უოლტ უიტმენის, ეზრა პაუნდის შემოქმედებასთან შეხვედრა. შეიძლება, ამ ავტორთაგან ზოგიერთი უკვე გამოცემულია, მაგრამ სასიხარულო იქნებოდა, ნიგნის მალაზიების თაროებზე მათი, კიდევ ერთხელ, ხელმისაწვდომ ფასად შექენა.

**არჩილ ბაგზარდია:**

— თუ იმ ასაკს დაეუბრუნდებით, როდესაც ჰემინგუეის გავცვანი, ალბათ ამავ ასაკის ახალგაზრდებზე გავამახვილებდი ყურადღებას და გავისხენებდი, ხოლო მოზარდებს ვურჩევდი, ნაეკითხათ — რემარკი, სტაინბეკი, თომას მანი და ა.შ.

**ვაჟა ხორაშული:**

— მსოფლიოს მწერლობა მდიდარ-

ია გიგანტებით. პროექტის ავტორთა წინაშე უდიდესი საგანძური. მომდევნო ნიგნებში ვისურვებდი ისეთი „ლომების“ გამოჩენას, როგორებიც არიან — სერვანტესი, შექსპირი, დოსტოევსკი, ფოლკნერი, ბორხესი, თომას მანი, მარსელ პრუსტი (რომელი ერთი დავასახელო). ეს ისეთი პროექტია, ნებისმიერ თაობას რომ გამოადგება, განსაკუთრებით კი — ახალგაზრდობას, ვინაიდან სწორედ ახალგაზრდობის უდიდეს ნაწილს გამოაცალა „მღვრიე დრომ“ ყველაზე მტკიცე საყრდენი — ნიგნი. ამ საყრდენის გარეშე ადამიანი ერთ ადგილზე გაიყინება და ვერ ეზიარება იმ დიდ სიხარულს, რომელიც სიტყვაში გაცხადებულ სიბრძნესთან ურთიერთობისას იბადება.

## ისტორიული უპეცნებითი შუკნალი

თებერვლის ნომერი

ისტორიანი 13 საბელისნაილუ

ბიოხი ბაჩაბაი სუნაოუბის ჰიხნსი

ხატომ ვეი იხსნას „სიხანიანი“

მთავარი რედაქტორი ჯაბა სამუშია



# „ბევრი ნაცნობი და ახლოხელი მყავს, მეგობარი — კალიან სოტა“

„ბებიები მყავდნენ გამოჭერლები და დიდი ხნის მანძილზე სასურველ ნაწარმოებებს ისინი მიკითხავდნენ, ყველა ახირებას მისრულებდნენ, ზოგჯერ ერთსა და იმავე წიგნს რამდენჯერმეც ვაკითხებდი. დღეს იმავეს გაკეთებას, ვინმემ რომ მთხოვოს, ვერ შევძლებ,“ — მითხრა მუსიკოსმა ქეთათო ჩარკვიანმა. სწორად იმ ლიტერატურის ნაკითხვაზე უარს აცხადებდა, რომლებსაც უფროსები ურჩევდნენ, ზრდასრული ასაკისთვის განკუთვნილი ლიტერატურა უფრო იტაცებდა. ბავშვობიდან დღემდე ერთი უცნაური თვისება აქვს, „საყვარელ წიგნებს და დისკებს, ვინც უნდა იყოს, არავის ვათხოვებ. უარს ისე ვეტყვი, არც შემრცხვება“.

თაყნა კინიკაძე

## პრეაგულის მავიჯი

- ბევრი საყვარელი წიგნი და დისკი გაქვს?
- საკმაოდ. ბორხესის, ნიცშეს წიგნებს ვერავის გავატან.
- წიგნი მოგიპარავს?
- არასდროს არაფერი მომიპარავს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, მაღაზიაში ზედმეტი ხურდა მოუბრუნებიათ, მივმხვდარვარ და არ მიითქვამს. წიგნის ქურდი ყველაზე დიდი ქურდია!
- მეგობრად რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს აირჩევდი?
- (პაუზის შემდეგ), ბევრი ფიქრი არც მინდა, ირაკლი ჩარკვიანის — „მშვიდი ცურვიდან“ რობინ ჯეის დავასახელებ. ეს პერსონაჟი თავად ირაკლია.
- ვიცი, რომ პოეზია გიყვარს. ზეპირად ბევრი ლექსი იცი?
- ლექსი არასდროს მისწავლია. რომელიც მომეწონება, თავისით მაშასობრდება. გალაკტიონის, ლალო ასათიანის ნაკითხვა ემოციებით მავსებს. ზოგჯერ ერთ ლექსს ან მელოდიას ამოვიჩემებ და მთელი დღე თავში „მიტრიალებს“.

- მითხარო, წიგნების განათხოვრება არ მიყვარსო, ერთ ქართულ პოეტს სახლის შესასვლელ კარზე ასეთი წარწერა ჰქონდა: „მეგობრებო! ჩემს ბინაში რომ მოდინართ ასე სწორად/ ბოდიშს ვინდი, თქვენს წინაშე/ მაგრამ გეტყვით პირდაპირად/ თუ არა გსურთ, რომ ჩვენს შორის/ უძრავობა ჩამოვარდეს,/ სურნელება ჰქონდეს შორის/ ჩვენს გულელებში დარგულ ვარდებს,/ თუ არა გსურთ, მძლედ და უხმოდ/ დამიჩაგროთ პოეტს გული/ წიგნებს ნუ მთხოვთ! წიგნებს ნუ მთხოვთ/ შეისმინეთ ჩემი თქმული“. დაასახელე ეს პოეტი.
- ამის შესახებ მსმენია, მაგრამ პოეტის ვინაობა არ მახსოვს.
- იხსებ გრიშაშვილი. იერუსალიმში, სინას მთის ფერდობზე „წმინდა პეტრეს“ სახელობის ეკლესია მდებარეობს. გადმოცემის თანახმად, ეკლესია სწორედ იმ ადგილზეა აგებული, სადაც პეტრეს შემოესმა... რა შემოესმა მას?
- დღეს დაკითხვაზე ვარ?
- უფრო სწორი იქნებოდა, გვეითხა: — გამოცდაზე ვარ?



- ეს რომ მცოდნოდა, არ შეგხვდებოდი...
- ახლა აქ ხარ და დასმულ კითხვაზე უნდა მიპასუხო.
- არ ვიცი.
- მიგანიშნებ, პეტრეს ერთ-ერთი ფრინველის ხმა შემოესმა.
- მტრედის ხმა იქნებოდა, არა?
- ცდები, მას შემდეგ რაც ქრისტე სამჯერ უარყო, მამლის ყვილი შემოესმა.
- გამახსენდა, რთული კითხვა არ იყო, უნდა გამომეცნო.
- „ჩემს ცხოვრებას ცოტა ხალისი შემატა ხალხში ყოფნამ. ვერც კი წარმოიდგენთ, რა უფლად, ნალვლიანად გაგატარე ბოლო 2 წელიწადი, აჩრდილივით მუდამ თან მდევდა ჩემი დაქვეითებული სმენა და გაფურბოდი ხალხს, მიზანთროუს ვგავდი სონამდეილემო, სულაც არ ვარ ასეთი. ეს ცვლილება ჩემში მოახდინა საყვარელმა მშვენიერმა გოგონამ, რომელსაც ვუყვარვარ და მეც მიყვარს“. ყველა ბიოგრაფიის აზრით, ამ წეროლის ავტორი აქ ვსულიტა გვიჩარდიზე წერს. ამბობენ, ის მისი მონაფე და მეგობარი იყო. ვინ არის ამ წეროლის ავტორი?
- ბეთჰოვენი. ეს ადვილად გამოსაცნობია.
- სერგო ფარაჯანოვის ბიოგრაფიას კარგად იცნობ?
- რა უნდა მკითხო?
- როცა იგი ერთ-ერთ ფესტივალზე მოხვდა, სმოკინგის უქონლობის გამო, კედლიდან წარწერა — „წო სმოკინგ!“ ჩამოხსნა და დარბაზში ისე შევიდა. სად მოხდა ეს?
- საქართველოში არა მგონია, მომხდარიყო, ზუსტად იცნობს ვერ გეტყვი.
- კანის ფესტივალზე შემდეგი კითხვა გეოგრაფიიდან არის. ეს სრულტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ მას სწორად, ინგლისის არხს უწოდებენ. დაფიქრდი და მითხარო, რომელია ეს სრულტე?
- ლა-მანში იქნება, არა?
- გამოიცანი. ლონდონში ნამყოფი იქნები.
- დიას.
- დრამატული ხელოვნების სამეფო აკადემიის შენობის კიბესთან 2 ადამიანის ბიუსტი დგას.
- (მანყვეტინებს) და მათი ვინაობა დავისახელო?



- დიას, ვინ არიან ისინი?
- ერთი შექსპირია, მეორე — არ ვიცი.
- ბერნარდ შოუ რაფიელ ერისთავის რომელ ცნობილ სიტყვებს უწოდა გახეთმა „დროებაში“ მე-11 მცნება?
- ვერ გიპასუხებ.
- „როგორც უფალი, სამშობლო — ერთია ქვეყანაზედა“. შუის სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ლერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?
- ალბათ იუპიტერი.
- ცდებო, ეს პლანეტა ვენერაა. რა ნარმოიშობა ნვიმის ნვეთებში სინათლის სხივების გარდატეხისა და დაშლის შედეგად?
- ნამი? ზუსტად არ ვიცი.
- ცისარტყელა ნარმოიშობა. როგში დგას 25 ბავში, მათგან მერამდენა შუაში?
- მე-13 იქნება.
- „გათავდა, აღარ ჩამოგეხსნები/ არც მასსოვს, ვის რა ვუთხარი გუშინ/ და ვაფათურებ სიციხან ხელებს/ შენს თმებზე, მხრებზე, მუხლებზე, სულში-/ ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს/ საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, ნვეთიც/ შენ ხარ, აქამდე რაც უნდა მეთქვა/ შენ ხარ ოთახში ჰაერზეც მეტი“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?
- ოთარ ჭილაძე.
- ფოქსტროტი გიცეკვია?
- (იციინის) მე — არა, მაგრამ მასსოვს, ბებიაჩემი ცეკვავდა.
- ვის პატრესაცემად დაარქვეს ცეკვას ეს სახელი?
- ალბათ იმ ადამიანის, რომელმაც მოიგონა.
- ნარმოიშობით, რომელი ქვეყნიდან არიან ბოშები?
- ვერ გეტყვი.
- ინდოეთიდან. ინგლისელი პოეტი — ოდენი ამ ქვეყანას ასე ახასიათებდა: „აქ მხოლოდ სამნაირი პეიზაჟია: ქვები, ქვები, ქვები“. დაასახელე ეს ქვეყანა.
- მინიშნება მითხარი, რა!
- იგი დანის სრუტით გრენლანდიას უკავშირდება.
- ისლანდია იქნება.
- ნამდვილად ასეა. რა ერქვა ქალაქს, რომლის ადგილზეც ახლა მკვდარი ზღვა მდებარეობს?
- სოდომი.
- რას ეძახიან ახალდაქორწინებულებს მთიულეთში?
- არ ვიცი.
- ახალყოილი. რას უწოდა ამერიკელმა პუბლიცისტმა — ვენს ჰაკარდმა: „ხელოვნება დაუმიზნო თავში და მოარტყა საფულეში“?
- (ფიქრობს) ალბათ რეკლამას, ასეა?
- გამოიცანი. შილერი, მოლიერი, დანტე, გოეთე — ამ ცნობილი დრამატურგებიდან, რომელი გარდაიცვალა სცენაზე?
- მოლიერი.
- ჩაიკოვსკის ბალეტში — „გედების ტბა“ რამდენი ბალერინა ასრულებს პატარა გედების ცეკვას?
- 4-ნი არ არიან?
- ნამდვილად ასეა. რა ერქვა ალექსანდრე მაკდონელის დედას?
- არ ვიცი.
- ოლიმპიადა. „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიაზე გამარჯვებულებს სტატუეტებს ართმევენ და რამდენიმე დღის შემდეგ ისევ უბრუნებენ. რატომ?
- ჩემი აზრით, ასე იმიტომ აკეთებენ, რომ მათზე მფლობელის სახელი და გვარი ამოკვიფრონ.
- დიას. რომელი ცნობილი ზრუნავს თავის ნაშიერზე ყველაზე მეტხანს: დათვი, კატა თუ სხელი?
- არ ვიცი, მაგრამ ინტუიციით ვხვდები, რომ სპილო იქნება.
- პატარა სხელი დედასთან 10 წელიწადზე მეტხანს

- რჩება. არისტოტელემ მას სურვილების შესრულების გარანტი უწოდა, ლორდ ბაირონმა — ალადინის ლამპარ, ჰენრი ფორდმა ის კიდურებს შეადარა, ბერნარდ შოუ კი მიიჩნევდა, რომ ის არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ქვეყანაზე რაზეა ლამპარაკი?
- გთხოვ, კითხვა გამიმეორე (გამეორების შემდეგ), ფულზე იქნება.
- ასეა, შენთვის ფულს რა დატვირთვა აქვს?
- როცა ფული მაქვს, თავს უფრო ლაღად ვგრძობ. მეტის გაკეთება შემიძლია.
- უფულობა გთრგუნავს?
- ჩემი აზრით, ყველას თრგუნავს, უბრალოდ, ამას ზოგიერთი არ აღიარებს.
- ვისი აფორიზმი: „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“?
- ვერ ვიხსენებ.
- შოთა რუსთაველს ეკუთვნის. პორტუგალია, გერმანია, საფრანგეთი — რომელი ქვეყანა არ არის ესპანეთის მეზობელი?
- გერმანია.
- „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო/ ლექსში ქართულად რომ მოგისენო/ როგორ არ მინდა, ჩემს სოციალურ/ დააჩნდეს შენი ღრდილები/ ეს რა უშრეტო ცეცხლით დამბუგე/ პირს მარიდებენ ქალიშვილები“
- (მანყვეტიანებს) ეს ლადო ასათიანის სიტყვებია.
- არისტოტელე ამბობდა: ნათესავი ეს არის ჩვენი სხეულის ნაწილი, ვის მიიჩნევდა იგი სულის ნაწილად?
- საყვარელ ადამიანს.
- მეგობარს. არ ეთანხმები?
- ვეთანხმები, მაგრამ ჩემი პასუხიც მომწონს.
- ბევრი მეგობარი გყავს?
- არა, შეუძლებელია, ადამიანს ბევრი მეგობარი გყავდეს. ბევრი ნაცნობი და ახლობელი მყავს, მეგობარი — ძალიან ცოტა.
- „განგაში“, „ხევისბერი გოჩა“, „წინო“, „დათა თუთა აშნა“ — ამ ფილმებიდან, რომლისთვის არ დაუნერხა მუსიკა რევაზ ლალიძეს?
- „დათა თუთაშხიასთვის“.
- რომელ ქვეყანაში გარდაიცვალა ბაირონი?
- საბერძნეთში.
- ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ლოს-ანჯელესი — ამერიკის ამ ქალაქებიდან, რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?
- ფილადელფია.
- მსოფლიოს 7 საოცრებიდან, რომელი მდებარეობდა თურქეთის თანამედროვე ქალაქს, ბოდრუმის ადგილზე?
- ვერ ვიხსენებ, არადა, ვიცოდი.
- ჰალიკარნასოს მავზოლეუმი. რომელი ნიშანი მიუთითებს მუსიკაში ბერის სიმალის ნახევარი ტონით დადაბლებას?
- (იციინის) ბემოლი.
- რა ჰქვია ხელოვნებაში მიმდინარეობას, რომელიც საგნების რეალურად გამოსახვას უარყოფს?
- აბსტრაქციონიზმი.
- ტრადიციისამებრ, რა ნიშანს იძლევიან საკვამუროდან ტაძარში შეკრული კარდინალები პაპის არჩევის დასტურად?
- თეთრ ბოლს უშვებენ.
- დაასრულე მარკ ტვენის ცნობილი გამონათქვამი: „გემოვნებაზე არ დაობენ, მის გამო ერთმანეთს ლანძღავენ და“.
- ეს გამონათქვამი ზეპირად არ ვიცი.
- „და ომობენ“.



# ბონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული  
მართხვალისათვის  
( ა ი თ ხ ვ ა ბ ი )**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

**„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაჩცეთ თვალი**

1. რა ჰქვია ხელსაწყო, რომლის დახმარებითაც ღრუბლების მოძრაობის სიჩქარესა და მიმართულებას განსაზღვრავენ?

2. რა მეტსახელი ჰქონდა მოსკოვის საფეხბურთო კლუბის — „დინამო“ ლეგენდარულ მეკარეს — ლევ იაშინს?

3. დაასახელეთ შეერთებული შტატების პრეზიდენტი, რომელიც კოლეჯის დამთავრების შემდეგ აიოვას შტატში, ქალაქ დევენპორტში, სპორტულ კომენტატორად მუშაობდა.

4. ყირიმის ომში, სევასტოპოლის ალყის დროს, ადმირალ ნახიმოვის დაკრძალვის დღეებში მოკავშირეთა ჯარებს რუსეთის პოზიციები არ დაუბომბავთ. რატომ?

5. ვის ეძახდნენ საქართველოში ზარაფს?

6. ყაზახი თურქული სიტყვაა. რას ნიშნავს იგი ქართულად?

7. დაასახელეთ რომელი მხედართმთავარი, რომელიც დიქტატორობიდან საკუთარი ნებით გადადგა.

8. დაასახელეთ დაავადება, რომლითაც ოდრი ჰეპბერნი და ჩე გევარა იყვნენ დაავადებულნი.

9. რა არის დომრა?

10. რა არის დომბრა?

11. რა ჰქვია ბუნიობას მერენაირად?

12. ვინ იყო პიგმალიონი?

# ანექლოცენი



\* \* \*

ოსი შვილს ეჩხუბება:

— ცხვირს ნუ იჩიჩნი, ტვინი გაგეჩხაპნება!

\* \* \*

გახურებული ომია. სვანი ტყვიამფრქვევიდან ისვრის. გაიხედავს გვერდით, ხედავს მეგრულს, რომელსაც სანგრიდან ხელი აქვს ამოყოფილი და ისე ისვრის.

— რას აკეთებ, მასე ვინ ისვრის?!

— ისე მეზიზღებიან, მაგათი დანახვაც არ მინდა!.. — გადააფურთხა მეგრულმა.

\* \* \*

ორი გურული ყანას თოხნის. ერთი ეუბნება მეორეს:

— რა კარგი კურსი აქვს ალებული ჩვენს მთავრობას, დავენიოთ და გავუსწროთ სინგაპურსო.

— კარგია, მაგრამ ჯობია, მხოლოდ დავენიოთ და არ გავუსწროთ!

— რეიზა, კი მარა?

— შარვლები გვაქვს უკან გამოხეული და რას იტყვის მსოფლიო!

\* \* \*

— კაკო ბიძია, შეიძლება, ნითელ შუქზე გადავიარო?

— როგორ არა, ოღონდ გადასვლისას ხელები მაღლა ასწიე.

— რატომ?

— მორგში მაიკა იოლად რომ გაგხადონ...

\* \* \*

მეგრელი ჰიპერმარკეტში კონსულტანტად აიყვანეს და ორ დღეში ვაჭრობა საგრძნობლად გამოცოცხლდა. გახარებული მეპატრონე გაკვირვებული ადევნებს თვალს მეგრულს. ხედავს, შემოდის კლიენტი, მეგრულს ელაპარ-

აკება და ცოტა ხანში ანკესების არჩევას იწყებს. მეგრულმა 3 ანკესი, მოზრდილი ქვაბი, თევშები, ჭიქები, ერთი ყუთი არაყი აურჩია. მეზობელ განყოფილებაში დასაკვც მაგიდასა და სკამებთან ერთად კარავიც გაუშადა, ეს ყველაფერი უკვე წინასწარ შერჩეულ მოტოციკლში ჩაულაგა და კმაყოფილი გაუშვა. გახარებულმა მეპატრონემ მეგრული იხმო და შეაქო:

— ყოჩაღ, ძმაო, კაცი ანკესის საყიდლად შემოვიდა და შენ კი ამდენი საქონლის რეალიზება მოახდინე, აუცილებლად მოგიმატებ ხელფასს!

— მადლობელი ვარ, ბატონო, მაგრამ რომ იცოდეთ, ის კაცი სულ არ მოსულა ანკესის საყიდლად. ცოლმა გამოგზავნა, ჰიგიენური პაკეტიბი მიყიდეო... მეც ავიღე და ვუთხარი: ეს ერთი კვირა უსაქმოდ სახლში ჯდომას, აგერ ანკესები, ძმაკაცები გეყოლება და სათევზაოდ წადით, უხას მოხარშავთ, არაყს დალევთ და ერთი კვირა უცებ გაფრინდებამეთქი.

\* \* \*

სვანი სიზმარში სცემეს და მეორე დღეს ძმაკაცებთან ერთად დაიძინა.

\* \* \*

მეგრულს უთხრეს, ზოოპარკიდან სპილო გაქცეულა და დასაჭერად დასდევნო.

— ჰოჰ! რას დაიჭერენ ეგენი მაგხელა სპილოს!..

მერე გაიგო, დაუჭერიათო.

— ჰოჰ! აბა, სად გაიქცეოდა მაგხელა სპილო!..

\* \* \*

„სასწრაფო დახმარების“ მანქანის მძღოლი:

— გააჩუმეთ, ეს ავადმყოფი, ვერ ვხვდები, სირენა ჩართული მაქვს თუ გამორთული!..





# გონების საპარჯიშო

## „გზის“ ერთგული მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ნეფოსკოპი.
2. თამაშის დროს იაშინს ყოველთვის შავი ფერის ტრუსი და მაისური ეცვა, რის გამოც გულშემატკივრებმა „შავი ობობა“ შეარქვეს.
3. რონალდ რეიგანი.
4. რუსი ადმირალისადმი პატივისცემის ნიშნად.
5. სარგებლით ფულის გამსესებელს.
6. გლესს.
7. ლუციუს კორნელიუს სულა.
8. ასთმა.
9. რუსული ხალხური სიმებიანი საკრავი.
10. ყაზახური ხალხური სიმებიანი საკრავი.
11. დღელამტოლობა.
12. კვიპროსის მითური მეფე, რომელსაც თავისივე გამოქანდაკებული ქალი შეუყვარდა. აფროდიტეს შეეცოდა და ქალს სული შთაბერა. მეფემ იგი ცოლად შეირთო.



\*\*\*

- სიდედრს მაგარი საჩუქარი ვუყიდე, — ტრაბახობს ჭიჭიკია.
- რა უყიდე ამისთანა?
- ჭურჭლის სარეცხი და საშრობი!
- ვაა! რა დაგიჯდა?
- 9 ლარი?
- 9 ლარი? რა იყიდე, თუ კაცი ხარ, 9 ლარად?!
- ტაშტი და ტილო!..

\*\*\*

- რა საზიზღარია ჩემი ქმარი, — ოხრავს ლიკა.
- რაშია საქმე? — დაინტერესდა ქეთინო.
- ვილაც ქალთან დაძვრება. გუმინნი პრეზერვატივები ვუპოვე ჯიბეში და გამწარებულმა სულ ნემსით დავუხვრიტე.
- მერე ისევ ჯიბეში ჩაუდე?
- ჰო!
- ვაი! — აღმოხდა ქეთინოს და გული წაუვიდა.

\*\*\*

- ცოლი ქმარს ურევავს:
- ძვირფასო, იცი, მანქანა გამიფუჭდა.
  - რა მოუვიდა?
  - „კარბურატორში“ წყალი შევიდა.
  - როდის ისწავლე რა არის „კარბურატორი“? სად არის მანქანა?
  - ტბაში, ძვირფასო.

\*\*\*

სვანი მთელი თავისი ცხოვრება თოვლისბაბუობაზე ოცნებობდა და საკუთარ შვილიშვილს სახელად თოვლი დაარქვა.

\*\*\*

ქუთაისელს ცოლმა საპარიკმახეროში თმის შესაჭრელად 50 ლარი სთხოვა.

- რაია ქალო, ნარკოზით იჭრი თუ? — გადირია ქმარი.

\*\*\*

ნარკუშა მეგობარს ეძახის:

- კოკა! კოკააა!
- გამოიხედავს კოკას დედა.
- კოკა სახლშია?
- არა, შვილო.
- აუ, კარგად ნახეთ, რა!

\*\*\*

კაცი აფთიაქში შევიდა და გამყიდველს თავის ტკივილის წამალი სთხოვა. ფული მიაწოდა, აბი იქვე გადაყლაპა და ქუჩაში გამოვიდა. უცებ ზურგს უკან ესმის:

- მოქალაქე, მოქალაქე, მოიცათ! შეცდომით თავის ტკივილის წამლის მაგივრად დარიშხანი მოგეცით.
- კი, მაგრამ მე რომ ვერაფერს ვგრძნობ?
- ჰოდა, ჩქარა, სანამ რამეს იგრძნობდეთ, 12 ლარი განსხვავება გადამიხადეთ!

\*\*\*

ნარკომანი კარზე აკაკუნებს:

- მწვანე საღებავი გჭირდებათ?
- არა.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ აკაკუნებს:

- მწვანე საღებავი გჭირდებათ?
- აარააა!..

ნარკომანი მესამედ აკაკუნებს:

- მწვანე საღებავი გჭირდებათ?
- გვჭირდება.
- აუ, რაში გჭირდებათ?

\*\*\*

სკოლის დირექტორი შოთიკოს მშობლებს საყვედურობს:

- მთელი დღე გოგოების დევის მეტს არაფერს აკეთებს.
- დიდი ამბავი, მაგის ასაკში ყველა ბიჭი გოგოებს დასდევს!
- ნაჯახით?!

# ჩვენი უოსო მადანაა





# კოროსკოპი

27 იანვარი - 2 თებერვალი

### ვეჩორი

საქმეების მიუხედავად, გართობაზე უარს ნუ იტყვით. საღამოობით მხიარულება მეგობრებთან ერთად დაგეგმეთ. შაბათ-კვირა კარგი პერიოდია შემოქმედებითი საქმიანობისთვის.

### კუჩრი

კვირის მეორე ნახევარში გაგიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა და ოჯახისთვის ახალ ნივთებს შეიძენთ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

### ტუჩვი

თქვენი სიზარმაცის გამო კოლეგებს საქმეებს ნუ გაუფუჭებთ. კვირის მეორე ნახევარში ნათესავების პრობლემების მოგვარებით იქნებით დაკავებული.

### კიჩჩხი

თანამოაზრეებთან ერთად ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, დაიცავით დიეტა და მისდით სპორტს.

### ღოფი

ახალი იდეები გაგიჩნდებათ. მათ განსახორციელებლად თანამშრომლებთან შეთანხმებულად იმოქმედეთ. მოერიდეთ კამათს.

### ქახტუდი

კარგი პერიოდია დაშვებული შეცდომების გამოსასწორებლად, ძველი ურთიერთობების აღსადგენად. ეცადეთ, გარშემო მყოფების მიმართ ლმობიერი იყოთ.

### სახსნი

ნუ იქნებით უცნობებთან გულახდილი. შესაძლოა, ინტერნეტით ახალი მეგობრები შეიძინოთ და საქმიანი ურთიერთობებიც გაიფართოოთ.

### ვიწი

კარგი პერიოდია პარტნიორებთან ურთიერთობის მოსაგვარებლად. ახალი იდეების განხორციელებას შეძლებთ. კარდინარული ცვლილებებისგან თავი შეიკავეთ.

### მფი

მეტი ყურადღება დაუთმეთ საკუთარ ჯანმრთელობას. კარგი იქნება თუ ივარჯიშებით და დიეტას დაცავთ. დასვენების დღეებში სიურპრიზები გელით.

### ოხრი

შესაძლოა, საქმიანი პარტნიორები საზღვარგარეთ გამოგიჩნდნენ და ბიზნესიც წამოიწყოთ. დასვენების დღეები ოჯახში გაატარეთ.

### ხევი

თუ სიჯიუტეს სძლევთ და სხვათა რჩევებსაც გაითვალისწინებთ, წარმატება გელით. მოინახულეთ ნათესავები და ძველი მეგობრები. დასაქორწინებელი მერწყულებისთვის კარგი პერიოდია.

### თფი

ყველაფერი ისე მოხდება, როგორც ჩაიფიქრებთ. ფორტუნა თქვენს მხარეზეა. მეგობრებთან შეხვედრა განწყობილებას გაგიუმჯობესებთ.

**ყველაფერი სიყვარულის შესახებ!**

ცნობილი ადამიანების რომანტიკული თავგადასავლები, სასიყვარულო ისტორიები, ლირიკული ლექსები, ეპისტოლარული მემკვიდრეობა...

ფასი: 11.99

**სიასლუ!**


ასევე წაიყიბათ:

- ♥ რით მოვხიბლოთ ჩვენი რჩეული
- ♥ რა ვუძღვნათ გულის სწორს
- ♥ როგორ ვიცხოვროთ სიამტკებლობით ჩვენი ცხოვრების თანამგზავრთან ერთად





	1. ამერიკის შტატი			2. ფოთლოვანი ხე	3. ქართული სიგარეტი			4. თურქეთის დედაქალაქი	5. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
		6. საკონდიტრო ნაწარმი		7. ექსპერიმენტი					
		8. სკანდინავიური თქმულება							
					9. ძვირფასი ქვა				
10. ჯუჯა ხეების გამოყვანის ხელოვნება					11. ქვეყანა აფრიკაში	12. ზანღუკი		13. ტკბილი კარტოფილი	
14. საქონლის სადგომი	15. ქვეყანა აზიაში	16. ბოსტნეული					17. ერთგვარი ფეხსაცმელი	18. თევზის კვერცხების ერთობლიობა	
19. გაშლის ჯიშში					20. რბილი ავეჯი				
									21. ... უანდერი
22. კორიღორი		23. ინგლისური ლუდი			24. მარტის ძვ. ქართ. სახელწოდება				
		25. მდინარე საქართველოში						26. ბუნებრივი წყალსაცავი	
	27. ფაშისტური ვგარი	28. დიდი ქვა						30. დიდი გამოხერხილი მუცელი	
	31. ბუდი, ილბალი		32. კატის ნაშიერი						
			33. ერთგვარი ქული	34. მუს. ნოტი	35. კრემიანი ნამცხვარი				
	36. შხამიანი ობობა			37. ზღვის პატარა ყურე	38. ... მაკფერსონი				
	39. გამოუწვავი აგური	40. გუბე							
				41. რუსეთის საინფორმაციო სააგენტო					






**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები**

1. შოიინიზმი; 2. ვიკინგები; 3. ნაირობი; 4. ლამა; 5. მუხა; 6. ელია; 7. ნაირა; 8. რაინი; 9. რამპა; 10. პრიმიტივი; 11. ორატორი; 12. ინტრიგა; 13. პნემონია; 14. პონი; 15. პორშე; 16. დინგო; 17. ბრა; 18. გიბონი; 19. „მერი“; 20. არია; 22. ანეტა; 23. იაბო; 23. ტიტანი; 24. აიუა; 25. რეტრო; 26. პანო; 27. ინოლა; 28. პოსეიდონი; 29. პერევი; 30. მაგო; 31. მარაო; 32. ილინოისი; 33. „არგო“; 34. შიო; 35. ჯოდი; 36. ტემპი; 37. იოტა; 38. კლემა; 39. უმი; 40. ეშლი; 41. ლაპი; 42. ალოე; 43. იაპონია; 44. ენა. სურათებზე: შნაიდერი; დელონი.



# ფოტოკუჩიონები




6 125 / 2



# წიგნი

**უხვე ბაზრული ტომები შეიძინათ წიგნის აქტიუბი!**

წიგნის უნდა  
წაიხიოთ,  
სანამ ცოცხალი ხარ!



**წიგნი 6**  
**ქიულ ვერნი**  
**„80 000 წელიწადი და მილიონობით წელიწადი“**

მაგარ გარეკანში, შემოსაკრავი სუპერით და სპეციალური სანიშნით

**31 იანვრიდან – 7 თებერვლამდე!**

მხოლოდ „კვირის პალიგრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი - 7 ლარი


**14-დან – 21 თებერვლამდე**

**28 თებერვლიდან – 7 მარტამდე**

**14-დან – 21 მარტამდე**



მიხაილ ბუღაევი



მოხიან უაილი



ჩახილბ დიენსი

*და სხვა დიდი  
წიგნები...  
ყოველ ორ წუთში  
„წიგნის პალიგრა“  
რთავ!*

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ „50 წიგნის“ სერიის ტომები 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელფა.ჯი